მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

# მასწავლებლის წიგნი

## ინკლუზიური განათლება

ნიტა მაისურაძე
დიანა ანფიმიადი
მაია კუდავა
მარიამ გოდუაძე
თეონა ბექიშვილი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

2018

სახელმძღვანელოს ავტორები გვთავაზობენ ინკლუზიური განათლების სხვადასხვა საკითხებს, რომლებიც პრაქტიკულ რჩევებზეა დაფუძნებული და პასუხს სცემს უმთავრეს კითხვას – როგორ შევუქმნათ თითოეულ ბავშვს აუცილებელი კომფორტი და ყველა საშუალება იმისათვის, რომ მან შეძლოს განათლების პროცესში სრულფასოვანი ჩართვა.

გაეცნობით სწორ პრინციპებზე დაფუძნებულ ინკლუზიური განათლების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომელიც ეხმარება სკოლას, მასწავლებელს, მშობელს, საზოგადოებას, დისკრიმინაციის გამოვლინების ნებისმიერი ფორმის აღკვეთაში და საშუალებას აძლევს განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ისწავლონ, აღადგინონ საკუთარი უფლებები, რაც იმის სარწმუნო ბაზისი იქნება, რომ ბავშვები მომავალში საზოგადოების სრულფასოვანი წევრები გახდებიან.

სახელმძღვანელო დაეხმარება მკითხველს ისეთი მიდგომების განვითარებაში, რომელიც ორიენტირებულია ბავშვზე და აღიარებს, რომ თითოეული მათგანი ინდივიდუალურია, მიუხედავად მათი განსაკუთრებული და განსხვავებული შესაძლებლობებისა.


რედაქტორები:

ნატო ინგოროყვა

მანანა ბოჭორიშვილი

სტილისტი:

ნანა მაჭავარიანი

დიზაინერი:

ბესიკ დანელია

ISBN 978-9941-8-0353-6



© 2018, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

# აუტისტი ბავშვის მშობლის წერილი

ტერმინების „შეზღუდული შესაძლებლობა“ და „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება“ გათავისების ურთულესი გზის მცირე მონაკვეთი უკვე გავიარეთ. მოსაყოლიც დაგვიგროვდა...

დიაგნოზი „ბავშვთა აუტიზმი“ და კითხვის ნიშნით – „ასპერგერის სინდრომი“ ოთხი წლის წინ მოვისმინე. ახლა ჩემი ბიჭი 9 წლისაა... მოვისმინე, მაგრამ მხოლოდ ის დავიმახსოვრე, რომ ჩემი შვილი იყო „სხვა პირის დახმარების მუდმივი საჭიროების მქონე“... მხოლოდ ის გავიაზრე, რომ გვჭირდა რაღაც, რაც არ იკურნებოდა. როცა დავფიქრდი, ვინანე კიდეც, შესაფასებლად რომ მივიყვანე. როგორც იტყვიან, ტკივილმა თხემით ტერფამდე დამიარა... მტკიოდა, რომ ვერაფერს ვუშველიდი... ნეიროგანვითარების ცენტრი მხოლოდ ბავშვის საზოგადოებაში ინტეგრირების საკითხში დახმარებას გვპირდებოდა, მე კი ვეძებდი წამალს, თუნდაც ძვირად ღირებულს, რომელიც იმ ბიჭს დამიბრუნებდა, სამ წლამდე რომ მყავდა – ხალისიანს, კომუნიკაბელურს, ტიტინას... შევყურებდი აბრებზე ცნობილი ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების გვარებს – ნუთუ ამდენ პროფესორს სულ ეს შეეძლო?!

მორჩილად დავიწყე ქცევითი თერაპევტის დავალებების შესრულება. იმავდროულად, ვეცნობოდი ლიტერატურას, ვუყურებდი ფილმებს – დოკუმენტურს და მხატვრულს, რომლებიც მაპოვნინებდა პასუხს კითხვაზე, რა მჭირდა.

ცენტრში რომ მივედით, ჩემი შვილის მდგომარეობა უმძიმესი იყო... სამ წლამდე არაფერს ვუჩიოდით, მერე სამსახურში გავედი და ჩემზე მოკედლებულმა პატარამ დედის მონაცვლე ბებია არ მიიღო. კომპიუტერს მიეჯაჭვა, კონტაქტი ყველასთან გაწყვიტა, დაძახებაზე არ რეაგირებდა, არაკომფორტულ მდგომარეობას კივილით გამოხატავდა. ლექსიკა იმდენად მწირი გაუხდა, რომ მარტივ წინადადებებსაც ვეღარ ამბობდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოიძახებდა ხოლმე სიტყვებს. მეტყველების უნარი არ დაუკარგავს, ყველა ბგერას გამოთქვამდა, მაგრამ ლაპარაკს ყვირილს ამჯობინებდა. ტუალეტის ჩვევებიც

დაივიწყა და დიდი ხნის მიტოვებულ პამპერსს დაუბრუნდა. ვერ ამჩნევდა სახლში შემომსვლელებს, დაკარგა შიმშილისა და ნაყროვანების შეგრძნებები. მისი ქცევა რობოტისას დაემსგავსა. მარტო თამაშობდა და მხოლოდ ცხოველები აინტერესებდა, მხოლოდ ზოოპარკში სიარული სიამოვნებდა. გამოიგონა ცხოველი „პაშეტი“, რომელსაც თავდაპირველად ჰაერში ხატავდა ხელის მოძრაობით, მერე – ფურცელზეც. ეს აგრესიული, რქიანი და გრძელკუდა ცხოველი იყო და ჩემი შვილი ხშირად ნამძინარევიც წამომხტარა, პაშეტი მომდევდაო.

სპეციალისტები აუტიზმის მიზეზს ვერ ასახელებენ, მე კი ვვარაუდობ, რომ ეს ჩემმა სამსახურში გასვლამ გამოიწვია... თუმცა მიზეზის ძებნას რაღა აზრი ჰქონდა, ამიტომაც „საშველის“ ძიება გადავწყვიტე...

ქცევითი თერაპიის ინტენსიურმა კურსმა უდავოდ გამოიღო შედეგი, მაგრამ ამ შედეგის დემონსტრირების არეალი იყო მხოლოდ დასწავლილი სივრცე-შენობა, ფსიქოლოგები და ცენტრის მეგობრები... სკოლაში მისვლამ მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა.

სკოლას კომუნიკაციის უნარების დახვეწა მივანდეთ. ბავშვებთან ძალიან ფრთხილი იყო – მათთან კონტაქტი ვერ მოხერხდა, გაკვეთილებზე მისი მართვა კი სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჩემი შვილი მეოთხე კლასში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ „მშობელთა სკოლის“ მსმენელიც ვიყავი და ტრენინგიც გავიარე, შესაძლოა, ბევრი მაინც არაფერი მესმოდეს, მაგრამ შვილზე დაკვირვებამ გარკვეულ დასკვნებამდე მიმიყვანა. არ ვიცი, რამდენად კომფორტულია საზღვარგარეთ ამ ტიპის პრობლემის მქონე ბავშვების „ჩვეულებრივ“ მოსწავლეებთან ერთად გაკვეთილებზე ყოფნა, მაგრამ საქართველოში ეს გაუმართლებლად მიმაჩნია. მზრუნველობა სფეროს ნამდვილად ეტყობა – საზოგადოება მზადაა და ინფორმირებულია, მასწავლებლების მიმართ, რომლებიც ჩემს შვილზე დედასავით ზრუნავენ, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. იმავეს თქმა შემიძლია თანაკლასელებსა და მათ მშობლებზეც. რა გასაოცარიც უნდა იყოს, თანაკლასელებმა მისი „მეურვეობა“ იკისრეს და მას დიდი სიყვარულით უვლიან.

ახლა ვაცნობიერებ პრობლემის არსს, მაგრამ დანებება არ მინდა, არა სიჯიუტის, არამედ გამოცდილების გამო. ორი წელი ვაკვირდებოდი, რისი სწავლა შეეძლო ჩემს შვილს – აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ლექსებს იზეპირებდა. ითვლიდა ასამდე, მაგრამ ანგარიშს ხუთის ფარგლებშიც ვერ ახერხებდა. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მარტივ კითხვებზეც ვერ პასუხობდა. მესამე წელს

მისი ინდივიდუალურად მომზადება დავიწყეთ. წელს პირველი კლასის მათემატიკა სრულფასოვნად დაძლია, გამართულად წერს და კითხულობს, სვამს კითხვებს და პასუხობს. შეუძლია პერსონაჟის ქცევის შეფასება, მოვლენის მიზეზის პოვნა და ასე შემდეგ.

ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩემს შვილს ბევრი რამის სწავლა შეუძლია გაგებით, სააზროვნო უნარების დახვეწაზე მუშაობით, მაგრამ ასეთი შედეგის მიღება შეუძლებელია იმ მიდგომით, რომელიც დღეს გვაქვს სკოლებში. სისტემა რომ იხვეწება, კარგია, მაგრამ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან სამუშაოდ ათასობით მასწავლებლის გადამზადებას უამრავი დრო სჭირდება, ბავშვები კი იზრდებიან და მათი საჭიროება სცდება სისტემის დახვეწა-განვითარებისთვის დაწესებულ ვადებს. ან რომელ სპეციალურ პედაგოგს ძალუძს, ყველა საგანში დაეხმაროს მოსწავლეს? ჩემი აზრით, ჯობია უფრო მარტივი ინსტრუმენტის მოფიქრება, რომელიც დააჩქარებს სისტემის დახვეწის პროცესს. სხვისი არ ვიცი, მე კი მირჩევნია, ჩემი შვილი სწავლობდეს საჯარო სკოლის სპეციალურ ჯგუფში, სადაც ერთი ადამიანი იქნება მისი კურატორი და უნარების დახვეწაში დაეხმარება.

უნდა შეიქმნას პროგრამა, რომელიც ბავშვებს საზოგადოებაში ინტეგრირებას გაუადვილებს. ეს პროგრამა უნდა განსხვავდებოდეს სასკოლო პროგრამისგან. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დღეს მასალის შემცირებას და ეტაპობრივ გართულებას გულისხმობს. არადა რამდენი რამის სწავლა შეუძლიათ „შეზღუდული“ უნარების მქონე ადამიანებს, პრაქტიკულ ცხოვრებას თუ ვასწავლით...

ჩემი ოცნებაა, ჩემი შვილი სწავლობდეს სკოლაში, სადაც დაეუფლება პრაქტიკული ცხოვრებისთვის საჭირო ცოდნას იმ უნარებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, რომლებიც აქვს. სწორედ ამგვარი მიდგომა შეუწყობს ხელს საზოგადოებაში მის ინტეგრირებას. პრობლემის „შეფუთვა-შელამაზება“ საქმეს ვერ უშველის, ყველა მშობელი უსწორებს თვალს რეალობას, მათ შორის – მეც. მოსასმენად სასიამოვნოა, რომ ჩემი შვილიც „ჩვეულებრივი“ ბავშვია და დანარჩენებთან ერთად უნდა სწავლობდეს, აღსაქმელად კი სურათი სხვაგვარია: ჩემი შვილი სწავლაში სხვასაც უშლის ხელს და ვერც თვითონ სწავლობს ვერაფერს, ირღვევა როგორც მისი, ისე დანარჩენ მოსწავლეთა უფლებები. გთხოვთ, შექმენით ამ ტიპის ჯგუფები სკოლებში და მოგვეცით არჩევანის გაკეთების საშუალება.

ნიტა მაისურაძე

# დიანა ანფიმიადი


1 აუტიზმი და დამოუკიდებლობა კლასში 11

2 ენა, როგორც მედიუმი 13

3 ჩვენი სკოლის ეზო 15

4 აუტისტური სპექტრის აშლილობა და წინასასკოლო მომზადება, ფსიქოლოგის რჩევები 18

5 წინასასკოლო მომზადება და აუტისტური სპექტრის აშლილობა, მშობლის როლი და რეკომენდაციები 20

6 რა შეემთხვა ძაღლს ანუ გზამკვლევი მასწავლებელთათვის 22

7 აუტიზმი და ინსტრუქციის გაგების პრობლემატიკა 24

8 შეზღუდული შესაძლებლობები 26

9 განვლილი მასალის გამეორება უფროსებისა და უმცროსებისთვის 28

10 რამდენიმე რჩევა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მასწავლებელს 31

11 შთაბეჭდილებათა განუზომელი ძალა 33

12 მუსიკა, როგორც კონტაქტი 35

13 სკოლაში წასვლა 37

14 როცა ლიტერატურა ნამდვილად გვეხმარება 39

15 მეგობრები და წიგნები 42

16 ყვავილები ჩემთვის, შენთვის, ელჯერნონისთვის 45

17 სიყვარულის ახსნა 48

18 ახლომხედველი ბავშვი სკოლაში 50

# აუტიზმი და დამოუკიდებლობა კლასში

როდესაც აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე შვილი ან მოსწავლე გყავს, ძნელია, გაუძლო ცდუნებასა და სურვილს, ყველაფერი მის ნაცვლად გააკეთო. საერთოდ, მგონია, რომ ეს ტიპური განვითარების ბავშვების ქართველი მშობლების სენიცაა. ძნელია შეგუება, რომ ბავშვი გაიზარდა, უკვე ისეთი დოზით აღარ სჭირდები, როგორც ადრე. ჰოდა, მეც აქ ვარ, ჯგუფურ ფსიქოლოგიურ სეანსზე რომ სხედან ხოლმე და ბოლოს და ბოლოს აღიარებენ, ისე გიმხელთ:

– გამარჯობა, მე დიანა ანფიმიადი ვარ და მე ხშირად მიჭმევია ჩემი შვილისთვის ხელით, ხშირად ჩამიცმევია ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, მის ნაცვლად ჩამომიღია სათამაშო შედარებით მაღალი თაროდან, სადაც სკამის მიდგმა მშვენივრად შეიძლება, მის ნაცვლად ამილაგებია მისი მიყრილ-მოყრილი სათამაშოები, მის ნაცვლად ჩამილაგებია მისი სასკოლო ჩანთა და მოკლედ, ბევრ რამეს ვაკეთებ მის ნაცვლად.

ამას წინათ, ერთ-ერთი კვლევისას ბავშვთა ფსიქოლოგმა მკითხა, შეუძლია თუ არა ჩემს შვიდი წლის შვილს მაღაზიაში დამოუკიდებლად შესვლა, დაბარებული პროდუქტის ყიდვა და გამყიდველისთვის ხურდის გამორთმევა. გავოცდი, არასდროს მიფიქრია, რომ შვიდი წლის ბავშვი საერთოდ შეიძლებოდა ასეთი გამოწვევის წინაშე დამეყენებინა. ჰოდა, მივხვდი, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი შვილები, ტიპური თუ არატიპური განვითარებით, გაცილებით გვიან იზრდებიან, ცხოვრებისეულ სირთულეებს უფრო რთულად უმკლავდებიან და დიდი ხნის განმავლობაში უფრთხიან დამოუკიდებლობას.

გადმოვიტანოთ ეს სიტუაცია კლასში.

მე მასწავლებელი ვარ და კლასში მყავს აუტისტური სპექტის მქონე მოსწავლე.

როგორ ვიქცევი, ვცდილობ, რომ სხვა კლასში მისი ავტორიტეტი არ დავამცირო, გამოწვევების წინაშე დავაყენო თუ პირიქით, მსურს, ნაკლები პრობლემა ჰქონდეს და მის ნაცვლად ხშირად მე ვმოქმედებ?

როგორ გავხადოთ აუტიზმის მქონე მოსწავლე უფრო დამოუკიდებელი? მოდით, ერთად ჩამოვთვალოთ ის კონკრეტული დეტალები, რაც დაგვეხმარება:

1. მივაჩვიოთ თავის მოვლას. რასაკვირველია, ეს ერთ დღეში არ მოხდება, მით უმეტეს, თუ საქმე პირველკლასელ მოსწავლეს ეხება. ერთხელ ან ორჯერ შეიძლება გავყვეთ საპირფარეშოში და ხელის დაბანაშიც მივეხმაროთ, მაგრამ მერე, თანდათან მივაჩვიოთ, რომ მარტო წავიდეს. პირველ ეტაპზე ტუალეტის კაბინის გარეთ ველოდებით და ვახსენებთ, რომ ხელი უნდა დაიბანოს. მეორე ეტაპზე ტუალეტის გარეთ, დერეფანში ველოდებით და ვეკითხებით, ხომ ნამდვილად დაიბანა ხელები და მოიწესრიგა თავი? მესამე ეტაპზე უკვე კლასთან ველოდებით, ბოლოს კი მარტო ვუშვებთ საპირფარეშოში. გააკონტროლეთ, რომ ტუალეტის კარის ჩაკეტვა და გახსნა ისწავლოს, ასევე, აუტიზმის მქონე პატარებს ხშირად ღილის ან ელვა-შესაკრავის შეკვრა და გახსნა უჭირთ, ამიტომ, პირველ ეტაპზე მშობელს სთხოვეთ, ისეთი სამოსი ჩააცვას, რომელსაც ღილის და ელვა-შესაკრავის გასხნა და შეკვრა არ სჭირდება.
2. მიაჩვიეთ ხელის აწევას და რვეულში დავალების ჩაწერას, თუნდაც ეს მთლად იდეალურად ვერ მოახერხოს.
3. მიაჩვიეთ და მოსთხოვეთ, გაკვეთილების დასრულების შემდეგ მოაწესრიგოს თავისი წიგნები, ნივთები და  სასკოლო ჩანთა.
4. ეცადეთ, საკლასო სამუშაოს დროს დამოუკიდებლად იმუშაოს, თუნდაც ნაწილობრივ.
5. ეზოში გასვლისას თავად მოძებნოს საკუთარი ქურთუკი თუ ქუდი, თავიდან გაუჭირდება, მაგრამ ბოლოს მიეჩვევა.
6. ჯგუფური აქტივობის დროს მასაც აუცილებლად გაუნაწილეთ მოვალეობა და უთხარით, რომ ის პასუხისმგებელია დავალების შესრულებაზე.
7. თუ წიგნში სასურველ ტექსტს ვერ პოულობს, არ მოძებნოთ მის ნაცვლად, სხვაგვარად მიანიშნეთ.
8. თუ დავალების შესრულება უჭირს, მის ნაცვლად ნუ გააკეთებთ, გაუმარტივეთ და რამდენჯერმე გაუმეორეთ ინსტრუქცია.
9. თუ ვერბალური ინსტრუქციის გაგება გაჭირდა, ეცადეთ ვიზუალურად ანახოთ დავალების არსი.
10. სცადეთ, თვითონაც იყოს მასწავლებლის ან მოსწავლის დამხმარე, მისი ძლიერი მხარეების საშუალებით შექმენით ისეთი სიტუაცია, სადაც ის მასწავლებელს ან კლასელს დაეხმარება. ეს მას კლასში ავტორიტეტს აუმაღლებს და საკუთარი თავის რწმენას განუმტკიცებს, ეს კი დამოუკიდებლობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი და საჭირო ნაბიჯია.

# ენა, როგორც მედიუმი

ენა რომ კომუნიკაციისა და არსის გადმოცემის მთავარი საშუალებაა, ამ ანბანურ ჭეშმარიტებას ყველანი ვეთანხმებით. დაბადებიდან, ენობრივ გარემოში მოხვედრის პირველივე წუთიდან, ენობრივი არსებები ვხდებით და ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემოა, ჩვენთან ენის საშუალებით ურთიერთობს. მოვლენებსაც ენის მიერ მოწვდილი პრიზმით ვაკვირდებით და აღვიქვამთ. მოკლედ, ენაში ვცხოვრობთ და ენა ცხოვრობს ჩვენში.

ვაკვირდებით, როგორია ენა, რომლის საშუალებითაც რაღაც აზრის გამოთქმას ვცდილობთ? ინარჩუნებს თუ არა ჩვენი სამეტყველო თუ აკადემიური ენა თავის მთავარ, გაგებინების ფუნქციას?

ენა მედიუმია საზოგადოების წევრებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შორის. იმისთვის, რომ მომრიგებლისა და მოკავშირის ფუნქცია სრულად შეითავსოს, ყველა მხრისათვის კარგად გასაგები უნდა იყოს.

რატომ დავიწყე ამაზე საუბარი?

ბოლო დროს ოფიციალურ დოკუმენტებთან, სამთავრობო თუ არასამთავრობო ანგარიშებთან, კანონებსა და კოდექსებთან მუშაობა მომიწია და აღმოვაჩინე დოკუმენტების ენა, როგორც ქართული ენის სოციალური თუ სხვა ტიპის დიალექტი.

მივხვდი, ერთ მარტივ და სამწუხარო ჭეშმარიტებას - ვერცერთი ის ადამიანი, ვისი უფლებების დასაცავად თუ ყოფის გასაუმჯობესებლად იგეგმება ეს კვლევები, იბეჭდება ანგარიშები და გაიდლაინები, ვერასდროს გაიგებს, რა წერია ამ დოკუმენტებში. შესაბამისად, ვიღებთ ამაოდ დახარჯულ რესურსს – კვლევა, მისი მონაწილეები, ტექსტის დამუშავების სხვადასხვა ეტაპი, ბეჭდვის ხარჯები...

რატომ? მოდი, ჩამოვაყალიბოთ, რა პრობლემებს ვუქმნით ენას და შესაბამისად, საკუთარ თავს?

რატომ არ უნდა წაიკითხოს, ვთქვათ, ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავე რომელიმე ორგანიზაციის საინფორმაციო ბუკლეტი რაჭის რომელიმე სოფელში მცხოვრებმა თქვენმა ან ჩემმა ბებიამ ან სკოლის მოსწავლემ, ან მეცხვარემ, ან მე, ადამიანმა, რომელიც ვფლობ სახელწიფო ენას, მაგრამ არ

ვიცი ეს, ანგარიშებისა და კანონების ენა, რომელიც ერთგვარ სოციოლექტად ჩამოყალიბდა?

მხოლოდ ლექსიკაზე არ ვლაპარაკობ, მენდეთ, ძალიან შორს ვარ იმ პურისტთაგან, რომლებიც თვლიან, რომ ენის გადარჩენა ტერმინოლოგიის და ნეოლოგიზმების თარგმანშია. ენას აქვს უფლება აირჩიოს, რომელი ფორმა მიიღოს ან არ მიიღოს, ზედმეტი, ჭარბი ლექსიკა მოიშოროს, ის დაიტოვოს, რაც მის სტრუქტურასა და ბუნებას უკეთ ესადაგება.

მე უფრო სინტაქსს, ზმნის ფორმების ხელოვნურ წარმოებას, პასიურ კონსტრუქციას, ტავტოლოგიებს, ჩართულებისა და დანართების სიხშირეს ვგულისხმობ, ასევე, ისეთ წინადადებებს, რომლებსაც უბრალოდ „მეტისმეტად შერწყმულ“ და „მეტისმეტად ქვეწყობილ“ წინადადებებს დავარქმევ, ვგულისხმობ, რომ წინადადებასაც უნდა ჰქონდეს სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა. იქნებ ეს წესებით არ არის დადგენილი, მაგრამ ენის შეგრძნებისა და გემოვნების საკითხია, ძალიან მნიშვნელოვანი!

ვასწავლოთ ოფიციალური ტექსტების წერა ჩვენს მოსწავლეებს დღეს, სანამ სხვა ენის გავლენის ქვეშ ნაკლებად არიან, ვასწავლონ სტილი, ტერმინოლოგიის გამოყენება, აკადემიური ენა, რომელიც სულაც არ არის საჭირო, რთული იყოს, მგონი, პირიქით!

თორემ რა გამოდის?

მე ვარ შშმ პირი, რომლის უფლებების დაცვისთვის და სპეციალური რესურსებით უზრუნველყოფისათვის რომელიღაც ორგანიზაცია უზარმაზარ შრომას დებს, მაგრამ ამ შრომის ნაყოფს მე ვერ მოვიწევ, რადგანაც ენა არ მომცემს ამის საშუალებას.

მე ვარ მშობელი, რომელსაც ძალიან სჭირდება ბავშვებზე ძალადობის თემატიკაზე უფრო მეტის ცოდნა, იმის გააზრება, რომ ბავშვი დამოუკიდებელი ადამიანია და დაუშვებელია მისით მანიპულირება, მაგრამ მე ამას ვერ გავიგებ – რადგან სინტაქსის დაუძლეველ გისოსებს ვერ გამოვცდები.

ბოლოს და ბოლოს, მე ბავშვი ვარ, რომელსაც საკუთარი უფლებების გააზრება სურს, მაგრამ ბავშვს ისევ ენობრივი ბარიერი უშლის ხელს, ენა, რომელსაც ფლობს, არ არის ის ენა, რომელზეც ეს რესურსებია შექმნილი.

მე ვარ მოქალაქე, რომელსაც ჩემი ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონების კარგად გააზრება უნდა, მაგრამ ისევ ენა არ მიშვებს, ენა მაჩერებს და ენა მაყოვნებს...

ვიფიქროთ ამაზე და დავიმახსოვროთ, გაგებინება და კომუნიკაციის პროცესის წარმართვა – ენის უმთავრესი ფუნქციაა!

# ჩვენი სკოლის ეზო

რისთვის აქვს სკოლას ეზო? ერთი შეხედვით სასაცილო კითხვაა, აი, დაახლოებით ისეთი -რა კავშირია ჩაისა და ჩაიდანს შორის ან რატომ თამაშობენ ფეხბურთს ბურთით. მაგრამ ეს კითხვა მაინც უნდა დავსვა, რადგან სპორტის იშვიათი გაკვეთილების გარდა ( ისიც მხოლოდ თბილ დღეებში), იშვიათად ვნახავთ ჩვენს სკოლის ეზოებში ჩატარებულ გაკვეთილებს, საგანმანათლებლო თამაშებს თუ უბრალოდ, სასიამოვნო დასვენების პროცესს. არადა, სკოლის ეზო შეიძლება ისეთივე მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო სივრცე იყოს, როგორც სკოლის ლაბორატორია, ფიზიკისა თუ ბიოლოგიის კაბინეტები.

მაგალითად, მარტივად, ზედმეტი ფინანსური რესურსის გარეშე შეგვიძლია ვაქციოთ ჩვენი სკოლის ეზო სენსორულ ბაღად. სენსორული ბაღი სივრცეა, სადაც შეგრძნებისა და შემეცნების პროცესი ერთმანეთს უკავშირდება, ამ ბაღში ყოველი დეტალი, მცენარე, მასალა, ნივთიერება, სათამაშო, როგორც შემეცნებით, ისე თერაპიულ ფუნქციას ითავსებს. სენსორული ბაღი მნიშვნელოვანი კომპონენტია ბავშვის განვითარებისათვის, ხოლო აუტისტური სპექტრის და სხვა დარღვევების დროს თერაპიისა და განვითარების შეუცვლელ რესურსს წარმოადგენს. სხვა ბაღებისგან განსხვავებით, სენსორული ბაღი ადამიანისა და მცენარის კონტაქტს ემყარება, აქ ყველა გრძნობა აქტიურდება, შედეგი კი – შთაბეჭდილებაზე დამყარებული შემეცნებაა. შესაძლებელია, სენსორული ბაღი რომელიმე კონკრეტულ გრძნობას ეძღვნებოდეს, მაგალითად, მხოლოდ შეხებას, ანდა ხუთივე გრძნობის გააქტიურების საშუალებასაც იძლეოდეს, შესაბამისად, ასეთი ტიპის ბაღი უფრო მრავალფეროვანი და რთული სტრუქტურისაა.

სენსორული ბაღი რამდენიმე ნაწილისგან შედგება:

1. მცენარეების ნაწილი ბაღის ფლორა ხუთი გრძნობის მიხედვით ხუთ პირობით სივრცედ იყოფა:

**ა. ყნოსვა:** ამ ნაწილში მოთავსებულია მცენარეები ყველაზე გამოკვეთილი, ადვილადსაგრძნობი სურნელით, მაგალითად: როზმარინი, პიტნა, დაფნა, ლემონგრასი, ლავანდა, ვარდი, ბაზილიკი, კამა, ციტრუსები და სხვა.
**ბ. შეხება:** ამ განყოფილებაში გვხვდება სხვადასხვაგვარი ზედაპირის მცენარეები, პრიალა, ბუსუსოვანი, ეკლიანი, ხავერდოვანი – კაკტუსები, ათასგვარი ხავსი თუ სეკულენტები.
**გ. გემო:** მცენარეები გამოკვეთილი გემოვნური თვისებებით, რასაკვირველია, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, როგორიცაა, მჟაუნა, პიტნა, მარწყვი, სამყურა, ბაზილიკი, რეჰანი, ოხრახუში, სამყურა, ნიახური, მარწყვი და სხვა.
**დ. სმენა:** ამ ნაწილის შექმნა ყველაზე რთულია და აქ მხოლოდ მცენარეები საკმარისი არ არის, ვიყენებთ ხმაურიან და ჟღარუნა სათამაშოებს, ზანზალაკებს და ისეთ მცენარეებს, რომლებიც ყველაზე ხმაურიანად შრიალებენ ან სხვადასხვაგვარ ხმას გამოსცემენ, მაგალითად, გამოგვადგება მაჩიტები, ზანზალაკების მსგავსი სხვა ყვავილები. ასევე, ამავე ნაწილში შეგიძლიათ მოათავსოთ ფრინველების გალიები, ბილიკი კი ისეთი მასალით დაფაროთ, რომელიც მეტად ხმაურობს სიარულისას, ხოლო ხელოვნური ჩანჩქერი ან პატარა წყარო თავისი ჩუხჩუხით შესანიშავ განწყობას შექმნის.
**ე. ხედვა:** აქ მცენარეებს ვირჩევთ ფერთა პალიტრის მიხედვით. ბაღის ამ ნაწილში ყველაზე დიდი არჩევანი გვაქვს, თუმცა აქაც არის რამდენიმე პრიციპი, პირველ მოდულში ვათავსებთ ძირითადი, საბაზო ფერის მცენარეებს, რომელთაც პირველ რიგში ვასწავლით ბავშვებს, დანარჩენ ნაწილში უკვე სხვა ფერების გამოყენებაც შეგვიძლია.

ამგვარად, ჩვენს ფერთა შემეცნებას რამდენიმე სირთულის საფეხურად ვყოფთ, რაც უფრო აადვილებს სასურველი მიზნის მიღწევას. ბაღის მეორე სივრცე – ნივთიერებები და მასალები:

სენსორული ბაღის ეს ნაწილი აგრძელებს შემეცნებით კონცეფციას, თუმცა, აქ მცენარეების გარდა, სხვადასხვა ნივთიერებებითა და მასალებით ვმუშაობთ, როგორიცაა ნახერხი, ქვიშა, ნიჟარები, კენჭები (სხვადასხვა ზომის), მიწა, ნაფოტები, წყალი – შადრევანი და აუზი. შესაძლოა, წყლის მცენარეები და თევზებიც მოვაშენოთ, რაც ბაღს კიდევ ერთ, დამატებით ფუნქციას მიანიჭებს.

ბაღის მესამე სივრცე – ფერები და განათება.

ამ სივრცეში გამოყენებულია სხვადასხვა ფერის განათება, დამუშავებული მინა და მოზაიკა, ვიტრაჟები, რომლებიც მზის შუქზე სხვადასხვაფრად აელვარ-დებიან, ჩრდილები, შესაძლოა მოეწყოს მზის საათი. ბაღის მეოთხე სივრცე – მუსიკალური განყოფილება.

1. ჰაერის საკრავები, სხვადასხვა მეორადი მასალისგან მომზადებული, კონ-სერვის ქილებისა, რკინისა და თუნუქის ჭურჭლისგან, მინის ბოთლების-გან.
2. დასარტყამი ინსტრუმენტები – ასევე სხვადასხვა მეორადი მასალისგან დამზადებული.
3. დიდი, ფერადი ქსილოფონი.
4. სხვადასხვაგვარი მეორადი მასალისგან აწყობილი ჩასაბერი საკრავები.
5. მეორადი მასალებისგან მომზადებული ასაწყობები, დიდი ფაზლები და ა.შ.

# აუტისტური სპექტრის აშლილობა და წინასასკოლო მომზადება, ფსიქოლოგის რჩევები

ყველასთვის აქტუალურ წინასასკოლო მომზადების პროცესზე ნეიროფსიქოლოგს, ნეიროგანვითარების ცენტრის ქცევითი თერაპიის სერვისის ხელმძღვანელს, ილიასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტების ლექტორს, ნინო ოქროსაშვილს ვკითხე, შემდეგ მისი რეკომენდაციები შევკრიბე, ერთად ჩამოვაყალიბე და ახლა მინდა, თქვენ გაგიზიაროთ.

მშობლისა და ფსიქოლოგ-თერაპევტის მოსაზრებები ბევრგან გადაიკვეთა, რაც, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ნებისმიერი თერაპია, ნებისმიერი ახალი ნაბიჯი და მოვლენა, ნებისმიერი სასიკეთო ცვლილება მშობლის ჩართულობის გარეშე შეუძლებელია და ბევრი იდეა, რომელიც პრაქტიკული გამოცდილებით ჩნდება, წარმატებული შედეგის გარანტიაა.

**მაშ, ასე, კიდევ ერთხელ ვისაუბროთ, როგორ მოვამზადოთ აუტისტური სპექტრისა და აუტიზმის მქონე ბავშვი სკოლისთვის.**

როგორ უნდა იყოს აღჭურვილი სკოლა, რა უნდა იცოდნენ მასწავლებელმა და მშობელმა, როგორ უნდა მოვამზადოთ ბავშვი სკოლისთვის, როგორ ვარჩევთ სკოლას, რა პროცედურებია გასავლელი და ა.შ.

პირველ რიგში, რასაკვირველია, მთავარი როლი მასწავლებელს ენიჭება, სწორედ მან უნდა დაგეგმოს სტრატეგია, გაესაუბროს მშობლებს, ფსიქოლოგს, გააგებინოს დანარჩენ მოსწავლეებს აუტიზმის შესახებ. სწორედ მასწავლებლის სურვილით, საჭიროების შემთხვევაში მულტიდიციპლინური ჯგუფი აფასებს მოსწავლეს, სასწავლო გეგმას არგებს მის საჭიროებებს, ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და სვამს დამხმარე თერაპევტის საჭიროების საკითხს. თუმცა, შესაძლოა, სწორედ მულტიდიციპლინური ჯგუფი დაეხმაროს მშობლებს კონკრეტული სკოლის მოძებნაში.

სასურველია მომავალი მოსწავლე სასკოლო მზაობის ტესტითაც შეფასდეს. „სასკოლო მზაობის ტესტი“ არის კვლევა, რომელიც ძალიან სასარგებლო იქნება მოსწავლისათვის, რადგანაც გამოაჩენს სამუშაო სტრატეგიის ინდივიდუალურ თვალსაჩინოებებს.

მასწავლებლის როლი ამ პროცესში უმთავრესია. სწორედ მან უნდა შეარჩიოს სწორი მეთოდები იმისათვის, რომ მოსწავლის მოტივაცია გაზარდოს,

დააკვირდეს მის უნარებს და ძლიერი მხარეების საშუალებით სცადოს მოსწავლეს კლასთან ურთიერთობა გაუმარტივოს. აუცილებელია, მშობელმა მასწავლებლებს წინასწარ გააცნოს ბავშვის მოთხოვნების რეპერტუარი, როგორი ფორმით ითხოვს ყურადღებას, პასუხს ან ტუალეტში თუ წყლის დასალევად გასვლას.

არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გათვალისწინებაც საჭიროა. აუტისტური სპექტრის ბავშვმა შესაძლოა ვერ მოახერხოს რიგის დაცვა, თხოვნის გარეშე წამოიძახოს პასუხი, გაუჭირდეს სურვილების გადავადება, მოთმინების გრძნობამ უმტყუნოს. აქ საჭიროა ბალანსი. რასაკვირველია, კლასში მოქცევის გარკვეული წესები მასაც უნდა ეხებოდეს, თუმცა ფრთხილად უნდა მოვიქცეთ, რომ არ ჩავახშოთ მისი ინიციატივა, რომლის გამოვლენაც მან დიდი ბარიერის გადალახვის შემდეგ გაბედა.

თუ მოსწავლეს ხმაურის ეშინია, საწყის ეტაპზე შეიძლება ყურსასმენებიც გამოვიყენოთ, რომელსაც ზარის დარეკვის წინ მოვარგებთ, ან წინასწარ გავაფრთხილოთ, რომ ახლა ზარი დარეკავს, თუ ხალხმრავლობა აწუხებს, კლასში ყოფნას თანდათან უნდა შევაჩვიოთ.

მშობელს შეუძლია წინასწარ იმუშაოს ბავშვთან მსხვილი და ნატიფი მოტორიკის განვითარებაზე, ყურადღების კონცენტრაციაზე, მაგალითად, შეგვიძლია ბავშვს ვთხოვოთ ორი მოქმედების ერთად შესრულება – ვთქვათ, იმღეროს რომელიმე მელოდია და ამავდროულად, რიტმულად დაუკრას დოლზე, ან იმღეროს და იმავდროულად გააფერადოს. როდესაც ორი მოქმედების სინქრონიზებას შეძლებს, შემდეგ მესამეც შეგიძლიათ დაუმატოთ.

მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, წინასასკოლო მომზადებისა და ორგანიზების რა საფეხურებს გადის ბავშვის მშობელი: სასურველია გქონდეთ ბავშვის ახალი შეფასება და ახალდასმული დიაგნოზი. არჩევთ სკოლას, რეგისტრირდებით, მიდიხართ განათლების სამინისტროში და ითხოვთ თქვენი შვილის უნარების შეფასებას მულტიდიციპლინური ჯგუფის მიერ. მულტიდიციპლინური ჯგუფი ფსიქოლოგსა და მასწავლებელთან ერთად გეგმავს სასწავლო პროცესს, ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, განსაზღვრავს სპეცპედაგოგის საჭიროებას. მოსწავლეს ამზადებთ სკოლისთვის, წინასწარ ანახებთ იმ სივრცეს, სადაც უნდა ისწავლოს, გააცნობთ მასწავლებელს და სკოლის ფსიქოლოგს.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ თქვენ, მშობელი, ამ რგოლის უმთავრესი წევრი ხართ, გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ჩართულობის, მონიტორინგის, ყურადღების გარეშე არაფერი გამოვა, როგორც არ უნდა გაგიმართლოთ სკოლასა და მასწავლებელში.

# წინასასკოლო მომზადება და აუტისტური სპექტრის აშლილობა, მშობლის როლი და რეკომენდაციები

სექტემბერში ახალი სასწავლო წელი იწყება და ნებისმიერი მშობელი, რომელსაც სასკოლო ასაკის შვილი ჰყავს დიდ მზადებასა და ფაციფუცშია, ნერვიულობს, განიცდის, ჯერ სკოლას ეძებს, არჩევს, მასწავლებლებს ხვდება, პროგრამებს ათვალიერებს, მერე სასკოლო ნივთებს მოიმარაგებს, სრულიად სხვანაირი სისტემურობით დაალაგებს დღესა თუ სამუშაოს.

განსაკუთრებული მღელვარებით და შიშით ავსებს ეს მოლოდინი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებს, რადგან, სკოლის შერჩევისა თუ მასწავლებლებთან საუბრის დროს, ყველას ერთხელ მაინც შეუმჩნევია ყოყმანი თუ კითხვის ნიშანი.

არის კი მზად ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა, უზრუნველყოს ასას დიაგნოზის ბავშვებისთვის შედეგიანი სასწავლო პროცესი? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ინკლუზიური განათლების გამოცდილება დღითი დღე მატულობს, სულ უფრო მეტი პედაგოგი ცდილობს სასარგებლო მეთოდიკას გაეცნოს, მოსწავლის საჭიროებები გაითვალისწინოს, მაინც, ხშირად, წარმატება სისტემურ მიდგომაზე კი არა, კონკრეტულ, ენთუზიასტ და სენსიტიურ პედაგოგზეა დამოკიდებული.

წინასწარ რომ მოვემზადოთ სასწავლო წლისთვის, უნდა დავგეგმოთ ჩვენი წინასასკოლო მოქმედებები და ყველაზე დიდი როლი ამ პროცესში, რასაკვირველია, მშობელს აქვს.

მაშ ასე, ვცადოთ ჩამოვთვალოთ ყველა აქტივობა თუ ინიციატივა, რაც საჭიროა იმისთვის, რომ სექტემბერში, სკოლაში მისულმა მოსწავლემ თავი გაცილებით კომფორტულად და მშვიდად იგრძნოს, ეს ხომ ასას შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია. გაგიზიარებთ პირად გამოცდილებას:

1. სკოლის შერჩევა: პირველ რიგში, რასაც ვარკვევ, სკოლის გამოცდილებაა ინკლუზიური განათლების მიმართულებით, ვესაუბრები სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგებს და ფსიქოლოგს. უპირატესობას ვანიჭებ სკოლას, სადაც კლასში მოსწავლეების ნაკლები რაოდენობაა, უფრო პატარა და მშვიდ სკოლას ვარჩევ, რადგან, მაგალითისთვის ჩემს პატარა ბიჭს დიდი სივრცეების ეშინია (სინამდვიელში, ასეთ გარემოში ორიენტაცია მეც კი

მიჯირს-ხოლმე). მნიშვნელოვანია სკოლის ინფრასტრუქტურა, მეტისმეტად ჭყეტელა ფერები კედლებსა თუ სკოლის ავეჯზე, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვს გააღიზიანებს ან ყურადღებას გაუფანტავს.

2. თუ სკოლა უკვე შეარჩიეთ, არ დაიზაროთ სკოლის ეზოში, თუნდაც ვესტიბიულში ბავშვთან ერთად გასეირნება, შეახედეთ კლასებში, სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ანახეთ სასწავლო პროცესი, გააცანით მისი მომავალი მასწავლებელი და სკოლის ფსიქოლოგი.
3. მნიშვნელოვანია, რომ სექტემბრამდე მოაგვაროთ ის რამდენიმე პრობლემა, რომელიც შემდგომში ხელს შეგიშლით სასწავლო პროცესში, მაგალითად, თუ თქვენი შვილი გვიან იძინებს და შესაბამისად, დილით ადრე ვერ იღვიძებს, უკვე დროა, თანდათან, ეტაპობრივად შეცვალოთ მისი ძილის რეჟიმი. ასევე, ეცადეთ თანდათან შეაჩვიოთ ადრიან საუზმეს, ეს მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს შეზღუდული კვებითი ინტერესები აქვს, სანამ სკოლაში ჭამას შეეჩვევა, მაწიერი და ნოყიერი საუზმე კარგ სამსახურს გაგიწევთ.
4. თუ ბავშვი რომელიმე ცენტრში გადის თერაპიას, კარგი იქნება, თუ ხელახალი დიაგნოსტირების საშუალებით, ის პრობლემატიკა გამოიყოფა, რომელიც ამ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია, შემდეგ, თერაპევტებთან ერთად მიზანმიმართულ მუშაობას დაიწყებთ ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად.
5. დაგეგმეთ საშინაო მეცადინეობები. რასაკვირველია, არ ვგულისხმობ, რომ ბავშვს წერა-კითხვა ან შეკრება-გამოკლება უნდა ასწავლოთ, მაგრამ კონცენტრაციის უნარის, ყურადღების, კომუნიკაციისა და ჩართულობის, მოსმენის, სხვისი მითითებით თუ თხოვნით მუშაობის უნარის განვითარება მნიშვნელოვანი იქნება, არაფერს ვამბობ ნატიფი თუ მსხვილი მოტორიკის განვითარებაზე, რის გარეშეც მოსწავლეს სასწავლო პროცესში ჩართვა გაუჭირდება. შეგიძლიათ ხატოთ, ძერწოთ, სურათები აღწეროთ და პატარა ამბებიც მოყვეთ. „სამეცადინო“ საათი დღის ერთსა და იმავე მონაკვეთში დაგეგმეთ და ერთგვარ რუტინად აქციეთ.
6. ხშირად ესაუბრეთ სკოლაზე, რომ ეს ის ადგილია, სადაც ბევრ ახალ რამეს გაიგებს და დროს მხიარულად გაატარებს, მეგობრებს შეიძენს, საინტერესო წიგნებს წაიკითხავს. რომ სკოლაში წასვლა ცხოვრების დიდი ეტაპის დასაწყისია, რომ თქვენ ისევ უწინდებურად მასთან იქნებით და ერთად ყოფნისთვის დროც საკმარისად დაგრჩებათ. აქციეთ სკოლაში წასვლა შვილისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო სიახლედ.

# რა შეემთხვა ძაღლს ანუ გზამკვლევი მასწავლებელთათვის

15 წლის ქროსტოფერ ბუნი ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერია, მას ბევრი ისეთი რამ შეუძლია, რასაც სხვები ვერ ახერხებენ – მაგალითად, ერთმანეთზე გაამრავლოს მრავალნიშნა რიცხვები და ამოხსნას ურთულესი ლოგარითმები, მაგრამ ზოგჯერ ადამიანთა გრძნობების, იუმორის, იდიომების გაგება უჭირს, ადამიანები ხომ  მართლაც ძალიან რთულად და გაუგებრად მეტყველებენ. ბიჭს ასპერგერის სინდრომი აქვს, უყვარს მათემატიკა და მსოფლიოს მთელი რუკა პატარა თავში აქვს მოთავსებული...

მიუხედავად ამისა, ის ჩვეულებრივი მოზარდია, ჩვეულებრივი პრობლემებით – ოჯახური სირთულეები, ბულინგი, სოციალური ურთიერთობების პრობლემა, თავის პოვნისა და დამკვიდრების ურთულესი გზა... დიახ, ის ცოტათი ჰოლდენ კოლფილდიცაა, ავტორი რამდენჯერმე იყენებს ალუზიას „ჭვავის ყანიდან“, ქრისტოფერი სწორედ ის ბავშვია, კლდის პირას, საშიშროების წინაშე...

სად იპოვის ეს პატარა, თანაგრძნობითა და სიყვარულით აღსავსე ბიჭი თავის თავს, სახლში? სადაც ატყუებენ? თუ ლონდონისაკენ მიმავალ მატარებელში, ან იქნებ მათემატიკის გამოცდაზე?

„რა შეემთხვა ღამით ძაღლს და სხვა უცნაური ამბები“ ბრიტანელი მწერლის, ილუსტრატორისა და სცენარისტის, მარკ ჰედონის გახმაურებული წიგნია. ავტორი ახალგაზრდობაში რამდენიმე წელი მუშაობდა აუტისტური სპექტრის ბავშვებთან, რამაც განაპირობა ასპერგერის სინდრომის მქონე კრისტოფერ ბუნის პერსონაჟის დამაჯერებლობა. წიგნი უიტბრედის ლიტერატურული პრემიის გამარჯვებულია; ასევე მიღებული აქვს „გარდიანის“ პრემია, როგორც საუკეთესო საბავშვო რომანს და მრავალი სხვა პრიზი. ავტორი ბუკერის პრემიის კანდიდატების თავდაპირველ სიაშიც მოხვდა.

მე თუ მკითხავთ, პირველი მიზეზი, რატომ უნდა წაიკითხოს  ყველა მასწავლებელმა  და მოსწავლემ ეს წიგნი ისაა, რომ თქვენ გეძლევათ გზამკვლევი, პასუხი თქვენს მრავალ კითხვაზე, სახელმძღვანელო ასპერგერის სინდრომის თუ აუტისტური სპექტრის სხვა ფორმის მქონე ბავშვებთან საურთიერთოდ და არა მხოლოდ.

მაგალითად, ბევრჯერ მქონია შეგრძნება, რომ აბსტრაქტული ცნებები, მაგალითად – სიყვარული, პატრიოტიზმი, ბედნიერება თუ კონკრეტულ, გააზრებულ შემადგენლებად არ დავშალეთ, ბავშვებს არ ესმით, მით უმეტეს, ასეთი ზოგადი შინაარსის გაგება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს უჭირთ. ქრისტოფერისთვისაც ასეა, „მიყვარხარ“ – მისთვის კონკრეტული მოქმედებებისგან შედგენილი ცნებაა, მან იცის, რომ მამას ის უყვარს, რადგან არ ატყუებს, უვლის, საფრთხისგან იცავს...

იქნებ გამოვიყენოთ ეს სხვა ფასეულობების ახსნისას?

მაგალითად, რამდენ თქვენს მოსწავლეს ესმის რა არის პატრიოტიზმი? ეს სიტყვა მათ ცნობიერებაში უზარმაზარ კვარცხლბეკზე მდგარ, უცნობი ადამიანის ქანდაკებას ჰგავს, რომელიც იმდენად მაღალია, რომ თვალს ვერ ააწვდენ...

მაგრამ თუ ამ ცნებას კონკრეტულ შემადგენლებად დავშლით და ვიტყვით, რომ პატრიოტიზმი კარგად სწავლა, საკუთარი საქმის გულისყურით კეთება, გარემოზე ზრუნვა, ნაგვის ურნაში ჩაყრა და სხვა მრავალი ყოველდღიური აუცილებლობაა, ყველა მოსწავლე მიხვდება რას ნიშნავს, იყო პატრიოტი.

კიდევ რა ვისწავლოთ ქრისტოფერ ბუნისგან?

ის, რომ ბავშვებს ზოგადად ძალიან უყვართ, როდესაც იციან, რას ელოდონ თქვენი გაკვეთილისგან, ერთგვარი სისტემურობა გაუადვილებთ მუშაობას.

კიდევ? ხატოვანი ფრაზების გამოყენება მხოლოდ აუტისტური სპექტრის კი არა, არცერთ ბავშვს არ უყვარს, ნუ გამოიყენებთ ამ ყბადაღებულ ფრაზას – „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან“.

კიდევ? არასდროს მოატყუოთ თქვენი არცერთი მოსწავლე, ისინი აუცილებლად მიხვდებიან სიმართლეს, თუნდაც დიდი ხნის მერე და საშიშია, რომ ამ სიმართლემ ისევე ამოატრიალოს მათი ცხოვრება, როგორც ქრისტოფერის ერთი შეხედვით დალაგებული წესრიგი შეცვალა სადღაც დამარხულმა ძაღლის თავმა...

ეს წიგნი საუკეთესო საშუალებაა, უფრო მეტი გაიგოთ თქვენი მოსწავლეების შესახებ, სწორად მიუდგეთ მათ, შეიყვაროთ და შეგიყვარონ.

# აუტიზმი და ინსტრუქციის გაგების პრობლემატიკა

აუტიზმის და აუტისტური სპექტრის აშლილობების ფორმების დროს სხვადასხვაგვარი პრობლემა და საჭიროება იკვეთება ხოლმე კლასში. ერთ-ერთი მთავარი ინსტრუქციის სწორად მიწოდება, მისი გაგება და შედეგად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისი შედეგის მიღების სურვილი და აუცილებლობაა.

ხშირად, განსაკუთრებით სწავლების პირველ სემესტრში, მოსწავლეს უჭირს გაიგოს ვერბალური ინსტრუქცია, ასევე უძნელდება წერილობითი ინსტრუქციის გაგება, მაშინაც კი, როდესაც კარგად იცის წერა-კითხვა.

იმის გარდა, რომ მეტყველების განვითარების რომელიმე ეტაპზე მყოფ ბავშვს შესაძლოა მწირი ლექსიკური მარაგი აქვს, ინსტრუქციის შინაარსის გაგების პრობლემა შესაძლოა მასწავლებლის ჯერ კიდევ უცხო ლინგვისტური ველის შედეგი იყოს. ვგულისხმობ, რომ ყოველი ადამიანი ცალკე, უნიკალური ლინგვისტური ინდივიდია, თავისი ლინგვისტური თუ მეტალინგვისტური მახასიათებლებით, როგორიცაა სამეტყველო აპარატი, ჟესტების გამოყენების თუ ემოციების გამოხატვის თავისებურება, სინტაქსური და პრაგმატული უნარები, ეს ერთგვარად ისეთივე უნიკალური მახასიათებელია ადამიანისთვის, როგორც, ვთქვათ, ადამიანის ხმის ან თითის ანაბეჭდი.

შესაბამისად, სწავლების პირველ ეტაპზე სწორედ ეს ლინგვისტური მახასიათებლები შესაძლოა აღმოჩნდეს დაბრკოლება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, თუმცა, დროსთან ერთად, ეს პრობლემა გვარდება.

განვიხილოთ მიზეზები და მეთოდიკა, როგორ შეიძლება უფრო გასაგები გავხადოთ ჩვენი ვერბალური თუ წერითი ინსტრუქცია აუტიზმის მქონე ბავშვისთვის:

1. მთავარი იარაღი გამეორებაა, ნუ დაგვეზარება გამეორება!
2. ლექსიკა-გამოიყენეთ შედარებით მარტივი, კონკრეტული, თანმიმდევრული ინსტრუქცია, მოერიდეთ უცხო ენიდან შემოსულ ტერმინებს, მით უმეტეს, თუ მათი ქართული შესატყვისობა არსებობს;
3. მოერიდეთ ფრაზეოლოგიზმებს, მეტაფორებს, ანდაზებს, აფორიზმებს, გადატანით ნათქვამ სიტყვებს;

4. თუ მოსწავლეს არ ესმის ვერბალური ინსტრუქცია, განასახიერეთ ეს ინსტრუქცია – ხელების მოძრაობით, მიმიკით ან იმ ნივთების ჩვენებით, რასაც ეს მითითება ეხება, მაგალითად, თუ მოსწავლეს უთხარით, „გადაწერე ეს წინადადება წიგნიდან რვეულში“ და მან ვერ გაიგო, აიღეთ წიგნი და რვეული და აჩვენეთ, საიდან სად უნდა გადაწეროს ბავშვმა წინადადება.
5. არჩევანი – არჩევანის მიცემა ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ბავშვს ავალებთ რაიმე დავალების შესრულებას და მას შესრულება არ სურს, აარჩევინეთ 2 ალტერნატიული დავალებიდან ერთ-ერთი, ამ შემოთავაზებას აუცილებლად დასთანხმდება, მეტი არჩევანი – დააბნევს მას.
6. თუ მოსწავლეებს აძლევთ დავალებას, რომლის დროსაც ბევრი შემოთავაზებული ვარიანტიდან ერთი უნდა აირჩიონ, ეს აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეს დააბნევს, ამიტომ, ეცადეთ უფრო მცირე რაოდენობიდან ირჩევდეს, მაგალითად, არა 15 მაგალითიდან ან წინადადებიდან ერთ-ერთი, არამედ 5-დან.
7. როდესაც სთავაზობთ აქტივობას, სჯობს, ასე ჩამოაყალიბოთ თქვენი შეთავაზება – „ახლა რა გირჩევნიათ, წავიკითხოთ, დავხატოთ თუ ვითამაშოთ?“ ვიდრე უბრალოდ ჰკითხოთ – „რისი გაკეთება გსურთ ახლა?“
8. შეინარჩუნეთ წინადადების აუჩქარებელი ტემპი და ეცადეთ, სიტყვებიც კარგად გამოკვეთოთ. ემოცია, პათეტიკა – აბსოლუტურად გაუგებარი იქნება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვისთვის.
9. თუ ვერბალური ინსტრუქცია გაუგებარია, ვიზუალური გამოიყენეთ, დახატეთ დაფაზე, თუნდაც ფოტო გადაუღეთ თქვენთვის აუცილებელ და სასურველ მოქმედებას და ამის საშუალებით მიეცით ბავშვს მითითება.
10. როდესაც მთელ კლასს აძლევთ ინსტუქციას, ამასთანავე, კონკრეტულადაც მიმართეთ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვს, ის შეიძლება ვერ მიხვდეს, რომ მთელი კლასის დავალება მასაც ეხება.
11. იმისათვის რომ გაგება გაადვილდეს, დავალების შინაარსი შეგიძლიათ ბავშვის ინტერესების მიხედვით შეცვალოთ. მაგალითად, თუ იცით, რომ მოსწავლეს პლანეტები და ასტრონომია უყვარს, საწერი დავალება ქართულ ენაში ასტრონომიასთან დაკავშირებული მიეცით ან რაღაცით დაუკავშირეთ მისთვის საინტერესო სფეროს.
12. დაიხმარეთ კლასი – გაამარტივებინეთ თქვენი ინსტრუქცია, აახსნევინეთ ბავშვებს, თანატოლის გაგება ზოგ შემთხვევაში უფრო მარტივია, ვიდრე მასწავლებლის.

# შეზღუდული შესაძლებლობები

დედაც და მამაც მათემატიკოსები არიან, ჩემს ოჯახში ლექსები არავის უწერია, თორემ ტექნიკური განათლება და უნარები – იცოცხლე! თავიდან მეც არა მიშავდა ამ ამბებში, მაგრამ დაახლოებით მეექვსე კლასში ვთქვი – მე პოეტი ვარ და მათემატიკა რად მინდა-მეთქი, ჰოდა, სწავლაზე ხელი ავიღე.

მერე, ინერციით, ცოტა ხანს სულ სხვა წესებით გამომყავდა ამოცანები, უფრო გრძელი, მაგრამ საინტერესო და ორიგინალური გზებით, შემდეგ კი წესების თუ ფორმულების არცოდნის გამო ჩემი მათემატიკური განვითარება გაჩერდა, თანაც სამუდამოდ, მეთერთმეტე კლასამდე სულ ჩანჩალ-ჩანჩალით მივაღწიე. ანუ რა გამოვიდა? მე შევიზღუდე შესაძლებლობები.

მეც, როგორც თითქმის ყველა ბავშვს, მუსიკაზე მატარებდნენ, მუსიკას ვწერდი, იქნებ სხვის მსგავსს, მაგრამ ზოგიერთს – საკმაოდ საინტერესოს და ორიგინალურსაც კი. ძალიან მთხოვდა პედაგოგი კომპოზიცია მესწავლა, მუსიკის თეორია და სხვა საკითხები, მაგრამ არა – ბოლომდე სულ ძალით ვიარე მუსიკაზე და დამამთავრებელი გამოცდების წინ, მეშვიდე კლასის ბოლო სემესტრში გამოვედი.

წყლის შიშის გამო დღემდე არ ვიცი ცურვა, დაცემის შიშის გამო, არასდროს ვმდგარვარ თხილამურებზე, ბურთის მოხვედრის შიშით არასდროს ვთამაშობდი ხელბურთს, სიმაღლის შიშის გამო, უამრავი ულამაზესი ხედის ხილვის საშუალება მოვაკელი თავს და მოკლედ, ჩამოთვლა რომ გავაგრძელო, ძალიან, ძალიან შორს წავალ.

როცა აუტისტური სპექტრის ბიჭუნა ოთხ ენაზე წერს და კითხულობს, მუსიკას ქმნის და საოცრად მღერის, როცა უსინათლო გოგონა ერთ-ერთი საუკეთესო ბალერინაა, როდესაც ბიჭი ეტლითაც მშვენივრად ახერხებს კარგად იცეკვოს, როცა ძალიან ჭკვიანი და განათლებული გოგონა, მოქალაქეობას, სოციალურ პასუხისმგებლობას სხვებს ასწავლის და თავის გარშემო საზოგადოებას ცვლის, როცა ჩვენს პარაოლიმპიურ ნაკრებს ვუყურებ და მახსენდება უამრავი მეცნიერი, მწერალი, მომღერალი, სპორტსმენი, თავიანთი განსაკუთრებული საჭიროებების მიუხედავად სხვებზე გაცილებით

მეტს მიაღწიეს, მე ვრწმუნდები, შეზღუდული შესაძლებლობა მეტისმეტად პირობითი ცნებაა.

ახლა, მაგალითად, ოთხი წიგნის იდეა მაქვს მონიშნული წიგნაკში, რომელშიც გასაკეთებელ საქმეებს ვწერ ხოლმე, დისერტაციის წერა რომ თითქმის შვიდ წელს გამიგრძელდა სიზარმაცის გამო, ამაზე აღარ მოვყვები, რამდენი შეუსრულებელი გეგმა, დაუმთავრებელი საქმე.... ჰოდა, ეს არ არის შეზღუდული შესაძლებლობები?

როდესაც სმენას განზრახ ვიყრუებთ, რომ სიმართლე არ გავიგოთ, მეზობლის სახლიდან შემომავალი ჩხუბის და ტირილის ხმა არ გვესმოდეს, როდესაც თვალს განზრახ ვიბრმავებთ, რომ გაჭირვებული თანამოქალაქე ვერ შევამჩნიოთ, საკუთარ კომფორტის ზონას გავუფრთხილდეთ. როდესაც ნაგვის ურნაში ჩასაგდებად არ ვდგებით ან საღეჭ რეზინას, იმის ნაცვლად, რომ სადაც საჭიროა, იქ ჩავაგდოთ, სკვერში, სკამზე ვაწებებთ, როდესაც ვმუნჯდებით, როცა აზრს გვეკითხებიან, როდესაც ჩვენი სიტყვა გადამწყვეტია. ყოველთვის, როდესაც გვაქვს არჩევანი, მაგრამ გვეზარება. დიახ, ყოველ ასეთ დროს ვრწმუნდები, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა შეზღუდული შესაძლებლობები არჩევითია. დიახ, დიახ, სწორედაც არჩევითი.

ამიტომ, სანამ ვინმეს შევიბრალებთ ან განვიკითხავთ, ვინმეს დამტკბარი ხმით ვეტყვით – შე საწყალო, როგორ მოახერხე, რომ ამ მხედველობით ასეთი შორსმჭვრეტელი და გამჭრიახი გახდი; საცოდავო , ხელს ვერ ამოძრავებ არა? ალბათ, მშიერი რჩები. იცი, სიამოვნებით გავისეირნებდი შენთან ერთად, მაგრამ აბა, ეტლით როგორ? იმ კაფეს პანდუსი არ აქვს. ...

საწყალი დედაშენი შვილო, როგორ გიყურებს, რომ ამხელა ბიჭი ვერ ლაპარაკობ. და ა.შ და ა.შ. ასეთი მრავლადაა... გთხოვთ, გავიხსენოთ, ყველა საკონტროლო, რომელიც სხვისგან გადავწერეთ, ყველა შესაძლებლობა, რომელიც ვერ გამოვიყენეთ. ყველა აქტივობა, რომელიც დაგვეზარა, ყველა ნიჭი, რომელიც გავანიავეთ, ყველა დავალება, რომელიც არ შევასრულეთ, ყველა ლექსი, რომელიც არ დავწერეთ... პირველ რიგში, საკუთარ თავს ვეუბნები ამას.

გავიხსენოთ ჩვენი არჩეული შეზღუდული შესაძლებლობები, რომელთაც ობიექტური კი არა, სუბიექტური გარემოებები ქმნიან.

# განვლილი მასალის გამეორება უფროსებისა და უმცროსებისთვის

– დიანა, რატომ არ იციან უფროსებმა ამდენი რამე და რატომ ეშლებათ ასე ხშირად? – მეკითხება მეოთხეკლასელი თაკო. – არ ვიცი, კონკრეტულად რამ განაპირობა მისი კითხვა, თუმცა, რაა გასაკვირი, უფროსებს იმდენი რამე გვეშლება.

– არ ვიცი, ალბათ ბავშვობაში არ ასწავლეს, ან ასწავლეს და არ გადაუმეორებიათ. – ვუღიმი და ვცდილობ ქართულის სავარჯიშო კიდევ ერთხელ ავუხსნა.

-თუ დავიწყება ასე მარტივია, მაშინ რატომ უნდა ვისწავლო?

-დავიწყება მარტივია, მაგრამ გახსენება კიდევ უფრო მარტივი – მინდა თავი დავიძვრინო, როგორ გამომდის, არ ვიცი.

* * *

ჩვენ, მასწავლებლებმა უნდა ვცადოთ ჩვენი მოსწავლეების მომავალი დავიცვათ – შეცდომებისა და უზუსტობებისგან, უაზროდ თავის მართლების არც თუ ისე სასარგებლო ჩვევისგან, დავიცვათ იმ ინფორმაციით, იმ ცოდნით, რომელსაც ახლა მივცემთ, სანამ ჩვენი მოსწავლეები არიან, სანამ თვალებში შემოგვყურებენ და ყოველ სიტყვას მწყურვალებივით ისრუტავენ.

კიდევ ერთხელ გავიმეოროთ გაკვეთილები, განვლილი მასალა – რა შემთხვევაში და როგორ არ უნდა გამოვიყენოთ სამედიცინო დიაგნოზები, სამედიცინო ტერმინები ადამიანთა სალანძღავად და დასაკნინებლად. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ცოდნა გვიცავს შეცდომებისგან!

განვიხილავ ყველაზე მეტად გავრცელებულ შემთხვევებს, რომელთაც სკოლაში (და ყოველდღიურ, ცხოვრების სკოლაში) ხშირად ვხვდებით.

1. **დაუნი.**

   დაუნის სინდრომი ეწოდა მდგომარეობას (დაუნი არის მეცნიერი, რომელმაც პირველმა აღწერა ეს სინდრომი), რომლის დროსაც ნაცვლად 46 ქრო-

მოსომისა, გვხვდება დამატებით ერთი ქრომოსომა 21-ე წყვილში, რასაც 21-ე წყვილის ტრისომია ეწოდება. მაშ ასე, დაუნის სინდრომი მდგომარეობაა, დაავადება არ არის. ის ათასგვარი სტერეოტიპი, რომელიც ამ სინდრომთან დაკავშირებით არის გავრცელებული – სწორედ არცოდნის და არასწორი დამოკიდებულების ბრალია. ასწავლეთ მოსწავლეებს, რომ პიროვნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი მდგომარეობა და ამიტომაც, ნებისმიერ ადამიანს ერთნაირი მიმღებლობით და სიყვარულით უნდა მოექცნენ. ამ თემაზე საუბრისას შეგიძლიათ დაუნის სინდრომის მქონე მრავალი წარმატებული ადამიანი გააცნოთ – მსახიობები, სპორტსმენები, პედაგოგები.

2. **აუტისტი.**
   სიტყვა „აუტისტს“ ხშირად იყენებენ ჩაკეტილობის, ქცევის პრობლემის, ცელქი, „უცნაური“ ქცევის მქონე ადამიანების დასახასიათებლად, რაც, აგრეთვე არასწორია. ჯერ ერთი, აუტისტური სპექტრის აშლილობის ყველა შემთხვევა განსხვავდება ერთმანეთისგან, შესაბამისად, არასწორია, გაუგებარი იარლიყების მიკერება, მეორეც, ეს რთული, მრავალშრიანი პრობლემაა, ამიტომაც დამაკნინებელი მნიშვნელობით ამ სიტყვის გამოყენება ძალიან არაეთიკურია და მხოლოდ სტიგმის გაძლიერებას უწყობს ხელს.

3. **გიჟი, შიზოიდი, შეზოფრენიით დაავადებული, ფსიქიატრიულის პაციენტი...**
   – გაიხსენეთ, თუ თქვენ გამოგიყენებიათ ეს სიტყვები სალანძღავად, წარმოიდგინეთ, რომ შეურაცხყოფა მიაყენეთ ყოველ მეოთხე ადამიანს, დიახ, ასეთია ფსიქიკური დაავადებების სტატისტიკა, იქნება ეს დეპრესია თუ უფრო რთული დაავადებები, შესაბამისად, როდესაც ერთ-ერთს, ამ სიტყვათაგან, სალანძღავად გამოიყენებთ, შესაძლოა, გამოჯანმრთელების შანსი წაართვათ ადამიანს, რომელიც ექიმთან წასვლას აპირებდა და სტიგმისა და თქვენი დამოკიდებულების გამო – გადაიფიქრა.

4. **ჩამოვწერ რამდენიმე სტანდარტულ და ძალიან გავრცელებულ ფრაზას:**
   – ე, ბიჭო, შენ ყრუ ხომ არ ხარ?
   – დაბრმავდი, თვალებიდან ვერ იყურები?
   – რა ინვალიდივით იქცევი, ჩქარა წამოდი რა!
   – ბრუციანო, შე, ბრუციანო!

– ენაბლუ ხარ, ბიჭო?
– დამუნჯდი?
– დებილი ხარ?
– ეს ჭკუასუსტია!
– ბნედიანი ეს!
– დამბლა დაგემართა? გაინძერი-მეთქი.
– დაწყნარდი და ფსიქიატრიულში წადი!
და ა.შ და ა.შ.

ყოველი ეს სიტყვა, სიტყვათშეხამება თუ წინადადება, რომელთაც უფროსები თუ უმცროსები ყოველდღიურად, დაუფიქრებლად ვიყენებთ დამაკნინებელი და სალანძღავი ფუნქციით, სამედიცინო პრობლემებს ასახავს, სხვადასხვა სირთულის  სამედიცინო დიაგნოზებს წარმოადგენს, მათ მიღმა კონკრეტული ადამიანები დგანან, ჩვენნაირი ადამიანები, ჩვენი თანამოქალაქეები, მეგობრები, მეზობლები, ნათესავები.... დარწმუნებული ვარ, თუ ოდნავ დავფიქრდებით და  გავიაზრებთ, გავიხსენებთ და არ დავივიწყებთ – აღარასოდეს გამოვიყენებთ მათ.

არც უფროსები და არც უმცროსები!

გამეორება ცოდნის დედაა.

# რამდენიმე რჩევა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მასწავლებელს

შენ მასწავლებელი ხარ და იგებ, რომ შენს კლასში ახალი მოსწავლე გადმოდის, მას, პირობითად, თომა ჰქვია, აუტისტური სპექტრის აშლილობა და ძალიან ჭკვიანი თვალები აქვს. პირველი რეაქცია შიშია, პრობლემის არცოდნით თუ პრაქტიკის არქონით გამოწვეული შიში. სხვადასხვა ტრენინგსა თუ სემინარზე ინკლუზიური განათლების შესახებ ბევრი გსმენია და წაგიკითხავს, მაგრამ ათასგვარი თეორია სხვაა და მისი პრაქტიკული განხორციელება – სხვა. მესმის, ოდნავ დაბნეული და შეშინებული ხარ, გინდა არაფერი გააფუჭო, არც ბავშვს და არც სასწავლო პროცესს არაფერი დაუშავო.

პირველი, რითაც უნდა დაიწყო, სწორედ ამ შიშისგან გათავისუფლებაა. პასუხისმგებლობის გრძნობით გამოწვეული შეცბუნება თავისთავად ცუდი არ არის, ოღონდ მაინც საჭიროა მისი მოშორება. იცოდე, შენ გაქვს იარაღი, რომელიც სხვადასხვა მიდგომასა და  აქტივობასთან ერთად, შესანიშნავ შედეგს მოგიტანს. ეს იარაღი – სიყვარულია.

მე კი, ჩემი მხრიდან, შემიძლია, რამდენიმე რჩევა გაგიზიარო, როგორც დედამ და როგორც მასწავლებელმა.

1. ნუ ეცდები, ყველაფერი ერთ დღეში მოგვარდეს. ერთ დღეში შემოგხედოს თვალებში, თქვას შენი სახელი, შეასრულოს შენი მითითებები. იცოდე, რომ ყველა ბავშვს და განსაკუთრებით თომას უჭირს უცხო გარემოში, უცხო ადამიანებთან ადაპტირება. ამიტომ მიეცი უფლება, ცოტა ხანს თავისთვის იყოს, მერხის ქვეშ დაიმალოს ან სულაც, ფანჯრის რაფასთან მიიტანოს საახატავი ფურცელი და იქ დაიწყოს ხატვა. აცალე და დაელოდე!
2. გაკვეთილის ახსნისას მაქსიმალურად გამოიყენე ვიზუალური მასალა. საესურველია, მასალა გულდასმით შეარჩიო. მარტივი სურათები და გამოსახულებები ძალიან დაეხმარება, გაიგოს ის, რის ახსნასაც ცდილობ;
3. ნუ გამოიყენებ იდიომებს, გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამ სიტყვებს, მეტაფორებს – თომას ამ ყველაფრის გაგება გაუჭირდება;
4. დავალების ინსტრუქცია დაყავი რამდენიმე მარტივ მითითებად და ისე მიეცი, აკონტროლე მითითებათა მიმდევრობა, რადგან რომელიმეს ამოვარდნისას მოსწავლე შეიძლება დაიბნეს;

5. ილაპარაკე რაც შეიძლება გასაგები წინადადებებით;
6. არ დაარღვიო გაკვეთილის სტრუქტურა, თომას სისტემა და რუტინა უყვარს. უხარია, როცა იცის, რას უნდა ელოდეს შენი გაკვეთილისგან;
7. არ გამოიყენო სარკაზმი, ხუმრობითაც კი. მაგალითად, თუ ცუდად შესრულებული დავალებისთვის ეტყვი – ყოჩაღ, როგორ მოახერხე? ის ამას პირდაპირ გაიგებს და გაუკვირდება, რატომ აქებ, თუ მისი დავალება ცუდია;
8. თუ შეამჩნიე, რომ სკამზე ვეღარ ზის, ცქმუტავს, მოძრაობს, დაასაქმე – დაფის გაწმენდა, რვეულების აკრეფა ან რამე ასეთი, მარტივი საქმე დაავალე;
9. ჩართე ტექნოლოგიები – თომას ძალიან უყვარს ახალი ტექნოლოგიები, გამოიყენე სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამა თუ თამაში წერა-კითხვის ან მათემატიკის სწავლებისას;
10. ეცადე, საკლასო ოთახის კედლები არ გადატვირთო ფერად-ფერადი ფოტოებითა და აპლიკაციებით. მესმის, რომ მოსწავლეების შემოქმედება ყველას გინდა ანახო, მაგრამ მგონია, რომ ყურადღება მხოლოდ თომას არ გაეფანტება;
11. დაიხმარე კლასი, მაგალითად, როდესაც რაიმე საკითხს ხსნი და ხვდები, რომ თომამ ვერ გაიგო, იმავეს ახსნა შენს რომელიმე მოსწავლეს სთხოვე და ასე იქამდე, სანამ მარტივად გასაგებ დეფინიციას არ მიიღებ;
12. გამეორება და კიდევ ერთხელ, გამეორება – არ დაიზარო, გაიმეორო ახალი თემა თუ ძველი საკითხები;
13. თუ თომას რაღაც ჰკითხე და მან ყურადღება არ მოგაქცია, ფრთხილად შეეხე მხარზე და ისე მოახედე, ოღონდ ფრთხილად და სიყვარულით;
14. ეცადე ყოველთვის ჩართო ჯგუფურ აქტივობებში, გაუხსენი მას კარი სხვა მოსწავლეების გულებისკენ;
15. არასდროს აღნიშნო ხმამაღლა, რომ ის სხვანაირია, რამეს ვერ აკეთებს და, მით უმეტეს, არასდროს თქვა, რომ ის „ცოდოა“;
16. აუცილებლად დაეკონტაქტე თომას მშობელს და პირად ფსიქოლოგს. ისინი გასწავლიან, როგორ მართო სიტუაცია კრიზისის დროს, რა ამშვიდებს თომას, როგორ მიაღწიო იმას, რომ მოგისმინოს და დაგიჯეროს. თუ თქვენს სკოლაში არის ფსიქოლოგი, მისი რჩევაც წაგადგება;
17. შეძლებისდაგვარად სხვადასხვაგვარი, მრავალფეროვანი რესურსები გამოიყენე.
18. ყველაზე მთავარი – დამშვიდდი, იყავი ბუნებრივი და შეიყვარე! შედეგით აუცილებლად იამაყებ.

ძალიან ბევრი ბავშვი ვიცი ამ თუ სხვა დიაგნოზით, რომლებიც ახლა წარმატებული, რეალიზებული ადამიანები არიან. ეს კი პირველ რიგში, იმის დამსახურებაა, რომ დაწყებით კლასებში მათ შენნაირი მასწავლებლები შეხვდნენ.

# შთაბეჭდილებათა განუზომელი ძალა

ჩემს ბიჭზე უკვე მომიყოლია, არა? კომუნიკაციის პრობლემები, მეტყველების დაგვიანება — დღეს ესენი ჩვენთვის თითქმის უკვე გადალახული დაბრკოლებებია, ამიტომაც უკვე თავისუფლად, შიშის გარეშე შემიძლია ამ ყველაფერზე თქვენთან საუბარი.

ერთ რამეს მივხვდი: ის სხვა ბავშვებისგან ბევრი არაფრით განსხვავდება, შესაბამისად, მეთოდები, რომლებითაც მის სოციალურ ცხოვრებაში ჩართვას ვახერხებ, თავისი, საინტერესო სამყაროს სარკმლიდან ჩემკენ გამოხედვას ვაიძულებ, უფრო სწორად, ვანდომებ, ნებისმიერი ბავშვისთვის სასარგებლო იქნება. რასაკვირველია, არ ვლაპარაკობ სპეციალურ თერაპიაზე, რომელსაც ის სხვადასხვა დაწესებულებაში გადის — ჩემს როგორც მშობლისა და მასწავლებლის მეთოდებს ვგულისხმობ, რომლებითაც სხვადასხვა ხასიათის, მიდრეკილებისა და ინტერესის მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართვაა შესაძლებელი.

მაინც რა არის ეს ჯადოსნური ჯოხი? არც მეტი, არც ნაკლები, მარტივზე მარტივი და რთულზე რთული — შთაბეჭდილება!

ეს საუკეთესო რამაა, რომ ბავშვი აალაპარაკო. რასაკვირველია, ყოველდღე ფეიერვერკების მოწყობა არ გამოდის, მეც და ჩემს შვილსაც რთული გრაფიკი გვაქვს: მე — სამსახური და ათასგვარი მოვალეობა, მას — ბაღი, მეტყველების თერაპია, — მაგრამ კვირაში ორი მაინც ჩვენია და სწორედ მაშინ ვცდილობ, მისი შთაბეჭდილება რაც შეიძლება მრავალფეროვანი გავხადო. სეირნობა, ახალი ადგილების ნახვა, გამოფენები, კინო, თეატრი, მუსიკა, თამაში, საყვარელი ადამიანების ღიმილი — ასეთი დღის ბოლოს ის ცდილობს, ყველაფერი მომიყვეს, ახალი სიტყვები გამოიყენოს, რაც მთავარია, ძალიან კმაყოფილი და ბედნიერია.

მე თუ მკითხავთ, შთაბეჭდილება გაკვეთილზეც ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ ნუ დაზოგავთ ფანტაზიას. მე კი ჩემს რამდენიმე გაკვეთილზე მოგიყვებით.

### 1. დედამიწა კოსმოსიდან

ალბათ გაგიკვირდებათ, რომ ეს გაკვეთილი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის" გამოძახილი იყო. მას შემდეგ, რაც იმ გარემოზე ვისაუბრეთ, ვნახეთ, დავათვალიერეთ და დავხატეთ, სადაც მწერალი გაიზარდა, გადავწყვიტე, სხვადასხვა კულტურულ თუ გეოგრაფიულ არეალში გვემოგზაურა.

დედამიწაზე ვეღარ დავეტიეთ და მარსზეც ავედით, ცნობილი ფანტასტის, რეი ბრედბერის „მარსის ქრონიკებიდან“ ერთი ეპიზოდი წავიკითხეთ, სადაც ადამიანები მარსზე მკვიდრდებიან. სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა NASA-ს საოცარი აღმოჩენები და ასე, გაკვეთილიც შეიკრა.

რაც შეეხება შთაბეჭდილებას, გაკვეთილი დაიწყო ასე – შუქი ჩავაქრეთ და დიდ ეკრანზე მარსზე გადაღებულ კადრებს ვუყურეთ. მერე მოთხრობა წავიკითხეთ, ვისაუბრეთ, სხვადასხვა ტიპის დასახლებათა ფოტოები და ვიდეოკადრები ვნახეთ, ნაწყვეტიც წავიკითხეთ ეგზიუპერის „ადამიანთა მიწიდან“ და ბოლოს ჩაბნელებულ კლასში კიდევ ერთი ვიდეო გავუშვით – ეს კოსმოსიდან დანახული დედამიწის კადრები იყო.

დიდხანს იხსენებდნენ ამ გაკვეთილს – როგორ ჩამობნელდა უცბად ოთახში და ეკრანიდან როგორ ამცნო დიქტორმა, რომ მარსზე წყალი აღმოაჩინეს.

**2. თოვლი, თოვლი, ცხოვრება მშვენიერია...**

ეს რამდენიმე დღეა, ჩვენ გარშემო თოვლია. თოვლია ყველგან – ქუჩაში, ტელევიზორში, ჩვენს ფეისბუქსტატუსებში, ლექსებში, რომლებიც გვახსენდება, ჩვენს სიზმრებშიც კი. ჩემი პატარა ბიჭი ხან თოვლში საკუთარ ნაფეხურებს აკვირდება, ხანაც იდუმალი გამომეტყველებით მეკითხება: „დე, თოვლის დედოფალი მოვა?“

მოკლედ, თოვლი ძალიან დიდი შთაბეჭდილებაა, ჰოდა, მეც ერთ გაკვეთილზე მოგიყვებით, რომელიც მეორეკლასელებთან ჩავატარე. რაღა თქმა უნდა, მაშინაც ზამთარი იყო, იანვარი, მაგრამ უთოვლო. გაკვეთილზე მოსულ პატარებს ოთახში უამრავი ბამბის ქულა დახვდათ, ხოლო მასწავლებლის მაგიდაზე ვარდებიანი ქოთანი იდგა. ალბათ მიხვდით, რომ კაისა და გერდას ჯადოსნური მოგზაურობის გამეორებას ვაპირებდით. წავიკითხეთ ეს საოცარი ზღაპარი, კლასის ერთი ბოლოდან მეორეში დიდი და საინტერესო მოგზაურობა მოვაწყვეთ, ბამბის ქულებით ვიგუნდავეთ, ქაღალდის ფიფქები გამოვჭერით და ვივალდის „წელიწადის დროებსაც“ მოვუსმინეთ. ვისაუბრეთ წელიწადის დროებს შორის განსხვავებებზე, ვნახეთ ულამაზესი ვიდეოკადრები, ფანჯრის რაფაზე ნამცეცები დავყარეთ და გაყინული ბეღურები დავაპურეთ და ბოლოს ერთად გავიხარეთ, რომ მეგობრობამ ისევ გაიმარჯვა და დიდი ზარ-ზეიმით საკლასო ოთახის ერთი ბოლოდან თავის მერხზე დავაბრუნეთ კაი – ერთ-ერთი მოსწავლე.

გაკვეთილს, ისევე როგორც ზღაპარს, კეთილი ბოლო უნდა ჰქონდეს, ამისთვის კი აუცილებლად, აუცილებლად მოიშველიეთ ფანტაზია, რათა შთაბეჭდილებამ საჭირო ინფორმაცია აღბეჭდოს თქვენი მოსწავლეების გონებაში.

# მუსიკა, როგორც კონტაქტი

გიოს, ჩემს პატარა შვილს, სოციალური ურთიერთობების, კომუნიკაციის პრობლემა აქვს, თავისთვის თამაში, კითხვა ურჩევნია, მარტო ყოფნა უყვარს.

სხვადასხვა, ძალიან შედეგიანი თერაპიის გარდა, სახლშიც, შეძლებისდაგვარად ვცდილობ, მოვიფიქრო ათასგვარი საშუალება, აქტივობა, თამაში იმისთვის, რომ უფრო სოციალური და გახსნილი გახდეს, თანატოლებთან ურთიერთობა მოეწონოს.

სიმღერა ორივეს ძალიან გვიყვარს, მას აბსოლუტური სმენა და ძალიან ლამაზი ხმა აქვს, რისი საშუალებითაც, უკვე ორ ხმაში სიმღერასაც ვახერხებთ და ხალხურ თუ ცნობილ საბავშვო სიმღერებს ვსწავლობთ. ბოლო ერთი თვეა სიმღერა, მუსიკალური ურთიერთობა ჩვენს რეგულარულ, საოჯახო თერაპიად ვაქციეთ. ყოველ საღამოს, როდესაც ის ბაღიდან ბრუნდება და მე სამსახურიდან, ვახშმის მერე ვსხდებით და დიდხანს ვმღერით. ჯერ მელოდიას და სიტყვებს ვსწავლობთ, მერე ვცდილობთ ეს ჩვენი სიმღერა დიალოგად ვაქციოთ, ბოლოს ხმებში ვანაწილებთ და ისე ვღიღინებთ. გიორგის შემთხვევაში მისი კარგი მუსიკალური სმენა მეხმარება რთული სიმღერები ვისწავლოთ და ვიმღეროთ, თუმცა, ამგვარი კონტაქტისთვის, მერწმუნეთ, სიზუსტე და განსაკუთრებული მუსიკალური განათლება სულაც არაა საჭირო.

ზოგჯერ მარტივ ინსტრუმენტებსაც ვიყენებთ ხოლმე, მაგალითად, საბავშვო დრამს, ქსილოფონს, ელექტრონულ პიანინოს, ვეჩვევით, როგორ დაველოდოთ ერთმანეთს, როგორ მივყვეთ მელოდიას, როგორ შევახამოთ ხმები და განწყობები. ცოტა ხანში, ნოტების სწავლასაც ვაპირებთ, ჩემი ბავშვობის ფორტეპიანოსაც შევბედავთ. ეს ჩვენთვის ერთგვარი კომუნიკაციური თერაპიაცაა და საყვარელი გართობაც. ხოლო, რა დიდი სიამოვნებაა ეს ურთიერთობა, ამას აღარ მოგიყვებით, აუცილებლად თავად უნდა სცადოთ.

ჩვენი აქტიური მუსიკალური „პრაქტიკის“ შემდეგ, რომელმაც საუკეთესო შედეგი გამოიღო, თეორიის ძებნაც დავიწყე და აღმოვაჩინე, რომ ჩემი და გიორგის მუსიკალური თამაში მსოფლიოში ცნობილი და კარგად ნაცადი თერაპია ყოფილა, რომელსაც აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის სირთულეების აღმოსაფხვრელად, დაწყებული მარტივი კომუნიკაციური პრობლემებით, აუტიზმის ურთულესი ფორმებით დასრულებული.

აი, ასეთი თერაპიის ერთ-ერთი მაგალითი:

მუსიკალური თერაპია საგრძნობლად ცვლის სოციალურ, კოგნიტიურ და ემოციურ უნარებს. განწყობა, მეხსიერება, ქცევა, ყურადღება უმჯობესდება, ბავშვი ბედნიერი და მხიარულია და როგორც კვლევები და პრაქტიკა აჩვენებს, გაცილებით მობილიზებულიც.

მიუხედავად იმისა, განსაკუთრებული საჭიროების ბავშვი გყავთ კლასში თუ, უბრალოდ, მორცხვი მოსწავლე, მუსიკალურ თამაშებს თუ ჩართავთ თქვენი გართობის და სწავლების პროცესში, ის გაცილებით შედეგიანი იქნება, რადგან ბავშვები ასეთი აქტივობების დროს გაცილებით მოტივირებულები არიან.

ყოველდღიურად ჩვენს საკლასო ოთახში სრულიად განსხვავებულ ბავშვებთან გვიწევს ურთიერთობა. მათ შორის, ერთი მეტისმეტად აქტიურია, მეორე – ძალიან მორცხვი, პასუხს ან საერთოდ არ გცემთ ან ძალიან ჩუმად, ძლივს გასაგონად ლაპარაკობს, მესამეს საკუთარი სხეულის მართვა და სკამზე დიდხანს ჯდომა უჭირს, მეოთხე – სკამზე ქანაობს, მეხუთეს ძალიან კონკრეტული ინტერესები აქვს და.შ. სიტუაციის მიუხედავად, რა საგანს, საკითხს, მეთოდს თუ გეგმას ეხება თქვენი გაკვეთილი, ნებისმიერი სასწავლო აქტივობის პროცესში მუსიკა შეგვიძლია ძალიან კარგად გამოვიყენოთ.

მუსიკა, როგორც კონტაქტი, სასწავლო აქტივობის ფონი, სტრესის მოხსნის საშუალება, ფიზიკური აქტივობის თანმხლები, ახალი ინფორმაციის გაგების საშუალება, მისი გამოყენება მრავალგვარად შეგიძლიათ.

ბავშვებს გაკვეთილზე ჯდომა და მოსმენა უჭირთ? ჩართეთ რამე რიტმული და იცეკვეთ მათთან ერთად, ერთმანეთს ვერ უგებენ და კონტაქტის პრობლემა აქვთ? – აბა, ქართული პოლიფონია გამოიყენეთ, ჯერ ერთმანეთის ხმას დაუგდებენ ყურს, მერე კი სხვის აზრებსაც მოისმენენ. მოსწავლეების ყურადღების მობილიზება გიჭირთ? – ამისთვისაც გამოიყენეთ რომელიმე სასიამოვნო მუსიკალური სიგნალი. იმაზე აღარ ვსაუბრობ, როგორი კარგი საშუალებაა უცხო ენის სწავლებისათვის უცხოენოვანი სიმღერები.

შეგიძლიათ, თქვენი გაკვეთილის პროცესში ინსტრუმენტები ჩართოთ, ან ტაში, თუნდაც მერხზე ხელით ან კალმით დაკაკუნება იყოს თქვენი ინსტრუმენტი, ააწყვეთ რომელიმე მხიარული მელოდია, შეისწავლეთ თქვენ გარშემო არსებული ხმები, გადააქციეთ კლასი დასარტყამი ინსტრუმენტების ორკესტრად, იცინეთ და იმხიარულეთ ერთად. დამიჯერეთ, ასეთ აქტივობაში ყველაზე მორცხვი და ჩაკეტილი მოსწავლეც ჩაერთვება.

მუსიკა, პირველ რიგში ურთიერთობაა, გამოიყენეთ იგი.

# სკოლაში წასვლა

მოვიდა სექტემბერიც. სოციალური ქსელი გამოპრანჭული, ბედნიერი, გახამებულსამოსიანი ბავშვების ფოტოებით, მათი მშობლების აღტაცებული კომენტარებით, მოსაზრებებითა და შთაბეჭდილებებით გაივსო.

– ჩემს გოგოს დღეს სკოლის პირველი დღე აქვს, წარმატებას გისურვებ, დედიკო!

– ახალი დღე, ახალი სკოლა, ახალი ურთიერთობები, ჩემს ბიჭზე უფრო მე ვნერვიულობ!

– ჩვენი მასწავლებელი თბილი და კარგი გოგონა ჩანს, იმედია, ეს შთაბეჭდილება არ გაგვინელდება...

და ა.შ. და ა.შ.

ახალი ცხოვრება, ახალი ურთიერთობები, ახალი გამოწვევები და იმედგაცრუებები, ახალი შიშები. განსაკუთრებით შიშებზე მინდა გელაპარაკოთ.

წელს სკოლაში ის ბავშვიც წავა, ვისაც ძალიან გაუჭირდება გაკვეთილზე მშვიდად ჯდომა და იქნებ საკლასო ოთახში სეირნობამ დაამშვიდოს.

ის ბავშვიც წავა, ვისაც კომუნიკაცია განსაკუთრებით უჭირს, თანდათანობითი, ყოველდღიური შეგუება სჭირდება.

ისიც წავა, ვისაც ცუდად ესმის ან დაფის დანახვა უჭირს.

ისიც, ვინც ეტლით მოძრაობს და ადაპტირების გარეშე საკლასო ოთახში შესვლა გაუჭირდება.

ისიც წავა, ვისაც უცხო ადამიანების განსაკუთრებული შიში აქვს.

ისიც, ვისაც გადატანილი სტრესის გამო კალმის ხელში დაკავებისას თითები უკანკალებს.

ისიც, ვისაც მხოლოდ კალმის ბოლოს ღეჭვა ამშვიდებს.

ისიც, ვისთვისაც აკრძალვები თუ უარი ცოტა რთული გასაგებია.

ისიც, ვინც თანდათან უნდა შეეჩვიოს სისტემურობას, დავალებებს, გაკვეთილებს.

ისიც წავა, ვინც ნებისმიერი ხმაურისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა.

ისიც, ვისაც შეხებების ეშინია.

ისიც, ვინც შეიძლება სრულიად უადგილო წამოძახილით დაიმშვიდოს თავი.

ისიც, ვინც არ არის მიჩვეული მითითებების შესრულებას.

ისიც, ვინც განსაკუთრებულად ცელქია ან პირიქით, მეტისმეტად მორცხვი და გაუბედავი.

ისიც, ვისაც გაკვეთილზე ეძინება, ძალიან, ძალიან უჭირს ამდენი ხნის განმავლობაში არ ჩასთვლიმოს.

წელს სკოლაში სპეციალური საჭიროების მქონე ბევრი ბავშვი წავა, ინტეგრირებული კლასი, რესურსოთახი, სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი — ამ ყველაფერზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ მშობლები, რომელთაც ხშირად თავიანთი შვილების გვერდით, კლასში ჯდომა ან საკლასო ოთახებთან ატუზვა უწევთ.

ყოველი ახალი სექტემბერი ახალი გამოწვევაა ჩვენი საზოგადოებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის — იქნებ წელს უკეთ მოვახერხოთ ბავშვების ინტეგრირება, იქნებ წელს უფრო მეტი ვიცოდეთ, იქნებ წელს უფრო მეტი ვიშრომოთ და უფრო მეტად შევიყვაროთ?

თუ შენ მასწავლებელი ხარ, ეცადე, ბავშვების წინაშე არ შეარცხვინო, უკმეხად არ მიმართო, შეურაცხყოფა არ მიაყენო, მაქსიმალურად ჩართო კლასის მუშაობაში, იცოდე, რომ ის სხვებისგან არაფრით განსხვავდება, იქნებ თანაკლასელებზე მეტიც იცოდეს.

თუ შენ მოსწავლე ხარ, იცოდე, რომ მის გვერდით ყოფნა, მისი დახმარება შენი მოვალეობაა, მასთან ურთიერთობა კი ძალიან, ძალიან საინტერესო თავგადასავალი.

თუ შენ მშობელი ხარ, აუცილებლად უთხარი მასწავლებელს, რომ მშობელთა კრებაზე, ხმამაღლა და ყველას გასაგონად არაეთიკურია ვინმეს დიაგნოზის, ქცევის თავისებურების განხილვა. იცოდე, რომ ვიღაცების გამორჩევა, ვიღაცებისთვის თავის არიდება და დისტანცირება არაფერს კარგს არ მოუტანს შენს შვილს. მან ყველანაირ ადამიანთან ურთიერთობა, ყველას სიყვარული უნდა ისწავლოს.

თუ შენ სკოლის ადმინისტრაცია ხარ, აუცილებლად მოაწყვე შენს სკოლაში რესურსოთახი, დაასაქმე გამოცდილი, განათლებული, ემპათიური პედაგოგი თუ ფსიქოლოგი, არავითარ შემთხვევაში არ განარჩიო ერთი მოსწავლე მეორისგან.

თუ შენ განათლების სამინისტრო ხარ, დაგეგმე და განახორციელე უფრო მეტი პროექტი ინკლუზიური განათლების გასაუმჯობესებლად, ასწავლე უფრო მეტ პედაგოგს, აღჭურვე უფრო მეტი სკოლა, მოამზადე და დაასაქმე უფრო მეტი პროფესიონალი.

თუ შენ ქვეყანა ხარ, ასწავლე და შეიყვარე შენი ყველაზე საუკეთესო ნაწილი.

წარმატებას გისურვებ!

# როცა ლიტერატურა ნამდვილად გვეხმარება

ამას წინათ, ერთმა თანამედროვე ავტორმა პიესა დაწერა, მერე ის პიესა თეატრშიც დაიდგა და სპექტაკლზეც უამრავი ადამიანი მივიდა. მერე, რაო? იკითხავთ თქვენ. რა და, ამ პიესისა და სპექტაკლის გამო, ადამიანების ნაწილმა გვარიანად ინერვიულა. მეც მათ რიგში ვიყავი, იმიტომ, რომ არცთუ ეთიკურად ეს პიესა ჩვენს შვილებს ეხებოდა და გარკვეული სტერეოტიპების გავრცელებას, სტიგმის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.

მერე იმ ავტორმა, მშობლების თხოვნით, პიესის სათაური შეცვალა, თუმცა, შინაარსი, რასაკვირველია, იგივე დარჩა. სწორედ ამ ფაქტის მერე, გადავწყვიტე მომეძებნა საბავშვო მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ამ პრობლემას უფრო კარგად, ეთიკურად, საინტერესოდ ასახავს, რამდენიმე ვიპოვე კიდეც, თუმცა, უნდა ვთქვა, რომ მთავარი წიგნები ჯერ კიდევ დასაწერია.

აუტისტური სპექტრის აშლილობაზე მოგახსენებთ, რომლის ყველა შემთხვევა ერთმანეთისგან ისეთი განსხვავებულია, რომ ლიტერატურული პერსონაჟები და ტიპაჟები ნაწარმოებისათვის, რომელიც ამ პრობლემას შეეხება, უამრავი და სულ სხვადასხვაგვარი იქნება.

ასეთი წიგნის დაწერისას, ყველაზე პირველი და მთავარი, რაც ავტორმა უნდა გაითვალისწინოს, ისაა, რომ დამატებითი სტერეოტიპის ჩამოყალიბებას არ შეუწყოს ხელი საკუთარი პერსონაჟის თვისებების ერთგვარი უტრირებით თუ არათანმიმდევრული შეფასებით. ამის მრავალი მაგალითი აქვს კინოს, მაგალითად, ბარი ლევინსონის ძალიან პოპულარული და საკულტო ფილმი – „წვიმის კაცი“, გარკვეულწილად, არასწორად ასახავს პრობლემას, რომელსაც ეხება.

თუკი აუტისტური სპექტრისათვის დამახასიათებელ თვისებებს გავიხსენებთ, შესაძლოა ბევრი, ჩვენთვის საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟიც ამოვიცნოთ და გაგვახსენდეს. მაგალითად, რატომ არ შეიძლება, ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ იმ ბიჭის ამბავი იყოს, რომელიც თანდათანობით ცდილობს თავისი ჩაკეტილი სამყაროდან გარეთ გამოვიდეს და სამყაროთი დაინტერესდეს. ან კიდევ, ერთი პატარა გოგონა მახსენდება თეა

თოფურიას „გასაღვიძებელი ზღაპრებიდან“, გოგონა, რომელმაც არ იცოდა, რომ დაიბადა და ამიტომაც არ ლაპარაკობდა. შემდეგ, როგორც იქნა, მიხვდა და ლაპარაკიც დაიწყო. ბევრი ასეთი პერსონაჟი მახსენდება, თუმცა ამაზე მერე, ახლა მინდა, რამდენიმე წიგნზე მოგითხროთ, რომელიც აუტიზმის თემას ეხება და ცდილობს საინტერესო, მხატვრული თხრობის საშუალებით ადამიანებისთვის გასაგები გახადოს ეს პრობლემა, შესაბამისად, გაგების, ურთიერთობის, ემპათიის პროცესი გაამარტივოს.

ცნობილი ბრიტანელი პოეტისა და მწერლის, მარკ ჰადონის წიგნმა „The Curious Incident of the Dog in the Night-Time” მრავალი ლიტერატურული პრემია დაიმსახურა და ავტორს აღიარება და მკითხველთა დიდი სიყვარული მოუტანა. წიგნის პერსონაჟს, ქრისტოფერ ბუნს, 15 წლის მოზარდს, აუტიზმი აქვს, მას ურთულესი მათემატიკური ამოცანების ამოხსნა შეუძლია, თუმცა, ადამიანების ამოცნობა ძალიან უჭირს. ჰოდა, ერთ დღესაც ქრისტოფერი გადაწყვეტს მეზობლის ძაღლის მკვლელობის ამბავი გამოიძიოს, გამოძიების ეს საინტერესო პროცესი მთელ მის ცხოვრებას ცვლის...

ამერიკელი მწერლის, ჯოდი პიკოლტის წიგნის „უკანასკნელი წესის“ პერსონაჟიც, ასპერგერის სინდრომის მქონე ბიჭუნა, ჯეიკობიც გამოძიებით, სასამართლო ექსპერტიზით არის დაინტერესებული, იგი ყოველთვის ცდილობს დროულად აღმოჩნდეს დანაშაულის ადგილას და პოლიციელებს დამნაშავის პოვნაში ეხმარება, თანაც ისე, რომ მისი ვარაუდები ყოველთვის მართლდება-ხოლმე.

ძალიან საინტერესო, თბილ და გულშიჩამწვდომ ამბავს გვიამბობს ცნობილი ამერიკელი მწერალი, სინტია ლორდი თავის შესანიშნავ წიგნში „წესები“. ეს არის და-ძმის მეგობრობისა და თანაგრძნობის ამაღელვებელი ამბავი. როგორ უნდა მოიქცე, როდესაც აუტიზმის მქონე ძმა გყავს? რასაკვირველია, ზღაპრისეული ელიზას მსგავსად ძმის დახმარება უნდა სცადო, თუნდაც, მისი საქციელი ცუდ მდგომარეობაში გაგდებდეს, თუნდაც შენი, საკუთარი – 12 წლის მოზარდის პრობლემებთან გამკლავებაც გიჭირდეს. ჰოდა, გოგონა თამაშს იგონებს – წესებიან და ნახატებიან თამაშს, რომლითაც ძმასაც უადვილებს კონტაქტს და პირველ რიგში, საკუთარ თავს – ძმასთან ურთიერთობას. „წესები“ ამერიკელი მწერლის სადებიუტო წიგნია, რომელმაც უამრავი ლიტერატურული პრემია დაიმსახურა.

და-ძმის სიყვარულს ეხება ამერიკელი მწერლის, ბეტსი ბაიერსის ძალიან ცნობილი წიგნი „გედების ტბა“, სადაც, ძმის პრობლემა ასევე უფროსი დის

თვალითაა დანახული. ეს წიგნიც ამერიკული საბავშვო ლიტერატურისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიზით – ნიუბერის მედლით დაჯილდოვდა.

სამწუხაროდ, ყველა ეს წიგნი ქართულად ჯერ არ არის ნათარგმნი, თუმცა საგამომცემლო სფეროს დაინტერესება ამ თემატიკის ნაწარმოებებით თვალსაჩინოა, სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება აუტიზმის თემატიკასთან დაკავშირებული ქართულ ენაზე ნათარგმნი წიგნების თარო, იმედია, ქართული გამომცემლობები საბავშვო წიგნებსაც თარგმნიან, ხოლო ქართველი საბავშვო ავტორები – ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან, რაც მთავარია, კორექტულ და პრობლემაზე ორიენტირებულ წიგნებს დაწერენ.

# მეგობრები და წიგნები

მეგობრები არ ითვლიან ჭორფლებს – ღაწვებზე, ნაოჭებს – თვალების ქვემოთ, ჭაღარას თმაში.

მეგობრები არ ითვლიან ბიჭებს, რომლებთანაც არ გაგიმართლა, ბიჭებს, რომლებთანაც გაგიმართლა.

მეგობრები არ ითვლიან წამებს, წუთებს, საათებს, დღეებს, რომლებიც ერთად გაატარეთ.

მეგობრები არ ითვლიან შენს ხელფასს, არც დღეებს, რომელიც ხელფასამდე დარჩა.

მეგობრები არ ითვლიან შენს მომატებულ კილოგრამებს, არც დაკლებულს ითვლიან, საერთოდ, მეგობრები არ ითვლიან კილოგრამებს.

მეგობრები არ ითვლიან შენს მესიჯებს, მიღებულ თუ გამოტოვებულ ზარებს, მიწერილ თუ დაბრუნებულ წერილებს.

მეგობრები არ ითვლიან შენს წაკითხულ წიგნებს, ნანახ ფილმებს, მოსმენილ მუსიკას. მით უმეტეს არ ითვლიან, თუ ერთად წაიკითხეთ, ერთად ნახეთ და ერთად მოისმინეთ.

მეგობრები არ ითვლიან შენს წარუმატებლობებს, შენი გამოცდის ქულებს, ვერჩაბარებულ გამოცდებს, ვერაღებულ დიპლომებს.

მეგობრები არ ითვლიან რამდენჯერ გაგიწიეს დახმარება, რამდენჯერ დაგიხსნეს გამოუვალი სიტუაციიდან, რამდენჯერ გადაგარჩინეს.

მეგობრები არ ითვლიან, რამდენჯერ მოგიდუღეს ყავა, გაგიმზადეს ჩაი, მით უმეტეს, არ ითვლიან ცხელ სასმელში ჩაყრილ შაქრის ნატეხებს.

მეგობრები არ ითვლიან შეცდომებს შენს მეტყველებაში, არც მათდამი მიწერილ ბარათებში ითვლიან გრამატიკულ შეცდომებს.

მეგობრები არ ითვლიან წიგნებს, რომლებიც გათხოვეს და არ დაუბრუნე. (არა, არა მოგატყუეთ, ამას მეგობრები ითვლიან).

და, რაც ყველაზე მთავარია, მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს.

21 მარტი – დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა. შემდეგი წლის 21 მარტამდე მთელი ერთი წელია, მაშინ ისევ გადავიღებთ ფერად-ფერად და პოზიტიურ ფოტოებს ჭრელი წინდებით.

ჩვენ ყველანი ვსაუბრობთ, რომ სოციალიზაცია, გარემოში ჩართულობა, საზოგადოებასთან ინტეგრაცია – მოკლედ, მეგობრობა უმთავრესია.

ჰოდა, ამ დღეებში, მეგობრობაზე ფიქრისას, როგორც ყოველთვის, ბავშვობასა და ბავშვობის წიგნებში დავბრუნდი.

მე მყავდა სკოლის მეგობარი, რომელიც ზედგამოჭრილი პეპი იყო, დღესაც ჩემს პატარა ბიჭს პეპის, ანიკას და ტომის საოცარ თავგადასავლებზე რომ ვუამბობ, ჩემი ბავშვობის მეგობარი, ნათია მიდგას თვალწინ.

მერე, დიდობისას, გავიცანი ნამდვილი ტისტუ, ბიჭი, რომელიც აივანზე საოცარ ყვავილებს ახარებდა და თვითონაც ყვავილივით ლამაზი სული ჰქონდა.

კიდევ ერთ მრავალშვილიან და მხიარულ ოჯახს ვიცნობდი, ძაღლიც ჰყავდათ – თითქოს ჩემი უსაყვარლესი წიგნიდან გამოსულიყვნენ.

ჰეკლბერი ფინსაც ვიცნობდი, ჩემს პარალელურ კლასში სწავლობდა და ბევრი უწმაწური სიტყვა იცოდა.

მოკლედ, ჩემი საყვარელი საბავშვო წიგნების გმირები ჩემ ირგვლივ არსებობდნენ და ქმნიდნენ ჩემს პატარა, ბავშვურ, ჯადოსნურ სამყაროს.

მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი წიგნი არ წამიკითხავს, რომლის პერსონაჟიც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი იქნებოდა, ასეთი წიგნები ჩემი სკოლის ბიბლიოთეკაში თუ სახლის თაროებზე უბრალოდ არ იყო.

არადა, როგორი მნიშვნელოვანია დღეს ასეთი მხატვრული ლიტერატურა გვქონდეს ქართულ ენაზე. ვფიქრობ, ქართველმა საბავშვო მწერლებმა ამაზე ფიქრი აუცილებლად უნდა დაიწყონ. ხოლო სანამ ისინი დაწერენ, გამომცემლობებს შესანიშნავი ნაწარმოებების თარგმნა შეუძლიათ.

მაგალითისთვის, ამას წინათ წავიკითხე ამერიკელი მწერლის ელიზა ვოლოსონის წიგნი „ჩემი მეგობარი იზაბელი“, ის ორი განუყრელი მეგობრის იზაბელისა და ჩარლის მეგობრობაზე გვიამბობს, იზაბელს დაუნის სინდრომი აქვს, თუმცა ეს არ უშლით ხელს ბავშვებს ძალიან მხიარულად და საინტერესოდ გაატარონ დრო.

მეორე ამერიკელი მწერლის, ელიზაბეტ სტიუვ-ბოდინის წიგნი „მოდი, დავხატოთ წითელი რვაფეხა“ პატარა გოგონას ამბავს მოგვითხრობს, რომელსაც დაუნის სინდრომის მქონე ძმა გაუჩნდა. როგორ ელოდებიან ოჯახში პატარას, რა მზადება და ფაციფუცია, როგორ უყვარს თავისი პატარა ძმა და როგორი ბედნიერებაა, როდესაც ოჯახის წევრები ერთმანეთს უფრთხილდებიან – ნამდვილი საოჯახო საკითხავია.

როდესაც ნებისმიერი ადამიანი თქვენი საყვარელი წიგნის პერსონაჟი ხდება, როდესაც ლიტერატურა გიადვილებს მის ხასიათს, თავისებურებებს,

პრობლემებს ჩასწვდე, ურთიერთობაც და მეგობრობაც გაცილებით იოლი ხდება.

შენ უბრალოდ წინასწარ იცი, რომ ჰეკ ფინს გახამებული პერანგი არ უნდა აჩუქო დაბადების დღეზე, ხოლო ტომ სოიერს არაფრით არ მოეწონება თუნდაც ყველაზე ლამაზი ვიოლინო საჩუქრად. პეპის – ფუშფუშა კაბას არ მიუტან, ხოლო ანიკას – შურდულს.

ამ ყველაფერს გასწავლიან მხიარული, საინტერესო და ინფორმაციული წიგნები, რომელიც ძალიან, ძალიან სჭირდება პატარა მკითხველს.

თუ კარგად დაძებნით, ასეთ წიგნს ბევრს იპოვით, სამწუხაროდ, ქართულად ჯერ არა, მაგრამ იმედია, თანდათან ჩვენთანაც შეიძენს საბავშვო ლიტერატურა კიდევ ერთ, მნიშვნელოვან ფუნქციას, დაწეროს საზოგადოების პრობლემებზე, სტიგმებსა თუ კლიშეებზე, ინკლუზიასა და თანასწორობაზე, რადგანაც საბავშვო ლიტერატურა მრავალი რთული საკითხის ადრევე, მარტივად და სიყვარულით გადაწყვეტის შესანიშნავი საშუალებაა.

# ყვავილები ჩემთვის, შენთვის, ელჯერნონისთვის

ჩემი აზრით, განსაკუთრებით ჭკვიანი არასოდეს ვყოფილვარ. საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც მიჭირდა, ყოველთვის მრავლად იყო, მაგრამ, სულო ცოდვილო, მეც ხშირად მითქვამს ან მიფიქრია ვინმეზე სკოლაში, უნივერსიტეტში თუ სხვაგან: აუ, საერთოდ ვერაფერს ხვდება, მგონი, ცოტა მოუსუსტებს–მეთქი (ჟარგონზე ეს სხვაგვარად ჟღერს).

ამას წინათ განსაკუთრებით ვინანე ასე ფიქრი და მივხვდი, რომ ყველაზე, ყველაზე დიდი შეცდომა შესაძლებლობების მიხედვით ადამიანების დაყოფაა, გონებრივი შესაძლებლობები იქნება ეს, ფიზიკური თუ სხვა სახის. იმიტომ რომ ეს დაყოფა უაღრესად პირობითი და სრულიად არაფრისმომცემია.

ერთი კვირის წინ მე და გიოს, ჩემს 4 წლის ბიჭუნას, საშინელი ვირუსი გვეტაკა. ჰო, ჰო, შემთხვევით არ გამომიყენებია ეს ზმნა – გვეტაკა. სიცხე, ხველება, სურდო, სისუსტე – ამ ყველაფერს კიდევ აიტანდი, მაგრამ ფიზიკური სისუსტე და მოქმედებისა თუ ანალიზის უნარის დასუსტება – აი, ეს იყო ყველაზე რთული.

ექიმმა გიორგის რაღაც ანტიბიოტიკი დაუნიშნა, წყალში უნდა გაგეზავებინა და სუსპენზია მოგემზადებინა. რამდენჯერმე წავიკითხე ინსტრუქცია, დოზები, ისა, ესა, ბოლოს გავაზავე და მივხვდი, რომ შემეშალა – წყალი უფრო მეტი მომივიდა, ვიდრე საჭირო იყო.

რაკი აფთიაქი ახალ ფლაკონს ვერ მოგვცემდა, – ურეცეპტოდ ეს წამალი არ გაიცემა, – გადავწყვიტე, როგორმე გადამერჩინა სუსპენზია და მეანგარიშა, რამდენი უნდა მიმეცა ბავშვისთვის, რომ წამლის საჭირო რაოდენობა მიეღო.

აი, აქ დაიწყო ჩემი წამება. კონსულტაციები ქმართან, მეგობართან, თვლა, წყვა, ზომვა, ანგარიში, გაყოფა... ხომ ზუსტად ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფრით ვენდე... როგორც იქნა, სხვების დახმარებით წამალი სწორად გავანაწილე, მაგრამ გვარიანად ვინერვიულე. არასდროს მქონია ასეთი უსუსურობის შეგრძნება.

თითქოს არაფერი, ხომ? მაგრამ ერთი დღე დამჭირდა ამ დაძაბულობისგან გასათავისუფლებლად.

იმავე საღამოს, როცა გიოს წამალი დავალევინე და ვავახშმე, დავჯექი და დიდხანს ვფიქრობდი იმ დღეზე, წამლის დოზებზე, ჩემს შიშსა თუ გაუბედაობაზე, რომელმაც, ფაქტობრივად, უუნაროდ მაქცია და უცებ გადავწყვიტე, რომ ამ ყველაფერზე ჩემს მაღალკლასელებს მოვუყვები, – რასაკვირველია, ლიტერატურული პარალელებით.

წიგნი კი, რომელსაც მათ გავაცნობ, დენიელ კიზის რომანი „ყვავილები ელჯერნონისთვის“ იქნება, რომლის ძალიან კარგი თარგმანი სულ ახლახან, „ფანტასტიკური ბიბლიოთეკის“ სერიით გამოსცა გამომცემლობამ „წიგნები ბათუმში“. წიგნი თინათინ ხომერიკმა თარგმნა.

„ყვავილები ელჯერნონისთვის“ პატარა ნოველად მქონდა წაკითხული ფანტასტიკური მოთხრობების ანთოლოგიაში. ის განსაკუთრებული განცდა, რაც მაშინ დამეუფლა, კიდევ უფრო სხვაგვარი შეგრძნებით გამდიდრდა მას შემდეგ, რაც ნაწარმოები რომანის ფორმით წავიკითხე.

დენიელ კიზმა თითქმის ყველა პერსონაჟი რეალური ცხოვრებიდან გადაიღო. ის ერთხანს ინგლისურ ენას ასწავლიდა სპეციალურ სკოლაში. სწორედ მისი ერთ-ერთი მოსწავლე გახდა ჩარლი გორდონის პროტოტიპი.

როდესაც ნაწარმოების პირველი, მოკლე ვერსია გამოქვეყნდა, რედაქტორმა კიზს მოსთხოვა, დასასრული შეეცვალა – ჩარლის შეენარჩუნებინა საკუთარი ინტელექტი და თავის მასწავლებელზე, მის კინიარზე დაქორწინებულიყო, მაგრამ მწერალმა ასეთ ფინალზე უარი თქვა.

წიგნის სიუჟეტს დაწვრილებით არ მოვყვები, თავად უნდა გაეცნოთ. უბრალოდ, როგორც მასწავლებელი, როგორც მშობელი და როგორც ადამიანი, გეტყვით, რატომ უნდა წავაკითხოთ ის ბავშვებს.

1. დარწმუნებული ვარ, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ერთმანეთის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს დაცინვით აღარ მოიხსენიებენ და აუცილებლად შეუყვარდებათ წიგნის მთავარი გმირი; უფრო იშვიათად გაიგონებთ კლასში სიტყვებს: „დებილო, ჭკუასუსტო“ და ა.შ.
2. მთავარი ამ წიგნში ის არის, რომ ჩარლი, წარუმატებელი ექსპერიმენტის მსხვერპლი, ყველაფრის მიუხედავად, არ ბოროტდება და წიგნის უკანასკნელ გვერდამდე საკუთარი ცხოვრების შეცვლას ცდილობს.
3. ჩარლი გორდონი, რომელმაც განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ცდილობს, საკუთარი ინტელექტის გამოყენებით მიაგნოს ექსპერიმენტის წარუმატებლობის მიზეზს, ანუ ის, რაც მიიღო, სხვების სასარგებლოდ გამოიყენოს.

4. ძალიან მნიშვნელოვანია ენობრივი პრაგმატიკის საკითხები, ენა როგორც ლიტერატურული ხერხი, ერთგვარი ენობრივი დინამიკა, რომელიც ისე აჩვენებს პერსონაჟის ცვლილებას, რომ არავითარი დამატებითი საშუალება აღარ არის საჭირო (აღსანიშნავია მთარგმნელის ოსტატობა, რომელმაც შესანიშნავად მოახერხა ამ ყველაფრის ქართულ ენაზე გადმოტანა).
5. სიყვარული. სიყვარული ნებისმიერი ადამიანისადმი – აი, ეს არის ამ ნაწარმოების დედაარსი.
6. მე როგორც მკითხველს ყველაზე მეტად იქ შემრცხვა, სადაც ჩარლიმ თანდათან გააცნობიერა მისდამი სხვების დამოკიდებულება და დაცინვას თავისი სახელი დაარქვა. შემრცხვა, ძალიან შემრცხვა...
7. თქვენი მოსწავლეები აუცილებლად მიხვდებიან, რომ არც ინტელექტი, არც განსაკუთრებული უნარები არ არის მთავარი, – მათი შეძენაც ადვილია და დაკარგვაც; მთავარია, ადამიანად დარჩე.
8. ეს წიგნი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეებში ემპათიის გასაღვიძებლად.

წიგნის პრობლემატიკა აუცილებლად მოგცემთ ძალიან საინტერესო გაკვეთილისა და დისკუსიის დაგეგმვის საშუალებას. ვფიქრობ, ღირს, უფროსკლასელებთან ამ წიგნზე საუბარი სცადოთ.

წარმატებას გისურვებთ!

აუცილებლად წაიკითხეთ და წააკითხეთ ეს შესანიშნავი ნაწარმოები თქვენს მოსწავლეებს, „ყვავილები ელჯერნონისათვის“ ისეთი წიგნია, ბევრი რამის ახნას რომ გაგიადვილებთ, ბევრი ადამიანის სათქმელს რომ გათქმევინებთ...

# სიყვარულის ახსნა

გამარჯობა, მე დიანა ვარ და მე უსინათლო ვარ, მხედველობა თანდათან სულ უფრო და უფრო დავკარგე, ახლა სკოლაში დავდივარ და ბრაილით ვკითხულობ, სამაგიეროდ, მხოლოდ მე შემიძლია შენი საყვარელი მელოდია გონებაში სულ სხვადასხვაფრად დავშალო და ავაბრჭყვიალო, სულ სხვადასხვაგვარ ბგერებად.

გამარჯობა, მე დიანა ვარ და სკოლაში სიარული ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით ასტრონომია, ჭერზე ვარსკვლავეთის რუკა გამიკრეს და ძალიან ბედნიერი ვარ.

გამარჯობა, მე დიანა ვარ და ჩემი ხერხემალი უფრო სუსტია, ვიდრე სხვა ბავშვების, წარმოიდგინე, პლასტელინისგან გამოძერწილ ფიგურას საყრდენი არ გაუკეთო, ისე დატოვო. მეც ასეთი, სუსტი ხერხემალი მაქვს.

გამარჯობა, მე დიანა ვარ და ცეკვა მიყვარს ძალიან, იცი რა არის პა? მისი საშუალებით ცეკვას თანდათან სწავლობ, ისევე როგორც ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულს.

გამარჯობა, მე დიანა ვარ და მე აუტისტი ვარ, ჰო, საკუთარ თავში, როგორც კალეიდოსკოპში უამრავ ფორმას და ფერს ვპოულობ, იშვიათად გიყურებ, მაგრამ ყოველთვის ძალიან მიხარია შენი თვალების ვარსკვლავების დაკრეფა.

გამარჯობა, მე დიანა ვარ, წერა ცოტა მიჭირს, კითხვა — არც ისე, სამაგიეროდ, სიმღერა — საერთოდ არ მიძნელდება, პირიქით.

გამარჯობა, მე დიანა ვარ და დაუნის სინდრომი მაქვს, ყველაზე ლამაზი ღიმილი მაქვს და ყველაზე ლამაზი სიყვარული შემიძლია.

გამარჯობა, მე დიანა ვარ და ლექსებს ვწერ, ძალიან მინდა ერთი მაინც წაიკითხო და მითხრა, მოგეწონა თუ არა.

გამარჯობა, მე დიანა ვარ და ჩემი ფეხები ისე სუსტია, სხეულს ვერ იმაგრებენ, ამიტომაც სულ ეტლში ვზივარ, მე სუსტი ფეხები მაქვს, მაგრამ ძალიან ღონიერი ხელები და ფრთები.

გამარჯობა, მე დიანა ვარ და შენი ხმის ტკბილი მელოდია არ მესმის, როცა დავიბადე, უკვე არაფერი მესმოდა, ჩემი ყურები დაგმანულია, მაგრამ შენი

ბაგის მოძრაობა, შენს ბაგეზე გამოსახული სიტყვები, შენი მრავალფეროვანი ჟესტიკულაცია და ანთებული თვალები ყველაზე მეტად მაბედნიერებს.

გამარჯობა, მე დიანა ვარ და ფერების ისე შეზავება შემიძლია, როგორც არავის, შენ იცოდი, რომ ორი ფერისგან მესამე მიიღება?

გამარჯობა, მე დიანა ვარ, თუმცა ვერასდროს გამოგიწვდი ხელს, იმის გამო რომ კიდურების ატროფია მაქვს, მე შემიძლია შემოგხედო და გაგიღიმო ისე, როგორც ვერავინ გაგიღიმებს.

გამარჯობა, მე დიანა ვარ და ხან ცოტას, ხან კი საერთოდ არ ვლაპარაკობ, ზოგი ამბობს, რომ დარღვევა მაქვს, ზოგი კი, რომ  უბრალოდ საუბარი არ მინდა.  მე კი, სიმართლე გითხრა? ძალიან მეშინია.

გამარჯობა, მე დიანა ვარ, მე შენ მიყვარხარ.

# ახლომხედველი ბავშვი სკოლაში

მე ახლომხედველი ვარ. მედიცინის ენაზე ჩემი დიაგნოზი მიოპიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ შორს ცუდად ვხედავ. ის, რაც ჩემი პოეზიისთვის მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა (ჩემს ბოლო პოეტურ კრებულს სწორედ „ახლოხედვის ტრაექტორია“ ჰქვია), ცხოვრებაში ძალიან დიდ დისკომფორტს მიქმნის.

მახსენდება ჩემი თავი სკოლაში, ცდა დაფაზე დაწერილი დავალების წაკითხვისა: ჯერ ოდნავ ჭუტავ თვალებს, მერე – უფრო მეტად, ბოლოს, არაფერი რომ არ გამოდის, იძულებული ხარ, შენი რვეულიანად დაფას აეკრა, რაც აუცილებლად გამოიწვევს შენი კლასელების წყრომას. სათვალე გამოსავალია, მაგრამ არ იკეთებ, რადგან იცი – დაგცინებენ, თან იმ ბიჭს არ მოსწონს სათვალიანი გოგონები...

თუმცა „ჰარი პოტერის“ ავტორის, შესანიშნავი საბავშვო მწერლის, ჯოან როულინგის წყალობით, ახლა სათვალე აღარაა დასაცინი, მეტიც – ერთგვარ დამატებით ხიბლსაც კი გძენს: სათვალიანი ბავშვები ყველაზე ჭკვიანები არიან.

რა იწვევს ახლომხედველობას? რა როლს ასრულებს ამაში სკოლა? ცნობილია, რომ ყველაზე ხშირად მიოპია სწორედ დაწყებითი კლასების მაღალ საფეხურზე – მესამე, მეოთხე კლასებში – ვითარდება. სწორედ ამ დროს ევალებათ მშობელსა და მასწავლებელს, შეამჩნიონ პრობლემა და დროულად აჩვენონ ბავშვი სპეციალისტს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიოპიამ შესაძლოა რთული ფორმა მიიღოს.

მიოპია მემკვიდრეობითაც შეიძლება იყოს განპირობებული და გარემო პირობების ზეგავლენითაც.

ახლომხედველობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა – მსოფლიოში თითქმის ყოველ მესამე კაცს მიოპია აქვს.

არასწორი განათება, თვალის მეტისმეტი გადაძაბვა (მაგალითად, ბევრი საშინაო დავალების შესრულების დროს), წიგნსა და თვალს შორის არასათანადო მანძილი, არაკომფორტული სამუშაო მაგიდა, ტელევიზორის, კომპიუტერის ხშირი ყურება, არასწორი კვება, სუსტი აგებულება და ბევრი სხვა მიზეზი შესაძლოა სერიოზულ დაავადებას დაედოს საფუძვლად.

იმისთვის, რომ ბავშვის მხედველობას ზედმეტი დატვირთვა არ მიადგეს, საჭიროა, უფროსებმა გაითვალისწინონ სპეციალისტების რამდენიმე რჩევა.

უპირველესად, მნიშვნელოვანია სკოლის კედლების ფერი: ისინი აუცილებლად ბაცი უნდა იყოს – თეთრი ან პასტელის ფერებისა.

კლასი კარგად უნდა იყოს განათებული, დაფაზე არ უნდა ირეკლებოდეს მზის სხივი ან შიდა განათების შუქი.

ყურადსაღებია წიგნის შრიფტი, ასევე – რვეულის ფურცლების ხარისხი და ფერი. ახლომხედველი ბავშვი სასურველია დაფასთან ახლოს იჯდეს – ეს მასა და მის თანაკლასელებს თავიდან ააცილებს ნაწერის დასანახავად დაფასთან ხშირად გასვლით გამოწვეულ დისკომფორტს.

გაკვეთილის განმავლობაში, მით უმეტეს, თუ საკითხავი ან საწერი მასალა ბევრია, მასწავლებელმა ბავშვები სამჯერ მაინც უნდა შეასვენოს. სასურველია თვალის ვარჯიშების შესრულებაც, მაგალითად, ისეთებისა, როგორიცაა სხვადასხვა საგანზე მზერის სწრაფად გადატანა – ახლომდებარე ნივთიდან შორს და პირიქით.

სკოლის მოსწავლეების რაციონში აუცილებლად უნდა შედიოდეს სტაფილო, თევზი, ნიგოზი, ხაჭო, რძე და მოხარშული ხორცი. არავითარი წიწაკა თუ მდოგვი ან მწარე კეტჩუპი!

სახლში სამეცადინო ადგილი აუცილებლად კარგად უნდა იყოს განათებული. საღამოს, თუ მაგიდის ნათურას დაიხმართ, ჯობს, იგი მარცხენა მხარეს დაიდგათ, რათა სამუშაო მაგიდა განათდეს, ხოლო თვალები შუქმა არ შეაწუხოს.

არ შეიძლება ბინდბუნდში, ტრანსპორტში, აგრეთვე დაწოლილი კითხვა; ბავშვები უნდა მოვარიდოთ კომპიუტერსა და ტელევიზორთან დიდხანს ჯდომას.

სასურველია, წელიწადში, სულ მცირე, ორჯერ მაინც მოხერხდეს მოსწავლეებთან ოფთალმოლოგის პროფილაქტიკური ვიზიტი.

# მაია კუდავა


| | | |
|---|---|---|
| 1 | სკოლის კარი ყველასთვის | 55 |
| 2 | გენიოსი კლასში | 58 |
| 3 | სსსმ მოსწავლეთა პედაგოგების გამოცდილებიდან | 61 |
| 4 | ცხოვრება აუტიზმის გარეშე | 63 |
| 5 | ახალი გზების ძიებაში | 66 |
| 6 | ყოველი მეორე – ათი წლის შემდეგ | 69 |
| 7 | ორი აპრილი | 74 |
| 8 | თანასწორობა თანამედროვე ლიტერატურაში | 77 |
| 9 | სახელმწიფოს სიზუსტე უყვარს | 80 |
| 10 | რეცეფტული ენის დარღვევა ბავშვებში | 86 |
| 11 | კინოს წვლილი ცნობიერების ამაღლებაში | 91 |
| 12 | ერთხელ მაინც შემომხედე თვალებში | 94 |
| 13 | მამები | 97 |
| 14 | შვილების ადვოკატები | 101 |
| 15 | მხატვრობა ცნობიერების ამაღლებისთვის | 105 |
| 16 | მომსახურების სფერო და შშმ პირები | 108 |
| 17 | დისკრიმინაცია და სამართალი | 111 |
| 18 | შშმ პირთა დასაქმების საკითხი | 114 |

# სკოლის კარი ყველასთვის

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ყველას აქვს განათლების უფლება. ამ უფლების სხვადასხვაგვარი შეზღუდვა – გაუმართავი კანონმდებლობა, ფსიქოლოგიური წნეხი, ფიზიკური ბარიერები – კანონის დარღვევაა.

ფერადკანიანი გოგონა კლასში არაერთხელ გამხდარა ბულინგის მსხვერპლი კანის ფერის გამო და ამ მიზეზით სკოლა რამდენჯერმე შეუცვლია. სამწუხაროა, რომ მასწავლებელსაც არ დაუჭერია მისთვის მხარი, როდესაც დიდსულოვნად ცდილობდა დამნაშავე მოსწავლის გამართლებას.

დღის ცენტრ „მზის შვილებს“ ოფისის შეცვლა მოუხდა, რადგან მომიჯნავე ოთახებში დასაქმებული მოქალაქეების თქმით, „ამ (შშმ) ბავშვების შემყურეებს შრომის უნარი უქვეითდებათ“.

კვლავაც დადუღებულია „თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრისა“ და მის მიმდებარე ეზოს (აღმაშენებლის N 181) შორის დამაკავშირებელი კარიც თბილისში, რომელიც კორპუსის „შეწუხებულმა“ მაცხოვრებლებმა შშმ მოსწავლეთა მშობლებს გადაუკეტეს. ეს ეზო უმოკლესი გზა იყო სკოლაში მოსახვედრად და პარკირების მოსახერხებელი ადგილი ეტლით მოსარგებლე მოსწავლეთა მეურვეებისთვის. სხვა მხრიდან სკოლას ცენტრალური გზა ესაზღვრება და იქ პარკირება აკრძალულია.

გარემო არაადაპტირებულია, საზოგადოება არაა შშმ პირებთან ურთიერთობისთვის მზად არც ფსიქოლოგიურად და არც შესაბამისი განათლებითაა აღჭურვილი. ქუჩაში, ტელევიზიაში, პრესაში და, რაღა თქმა უნდა, სკოლაშიც ყოველდღიურად ვხვდებით სხვადასხვა დიაგნოზის დისკრიმინაციულ კონტექსტში გამოყენების ფაქტებს. ინტერნეტშიც წააწყდებით არაერთ სტატიას, სადაც შესაძლოა ერთი ან ორი უზუსტობა შეგხვდეთ. ეს საკმარისია  საიმისოდ, რომ გაჩნდეს ახალი მითები, დამკვიდრდეს არასწორი ტერმინები, გამყარდეს სტიგმა, სტერეოტიპები და ა. შ.

თანასწორობისა და მეტი განათლებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი ალბათ სწორი ტერმინების გამოყენებაა.

**„აუტისტი“, „აუტიზმის სინდრომის მქონე“, „აუტიზმით დაავადებული“** არასწორი ფორმებია. მათ ნაცვლად **„აუტიზმის მქონე“** უნდა გამოვიყენოთ, რადგან აუტიზმი დაავადება კი არა, მდგომარეობაა.

**„ზანგი“** კი არა, **„ფერადკანიანი“.** „ზანგი“ (ლათ. Niger) მონათმფლობელურ წარსულთან ასოცირდება, შესაბამისად – დისკრიმინაციასთან ან ადამიანთა სხვადასხვა უფლებრივ ჯგუფებად დაყოფასთან.

**„დაუნი“** კი არა, **„დაუნის სინდრომის მქონე“** მოსწავლე. ბრიტანელმა ექიმმა ჯონ დაუნმა 1866 წელს პირველად აღწერა გენეტიკური ცვლილება, რომელსაც მოგვიანებით დაუნის სინდრომი უწოდეს.

**„ინვალიდი“** კი არა, **„ეტლით მოსარგებლე“**. მსოფლიო თანხმდება, რომ „ინვალიდი“, რომელიც „გამოუსადეგარს“, „უვარგისს“ ნიშნავს, დისკრიმინაციული ტერმინია.

და ასე უსასრულოდ.

საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვისთანავე სკოლებში მანკიერი შემთხვევები გამოიკვეთა: განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს მასწავლებლები და თანაკლასელები „ინკლუზივებს“ უწოდებენ. მაშ, სადღაა თანასწორობა, თუ განსაკუთრებულ სახელს, „ტიტულს“ მივაკერებთ ბავშვს, რომელიც ცდილობს, სოციუმის სრულფასოვანი წევრი გახდეს?!.

რა ვუყოთ განათლების მიღების კონსტიტუციურ უფლებას, რომელსაც ხშირად არასრულფასოვნად ან დაგვიანებით იყენებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ქართველი მოსწავლეები? სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულება ყოველი წლის დასაწყისში (იანვარში) ახლდება. თუმცა, ხშირად გართულებული ბიუროკრატიის გამო, პროცესი იწელება და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა ორი კვირის დაგვიანებით იწყება ხოლმე. შესაძლოა ეს უკავშირდებოდეს სახელფასო ბიუჯეტის დაზოგვას სპეცპედაგოგების ხარჯზე, რითაც სსსმ მოსწავლეები ზარალდებიან.

ასეთივე პრობლემებს აწყდებიან პირველკლასელი სსსმ ბავშვების მშობლები სასწავლო წლის დასაწყისში (სექტემბერში), როდესაც ზაფხულში, გაფრთხილების მიუხედავად, სსსმ მოსწავლეს სპეცპედაგოგი სწავლის დაწყების პირველივე დღეს არ ხვდება კლასში და მის ძებნას დირექცია მხოლოდ სექტემბერში იწყებს. ამის გამო ისინი სკოლაში სიარულს რამდენიმე კვირის დაგვიანებით იწყებენ.

ფაქტია, რომ ხშირად მშობლებს უწევთ გაკვეთილებზე დასწრება და/ან სპეცმასწავლებლების „გაკონტროლება“, მიხმარება. საშუალოდ სპეციალური საჭიროების მქონე ხუთ მოსწავლეზე ერთი სპეცპედაგოგი მოდის. ახერხებენ კი ისინი ხუთივესთან თანაბრად მუშაობას და მათთვის სათანადო ხელშეწყობას საგაკვეთილო პროცესში? როგორია მათი და სხვა პედაგოგების კვალიფიკაცია და არიან თუ არა ჯეროვნად გადამზადებული ამ კუთხით? რა როლი აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმის ხარისხის კონტროლის კუთხით?

ვფიქრობ, ამ საკითხებზე ბევრი უნდა ვისაუბროთ, ვიმსჯელოთ, გადავხედოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას, რომ სკოლის კარი მართლაც ყველასთვის ღია იყოს.

# გენიოსი კლასში

**ანა, მესამეკლასელი გიოს დედა:** მიუხედავად იმისა, რომ გიო ჰიპერაქტიური არაა, მისი დიაგნოზის გამო (ბავშვთა აუტიზმი) ორი წლის განმავლობაში მასწავლებელს მასთან ურთიერთობის ეშინოდა. წუთით არ იტოვებდა მოსწავლეს კლასში სპეცპედაგოგის გარეშე. ახლა  უფრო ჩართო საგაკვეთილო პროცესში და მისი უნარებიც დაინახა. ყველა ბავშვს, არათუ სპეციალური საჭიროების მქონეს, შექება და წახალისება სჭირდება. ისინი ამას მოელიან მასწავლებლისგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაბიჯი არ ჩანს (სავარაუდოდ უცოდინრობის გამო). მცირე პრობლემები სპეცპედაგოგებთანაც გვაქვს, თუმცა ეს უმნიშვნელოა სხვადასხვა საგნის მასწავლებლების ფონზე, რომელთაც ვფიქრობ დამატებითი მომზადება უნდა გაიარონ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან სწორი ურთიერთობის დასამყარებლად.

**ეკა, პირველკლასელი ლუკას დედა:** პრესტიჟულ საჯარო სკოლაში მოვხვდით, თუმცა იმდენი შენიშვნა დამიგროვდა, უკვე ვფიქრობ მომავალი წლიდან ბავშვის კერძო სკოლაში გადაყვანაზე. შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ლუკას მერხი კლასში განცალკევებით დგას, კუნძულივით. მასწავლებლის პასუხი ჩემს აღშფოთებაზე იყო, რომ ის გაკვეთილზე ხელს უშლის. გამოდის, რომ ლუკა ფორმალურად არის ამ კლასის მოსწავლე და თუ ნახევარი საათით სპეცპედაგოგი არ შეყვება ორ გაკვეთილზე (არადა გაკვეთილი სულ ხუთია), ის სრულიად გარიყულია. სოციალურ ქსელში აღმოვაჩინე ფოტოები, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ კლასი ხშირად დადის თეატრში, ექსკურსიებზე, მართავს ღონისძიებებს და ჩვენ საქმის კურსში არავინ გვაყენებს. თითქოს ლუკა, კლასის სრულუფლებიანი წევრი, საერთოდ არ არსებობს!

თამუნა, მეორეკლასელი ნიკუშას დედა: აუტიზმის მქონე მოსწავლეთა ნაწილი ძირითად დროს ე. წ. „ინტეგრირებულ კლასში“ ატარებს. ეს რესურსოთახი კეთილმოწყობილია, არის ტელევიზორი, აიპადი და სხვა დამხმარე სასწავლო მასალა, რომლებსაც ჩვენი შვილები ეჯაჭვებიან. ეს კი ინკლუზიურ მოდელს ეწინააღმდეგება. ეს ოთახი, ჩემი აზრით, გასაუქმებელია ან უნდა გამოიყენებოდეს უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მაგალითად, აუტიზმის

მქონე ბავშვი ტანტრუმს აწყობს და გაკვეთილი ჩაშლის პირასაა. შესაძლოა სსსმ მოსწავლეს შესწევდეს უნარი გაკვეთილს სრულად ან მის 75%-ს ესწრებოდეს, მაგრამ პედაგოგები მაინც ითხოვენ, რომ მათ 15 წუთში დატოვონ კლასი. ძალიან ცუდი პრაქტიკაა ასევე ის, რომ გაკვეთილებს შორის დასვენების დროს სსსმ მოსწავლეები მასწავლებლებს რესურს ოთახში შეჰყავთ ნაცვლად იმისა, რომ მათ თანაკლასელებთან ერთად ითამაშონ. როგორც ჩანს, მათი გამოჩენა არ სურთ ასევე მაშინაც, როცა გაკვეთილს ვინმე ესწრება, რადგან ამ დროსაც სსსმ მოსწავლე რესურს ოთახში ატარებს.

მშობლების აზრით, თითოეულ სსსმ მოსწავლეს ინდივიდუალური დამხმარე სჭირდება. სამინისტროს თქმით, სახელმწიფოს ამის არც ფინანსური და არც პროფესიული რესურსი არ გააჩნია. ასეთ შემთხვევაში გამოსავალი ალბათ მოხალისეებში უნდა ვეძებოთ. მაგალითისთვის, არსებობს სკოლა, სადაც 12 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს. მათთან კი მხოლოდ ერთი სპეცპედაგოგი მუშაობს, როდესაც სტანდარტით 3 სსსმ მოსწავლეზე ერთი სპეცპედაგოგი უნდა იყოს გამოყოფილი. მას ძირითადად დასვენებაზე მშობლები ეხმარებიან.

სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების მასწავლებელთა ხელფასი მიზერულია. პედაგოგებისათვის ხელფასების ზრდა, როგორც წესი, მათ არ ეხებათ. ასეთ დროს, დამეთანხმებით, ძნელია შეინარჩუნო მოტივაცია.

სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური პროგრამების შემუშავებაში პედაგოგები იშვიათად თუ მონაწილეობენ. ეს საქმე გადაბარებულია მხოლოდ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებელსა და მშობელზე. პედაგოგებისგან გაიგონებთ ასეთ ფრაზასაც: „ეს ჩემი მოსწავლე არაა, „სპეც"-ის (იგულისხმება სპეციალური საჭირობის მქონე მოსწავლეთა მასწავლებელი) ბავშვია". გამოდის, რომ ისინი ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნიან კლასის სრულუფლებიან წევრებზე, მეტიც: ხშირად სიის ამოკითხვის დროსაც კი არ ასახელებენ ამ მოსწავლეთა გვარებს, რაც აშკარად დისკრიმინაციული მოპყრობაა. არგუმენტი ასეთია: „მეგონა, ლაპარაკი არ იცოდა".

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც სპეცპედაგოგების მიერ შედგენილი გეგმები არაა ინდივიდუალური და კონკრეტულ ბავშვებზე მორგებული, ისინი ყველა სსსმ მოსწავლისათვის თითქმის იდენტურია. მოსწავლის წინსვლა კი ასეთ დროს დამოკიდებულია ხოლმე კრეატიულ, მაგალითად ქართულის ან მათემატიკის, მასწავლებელზე, რომელიც, მას შემდეგ, რაც გაეცნობა სსსმ მოსწავლის ინ-

ტერესთა არეალს, ითვალისწინებს მის თავისებურებებს და აქტიურად რთავს საგაკვეთილო პროცესსა და სხვადასხვა ღონისძიებაში, კონტაქტი აქვს მშობელთან და ა. შ. მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართული ყველა რგოლი გამართული, კვალიფიციური და მოტივირებული არაა. კარგი შედეგისთვის კი (სსსმ მოსწავლის სოციალიზაცია და ადეკვატური განათლება) საჭიროა თითოეულის – საგნის მასწავლებელი, სპეცპედაგოგი, ფსიქოლოგი, მშობელი – თანმიმდევრული მუშაობა.

სსსმ მოსწავლეთა მიმართ პედაგოგების გაუცნობიერებელი შიში დაიძლევა ქმედითი ტრეინინგებით, არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული ცოდნითაც. ამ ეტაპზე, როდესაც ტრეინინგმოდული არაა სავალდებულო, რაოდენობრივად ძალიან ცოტა მასწავლებელია გადამზადებული სსსმ მოსწავლეთა სწავლებისათვის. ხოლო ისინიც, ვისაც ეს ორკვირიანი კურსი უკვე გავლილი აქვს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობს მოსწავლეთა ინდივიდუალურ (მოკლე და ერთწლიან) გეგმების შედგენაში და მის ყოველდღიურ გამოკითხვას, დავალებისა თუ საკონტროლო წერის სსსმ მოსწავლისათვის ცალკე მომზადებას გაურბის და სპეცპედაგოგსაა მინდობილი.

ბევრი გენიოსის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ სკოლა დაატოვებინეს სხვადასხვა მიზეზის გამო – დისლექსია, გაფანტულობა, უდისციპლინობა, ჰიპერაქტიურობა. საუკუნის წინ თუნდაც აუტიზმის დიაგნოზის დასმა არ ხდებოდა. სხვადასხვა კვლევის მიხედვით ვვარაუდობთ, რომ ამა თუ იმ მეცნიერს, საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელთაც მსოფლიო შეცვალეს, სწორედ აუტიზმი ჰქონდათ.

ძვირფასო მასწავლებლებო, იქნებ ღირდეს დაფიქრება, საქართველოში რეგისტრირებული 5000-მდე სსსმ მოსწავლიდან თუნდაც ერთი შესაძლოა მომავალი გენიოსი იყოს და სწორი განვითარებისათვის თქვენი ხელშეწყობა სჭირდებოდეს. ალბათ მას უჭირს თქვენს გაკვეთილზე წყნარად ჯდომა, გიქმნით პრობლემებს, დისკომფორტს, მაგრამ მიეცით შანსი, ნუ გარიყავთ კლასიდან, უპოვეთ გასაღები, დაუმეგობრდით, როგორც სხვა მოსწავლეებთან ურთიერთობის შემთხვევაში იქცევით ხოლმე, და წლების შემდეგ იამაყებთ, რომ გენიოსი – გამომგონებელი, მუსიკოსი, მწერალი, მეცნიერი თუ მხატვარი, ერთ დროს თქვენი მოსწავლე იყო.

# სსსმ მოსწავლეთა პედაგოგების გამოცდილებიდან

სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათი სწავლება საგანგებო განათლებას, ნიჭსა და გამოცდილებას მოითხოვს. სულ ათიოდე წელია, რაც ინკლუზიამ საქართველოს სკოლებში ფეხი მოიკიდა, ამიტომ, ვფიქრობ, მასწავლებლებისთვის საინტერესო უნდა იყოს მათი ქართველი და უცხოელი კოლეგების გამოცდილება.

ამ ამბებს სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და ფსიქოლოგები მოგვითხრობენ:

**ABA თერაპევტი, საქართველო:**

– დათას ქცევა ძნელი სამართავია. ბაღში ბავშვებთან ურთიერთობას გაურბოდა. არც ისინი ამჟღავნებდნენ მასთან მეგობრობის სურვილს. ყველას ეგონა, დათამ არც ლაპარაკი იცოდა და არც რამე აინტერესებდა.

როდესაც ბაღში შევყევი, ჯგუფს ის-ის იყო დაეწყო რიცხვების მოხაზვა და მარტივი არითმეტიკის შესწავლა. ვიცნობდი დათას უნარებსა და ინტერესებს, ამიტომ ასეთი რამ მოვიფიქრე: გავიყვანე დაფასთან და ორნიშნა რიცხვების დაწერა ვთხოვე, მერე კი ზეპირად გამოვკითხე, რამდენი იყო, მაგალითად, 5+2, 7-3. ისიც, ჩემთან ურთიერთობას ჩვეული, სწორად მპასუხობდა. ბავშვები გაოცებას ვერ მალავდნენ. მის შესახებ წარმოდგენა რადიკალურად შეეცვალათ და პატივისცემითაც განეწყვნენ, რადგან აღმოაჩინეს, რომ დათამ რაღაც მათზე უკეთ იცოდა.

ასეა, ყველა ბავშვი მათი დადებითი მხარეებით უნდა წარმოვაჩინოთ თანატოლების თვალში და თანაკლასელებთან დამეგობრებაში დავეხმაროთ.

**ფსიქოლოგი, აშშ:**

– გაგიკვირდებათ და ბევრ არამეტყველ ბავშვს შეუძლია კითხვა. მიმუშავია ბავშვებთან, რომლებიც საერთოდ არ ლაპარაკობენ ან მწირი ლექსიკონი აქვთ და მინახავს, როგორ კითხულობენ. ისინი აწყვილებენ სიტყვებსა და ნახატებს, ხან კი ტექსტს თითს აყოლებენ. წერა-კითხვის უნარებს კარგად ავითარებს ხმოვანი პროგრამები. გამაფრთხილებელი, ამკრძალავი თუ საგზაო ნიშნების, აბრების, ბილბორდების უფროსებთან ერთად კითხვა სახალისოცაა და ეფექტიანიც.

**მათემატიკის მასწავლებელი, საქართველო:**

– სანდროს მეხუთე კლასში ვასწავლიდი. თვალებში არასდროს მიყურებდა და, ერთი შეხედვით, არც საგაკვეთილო აქტივობებში ერთვებოდა. უმეტესად ფურცლების ხევით და გორაკებად დაწყობით იყო გართული. კოლეგებს აწუხებდათ მისი ასეთი ქცევა, მე კი ვუხსნიდი, რომ ეს მას თავის სამართავად და სიმშვიდის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მისმენდა! მოულოდნელად და საკმაოდ შორიდან გავძახებდი ხოლმე: „სანდრიკ, როგორ ამოვხსნათ ეს ამოცანა?“ – და ისიც ყოველთვის სწორად მპასუხობდა. არასოდეს დამიძალებია ურთიერთობა, თვითონვე შემოუერთდებოდა ხოლმე მცირე ჯგუფს, როდესაც რაიმე საინტერესოს განვიხილავდით.

ბევრ მოსწავლეს უჭირს გაკვეთილზე ერთ ადგილას გაჩერება. ჩემი აზრით, არაფერი დაშავდება, თუ მათ სიარულის უფლებას მივცემთ.

სსსმ მოსწავლეთა მართვა ადვილად ხერხდება მცირერიცხოვან კლასებში, მეტადრე მაშინ, როდესაც მასწავლებელი სათანადო ფსიქოლოგიური ცოდნითაა აღჭურვილი.

**მეცნიერების საგნის მასწავლებელი, კანადა:**

– სანამ გაკვეთილების სრულყოფილად ჩატარებას მოვახერხებდი, გრძელი გზა გავიარე, რადგან ვითარებას თურმე სათანადოდ ვერ ვაფასებდი. მეგონა, სსსმ მოსწავლეები შეძლებდნენ იმის გადაწერას, რასაც დაფაზე დავუწერდი; ექნებოდათ მოწესრიგებული რვეულები, სადაც სწორად ჩაიწერდნენ დავალებებს; მათთვის კომფორტული იქნებოდა ნებისმიერ ცარიელ მერხთან ჯდომა. პირველმა გაკვეთილებმა თვალი ამიხილა. ახლა, ცოტა არ იყოს, მრცხვენია კიდეც – თურმე როგორ უგულებელვყოფდი ბევრი მოსწავლის საჭიროებებს.... დღეს უკვე ვცდილობ, ჩემი გაკვეთილები ყველას მოვარგო.

სხვადასხვანაირი შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობას ჩვეული გახლდით – ყოველთვის მყავდა როგორც ნიჭიერი, ისე საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები, მაგრამ არ ვითვალისწინებდი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეებს, რომლებსაც, მაგალითად, დაფიდან სიტყვების გადაწერა უჭირდათ.

ყველაფრის კარგად მოსაფიქრებლად საკმაო დრო დამჭირდა, მაგრამ, საბოლოოდ, სასწავლო გეგმის მათთვის მორგება სულაც არ აღმოჩნდა ძნელი. წინასწარ ჩამოვწერე ყველა ის ტერმინი შესაბამისი განსაზღვრებითურთ, რომლებიც იმ დღეს ახსნილ მასალაში შეხვდებოდათ და ინტეგრირებული კლასის მოსწავლეებს მივეცი, მაგრამ მოხდა საოცრება – რამდენიმე სხვა მოსწავლემაც მთხოვა, ასეთი ლექსიკონი მათთვისაც შემედგინა. რატომაც არა?! აი, ასე მივაგენი საგნის სწავლების ახალ მეთოდს.

# ცხოვრება აუტიზმის გარეშე

ოცნებისთვის დრო ნაკლებად მრჩება. ახლა, სრულიად შემთხვევით, დავუსვი თავს შეკითხვა: როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება, უფროს შვილს აუტიზმი რომ არ ჰქონდეს?

მეტი თავისუფალი დრო მექნებოდა? სამი შვილის დედა ვამბობ ამას? ნაკლები საფიქრალი? – შესაძლოა, თუმცა სულ სხვა ტიპის პრობლემები და მიზნები მექნებოდა. ახლა კი განხვავებული კუთხიდან ვუყურებ მოვლენებს.

აუტიზმის მქონე შვილი რომ არ მყოლოდა:

არ მეცოდინებოდა რა არის ოკუპაციური და სენსორული თერაპიები;

აუცილებლად გამკიცხავ მზერას ვესროდი მშობელს, რომლის შვილიც სუპერმარკეტში ხმამაღლა იტირებდა და იატაკზე გაწვებოდა;

ალბათ, ვერ დავაფასებდი ბავშვის თითოეულ ნასწავლ ფრაზასა და ქცევას, სულაც არ შევაქებდი, რთულ ფაზლს რომ ააწყობდა ან კუბების ფერებს დამისახელებდა. ვიფიქრებდი, რომ ეს ისედაც ასე უნდა ყოფილიყო – ყველა ბავშვი ხომ თავად შეიმეცნებს და უფროსების მიბაძვით ისე სწავლობს ყველაფერს, თვითონაც რომ ვერ ხვდება.

ასე არ ყოფილა! ზოგჯერ თურმე თვეებია საჭირო, რომ ბავშვმა რამე სიტყვა ისწავლოს; კონცენტრირება შეძლოს, თუნდაც ხუთი წუთით არ გაეფანტოს ყურადღება და მოგისმინოს.

აუტიზმის მქონე ბავშვთან მუშაობას უცხო ენის სწავლებას შევადარებდი – ერთ მხარეს დგას მასწავლებელი, რომელიც უცხო სამყაროში შესვლას ცდილობს, მეორე მხარეს კი მოსწავლე, რომელიც მისთვის რთულ გზას გადის: სწავლობს ახალ სიტყვებსა და ზმნებს, განსხვავებულ კულტურას და ამ კულტურისთვის მისაღებ ქცევის ნორმებს. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი ამ „გაკვეთილსა“ და ურთიერთობას სულაც არ მიიჩნევს საჭიროდ. რა საჭიროა სიტყვები, როდესაც მათ გარეშეც მშვენივრად გრძნობ თავს?! რატომ უნდა გიყურო თვალებში და გესაუბრო, როცა თავადაც ვაგნებ ყველაფერს?! თუმცა „მოსწავლეს“ აუცილებლად გამოენახება თუნდაც ერთი რამ, რის გამოც „უღირს“ კომუნიკაციის დამყარება „მასწავლებელთან“. სწორედ იმ ერთადერთის აღმოჩენითა და ხელის ჩავლებით იგება ურთიერთობა და მყარდება მეგობრობა.

აუტიზმის მქონე შვილი როცა გყავს, თანდათან უახლოვდები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებსა და მათ მშობლებს. იგებ, რომ თურმე ერთი ისეთი მოქნილია, წამში აძვრება სათამაშო ლაბირინთის ბოლო სართულზე, მეორეს კი შესაძლოა ფანქრის ხელში ჭერაც კი უჭირდეს; ერთს კომუნიკაციის პრობლემა ჰქონდეს, მეორეს კი ორგანიზმი არ უწყობდეს ხელს დავალების შესრულებაში. ანუ ზოგს თანატოლებთან თამაშისა და სირბილის დიდი სურვილი აქვს, თუმცა ფიზიკურად არ შეუძლია; ზოგი კი მარდად დარბის, მაგრამ თანატოლებთან თამაშისა და სწავლის არანაირი სურვილი არ აქვს. ასეთ დროს თითოეულ მოსწავლეს სასწავლო პროგრამა ინდივიდუალურად უნდა მოერგოს. შშმ პირებთან ურთიერთობით თვალსაწიერი ფართოვდება, მათი გადმოსახედიდან და საჭიროებიდან ხედავ გარემოს.

რომ დავფიქრდი, მივხვდი: ნიკოს დიაგნოზი რომ არა, ის თავის ძმებთან ერთად სრული დატვირთვით ივლიდა ბაღში და არ მოუწევდა დღეში 2–3 საათი სპეციალურ მასწავლებლებთან მეცადინეობა ქალაქის სხვადასხვა წერტილში; არ დაიღლებოდა საცობებში დგომით, არ ჩაეძინებოდა მანქანაში; ნაკლებად ექნებოდა ღამით ძილის პრობლემა და დედაც შუადღეზე გამოძინების უფლებას მისცემდა.

აუცილებლად ვატარებდი ცურვაზე (თუმცა ახლაც დამყავს), ფეხბურთზე, ხატვაზე, ცეკვაზე, მუსიკაზე... თუმცა არა! მე კი არ მომიწევდა მისი ინტერესების ძიება და ჰობის საშუალებით კი არ დავამყარებდი მასთან ურთიერთობას, ის თავად მეტყოდა საკუთარი სურვილების შესახებ. ჰოდა, მეც ავუსრულებდი. შესაძლოა პირიქითაც მომხდარიყო, მოვდუნებულიყავი, მიმეხედა კარიერისთვის, დამეთმო მეტი დრო მოგზაურობისთვის, დამზარებოდა ბავშვის სხვადასხვა წრეზე ტარება და კერძო ბაღისთვის მიმენდო ეს ყველაფერი.

ახლა კი ფიქრისა და ოცნებისთვის დრო არ მრჩება და პირდაპირ ვმოქმედებ: ვეწერები თბილისში ერთადერთ ცურვის მასწავლებელთან, რომელსაც შშმ ბავშვებთან ურთიერთობის კი არ ეშინია, პირიქით, მშვენივრად გამოსდის; ვეძებ კარგ სენსორულ ოთახს და ოკუპაციურ თერაპევტს, დამყავს ბავშვი არაერთ ცენტრში სხვადასხვა გაკვეთილზე. თან მახლავს ყველგან — მაღაზიაში, აფთიაქში, ოფიციალურ დაწესებულებებსა თუ ხმაურიან ღონისძიებებზე, თუმცა, წინასწარ ვაფრთხილებ მისი დღის რეჟიმის ამ მოულოდნელი ცვლილების შესახებ. ის მიეჩვია უცხო ხალხს, განსხვავებულ სიტუაციებში მოხვედრას და ე. წ. „ტანტრუმს“ აღარ აწყობს. ჯერ ბაღში დადის და მომავალში არ ვაპირებ მის „სპეცსკოლაში“ მიყვანას, როგორც ბევრი ითხოვს, რომ

„ამ ბავშვებმა ცალკე უნდა ისწავლონ“. სსსმ მოსწავლე თანაკლასელებისაგან სწავლობს მოქცევის წესებსა და ურთიერთობას. დიახ, ურთიერთობას – ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რამეს – მაგალითად ერთ, თუნდაც ე. წ. „რესურს ოთახში“ მოხვედრილი აუტიზმის მქონე სამი ბავშვი ერთმანეთში ვერაფრით დაამყარებს. თავის მხრივ, რიგითი მოსწავლეც სწავლობს მისგან ოდნავ განსხვავებულთან ურთიერთობას, ხდება მეტად მზრუნველი და ტოლერანტული.

მსოფლიოში ყოველ 68 ბავშვში ერთს აუტიზმი აქვს და სანამ მის წარმომავლობასა თუ მზარდ, საგანგაშო სტატისტიკის მიზეზებს მეცნიერები იკვლევენ, ეს პრობლემა ყველამ უნდა გავიაზროთ და როგორმე აუტიზმთან ერთად ცხოვრება ვისწავლოთ.

# ახალი გზების ძიებაში

ცხოვრება გზებისგან შედგება. ყოველ ეტაპს, ყოველ ახალ გზაზე გასვლას მოაქვს როგორც სირთულეები, ისე გამოცდილებაც. გზაზე შემდგარს გიწევს სხვა მაგისტრალზე გადახვევაც, თუმცა მიზანი ყოველთვის ერთია – როგორმე დანიშნულების ადგილამდე მიაღწიო. ეს კი მრავალი ხერხით, მრავალი გზითაა შესაძლებელი, რომლებიც, ვფიქრობ, გამუდმებით უნდა ეძებო. მე ჩემს შედარებით ახალ გზაზე მოგითხრობთ – აუტიზმის მქონე ბავშვის დედობის გზაზე, პრობლემებზე, რომლებიც შემხვედრია და რეალურ გზაზე, რომელსაც ჩემს შვილთან ერთად ყოველდღე გავდივარ.

შესაძლოა, არ იცოდეთ, რომ აუტიზმის მქონე პირებს რუტინა უყვართ; ეჯაჭვებიან ნაცნობ გარემოს, ნივთებსა და ადამიანებს. თუმცა ამის თავიდან აცილება მრავალფეროვანი გარემოს შეთავაზებითაა შესაძლებელი. ასეთი ბავშვები ხშირად აწყობენ ტანტრუმს უცხო ადგილას. მართალია, ეს მშობლის დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ განსხვავებულ სივრცესა და სიტუაციაში ხშირად მოხვედრა ნელ-ნელა აჩვევს მათ შფოთვის დაძლევას.

ამბობენ, რომ აუტიზმის მქონე მოსწავლეები ეჯაჭვებიან ერთ კონკრეტულ, მათთვის ყველაზე საყვარელ, მისაღებ მასწავლებელს და მხოლოდ მასთან „იხსნებიან“. არის ამაში სიმართლის წილი. მაგრამ თუ გვსურს, მათ მეტი ხალხი გაიცნონ, სხვადასხვა მეთოდით ისწავლონ და, შესაბამისად, თვალსაწიერიც გაუფართოვდეთ, სასურველია, პარალელურად რამდენიმე მასწავლებელთან ჰქონდეთ ურთიერთობა.

ჩემმა აუტიზმის მქონე ბიჭმა დაძლია მიჯაჭვულობა, უცხო გარემოს შიში და უფრო ინტერესიანი გახდა, ვიდრე წინათ იყო, მაგრამ ზოგიერთი რამ მაინც რჩება მოსაგვარებელი. ერთ-ერთია გზა.

ჩემი აზრით, ბავშვის სასწავლო სივრცედ გზის გამოყენება ძალიან მოხერხებულია. მაგალითად, თუ მანქანით მგზავრობთ, გზაში შეიძლება ჩაურთოთ ქართული სიმღერები, ლექსები, ზღაპრები, რათა ყოველგვარ გარემოში ესმოდეს ის, რაც ხელს შეუწყობს მისი მეტყველების განვითარებას. შუქნიშანი შესანიშნავი საშუალებაა ფერების შესასწავლად. შუქნიშანზე მინიშნება ყუ-

რადღების დეფიციტის მქონე ბავშვთან კომუნიკაციის დამყარებაში დაგეხმარებათ, მას კი მცირე „საგარეო დავალება“ უკეთ კონცენტრირებაში შეუწყობს ხელს.

გზაზე ჩვენი მთავარი პრობლემა ჩემი სამსახურის ოფისია, რომელიც ჩემს შვილს ძალიან უყვარს. არადა, დრო ხშირად სხვაგვარადაა გათვლილი. თუ გავბედე და ოფისთან ჩასახვევს გვერდი ავუარე, ჩემს შვილს ისტერიკა ეწყება. არ ჭრის არც წინასწარი შეგონებები, რომ სხვაგან მივდივართ, არც შუქნიშანი, არც დაპირებები, არც მუსიკა... ძალიან ძნელია მანქანის მართვა, როდესაც უკანა სავარძელზე შენი შვილი ტანტრუმს აწყობს – მთელი ხმით ტირის და ფეხებს აბაკუნებს, ამიტომ მიწევს შემოვლითი, ზოგჯერ საკმაოდ შორი გზების ძიება, რომ მისი და საკუთარი ნერვები დავზოგო. ალბათ წარმოიდგენთ, ასეთ შემთხვევებში რა უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან მშობლები, რომლებიც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან ერთად საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობენ. გამოსავალი ერთადერთია – ტანტრუმის იგნორირება, და ბავშვი ადრე თუ გვიან შეეგუება მოცემულობას. ჩემი შვილი უცხო ქუჩებს ყოველთვის ინტერესით ათვალიერებს ფანჯრიდან, შედარებით მშვიდადაა, თუმცა ხანდახან ვრისკავ და განგებ გავდივარ ხოლმე იმ მონაკვეთს, სადაც, სურს, შევყოვნდე, ოღონდ წინასწარ ყოველთვის ვაფრთხილებ, რომ აქ ვერ გავჩერდებით, სხვაგან მივდივართ – მინდა, პატარაობიდანვე მიეჩვიოს, რომ, სამწუხაროდ, ცხოვრება ისე არ არის მოწყობილი, როგორც გვინდა. ბებია-ბაბუები მის დასაშოშმინებლად მის საყვარელ მარილიან ჩხირებს იყენებენ ხოლმე. სპეციალისტები ამას „განმამტკიცებელს“ უწოდებენ და ბავშვს საყვარელ ნივთს თუ ნუგბარს მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან, რაც დამშვიდდება, რათა არ დაასკვნას, რომ ტირილითა თუ სხვა არასასურველი ქცევით სურვილების ასრულება შეიძლება.

სასურველია, ბავშვმა იცოდეს საკუთარი დღის განრიგი, რათა წინასწარ განეწყოს იმისთვის, რის შემდეგ რას უნდა ელოდეს. მე ყოველთვის ვცდილობ ახსნას, რის შემდეგ რა აქტივობა გვაქვს დაგეგმილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერა და ვერ მოვახერხე ვიზუალური მასალის შედგენა. არადა ფოტოებს და ნახატებს ბავშვი გაცილებით ადვილად აღიქვამს და მათ ხშირადაც იყენებენ ბაღებსა თუ სკოლებში. ჯერჯერობით ბიჭუნა კვლავ ისტერიკას მართავს იმ ქუჩაზე, სადაც ოფისია, მაგრამ, მჯერა, ამასაც მოვერევით.

გზის ძიება საჭიროა სწავლის პროცესშიც. მაგალითად, ბავშვს ხატვა უყვარს, მაგრამ ციფრებს ვერ სწავლობს? შეიძლება ვთხოვოთ რამდენიმე ღრუბლის

დახატვა, შემდეგ მიმდევრობით ჩავაწერინოთ მათში ციფრები, ბოლოს კი მივეხმაროთ, რომ თითოეულ ღრუბელს იმდენივე წვიმის წვეთი მიუხატოს, რა ციფრიცაა მასზე გამოსახული. ეს თამაში სახალისოცაა და სწავლაშიც დაეხმარება – ასწავლის წერას, ციფრებს, თვლას, საგნების რაოდენობის გამოცნობას.

ერთ-ერთმა მშობელმა აუტიზმის მქონე შვილს ანბანი ძერწვით ასწავლა. ახლა გოგონა პლასტილინისგან გასაოცარ ფიგურებს ქმნის. მუსიკის მოყვარული ბავშვისთვის შეიძლება სიმღერისა და ტექსტის მოფიქრებაც მისი საჭიროებებისა და შესასწავლი მასალის მიხედვით.

ბავშვს თქვენთან ურთიერთობა არ უნდა? უპოვეთ „სუსტი წერტილი“. ერთმა ცნობილმა ფსიქოლოგმა მირჩია, შვილთან ურთიერთობა მისთვის სასიამოვნო აქტივობის მეშვეობით დამემყარებინა. მართლაც, მეც დავიწყე მის საყვარელ ბატუტზე ხტუნვა და ბავშვი გაოცდა, გაიღიმა. მერე ხელებიც ჩავკიდე და ბედნიერმა თვალებში შემომხედა. არადა მანამდე თვალით კონტაქტს გაურბოდა. ერთად როცა ვხტუნავთ, თავის სამყაროს სწყდება და ნამდვილად ჩემთანაა. ასევეა ცურვის დროსაც, რადგან ძალიან უყვარს წყალი. ცურვა ისე აბედნიერებს, რომ მზადაა, ყველა სიტყვა გითხრას, რაც კი იცის, ბოლომდე გამოხატოს საკუთარი განცდები. ასეთ დროს შესაძლებელია ემოციების სახელდებისა და მათთან დაკავშირებული ფრაზების დასწავლაც. მაგალითად: „მიხარია!“, „რა კარგია!“, „ცურვა ბედნიერებაა!“, „ზღვაში ტალღებია!“, „მომწონს!“ – და ა. შ.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მინდა, წარმატებები და გამძლეობა გისურვოთ ახალი გზების ძიებაში. დაე, გეპოვოთ გზა, რომელიც საუკეთესო შედეგამდე მიგიყვანთ.

# ყოველი მეორე – ათი წლის შემდეგ

მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის – სტეფანი სენეფის მოსაზრებით, 2025 წელს აუტიზმი ყოველ მეორე ბავშვს ექნება. მან წარმოადგინა მონაცემები, სადაც ჩანს კავშირი აუტიზმის გავრცელების სიხშირესა და ჰერბიციდის – გლიფოსეიტის მომწამვლელობას, ასევე გენმოდიფიცირებული თესლის გამოყენების ზრდას შორის. საქმე ისაა, რომ გლიფოსეიტს ფართოდ იყენებენ სხვადასხვა მარცვლეულისა და სოიოს შესაწამლად. სწორედ ამ გზით ხვდება ის ადამიანის ორგანიზმში. ჰერბიციდების მწარმოებელი, თავის მხრივ, იშველიებს კვლევებს, რომლის მიხედვითაც მისი პროდუქტი უსაფრთხოა.




სენეფის კვლევის გამოქვეყნებისთანავე გამოჩნდა საპირისპირო მოსაზრებები. მოწინააღმდეგეები მიუთითებენ, რომ ამ მეცნიერს არანაირი პროფესიული კავშირი არ აქვს ეპიდემიოლოგიასთან, ბიოქიმიასა და მედიცინასთან. სენეფის პასუხად მათ მსგავსი გრაფიკი ააგეს, სადაც აუტიზმის მქონე პირების რაოდენობის ზრდა ნატურალური, სასუქების გარეშე მოყვანილი ბოსტნეულის გაყიდვების სიხშირის პარალელურადაა ნაჩვენები.




მომატებული მაჩვენებლები შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ აუტისტური სპექტრის აშლილობის დიაგნოსტირება დაიხვეწა, მშობლებიც მეტად ინფორმირებული არიან და დროულად მიმართავენ ექიმებს.

ფაქტია, რომ ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მონაცემებით, 2000-2002 წლებში აუტიზმი გვხვდებოდა ყოველ 150 ბავშვში, ორი წლის შემდეგ, 2004 წელს, აუტიზმი 125-დან ერთ 8 წლის ასაკის ბავშვს ჰქონდა, 2006 წელს მაჩვენებელი გაიზარდა 110-ში ერთამდე, 2008 წლის მონაცემებით – ყოველ 88 ბავშვში ერთამდე, 2014 წელს კი – ყოველ 68-ში ერთამდე. 2015 წელს, პარალელურმა კვლევამ ამერიკაში უკვე 45-ში ერთი შემთხვევა დააფიქსირა. აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეს თანაფარდობა თითქმის იდენტურია, ანუ აუტიზმი არ ცნობს რასას, რელიგიას ან სოციალურ მდგომარეობას. თუ ამავე ტემპით გაგრძელდა, მათემატიკური პროგრესიით სამწუხაროდ თითქმის იმავე დიაგრამას მივიღებთ, რაც სტეფანი სენეფმა წარმოადგინა.



და მაინც, რა იწვევს აუტიზმს? ბევრი მშობელი, განსაკუთრებით ამერიკაში, აუტიზმის გავრცელებას აცრებს უკავშირებს. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ვაქცინაციასა და აუტიზმს შორის კავშირზე ალაპარაკდა, მკვეთრად შემცირდა ბავშვების იმუნიზაციის სიხშირე, რამაც გამოიწვია წითელას მძიმე შემთხვევების დაფიქსირება მსოფლიო მასშტაბით.

ბავშვთა ნევროლოგი და ფსიქიატრი მედეა ზირაქაშვილი უერთდება მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების პოზიციას და გვირჩევს, რომ ბავშვი აუცილებლად უნდა ავცრათ:

„ვაქცინაციის გზით ხდება ბუნებრივი იმუნიტეტის გაძლიერება, რომლის მიზანია, თავიდან ავიცილოთ ზოგიერთი მეტად საშიში დაავადებები და მათი გართულებები. პირველი ვარაუდი აუტიზმსა და ვაქცინაციას შორის კავშირის შესახებ გამოითქვა 90-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნებულ კვლევებში. 1998 წელს ცნობილმა გასტროენტეროლოგმა და მკვლევარმა ენდრიუ უეიკფილდმა ნამდვილი გადატრიალება მოახდინა სამედიცინო სამყაროში. მან დააკავშირა წითელა-წითურა-ყბაყურის აცრა და აუტიზმი, როგორც მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთდამოკიდებულება. მისი მოსაზრებით ვაქცინის კომპონენტები იწვევდნენ ნაწლავების გარსის ანთებას, რის გამოც სისხლში ცირკულირებას იწყებდნენ მავნე პეპტიდები, რომლებიც, თავის მხრივ, იწვევდნენ თავის ტვინის დაზიანებას. ეს ჰიპოთეზა ვერც ერთმა მომდევნო კვლევამ ვერ დაადასტურა, და უფრო მეტიც, ეს ცნობილი მეცნიერი მოგვიანებით დისკრედიტებულ იქნა, რადგან გამოაშკარავდა მისი ფინანსური კავშირი იმ ადვოკატებთან, რომლებიც მუშაობდნენ ვაქცინის მწარმოებელთა წინააღმდეგ. აღმოჩნდა, რომ სწორედ ისინი აფინანსებდნენ უეიკფილდის მიერ წარმოებულ კვლევას. უეიკფილდი მაშინვე ჩამოაცილეს სამედიცინო საქმიანობას გაერთიანებულ სამეფოში, ხოლო 2010-ში სამეცნიერო ჟურნალმა "The Lancet" უკან გაიწვია ნაშრომი. მიუხედავად ამისა, ამ ამბავმა მაინც მნიშვნელოვანად ავნო საზოგადოებაში ვაქცინაციის იმიჯს.

მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი ვაქცინაციაზე უარის თქმისა დაკავშირებულია მისი შემადგენელი კომპონენტის, ვერცხლისწყლის შემცველი ინგრედიენტის, თიმეროსალის გამოყენებასთან. მას აქვს ბაქტერიების და სოკოების საწინააღმდეგო მოქმედება და იცავს ვაქცინას ინფიცირებისგან. მისი გამოდევნა ორგანიზმიდან ძალიან მარტივად ხდება და ამ ინგრედიენტის ორგანიზმზე ზემოქმედების მავნებლობა და მიდრეკილება აუტიზმის გამოწვევისადმი არ დადასტურდა არც ერთი მყარი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული

სამეცნიერო კვლევით. მოსახლეობაში რომ მეტად გაეზარდათ ნდობა ვაქცინაციისადმი, 2001 წლიდან თიმეროსალი ამოღებულ იქნა ბავშვთა ვაქცინებიდან. ვაქცინაციის სარგებელი მნიშვნელოვნად აჭარბებს იმ ინფექციური დაავადებებით გამოწვეული გართულებების განვითარების საფრთხეს, რომლის თავიდან ასაცილებლადაც ტარდება ვაქცინაცია."

წითელა-წუთურა-ყბაყურას ერთობლივი (და არა ცალ-ცალკე) ინექციით აცრისა და აუტიზმის კავშირის შესახებ 2016 წლის გაზაფხულზე გამოსულმა დოკუმენტურმა ფილმმა – "Vaxxed" კვლავ გამოიწვია ხმაური. მისი რეჟისორი სწორედ, ზემოთ ნახსენები, ლიცენზიაჩამორთმეული ექიმი ენდრიუ უეიკფილდია, პროდიუსერი კი – დელ ბიგთრი. ფილმი ეყრდნობა დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მეცნიერის – უილიამ ტომპსონის აღიარებას, რომ მან და მისმა კოლეგებმა 2004 წლის სტატიაში არ შეიტანეს უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია სტატისტიკური მონაცემების შესახებ, რომლის თანახმადაც 36 თვის ასაკამდე აცრილი აფროამერიკელი ბიჭები აუტიზმის დიდი რისკის ქვეშ იმყოფებოდნენ. ფილმში უამრავი მშობელი საუბრობს სავალალო შედეგებზე (პარალიზება, აუტიზმი, მწვავე გამონაყარი), რაც მათ შვილებზე აისახა ვაქცინაციის შემდეგ. რობერტ დე ნირომ, რომელიც ტრიბეკას კინოფესტივალის ერთ-ერთი დამაარსებელია, განაცხადა, რომ ის, როგორც წესი, არ ერეოდა ხოლმე ფესტივალის პროგრამის შედგენაში, თუმცა, რადგან აუტიზმის თემა მისი ოჯახისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, მიიჩნევს, რომ ეს ფილმი ბევრმა უნდა ნახოს და დისკუსია ამ საკითხებზე აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. საქმე ისაა, რომ ცნობილმა მსახიობმა ახლახან აღიარა, რომ მის 18 წლის ვაჟს – ელიოტს აუტიზმი აქვს. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ნაერთი თიმეროსალი კვლავაც რჩება გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინების შემადგენლობაში. ასევე მრავლადაა შემთხვევა, რომ ბავშვს არც ერთი აცრა არ აქვს ჩატარებული და მაინც აუტიზმის მქონეა.

და ისევ საზარელი სტატისტიკა. შესაძლოა 2025 წელს აუტიზმი ყოველ მეორე ბავშვს ჰქონდეს!.. ათი წელი მალე გაირბენს. ჩემი აუტიზმის მქონე ბიჭი მაშინ 15 წლის იქნება და ალბათ მეტი მშობელი შემეხმიანება იმისთვის, რომ გამოცდილება გავუზიარო. მეტ მოქალაქეს შეხვდება განსხვავებული ბავშვი ქუჩაში; გაცილებით ადვილად, ერთი შეხედვითაც გაუგებს მას და მის საჭიროებებსაც გაითავისებს; არ იფიქრებს, რომ თავხედია ან ცუდ ოჯახში აღზრდილი. მეტიც, ფაქტობრივად ყველას ეყოლება ოჯახის წევრი თუ არა, ბიძაშვილი მაინც ამ მდგომარეობით. გაცილებით ბევრი ადამიანი დაფიქრდება გა-

მოსავლის ძიების გზებზე, მიხვდება, რომ ნიჭიერების გარდა აუტიზმს უამრავი სირთულეც ახლავს.

იმედი ვიქონიოთ, რომ სცენარი ასე არ განვითარდება და მედიცინა მიაკვლევს აუტიზმის გამომწვევ მიზეზებს და, შესაბამისად, მის დაძლევის გზებსაც. გენეტიკის კვლევები მოწმობს, რომ აუტიზმთან ასობით გენია დაკავშირებული. მათგან ნებისმიერის მუტაციამ შეიძლება გამოიწვიოს ეს მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ უკვე გვხვდება ღეროვანი უჯრედების გადანერგვის წარმატებული, ერთეული შემთხვევებიც, რომლის შემდეგაც აუტიზმის მქონე ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესება შეიმჩნევა.

# ორი აპრილი

ორ აპრილს მსოფლიო ორ მნიშვნელოვან თარიღს აღნიშნავს – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღეს და აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღეს.

პირველს დიდი ისტორია აქვს – 1967 წლიდან, სიმბოლურად ჰანს კრისტიან ანდერსენის დაბადების დღეს, მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ექცევა საბავშვო ლიტერატურა. წიგნის ბაზრობებსა თუ კონგრესებზე ყოველ წელს სხვადასხვა სპონსორისა თუ მასპინძელი ქვეყნის მიერ ეს დღე სხვადასხვა ღონისძიებით საზეიმოდ აღინიშნება. 2 აპრილი, როგორც აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერაა დაფუძნებული და წელს მერვედ აღინიშნება.

აუტიზმის შესახებ წიგნები, რა თქმა უნდა, არსებობს. თუმცა, როგორც რიგითი მკითხველი, ვისურვებდი, რომ ამ კუთხით მეტი იწერებოდეს. მშობლებისა და ასპერგერის სინდრომის მქონე პირების მიერ დაწერილ ავტობიოგრაფიულ წიგნებთან ერთად მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიც მრავლადაა და ქართულ ენაზეც რომ მოგვეპოვებოდეს, კარგი იქნებოდა. წიგნთან ურთიერთობა ხომ ბავშვობიდან იწყება და ამა თუ იმ საკითხზე ცნობიერების ამაღლებაც სასურველია სწორედ საბავშვო წიგნებიდან მომდინარეობდეს.

სოციალური ვიდეორგოლების არსებობა მისასალმებელია, მაგრამ მათი გზავნილის ბავშვებამდე მიტანა ასაკისთვის შესაბამისი ფორმითაც უნდა მოხდეს. ასე მოიქცა, მაგალითად, ამერიკული საბავშვო გადაცემა Sesame Street, რომელიც ამაყობს, რომ აუტიზმის მქონე პერსონაჟი მულტფილმებში პირველად მან შემოიყვანა.

ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ კარგად დახატული, სახასიათო სახე აუცილებლად ამახსოვრდება მკითხველს და მსგავსი დიაგნოზის/მდგომარეობის მქონე პირთან ცხოვრებაში შეხვედრის დროს მისი მიღებაც აღარ ეძნელება. თუმცა, ამასთან, არსებობს რისკიც, რომ მწერლის ან რეჟისორის მიერ შექმნილი პერსონაჟი იქცეს ერთგვარ ნიშნულად, გაჩნდეს სტერეოტიპი, განზოგადდეს მახასიათებლები და ა. შ. ასე მოხდა, მაგალითად, ბარი ლევინსონის ფილმის – „წვიმის კაცის“ შემთხვევაში. აუტიზმის ხსენების დროს ბევრს

მაშინვე წარმოუდგება კადრები ამ ფილმიდან და მიიჩნევს, რომ აუტიზმის მქონე ყველა პირი ზუსტად მთავარი გმირივით – რეიმონდივით (მსახიობი: დასტინ ჰოფმანი) იქცევა. არადა, ორი ერთნაირი აუტიზმის მქონე ადამიანის პოვნა მსოფლიოში ძნელად თუ მოხერხდება. რამდენიმე საერთო მახასიათებელთან ერთად აუტიზმს არაერთი განსხვავებული წახნაგი და სხვადასხვა გამოვლინება აქვს. ამიტომ ამ მდგომარეობას სპექტრს უწოდებენ.

ზღაპრით თერაპია არტ თერაპიის ერთ-ერთი სახეა, რომელიც თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს როგორც ფსიქოლოგმა, ისევე პედაგოგმა და მშობელმაც და მეტად ეფექტურია. ბავშვთა ფსიქოლოგი ბრუნო ბეთელჰაიმი ზღაპრის პირველად ფუნქციას სწორედ ბავშვების ინტერპერსონალური პრობლემების მოგვარებაში ხედავდა და მის თერაპიულ ეფექტზე მიანიშნებდა. ზღაპრების მეშვეობით დაგროვილი გამოცდილება და უშუალო განცდები გაცილებით მეტ გავლენას ახდენს პატარა მკითხველზე, ვიდრე შეგონებები. ყველა განსაცდელსაც ხომ ბავშვი თავის წარმოდგენაში გმირთან ერთად გაივლის და სიკეთის გამარჯვებასაც მასთან ერთად ზეიმობს. მთავარი აზრი ქვეცნობიერს სიმბოლოებით მიეწოდება და ბავშვი მომავალში აუცილებლად განაზოგადებს ზღაპრის გზავნილებს.

ირმა მალაციძის თერაპიული ზღაპრების კრებული, ვფიქრობ, პირველი წარმატებული ცდაა ქართულ საბავშვო ლიტერატურაში. მის ზღაპრებში ხმა გარკვევით ისმის – იმ ერთის, განსხვავებულის. ვიგებთ, რომ სხვებისათვის საკუთარი ხმის მისაწვდენი გზა ნამდვილად არსებობს, უბრალოდ უამრავ ბილიკსა და მაგისტრალს შორის გამორჩევა უნდა შეძლო.

**„მთისპირა პატარა, მშვენიერ სოფელში პატარა ბიჭი ცხოვრობდა. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, სხვებისგან თითქოს არაფრით განსხვავებული. ეს გარეგნულად, თორემ ფიქრები ჰქონდა უცნაური. ფიქრები, ოცნებები და სიზმრები.**

**ერთ მშვენიერ დღეს საოცარი რამ მოხდა... ბიჭმა აღმოაჩინა, რომ მისი ხმა აღარავის ესმოდა. დადიოდა ბიჭი, ყველას რაღაცას ეუბნებოდა, ადამიანები კი არ პასუხობდნენ. მხოლოდ უკვირდათ. ყველა ისე იყო დაკავებული თავისი საქმით, იმის გარკვევა არავის დაუწყია, რატომ იქცეოდა ბიჭი ასე უცნაურად. ნამდვილად გაგიჟდაო – გადაწყვიტეს და მის დანახვაზე მხოლოდ იღიმებოდნენ. როდესაც ბიჭი მიხვდა, აზრი აღარ ჰქონდა ვინმესთან ლაპარაკს, გადაწყვიტა, დადუმებულიყო. და გაჩუმდა.“**

ზღაპრის ამ მონაკვეთში საზოგადოების გულგრილობა მკვეთრადაა ნაჩვენები. ცოტა თუ ცდილობს საკითხში ბოლომდე გაერკვეს და განსხვავებულ ადამიანს შეცოდებით ან მშრალი ღიმილით ხვდება. ის კი **„დადიოდა თავისთვის, ჩუმად, ხმას არ იღებდა. ხან მინდორში მიდიოდა, ხან ტყეში. ყვავილებსა და სოკოებს კრეფდა, წიგნებს კითხულობდა, მაგრამ აღარავის ესაუბრებოდა. უკვირდათ ბიჭის ასეთი საქციელი, მაგრამ ხალხმა ახლა ის ვეღარ გაიგო, ერთბაშად რამ დააჭკვიანა ბიჭი, რომელიც აქამდე შეშლილი ეგონათ.“**

ზღაპარში ხომ, როგორც ცხოვრებაში ხანდახან, სასწაულები ხდება. ბიჭი ჯერ მეგობარს გაიჩენს, იმ ერთადერთს, რომელსაც მისი ესმის და მალე მათ ხმას სხვა ადამიანებიც გაიგებენ. გოგონასა და ბიჭის ბედნიერებას საზღვარი არა აქვს.

ირმა მალაციძის მეორე ზღაპარში დედის კითხვას, თუ რატომ არ ეთამაშება ბაჭიებს, დათვის ბელებსა და მგლის ლეკვებს, პატარა, მოწყენილი ჟირაფი ასე პასუხობს:

**„აბა, როგორ? ისინი ისეთი პატარები არიან. მათი ხმაც კი არ მესმის, ისე მაღლა ვარ. რატომ დავიბადე ჟირაფად, ჯობდა მინდვრის თაგვი ვყოფილიყავი ან პატარა ბაჭია. მაშინ ასე მარტო აღარ ვიქნებოდი“.**

ამის შემდეგ დედა ჩიტებს, პეპლებსა და ფუტკრებს უბიძგებს, რომ ჟირაფთან ახლოს იფრინონ და დაჭერობენა ითამაშონ. ურთიერთობა შედგება! გამოსავალი ნამდვილად არსებობს!

მომავალი წლის 2 აპრილისთვის ვიმედოვნოთ, რომ აუტიზმის მქონე პერსონაჟი სხვა ქართველი ავტორის წიგნშიც შეგვხვდება და რამდენიმე კარგი წიგნიც იქნება უკვე ქართულად ნათარგმნი. მე, როგორც გამომცემელი, ვეცდები ჩემი წვლილი შევიტანო ამ საქმეში.

# თანასწორობა თანამედროვე ლიტერატურაში

მსოფლიო ბესტსელერის – „ფრანით მორბენალის“ ავტორის ბოლო რომანებს შიშითა და დიდი ინტერესით გავეცანი. მაინტერესებდა, ხალიდ ჰოსეინი, ავღანური წარმოშობის ამერიკელი მწერალი, რომლის პირველივე რომანი დამამთავრებელ კლასებში სავალდებულო საკითხავ ლიტერატურად გამოცხადდა, რა სიახლეს შემოგვთავაზებდა, თან წარმატებული დებიუტის შემდეგ იმედიც არ მინდოდა გამცრუებოდა. ორი ბიჭის მეგობრობის სულისშემძვრელი ამბავი, ავღანური ფონი პირველ რომანში ხშირად მკითხველსა და ჟურნალისტებს უბიძგებდა, რომ მწერლის ბიოგრაფიასთან გაევლოთ პარალელი. ის კი ხუმრობდა: შემდეგ რომანში ქალებზე ვწერ და მიხარია, რომ აღარავის გაუჩნდება ეჭვი, რომ ყველაფერი გამოგონილია და თავს მე არ გადამხდაო.

ხალიდ ჰოსეინი სამივე რომანში დრამატულად აღწერს სცენებს, ოსტატურად ხატავს პერსონაჟებს, რომელთა შორის შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებიც არიან.

რომანში „მთებმა მთებს უთხრეს“ (მთარგმნელი ლალი ყუშიტაშვილი) შშმ პირები განსაკუთრებით მრავლად გვხვდება. ვფიქრობ, ეს სულაც არაა შემთხვევითი. მწერალი მათ წარმოგვიდგენს საკუთარი ვნებებით, ინტერესებითა და ბედით. ისინი საზოგადოების მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი წევრები არიან და სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა კონტინენტზე ცხოვრობენ.

**„ხალხმა თვალები ჭყიტა და ოხვრა დაგვადევნა, როცა მიხვეულ-მოხვეულ საცალფეხო გზაზე ჩავიქროლეთ. ზოგი შეჩერდა და მოგვაშტერდა, ზოგმა თითი გამოიშვირა. ვცდილობდი, მათკენ არ გამეხედა. თვალის კუთხით მხოლოდ ერთმანეთში არეულ ფერმკრთალ სახეებსა და დაღებული პირების ერთ დიდ ლაქას ვხედავდი. ბავშვები სკოლის ეზოში გაიფანტნენ, გზა დაგვითმეს. ჩემს ყურს გოგონების კივილის ხმა მისწვდა. გაქანებული ბურთი კეგლის ფიგურებს შორის რომ შეგორდება, დედა ისე შეგრიალდა ეზოში. თან თალიას მიათრევდა. ეზოს კუთხეში გრძელი სკამი იდგა. დედა გზას იქით იკვლევდა. სკამზე ავიდა, თალიაც აიყვანა და სასტვენს სამჯერ ჩაჰბერა. ყველამ ხმა გაკმინდა.**

**– ეს თალია გიანაკოსია! – დაიყვირა დედამ, – დღეიდან... – შეჩერდა, – ვინც ახლა ტირის, პირი მოკეტოს, სანამ მართლა ტირილის მიზეზი მიმიცია... დღეიდან თალია ჩვენი სკოლის მოსწავლეა. მოველი, რომ წესიერად და ღირსეულად მოექცევით. თუ ჩემს ყურამდე მოაღწევს, რომ რომელიმე დასცინის, იცოდეთ, ვინც არ უნდა იყოს, მწარედ ინანებს. და იცით, რომ ასე იქნება! ამასთან დაკავშირებით მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.**

**სკამიდან ჩამოვიდა. თალიას ხელი ჩასჭიდა და საკლასო ოთახისკენ გაემართა. იმ დღის შემდეგ თალიას ნიღაბი არც სახლში უტარებია და არც კარში."**

ეს საბერძნეთია. როგორც ჩანს, მწერალი მიიჩნევს, რომ იქ შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემა კვლავაც აქტუალურია. განსხვავებული ადამიანის ნახვის სურვილით შეპყრობილი ხალხის რაოდენობა იმდენად დიდი აღმოჩნდება, რომ ერთი პერიოდი ამ პერსონაჟის ყოველდღიური ცხოვრებაც გაჭირდება. ოჯახის წევრებს სახლთან თავმოყრილი ცნობისმოყვარე ქალაქელების მოგერიებაც მოუწევთ.

რომანის მიხედვით, საზოგადოების ცნობიერება ყველაზე მაღალი ამერიკაში ჩანს. შშმ პირებს იქ განსაკუთრებული პატივით ხვდებიან და გარემოსაც მათი ინტერესების გათვალისწინებით ცვლიან:

**„ჰექტორი მეზღვაური იყო. სამხრეთ ავღანეთში მსახურობდა. თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქების დროს მძიმე დაზიანება მიიღო. როცა, ბოლოს და ბოლოს, შინ დაბრუნდა, მის შესაგებებლად მთელი კვარტალი გარეთ გამოვიდა. მშობლებმა წინა ეზოს კედელზე წარწერა გააკრეს: „კეთილი იყოს შენი სახლში დაბრუნება!" იქაურობა ბუშტებითა და უამრავი ყვავილით მორთეს. როცა ჰექტორის მშობლების მანქანა სახლს მოუახლოვდა, ხალხმა ტაში დასცხო. რამდენიმე მეზობელმა ღვეზელი გამოაცხო. ვიღაცები ჰექტორს მადლობას უხდიდნენ: „ღმერთმა დაგლოცოს! აბა, გამაგრდი!" ჰექტორის მამა, ცეზარი, რამდენიმე დღეში ჩვენთან მოვიდა და ჩვენთანაც ზუსტად ისეთივე გზა მოვაწყვეთ ინვალიდის ეტლის სამოძრაოდ, როგორიც თავის სახლში ჰქონდა."**

განსხვავებული ვითარებაა ამ მხრივ ავღანეთში, სადაც საღარიბეში მცხოვრები ხეიბარი გოგონას ერთადერთი სიხარული ოპიუმის მოწევაა მასზე მზრუნველ ტყუპისცალ დასთან ერთად. ეტლი, რა თქმა უნდა, არ აქვს, რის გამოც გადაადგილება რთულია და მისი ხელში აყვანა უწევთ. ახალგაზრდა ქალის ყოფა ამქვეყნად იმდენად მძიმე და დამთრგუნველია, საბოლოოდ სიკვდილს ირჩევს, რათა მომვლელი „გაათავისუფლოს" პასუხისმგებლობისგან და გზა გაუხსნას პირადი ბედნიერებისკენ.

მეორე პერსონაჟ მამაკაცს ავღანეთიდან, ქაბულიდან, რომელიც შეძლებული ოჯახიდანაა, მომვლელი აიძულებს ეტლში ჩაჯდომას და გასეირნებას:

**„შემოსასვლელიდან ინვალიდის ეტლი შემოვაგორე. დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ვარწმუნებდი, რომ შეგვეძინა, მაგრამ ვერ ვითანხმებდი. ეს სავარძელი ჩემი ინიციატივით ვიყიდე. დაინახა თუ არა, თავი გააქნია.**

**– მეზობლების გამო? – ვკითხე მე. – ასე გაღელვებთ მეზობლების აზრი?**

**ზევით ამიყვანეო, მითხრა.**

**– სულ არ მაინტერესებს, რას ფიქრობენ მეზობლები, – ვთქვი მე. – კარგი ამინდია და ახლა ჩვენ სასეირნოდ მივდივართ! და თუ არ წავალთ, თუ ამ სახლიდან არ გავაღწევთ, ნამდვილად ჭკუიდან გადავალ და რას მოგცემთ, სულეიმან, ჩემი გაგიჟება? ნუღარ ტირით, რა არის ეს, მოხუცი ქალივით იქცევით!..**

**ავწიე და ეტლში ჩავსვი. ხან ტიროდა, ხან იცინოდა. თავს აქნევდა და „არა, არაო!“ – იმეორებდა. შალი გადავაფარე და კარისკენ გავაგორე.“**

რომანში „მთებმა მთებს უთხრეს“ შეზღუდული შესაძლებლობის ყველა პირი განსაკუთრებული ნიჭით, გარეგნობითა და ხასიათით გამოირჩევა. ერთი მათგანი მწერალი დადგება, მეორე – ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი. მომხიბლავი, მამაცი, გულითადი, მხიარული, მეგობრული... – ეს ეპითეტთა მცირე რაოდენობაა, მათ შესახებ რომ შეიძლება ითქვას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საკუთარი მდგომარეობის გამო არც ერთი არ ბოროტდება. პირიქით, ადამიანების მიმართ მადლიერებას საქმით გამოხატავენ და ქველმოქმედება ახასიათებთ.

განსაკუთრებული დამსახურება მათ ჩამოყალიბებაში მზრუნველებს, მომვლელებს მიუძღვით. ზოგი ოჯახის წევრია, ზოგი – დაქირავებული, ზოგი კი სრულიად უცხო ადამიანი, რომელიც რეაბილიტაციის პროცესის საწყის ეტაპზე ხელს უმართავს, რაც დიდ ბიძგს აძლევს შშმ პერსონაჟებს, რომ მომავალში წარმატებებს მიაღწიონ.

და მაინც, რატომ გადაწყვიტა ხალიდ ჰოსეინიმ, 2013 წელს დაწერილ წიგნს ამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პერსონაჟი ჰყოლოდა? პასუხი ვფიქრობ, ერთ-ერთი პერსონაჟის, პლასტიკური ქირურგის, სიტყვებში უნდა ვეძებოთ:

**„მინდა, რომ: თალიასნაირების ხვედრი სხვებისას გავუთანაბრო, სკალპელის ყოველი მოძრაობით შემთხვევითი უსამართლობა გამოვასწორო, მსოფლიო წესრიგს შევეწინააღმდეგო, რომელსაც სამარცხვინოდ მივიჩნევ, და რომლის დროსაც შეიძლება ძაღლის ნაკბენმა გოგონას მომავალი წაართვას, გარიყოს, დაცინვის საგნად აქციოს.“**

ხატოვნად რომ ვთქვათ, ჰოსეინი „კალმის ყოველი მოძრაობით“ ცდილობს ყველა პერსონაჟის „გათანაბრებას“ და ვფიქრობ, მშვენივრადაც ახერხებს. მართლაც, რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟებს შორის გაჭირდება „მეორეხარისხოვანის“ გამოყოფა, რადგან აქ თითქმის ყველა „მთავარი“ მოქმედი პირია.

# „სახელმწიფოს სიზუსტე უყვარს“

## მოთხრობა

ოთხი წელია, 21 წლის ტუსი ძმასთან ერთად მატარებლის ვაგონში ცხოვრობს. მათ მხოლოდ რადიომიმღები, ნათურა, სამი ჭიქა, ორი თეფში, საწოლი, კარადა, ფეხის საწმენდი ჩვარი, ცოცხი, ალუმინის პატარა ქვაბი, ორი წყვილი ფეხსაცმელი, სუფრის კოვზი, დანა-ჩანგალი და რამდენიმე წიგნი აქვთ. ეს მონაცემები ანკეტიდანაა, რომელიც სოცმუშაკმა შეავსო სოციალურად დაუცველი და-ძმის ვაგონში. ერეკლე დეისაძის მოთხრობაში („სიზუსტე“) დევნილი, უდედმამო სიმსივნიანი გოგოსა და მისი ძმის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდია აღწერილი. გაუსაძლისი ყოფა ძმას აიძულებს ქუჩაში იმათხოვროს და შიგადაშიგ წებოც ისუნთქოს.

„როცა ადამიანი კვდება, მარხავენ. ტუსის შემთხვევაში პირიქით მოხდა. ჯერ დამარხეს და მერე მოკვდა.“ – ასე იწყება მოთხრობა და მკითხველიც ასე თუ ისე მზადაა სიუჟეტის განვითარებისთვის, თუმცა არა – ცინიზმისთვის. ტუსის დამადლებული პირველი ქიმიოთერაპიის კურსის გარდა სახელმწიფომ შესაძლოა და-ძმას ყოველთვიური დახმარებაც დაუნიშნოს. მაგრამ სახელმწიფოს სახაზავი არასდროს ცდება:

„იმისათვის, რომ სახელმწიფო დახმარება დაგენიშნოთ, ნაოპერაციები ფეხი ხუთი სანტიმეტრით ნაკლები უნდა იყოს მეორეზე, – თქვა სტუმარმა და მცირე პაუზის შემდეგ დაამატა, – აქ 4 სანტიმეტრი და 95 მილიმეტრია... სახელმწიფოს სიზუსტე უყვარს“.

## ფილმი

„არსებობს გარკვეული სტანდარტები და ამ ჩარჩოში უნდა ჩაჯდეთ“, „ნუ ცდილობთ ბავშვით გული აგვიჩუყოთ და ნუ სპეკულირებთ“ – გულგრილად მოუწოდებენ სოციალური აგენტები მარტოხელა ქალს, აუტიზმის მქონე მცირეწლოვანი ბიჭის დედას ნინო ბასილიას ფილმში „ანას ცხოვრება“, როდე-

საც ანა სახელმწიფოსგან დახმარებას ითხოვს. ის ხომ მუშაობს და ხელფასიც აქვს, ზოგს კი ქაღალდის ფული თვალითაც არ უნახავს!.. „აქ იცით რამდენი თქვენნაირი მოდის? სახელმწიფო ყველას ვერ გაწვდება!“ – შეუვალი არიან საჯარო მოხელეები. სოციალური დრამა გარკვეულწილად ასახავს თანამედროვე ქართულ ყოფას და აჩვენებს ბიუროკრატიულ სიმკაცრეს, სიხისტეს, გნებავთ – სიზუსტეს ყოველ დეტალში. არანაირი გადახვევა კანონიდან! ფუქსავატი სახელმწიფო მოხელეების პრემიებიც ხომ ყოველთვის კანონიერია?!.

## ქართული რეალობა

ახლახან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელს ან ადამიანს, ვინც მასზე 18 წლის ასაკის შემდეგ უნდა იზრუნოს, სახელი შეეცვალა: „მეურვის“ ნაცვლად საქართველოში მას უკვე „მხარდამჭერი“ ჰქვია და ეს „წოდება“ 5 წლით ენიჭება. მხარდამჭერად აღიარება სასამართლოს პრეროგატივაა. თუმცა ჯერ ფსიქოლოგიურმა დისპანსერმა, სამხარაულის ბიურომ და სოციალურმა სააგენტომ უნდა დაადასტუროს, რომ კონკრეტული პირი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა და მას მხარდამჭერი ნამდვილად სჭირდება. აი, სწორედ ამ რგოლებშია კვალიფიციური კადრების დეფიციტი:

„ეს ბიჭი რა აქტიურია?!. მოძრავი აუტისტი მე არ მინახავს! ეგენი ხომ თავისთვის სხედან? თავიანთი სამყარო აქვთ... ბოთლს აკვირდება და ამან სავარაუდოდ კითხვაც იცის და რაღაც სხვა დიაგნოზი უნდა იყოს.“ – ეუბნებიან 18 წლის აუტიზმის მქონე ბიჭის დედას და დაუსრულებლად გზავნიან სხვადასხვა დაწესებულებაში. საქართველოში მხარდამჭერები მეტწილად დედები არიან და შშმ შვილებზე ზრუნვის გამო მუშაობას ვერ ახერხებენ. ბიუროკრატიის გამო იკარგება ძვირფასი დრო, რაც ხშირად აისახება როგორც შშმ პირის რეაბილიტაციის პროცესსა და შედეგზე, ისე მხარდამჭერის ნერვებზე. გულგრილობას და სავარაუდოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დაზოგვას უკავშირდება შემთხვევა, რომელიც საკმაოდ ხშირია:

საქართველოში შშმ პირებისთვის განკუთვნილ დღის ცენტრებში ადგილები შეზღუდულია, მოთხოვნა კი გაცილებით მეტია. ვაუჩერი, რომელსაც შშმ პირებზე გასცემს, სახელმწიფოს 220 ლარი უჯდება. როდესაც სრულწლოვნების ასაკის შესრულებამდე რამდენიმე თვე რჩება, პირობითად შშმ პირის დედას ჯერჯერობით გაურკვეველი სტატუსის გამო უარს ეუბნებიან მოთხოვნაზე, მოიპოვოს შემდეგი თვეების ვაუჩერები შვილისთვის – ჯერ სასამართლოს გადაწყვეტილება მოიტანეო. სხვა გზასაც უტიფრად სთავაზობენ: შენ ნაცვლად

თავად შშმ პირმა რომ მოითხოვოს ვაუჩერი, დაწეროს განცხადება და ხელიც მოაწეროს, ავტომატურად გაუგრძლდება მომსახურებაო. როცა შშმ პირი მეტყველებს, სასამართლო განხილვის აუცილებლობა აღარაა – მისი სასურველი ადამიანი ნოტარიუსის მეშვეობით გახდება „მხარდამჭერი“. მაგრამ რა ხდება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა 18 წლის პირი ვერც მეტყველებს და ვერც წერს, მშობელი კი ჯერ აღიარებული არაა მხარდამჭერად? სასამართლო პროცესები ხომ თვეობით, ხან წელიწადსაც კი იწელება? ამ გაურკვევლობის პერიოდში შშმ პირი სახელმწიფო პროგრამის მიღმა რჩება – მას არ აძლევენ დღის ცენტრის რამდენიმე თვის (ხშირად 9 თვისაც კი) ვაუჩერებს და, შესაბამისად, ძირითად დროს ის სახლში ატარებს, რაც წინა თვეების შედეგებს წყალში ყრის. საქართველოში ძალიან იშვიათია შშმ პირების დასაქმების შემთხვევები.

## ბლოგი

„ამ ბავშვებს მაინც არაფერი გამოუვათ“, „ტყუილად წვალობენ დედებიც და ბავშვებსაც ტანჯავენ“, „ვერაფერს სწავლობენ და სხვებსაც უშლიან ხელს განათლების მიღებაში“ – ასეთ ფრაზებს კიდევ თუ წავაწყდებოდი, აღარ მეგონა. ეს განხილვა სოციალურ ქსელში მოჰყვა მეგი კავთუაშვილის ბლოგს, სადაც თბილისის ერთი სკოლის ამბავი იყო მოთხრობილი. სკოლაში ახლახან ერთმანეთს რიგითი, ტიპური განვითარების მოსწავლისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობლები დაუპირისპირდნენ. მშობლების უმეტესობა კლასიდან ჰიპერაქტიური სინდრომის მქონე თეკლას გადაყვანას მოითხოვდა. ფიზიკური შეხლა-შემოხლის შემდეგ გოგონა სკოლიდან გაიყვანეს და სახლში გამოკეტეს. დაიჩაგრა უმცირესობის წარმომადგენელი, შეილახა მისი განათლების უფლება, გაიმარჯვა განსხვავებულის მიმართ სიძულვილმა.

რბილად რომ ვთქვათ, გასაკვირია, როცა სწორედ ასეთ არატოლერანტულ ადამიანებს უჩუყდებათ ხოლმე გული ვირტუალურ სამყაროში აუტიზმის მქონე ბავშვების „საოცარი ფრაზებით“ თუ ვუნდერკინდების აღმოჩენებით ან დაუნის სინდრომის მქონე პირების შესანიშნავი თამაშით კინოში, და „მეორე ხელით“ საკუთარ „კედლებს“ აჭრელებენ მსგავსი სტატიებით სოციალურ ქსელებში.

## ჩვენი წარსული

რა მოხდა? ვის არ მოსვლია?! ვის არ დაუმცირებია „გონებასუსტი“ (ადრე კონკრეტული დიაგნოზების გარკვევას ვინ დაგიდევდათ) თანაკლასელი ან

მეზობელი? ახლა ამას ბულინგს ვუწოდებთ, არც თუ ისე შორეულ წარსულში კი ბავშვები მას აბუჩად აგდებას ვეძახდით. მეც ვარ სამწუხაროდ მოძალადეთა შორის. მახსოვს, კლასიც ავიყოლიე ხითხითში და „ჩემს ჭკუაზე გავატარე“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონა, რის გამოც მისი დედისგან და შემდეგ – მასწავლებლისგანაც გავიკიცხე, მაგრამ ეს ცხოვრებისეული გაკვეთილი დღემდე მწარედ მახსოვს. მარტივად შეიძლება ბავშვობაშივე მიხვდე, რომ საკუთარი უპირატესობის გამოყენება ხშირად უღირსი საქციელია.

## სამიზნე სკოლა

**„ძვირფასო ბენ,**

**გილოცავ სასწავლო წლის დასრულებას.**

**ამ წერილს იმიტომ გწერ, რომ შენც და შენს მშობლებსაც ტესტის შედეგები ვაცნობო.**

**მნიშვნელოვანი ინფორმაცია: ეს შედეგები სრულად ვერ აფასებს შენს შესაძლებლობებს. რა თქმა უნდა, შედეგები მნიშვნელოვანია, მაგრამ, ბენ, შენ უამრავი სხვა, ჩვენთვის უცნობი უნარი და ნიჭი გაქვს. შენი ღირსებები, რომელთა შეფასებაც ამ ტესტებს არ შეუძლია, ასეთია:**

- **ხატვის ნიჭი**
- **გუნდური მუშაობის უნარი**
- **მზარდი დამოუკიდებლობა**
- **სიკეთე**
- **საკუთარი აზრის გამოხატვის უნარი**
- **მეგობრობის ნიჭი**
- **საკუთარი პროგრესის შესახებ მსჯელობისა და შეფასების უნარი**
- **სპორტული და მუსიკალური წარმატებები**

**ჩვენ ძალიან გვახარებს, რომ შენ ამდენი სხვადასხვა უნარი გაქვს. ეს შენ განსაკუთრებულს გხდის.**

**შენ პიროვნება ხარ. და ეს ისაა, რასაც ჩვენ ვაფასებთ. შენ გამუდმებით ვითარდები და არაჩვეულებრივი, კაშკაშა ყმაწვილი ხარ.**

**ბენ, ყოჩაღ! ჩვენ ვამაყობთ შენით.**

**საუკეთესო სურვილებით, მისის კლარკსონი“**

კარგი და ცუდი შემთხვევები ინკლუზიური სწავლებისას გვხვდება როგორც საქართველოს სკოლებში, ისე საზღვარგარეთაც. ბრიტანელი მასწავლებლის მიერ 11 წლის ბენისთვის გაგზავნილი ეს წერილი შესანიშნავი მაგალითია იმისა, როგორ შეიძლება სსსმ მოსწავლე მისი საუკეთესო თვისებებითა და გამორჩეული უნარებით წარმოაჩინო და არა სუსტი მხარეებით.

## დღევანდელობა

სასწავლო წლის ბოლოს ჩემი სათვალიანი, 6 წლის, აუტიზმის მქონე ბიჭი უკვე ძალიან დაღლილია, რადგან ძალიან დატვირთული რეჟიმი აქვს. მისი ტოლი ბავშვები სექტემბერში შედიან სკოლაში, ის კი სავარაუდოდ 7 წლისა შევა. მისი ასაკის ბიჭებს ალბათ გაუძნელდებათ 40 წუთიან გაკვეთილებზე ჯდომა, ის კი ყოველდღიურად, უკვე 4 წელია, საათობით მეცადინეობს სპეციალურ პედაგოგებთან, ABA თუ ოკუპაციურ თერაპევტებთან, რომ „ჩვეულებრივ“ ბავშვებს „დაემსგავსოს“, დაეწიოს. მისი თითოეული წუთი განსხვავებულ გარემოში ახალი გამოცდილებაა, ახალი „გამოწვევაა“, რომელიც უნდა დაძლიოს, რომ მოერგოს ჩვენს სამყაროს იმისთვის, რომ მომავალში არ მიუთითონ, რომ მან ცალკე ინტერნატში, „თავისნაირებთან“ ერთად უნდა ისწავლოს.

დადგენილია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მდგომარეობა უმჯობესდება ინკლუზიურ გარემოში, რომ არაფერი ვთქვათ „ჩვეულებრივ“ ბავშვებზე, რომლებიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე თანაკლასელებთან სწავლით მეტად ტოლერანტულ და მზრუნველ პიროვნებებად ყალიბდებიან.

## უცხოური ფილმი და რეალობა

ფილმ „ნოთინგ ჰილში“ ერთი ეპიზოდია, როდესაც კაცს სურს შეაღწიოს პრესტიჟული სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში, სადაც კინოვარსკვლავთან ჟურნალისტების შეხვედრაზე დასწრება მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული საშვებითაა შესაძლებელი. როცა შეაჩერებენ და საბუთებს მოსთხოვენ, მას უცებ ეტლით მოსარგებლე მეგობარი გამოექომაგება: ეს მე მახლავსო და დაუყოვნებლივ შეუშვებენ. აქედან ჩანს არა მხოლოდ პატივისცემა შშმ პირისა, არამედ შიშიც კანონდარღვევისა. ცივილიზებულ ქვეყნებში ვერავინ ბედავს შშმ პირების უფლებების დარღვევას. მათ კანონი რეალურად იცავს.

მეტიც, ზოგი გადაჭარბებულ ლოიალობასაც კი მიმართავს შიშით – რაიმე ქმედება დისკრიმინაციულ მოპყრობად არ ჩამეთვალოსო.

ამასთან, მახსენდება მონათხრობიც ერთი ეტლით მოსარგებლე ამერიკელი ქალისა, რომელიც მაღალ თანამდებობას იკავებს თავის ქვეყანაში. აქაც კი, ასეთ განვითარებულ ქვეყანაში, შინაგანად მაინც ვგრძნობ, რომ „ჩვეულებრივი“ ადამიანები ზემოდან მიყურებენ, თანასწორად არ აღმიქვამენ, უპირატესად გრძნობენ თავს ჩემი მიღწევების მიუხედავადო.

## ეპილოგი

ბოდიშს ვუხდი ჩემს სათვალიან, აუტიზმის მქონე, ჰიპერაქტიურ შვილს, რომელიც დაბადების დღეზე არ წავიყვანე – იმდენს ირბენს, დავიღლები-მეთქი (სხვების აზრი ან გაოცებული მზერა კარგა ხანია აღარ მაღელვებს). თვითონაც გადაღლილი იყო სპეციალურ გაკვეთილებსა და საბავშვო ბაღში სიარულით. დაბადების დღეზე, რომელიც ღია ცის ქვეშ ზაფხულის გრილ საღამოს გაიმართა და ყველა სტუმარ ბავშვს ჰქონდა საშუალება ცხენზე დამჯდარიყო, ჩემმა „ჩვეულებრივმა“, ორმა ცელქმა შვილმა მაინც დამღალა. არც ის განსაკუთრებული ბიჭი უნდა გამოკლებოდა ამ მხიარულებას, ბიჭი, რომელმაც რამდენიმე წლის წინ, ზოოპარკში სპეციალურად ამ „განსხვავებული ბავშვებისათვის“ გარეთ გამოყვანილ პონის ისე აკოცა და „ელაპარაკა“, იმდენი ეფერა და უცინა, თითქოს ძველი მეგობარი ნახაო.

ყველანაირად ვეცდები მაქსიმუმი გავაკეთო მისთვის და მე მარტო არ ვარ. ჩვენ, შშმ ბავშვების მშობლები, ბევრნი ვართ და თუ სახელმწიფოს/ხელისუფლებას სიზუსტე, ხელმომჭირნეობა და დემაგოგია უყვარს, ჩვენც ბევრი რამე შეგვიძლია. ჩვენ შევცვლით დღევანდელობას და მივაღწვთ, რომ კანონი რეალურად იცავდეს ჩვენს შვილებს, ვერავინ ბედავდეს ამ ქვეყანაში მათი უფლებების შელახვას, კუთვნილი მომსახურების წართმევას, სკოლიდან გაგდებას და სხვ.

რაც შეეხება განსხვავებულების საზოგადოებისგან გარიყვის მომხრეებს, ისინი ყოველთვის და ყველა ქვეყანაში იყვნენ და იქნებიან. ზოგი პირდაპირ ამბობს საკუთარ აზრს, ზოგს კი შინაგანი ეთიკა არ აძლევს ნებას, მაგალითად, შშმ პირების მიმართ მიუღებლობა ხმამაღლა გამოხატოს 21-ე საუკუნეში. ასეთების ჯიბრზე და ყველა კეთილისმსურველის გასახარად, ვიცი, ეს ბავშვები ყველაფერს შეძლებენ, ბევრს გააოცებენ, დიდ წარმატებას მიაღწევენ და წლების შემდეგ ნიჰილისტებს საკუთარი სიტყვების შერცხვებათ! ამას ვპირდებით.

# რეცეფტული ენის დარღვევა ბავშვებში

რეცეფტული ენის დარღვევებით ბოლო პერიოდში ბევრ ბავშვს ვხვდები. არაპროფესიონალი ადამიანისთვის ამ დიაგნოზსა და აუტიზმს შორის ზღვარის გავლება ძალიან ჭირს. მით უფრო, რომ ე. წ. ABA, ქცევითი თერაპია ხშირ შემთხვევაში ორივე დიაგნოზის მქონე ბავშვებს ენიშნებათ. საკითხში გასარკვევად ბავშვთა ფსიქიატრსა და ნევროლოგს, **მედეა ზირაქაშვილს** მივმართეთ.

**ჩვენს საზოგადოებაში ხშირად გვესმის ტერმინები: „ენისა და მეტყველების დარღვევები“, „ექსპრესული ენის დარღვევა“, „რეცეფტული ენის დარღვევა“, „სულმოუთქმელი მეტყველება“, რაც, ვფიქრობ, ძალიან აბნევს ბავშვების მშობლებს, რომლებსაც ექიმები აღნიშნული დიაგნოზებით ამისამართებენ მეტყველების თერაპევტებთან. ჩამოთვლილი სახელწოდებები ერთი და იმავე პრობლემის სხვადასხვა ფორმულირებაა, თუ...**

ძალიან ხშირად ყოფით საუბრებში „ენის დარღვევები“ და „მეტყველების დარღვევები“ ურთიერთჩამნაცვლებელ ტერმინებად გამოიყენება, რაც ერთმნიშვნელოვნად უკვე დიდი შეცდომაა. ენისა და მეტყველების დარღვევების ჯგუფი განსხვავებული კატეგორიებია და თითოეული სხვადასხვა ტიპის დარღვევას მოიცავს. შესაბამისად, მათზე სამუშაოდ მნიშვნელოვანია დიაგნოზის სწორად დიფერენცირება.

**მაშინ იქნებ განვმარტოთ რა განსხვავებაა ამ დიაგნოსტიკურ კატეგორიებს შორის და რა თავისებურებებს მოიცავენ ისინი? მაგალითად, რა არის მეტყველება და მისი დარღვევები?**

მეტყველება კომუნიკაციის ვერბალური გამოხატულებაა და წარმოადგენს ენის კუნთების, ტუჩების, ყბებისა და ვოკალური ტრაქტის კოორდინირებულ მოძრაობას ბგერათა პროდუცირებისთვის. ამ კოორდინირებულ მოქმედებათა კასკადში ნებისმიერი კომპონენტის დაზიანებამ შესაძლოა გამოიწვიოს ზემოთ აღნიშნული ბგერათა წარმოთქმის დარღვევა. სწორედ ბგერების

არასწორად გამოთქმა არის „მეტყველების დარღვევის“ ყველაზე ადეკვატური განმარტება. მეტყველება კი მოიცავს არტიკულაციას, ხმას და მეტყველების დინებას. მეტყველების დარღვევებიდან ყველაზე ხშირია: ენაბორძიკობა, სულმოუთქმელი მეტყველება, დიზართრია...

**რა არის ენა და როგორ ხდება ენის განვითარება? ვისაუბროთ დადგენილ ნორმებზე ბავშვის სხვადასხვა ასაკში.**

ენა სიტყვებისა და მთელი რიგი სიმბოლოების სისტემაა, გადმოცემული წერილობითი, სალაპარაკო, ჟესტების და სხეულის ენის ფორმით. ენის განვითარება, ადამიანის სოციალურ- კოგნიტური განვითარების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. ენა კომპლექსური, განსაკუთრებული უნარია, რომელიც ბავშვში ვითარდება სპონტანურად, ინსტინქტურად, ცნობიერების დაძაბვისა და მითითების გარეშე. სხვადასხვა ინდივიდში ენის განვითარება ხარისხობრივად იდენტურია, განსხვავებულია მხოლოდ მიღებული ინფორმაციის აღქმა და მისი გადამუშავება. მისი მთავარი ფუნქცია ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარებაა. ის შედგება ფონეტიკისგან, სემანტიკისგან, ლექსიკისა და პრაგმატიკისგან.

უფრო დეტალურად გადავხედოთ ენის განვითარებას: ორსულობის მეორე ტრიმესტრის ბოლოსთვის ნაყოფი უკვე ასხვავებს სხვებისგან დედის ხმას. დაბადებიდან ძალიან მოკლე პერიოდში ახალშობილი იწყებს სამეტყველო ბგერების გარჩევას. ყურადღების გამახვილება მოზრდილთა ხმის ტემბრზე, სახის გამომეტყველება და შესაბამისი ტანის მოძრაობები შეინიშნება 3 თვის ასაკისთვის; იმიტაცია (მიბაძვა, გამეორება) და რეციპროკული (ორმხრივი) კომუნიკაცია ვითარდება 6 თვისთვის. სოციალური ჟესტიკულაციური თამაშები, ჩვენი ანალოგიით „ჭიტა“ და ა. შ. ტიპურია 9-10 თვისთვის. თავდაპირველად ბავშვი გამოხატავს სიტყვების აღქმას სელექციური მითითებით საგანზე ან სხვა ქცევითი მინიშნებებით. ამ დროს იმიტაცია და ექოლალია (სხვისი ნათქვამის გამეორება) ექსპრესიული ენის განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია. თუ სიტყვათა ლექსიკონი 50-70 სიტყვამდეა, ჩნდება ფრაზები და ორსიტყვიანი წინადადებები. სიტყვათა კომბინაციის შესაძლებლობები აჩენს გრამატიკის, კერძოდ სინტაქსის ელემენტებს – თავიდან მარტივს, სწრაფი გართულების შესაძლებლობით. 3 წლისათვის ბავშვთა უმეტესობა იყენებს სამსიტყვიან წინადადებებს სიტყვათა სწორი წყობით, კუთვნილებითი ნაცვალსახელებითა და ზმნის მარტივი წარსული ფორმით. ამ ასაკის ბავშვთა

საუბრის 50% გასაგები უნდა იყოს უცხოთათვის. 5 წლისთვის პასუხობენ შეკითხვებს: „როდის?“, „რატომ?“, „როგორ?“. ღია შეკითხვებზე პასუხის უნარი აძლევთ მათ საშუალებას აწარმოონ მოკლე დიალოგები, იყენებენ ენას ინფორმაციის მისაღებად და თან საკუთარი აზრების გასახმოვანებლად. მეტყველება ძირითადად გასაგებია უცხოთათვის. 7-8 წლის ასაკისათვის ბავშვებს შესწევთ კომპლექსური წინადადებების სტრუქტურის ყოველდღიურ საუბარში გამოყენების უნარი და იწყებენ ირონიის, სარკაზმისა და იუმორის გაგებას.

**რა არის ენის დარღვევა?**

როდესაც გარკვეული ფაქტორების ზეგავლენით ადამიანს აქვს სირთულე გაიგოს სხვისი ნათქვამი ან გაუზიაროს სხვას საკუთარი მოსაზრებები, იდეები და გრძნობები, საუბრობენ ენის დარღვევებზე.

ენის დარღვევები წარმოდგენილია რეცეფტული ენის დარღვევით, როდესაც ინდივიდს უჭირს სხვისი ნათქვამის ადეკვატურად აღქმა/გაგება. ამ დროს, ნორმალური ინტელექტის მიუხედავად, ბავშვებს უჭირთ გაიგონ და შესაბამისად შეასრულონ დირექტივები; აქვთ ძალიან მწირი სიტყვათა მარაგი; უჭირთ გაიგონ ასაკის შესაბამისი შეკითხვები და უპასუხონ მათ; ხშირად სხვის ნათქვამსა და დასმულ შეკითხვას მყისიერად იმეორებენ; არ იჩენენ ინტერესს, როდესაც მშობლები წიგნს უკითხავენ; აიგნორებენ, როდესაც მიმართავენ ან დავალებას აძლევენ; მათი სიტყვების და წინადადებების შინაარსი გაუგებარია; უჭირთ სხვისი ნათქვამის დამახსოვრება, შესაბამისად ვერ გამოიტანენ აზრს ნათქვამიდან.

**როდის და რა სიმპტომების არსებობის შემთხვევაში უნდა შეშფოთდეს მშობელი და რა ასაკიდანაა შესაძლებელი რეცეფტული ენის დარღვევის დიაგნოზის დასმა?**

რეცეფტული ენის დარღვევების დროს პრობლემები, როგორც წესი, თავს იჩენს 3 წლის ასაკამდე. თუ მშობელი შენიშნავს, რომ ბავშვს განვითარების ადრეულ ეტაპზე აქვს ენის დარღვევების ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნები, ეჭვი უნდა მიიტანოს, რომ შესაძლებელია, სულ მცირე, ეს იყოს რეცეფტული ენის დარღვევა და დროულად უნდა მიმართოს ბავშვთა ფსიქიატრს და მეტყველების თერაპევტს, რადგან ეს დარღვევები შემდგომ წლებში იწვევს ხოლმე აკადემიური მოსწრების პრობლემებს.

- ბავშვმა გვიან წარმოთქვა პირველი სიტყვები, გვიან დაიწყო სიტყვათა შეკავშირება (ფრაზები);

- იშვიათად ამბობს კომპლექსურ წინადადებებს, ისიც მრავალი გრამატიკული შეცდომით. აქვს დროის წარმოების პრობლემები, მაგ.: „გუშინ“, „ხვალ“;
- მისი საუბარი გაურკვეველია, არაინფორმაციულია და მოკლებული ფაქტებს. დეტალები ჩანაცვლებულია ამგვარი სიტყვებით: „იმან“, „ის“;
- უჭირს სიტყვების ფონემატური დიფერენციაცია, შესაბამისად ლექსიკონი მწირია;
- უჭირს ბგერათა ნაკადიდან საუბრის მნიშვნელობის გაგება;
- ახასიათებს ექოლალია (როგორც მყისიერი, ასევე მოგვიანებითი);
- სირთულეები აქვს მითითებების (დირექტივების) შესრულებისას;
- იმეორებს შეკითხვას და შემდეგ პასუხობს;
- აქვს შეკითხვებზე – როდის? რატომ? როგორ? ვინ? რა? სად? – პასუხის გაცემის სირთულეები;
- ახასიათებს იდიოსინკრატული, ე. წ. „მარცვლების სალათის“ ტიპის მეტყველება: იყენებს მარცვლების კომბინაციას, რომელიც ჰგავს ჟღერადობით ჭეშმარიტ სიტყვებს, მაგრამ უშინაარსოა;
- უჭირს მოსმენა. ამის გამო ადამიანს, რომელიც ცდილობს ელაპარაკოს ან რაიმე ასწავლოს, თითქოს აიგნორებს;
- სჭირდება დამატებითი დრო ინფორმაციის გადამუშავებისთვის;
- აქვს ვერბალურად მოწოდებული ინფორმაციის დამახსოვრების პრობლემები.

**ABA ანუ გამოყენებით ქცევით თერაპიას ხშირად იყენებენ როგორც აუტიზმის, ისე რეცეფტული ენის დარღვევის მქონე ბავშვებთან. იქნებ განგვიმარტოთ, რა სხვაობაა ამ ორ დიაგნოზს შორის?**

ეს ორი, ანუ რეცეფტული ენის დარღვევების და აუტიზმის სპექტრის აშლილობის სიმპტომები ხშირად გადაფარავს ერთმანეთს. აუტიზმის სპექტრის აშლილობა მოიცავს რეცეფტული ენის დარღვევის პრაქტიკულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნიშანს და ემატება მესამე სფეროს – შეზღუდული ინტერესებისა და განმეორებადი, სტერეოტიპული ქცევების პატერნი. განსხვავებით ასა-სგან, რეცეფტული ენის დარღვევების შემთხვევაში ბავშვი ძირითადად მოწადინებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას, მაღალი მოტივაცია აქვს შეასრულოს დირექტივა, თვალებში უყურებს გარშემომყოფებს და ელოდება დირექტივის/შეკითხვის გამარტივებას, რომ შეასრულოს დავალება. მაგალითად, თხოვნა-

ზე – „კუბი მომაწოდე“, ბურთს გამოგვიწვდის, რადგან შესაძლოა „კუბის“ და „ბურთის“ დასახელებას ვერ აკავშირებდეს საგნის მნიშვნელობასთან, თუმცა თუ ინსტრუმენტულ ჟესტს (მაგ.: თვალით ან თითით მინიშნებას) გამოვიყენებთ, მას დავალების შესრულება გაუადვილდება. უხშირესად აუტიზმის სპექტრის შემთხვევაში დირექტივა შესაძლოა საერთოდ დაიგნორდეს, მზერითი კონტაქტი კი მკვეთრად დეფიციტური იყოს. ასევე მნიშვნელოვანი განმასხვავებელია სახელით დაძახებაზე რეაგირება, რომელიც ადეკვატურია რეცეფტული ენის დარღვევის დროს, თუმცა სოციალიზაციის სირთულეები შესაძლოა ორივე დიაგნოზის შემთხვევაში სხვადასხვა სიმძიმით იყოს გამოხატული.

# კინოს წვლილი ცნობიერების ამაღლებაში

ესა თუ ის თემა ჩვენთვის ახლობელი რომ გახდეს, პირდაპირ ან ირიბად უნდა გვეხებოდეს, ან ინფორმაცია ბუნებრივად უნდა აღწევდეს ჩვენამდე. თანაგრძნობა მიიღწევა როგორც პირადი გამოცდილებითა და ურთიერთობით, ისე ხელოვნების დახმარებით. კინოსა და მხატვრულ ლიტერატურას ცნობიერების ამაღლებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის, რადგან ადვილად ახერხებს მკითხველსა და მაყურებელზე ზემოქმედებას, შთაბეჭდილების მოხდენას. გავიხსენოთ რამდენიმე კინოფილმი, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამა თუ იმ მდგომარეობის შესახებ მეტი შევიტყვეთ.

## "TEMPLE GRANDIN"

ხშირ შემთხვევაში ამ ტიპის ფილმების გმირებს რეალური პროტოტიპებიც ჰყავს ხოლმე, მაგრამ „თემპლ გრანდინი" მთლიანად ეფუძნება აუტიზმის მქონე ქალის – თემპლ გრანდინის ბიოგრაფიას. ფილმი მოგვითხრობს მის ცხოვრებაზე – ბავშვობაზე, სწავლის სირთულეებზე, ურთიერთობის პრობლემებსა და დედაზე, რომელმაც ყველაფერი გააკეთა შვილის საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. თემპლ გრანდინმა გადატრიალება მოახდინა მესაქონლეობის სფეროში, შეიმუშავა სპეციალური სისტემა და საქონლის მიმართ მოპყრობა უფრო ჰუმანური გახადა. იგი კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და არაერთი წიგნის ავტორია, კითხულობს ლექციებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აუტიზმისა და ცხოველთა მიმართ მოპყრობის შესახებ.

## "I AM SAM"

„მე სემი ვარ" ჯესი ნელსონის ფილმია, რომელიც განვითარების დარღვევის მქონე მამისა და მისი პატარა ქალიშვილის საოცარ ამბავს გვიამბობს. მთავარ როლებში შეუდარებელ შონ პენს, დაკოტა ფენინგსა და მიშელ პფაიფერს შეხვდებით.

სცენარის ავტორები კარგად გაეცნენ იმ პრობლემებს, რასაც ინტელექტუალურ შესაძლებლობათა შეზღუდვის მქონე პირები აწყდებიან. საბოლოოდ კი ორი შშმ პირი – ბრედ სილვერმანი და ჯო როზენბერგი ფილმში საკვანძო როლებშიც ათამაშეს.

## "RAIN MAN"

„წვიმის კაცი" ყველაზე პოპულარული ფილმია აუტიზმის თემაზე. მან დიდი წვლილი შეიტანა ამ მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საქმეში. დასტინ ჰოფმანის მიერ არაჩვეულებრივად შესრულებული პერსონაჟის პროტოტიპი კიმ პიკია, რომელსაც განსაკუთრებული უნარები ჰქონდა. მას შეეძლო პარალელურად წიგნის ორი გვერდი ეკითხა, ერთი მარცხენა თვალით, მეორე კი – მარჯვენათი, ჰქონდა უნიკალური მეხსიერება და კალკულაციის უნარი. სამსახურში, სანამ კომპიუტერით ჩაანაცვლებდნენ, ათი წლის განმავლობაში, რამდენიმე საათში ანგარიშობდა 160 თანამშრომლის ხელფასს კალკულატორის გარეშე. „წვიმის კაცის" რეიმონდ ბებიტისაგან განსხვავებით მას FG სინდრომი ჰქონდა. დადგინდა, რომ პიკის თავის ტვინი ჩვეულებრივისაგან ძლიერ განსხვავდებოდა. სწორედ ამით ხსნიდნენ მეცნიერები მის უნარებსაც და შეზღუდულ შესაძლებლობებსაც, რომელიც ძირითადად ვლინდებოდა მოტორიკასა და სოციალურ სფეროში.

## “BEING DIFFERENT, IT’S NORMAL“

ცნობილი, პრემირებული ფილმების გვერდით, ჩემი აზრით, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მოკლემეტრაჟიან ფილმებს ან ინფორმაციულ კლიპებს, რომლებიც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას პირდაპირ ემსახურება.

## „ნუცას სკოლა“

ქართული კინოს ისტორიიდან სამწუხაროდ მხოლოდ მერაბ კოკოჩაშვილის შესანიშნავი ფილმი – „ნუცას სკოლა“ მახსენდება, სადაც მეოცე საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში მიმდინარე დაძაბული მოვლენების ფონზე წარმოჩენილია პატარა, შშმ ბინადრებით სავსე სახლი. სკოლა სიკეთის კუნძულად მოჩანს ბოროტების დიდ მორევში.

თუ ჯერ კიდევ არ გინახავთ, მოკალათდით ეკრანებთან – ამ ფილმების ყურებას ნამდვილად გირჩევთ!

# „ერთხელ მაინც შემომხედე თვალებში“

ასეთი ჩვევა მაქვს: ვცდილობ არც ერთი ახალი ქართული ფილმი არ გამომრჩეს. „ანას ცხოვრების“ თრეილერს რამდენჯერმე მოვკარი თვალი, მაგრამ როცა გავიგე, რომ დრამა მთავარი გმირის – ანასა და მისი მცირეწლოვანი აუტიზმის მქონე ვაჟის გარშემო ვითარდება, მაშინვე „სასწრაფოდ სანახავთა“ სიაში მოვინიშნე და ფილმის საქართველოს კინოთეატრებში გამოსვლის პირველივე დღეს გავეშურე მის საყურებლად.

ანა მარტოხელა დედაა და თავის სარჩენად უამრავ ადგილას უწევს მუშაობა. სკლეროზიან ბებიასაც მის გარდა არავინ ჰყავს. ანას ბიჭი – სანდრო ინტერნატში ცხოვრობს ძალიან გულისხმიერ, ასაკიან მასწავლებელთან ერთად, თუმცა დედა მიიჩნევს, რომ იქ მისი შვილი სათანადოდ ვერ განვითარდება და ბიჭის ფასიან სკოლაში გადაყვანაა საჭირო. ახალგაზრდა ქალის მდგომარეობისადმი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები გულგრილნი არიან. მას ხომ ხელფასი აქვს, არადა ზოგს ქაღალდის ფული კარგა ხანია არ უნახავს, მხოლოდ რკინის ფულის არსებობის შესახებ თუ იცის. ანას კი ნორმალურად აცვია, არ შია, ხოლო მისი მიზანი საზოგადოების თანაგრძნობას არ იწვევს. აუტიზმის მქონე ვაჟის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ის ამერიკაში სამუშაოდ წასვლას გადაწყვეტს, ყიდის სახლს და თაღლითურ გარიგებაში ეხვევა.

როგორც რეჟისორმა ნინო ბასილიამ თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში, თემა ერთნაირად აქტუალური აღმოჩნდა სხვადასხვა ქვეყანაში. რაც არ უნდა განვითარებული იყოს ქვეყანა, მარტოხელა დედებს გარკვეული პრობლემის მოსაგვარებლად ბრძოლა მაინც უწევთ. ფილმი სცდება საქართველოს სოციალურ ფონს, სასიყვარულო ხაზის შემოსვლა კი ნებისმიერი ეროვნების მაყურებელს დრამაში კიდევ უფრო ითრევს. ანას ცხოვრება სავსეა ახალ-ახალი სტრესით, ის რამდენჯერმე იღებს გაუაზრებელ გადაწყვეტილებას, დგამს გამოუსწორებელ ნაბიჯებს, თუმცა არასდროს მიდის მორალურ კომპრომისზე.

აღსანიშნავია მსახიობების ბრწყინვალე შესრულება, განსაკუთრებით კი ეკა დემეტრაძეს (ანა) და ბავშვებს გამოვყოფდი. დრამატული 108 წუთის გან-

მავლობაში ჩემთვის ერთ-ერთი ძლიერი და ემოციური სცენა შვილთან მისული დედის მონოლოგი აღმოჩნდა. დედისა, რომელმაც ახალი ფეხსაცმელი მიიტანა ინტერნატში. „შემომხედე! ერთხელ მაინც შემომხედე თვალებში... დედა ვარ შენი! ფეხი როდის გაგეზარდა, შვილო?!..“ დიალოგი დედასა დ შვილს შორის არც სულისშემძვრელი სიტყვების შემდეგ შედგება. აქ მაყურებელი ვერ ნახავს ისეთ შთამბეჭდავ სცენას, როგორიც ნანა ჯანელიძის ფილმ „იავნანაში“ უნახავს, ვერ გაიგონებს შვილის ნათქვამ „დედას“, ვერც რამე სიტყვას პასუხად... მაგრამ ცხადად დაინახავს გაუსაძლის ყოფას, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების მშობლებს უწევთ ცხოვრება. ფილმის რეჟისორს უდავოდ მადლობა ეკუთვნის აუტიზმის თემის წამოწევისთვის და იმისთვის, რომ საზოგადოებას ყოველგვარი შელამაზების გარეშე აჩვენებს რეალობას.

„ანას ცხოვრებაში“, რომელიც, ერთი შეხედვით, გამოუვალ მდგომარეობასა და ისეთ გარემოს ხატავს, სადაც მარტოხელა დედას ყველა გზა აქვს მოჭრილი, სადაც ახალგაზრდა ქალი მუდმივად წინაღობას აწყდება, საბოლოოდ მაინც ხედავ სხივს – ახალ სიცოცხლეს. ჩემი აზრით, ამ ძლიერ ფილმს კარგი ფინალი, თუმცა სუსტი საფინალო კადრი აქვს. როდესაც კადრი შეშდება, მაყურებელს შთაბეჭდილება ექმნება, რომ ფირის წუნია. არადა ჯობდა ტიტრები შავი ფონის ნაცვლად პირდაპირ კადრებზე გადასულიყო.

ნიშანდობლივია, რომ ამ ფილმის პრემიერაზე დასწრება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩემი ნათესავისა და მეგობრის ცხოვრებაში. საქმე ისაა, რომ ეტლით მოსარგებლე გოგონა წლების განმავლობაში არ იყო კინოთეატრში ნამყოფი. კინოთეატრ „რუსთაველის“ სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ არ აქვს ადაპტირებული გარემო და უარით გამოგვისტუმრეს. დარბაზები მეორე-მესამე სართულებზეა განთავსებული, სადაც მხოლოდ კიბის საშუალებით თუ მოხვდები. არანაკლებ აღშფოთებული ვარ კინოთეატრ „ამირანზე“, სადაც ბილეთების რამდენიმე დღით ადრე შეძენისას დაგვამშვიდეს, რომ ეტლით მოსარგებლე უპრობლემოდ დაესწრებოდა სეანსს. ჩვენც ვენდეთ, რადგან დარბაზი პირველივე სართულზე მდებარეობდა. ჩვენებაზე მისულები კი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით: დარბაზში შესასვლელად კიბის ორი საფეხურის ჩავლაა საჭირო და არც სკამებზე მოსათავსებლადაა რამენაირი ხელშეწყობა – იქაც გვერდებზე კიბე გხვდება. ეტლით მოსარგებლე დამოუკიდებლად ვერ მოხვდება დარბაზში, მეტიც, ზედა რიგებში დასაჯდომად ის აუცილებლად ხელში უნდა აიყვანო. რაც შეეხება პანდუსს, ის ჩემდა გასაოცრად ფოიედან გარდერობისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა, ხოლო გარდერობი არ მუშაობდა. როგორც ჩანს, მოლარემ იგულისხმა მეორე დარბაზი, სადაც სკამების რიგებს კიბის ნაცვლად დაქანება მიუყვება, ბილეთი კი სულ სხვა, ეტლისათვის ყოვლად შეუსაბამო დარბაზისა მოგვყიდა.

სამწუხაროდ, იმ პრობლემებს, რაზეც ქართული მხატვრული ფილმების ყურებისას ცრემლს ვღვრით, რეალურად ვაწყდებით ყველგან, მათ შორის დედაქალაქის ცენტრში მდებარე პრესტიჟული კინოთეატრების შენობებშიც. შშმ პირებზე ზრუნვა, გარემოს ადაპტირება ხომ მხოლოდ ერთი ტუალეტი და პატარა პანდუსი არაა?!. კარგი იქნება, თუ პერსონალიც სათანადოდ გადამზადდება.

# მამები

მამის დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს აღნიშნავენ. ამ ტრადიციას საქართველო წელს პირველად შეუერთდა და ეს დღე 19 ივნისს საზეიმოდ აღინიშნა.

მაშინ, როდესაც საქართველოში მამების მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული ბავშვის აღზრდის პროცესში, მამის დღის დაწესება და დამკვიდრება, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია.

კვლევების მიხედვით, შვილის აღზრდაში ორივე მშობლის თანაბარი მონაწილეობა ადამიანის ბედნიერ და წარმატებულ მომავალთან პირდაპირ კავშირშია. როცა საქმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს ეხება, მამის როლი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რადგან დედასაც მხარდაჭერა სჭირდება და ბავშვის განვითარების სტრატეგიაც, სასურველია, მთელმა ოჯახმა ერთად დასახოს.

მთელ მსოფლიოში არსებობს მშობელთა კლუბები, სადაც მეტწილად დედები არიან გაერთიანებული და ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ, ერთად იბრძვიან შვილების უფლებებისთვის და სხვ.

გთავაზობთ რამდენიმე გამორჩეული მამის პორტრეტს, რომლებიც სამაგალითო კვალს ტოვებენ როგორც შვილების განვითარებისა და განათლების, ისე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საქმეში.

* * *

54 წლის რიკ ჰოიტის მამის ამბავი შვილისადმი უსაზღვრო სიყვარულის მაგალითია. დაბადებისას რიკს თავის ტვინი დაუზიანდა. ექიმები ფიქრობდნენ, რომ ის ვერ განვითარდებოდა და მშობლებს მის „ჩაბარებას“ ურჩევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი არ საუბრობდა, ხელ-ფეხს ვერ იყენებდა, დიკი და ჯუდი მას ყველგან ატარებდნენ ძმებთან ერთად. სკოლაშიც შეიყვანეს. როდესაც დიკს 15 წლის შვილმა გაუმხილა ნატვრა, რომ სურდა ხუთკილომეტრიან საქველმოქმედო რბენაში მიეღო მონაწილეობა სკოლე-

ლი ბიჭის დასახმარებლად, მას დიდხანს არ უფიქრია. 37 წლის მამისთვის ეს დიდი დატვირთვა იყო, მაგრამ შეჯიბრის ბოლოს რიკის მიერ ეკრანზე აკრეფილმა სიტყვებმა – „მამა, როცა დავრბივარ, ჩემი უძლურება ქრება“ – გარდატეხა მოახდინა მის ცხოვრებაში. მას შემდეგ, 30 წლის განმავლობაში, ამერიკელმა მამა-შვილმა სპეციალური ეტლით, ველოსიპედითა თუ ნავით ათასზე მეტ რბენაში, ტრიატლონსა და მარათონში მიიღო მონაწილეობა. რიკ და დიკ ჰოიტები დაჯილდოებული არიან არაერთი პრიზითა და საპატიო ჯილდოთი.

* * *

მაიკ ლეიკი კანადელი პარლამენტარია და აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებაში, სადაც მუდმივად თან ახლავს აუტიზმის მქონე შვილი – 20 წლის ჯეიდენი. ის ყოველწლიურად, 2 აპრილს – აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო დღეს, პარლამენტში საგანგებო სიტყვით გამოდის; ხშირი სტუმარია შოუებში, სადაც ერთგვარ საჯარო ლექციებს ატარებს აუტიზმის თემაზე; სოციალურ ქსელში თამამად საუბრობს შვილის ქცევებსა და თავისებურებებზე – მათი განზოგადება უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია, რადგან აუტიზმის მქონე სხვა პირებისთვისაცაა დამახასიათებელი. მამა იქვე გვთავაზობს „რეცეპტს“, რა შეიძლება მოიმოქმედოს რიგითმა მო-

ქალაქემ ასეთ დროს. მაიკ ლეიკი მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობით ხელს უწყობს აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

* * *

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მამიკოებს შორის ამერიკელი რიკ სმიტი უდავო ჩემპიონია. შვილის დაბადებიდანვე მან შექმნა ბლოგი www.noahsdad.com, სადაც უკვე ხუთი წელია აქტიურად აქვეყნებს სტატიებს, დღიურებს, შვილის ვიდეოებს, იძლევა სასარგებლო რჩევებს. მისი ინტერნეტგვერდი დაუნის სინდრომის შესახებ არსებულ საიტთა შორის საუკეთესოდ დასახელდა. სოციალურ ქსელში კი მის გვერდს ორასი ათასზე მეტი მოწონება აქვს.

* * *

საქართველოში რეაბილიტაციისა თუ აბილიტაციის ცენტრებში ბავშვები უმეტესად დედებსა და ბებიებს დაჰყავთ. თუმცა, მისასალმებელია, რომ დღითიდღე იქ სულ უფრო მეტ მამას შეხვდებით. ამდენი ქალის ფონზე რამდენიმე წლის წინ გამონაკლისი იყო ახალგაზრდა მამა, გიორგი ომაძე, რომელიც აუტიზმის მქონე შვილს მუდმივად ახლდა გაკვეთილებსა და სპეციალურ თერაპიაზე თბილისის ერთ-ერთ ცენტრში. ის აქტიურად იყო ჩაბმული ვაჟის აღზრდის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, კვირების განმავლობაში მარტოც მშვენივრად ართმევდა თავს მასზე ზრუნვას, უმზადებდა საჭმელს, ეთამაშებოდა და სხვ. ის მეუღლესთან ერთად ცდილობდა აუტიზმის არსს ჩასწვდომოდა, თარგმნიდა საინტერესო სტატიებს და ინფორმაციას ახალი კვლევების შესახებ სხვა მშობლებს სოციალური ქსელის საშუალებით უზიარებდა. სამწუხაროდ, გიორგი რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა, მაგრამ დატოვა ვარსკვლავბიჭუნა დაჩი, კარგი მამობისა და შვილთან მეგობრობის მაგალითი, ასევე მეტად საჭირო საგანმანათლებლო რესურსები შშმ ბავშვებისათვის. ბოლო დროს ის აქტიურად მონაწილეობდა პირველი ქართულენოვანი აპლიკაციების – „ჩემი ხმა“ (Listen To My Voice Lemondo) და „ისწავლე თამაშით“ (Play To Learn Lemondo) – შექმნის საქმეში, რომლის საშუალებითაც არა მარტო აუტიზმის, არამედ ნებისმიერი ასაკის მეტყველების განვითარების დარღვევის მქონე ადამიანს უადვილდება კომუნიკაცია საზოგადოებასთან.

# შვილების ადვოკატები

რამდენიმე გამორჩეული მამა გაგაცანით, ახლა კი იმ ქართველ დედებზე მინდა გიამბოთ, რომლებიც გარემოებების გამო შვილების ერთგვარ ადვოკატებად იქცნენ. მეტყვით, ყველა დედა მზრუნველია და ამაში არაფერია განსაკუთრებულიო, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვისი შვილების უფლებადამცველებადაც ჩამოყალიბდნენ და სხვა დაბნეული, გნებავთ თავზარდაცემული, მშობლების გზამკვლევებადაც, ამიტომ ვფიქრობ, რომ მათ საზოგადოება უფრო კარგად უნდა იცნობდეს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილებმა ამ დედებს საკუთარ თავში დიდი პოტენციალი აღმოაჩენინეს და უბიძგეს სულ სხვა სფეროში გამოევლინათ ნიჭი.

* * *

დაუნის სინდრომის მქონე ირაკლის (აკლის) დაბადებამ პროფესიით ფილოლოგი დედის საქმიანობის სფერო რადიკალურად შეცვალა. ნინო ცინცაძემ 2006 წელს დააფუძნა „დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლებისა და პროფესიონალების კავშირი“, ასევე საქართველოს „პორტიჯის“ ადრეული განვითარების პროგრამა და მას შემდეგ ზრუნავს ბაღებში ინკლუზიური სწავლების გაფართოებისათვის. ბოლო წლებში მისი ინიციატივით ქართულად ითარგმნა ამ დარგისათვის ისეთი მნიშვნელოვანი წიგნები, როგორიცაა „დაუნის სინდრომი – ნათელი მომავლისაკენ“, „მსხვილი მოტორიკა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში“, „როგორ ვასწავლოთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს კითხვა“; მომზადდა დაუნის სინდრომის მართვის სამედიცინო მეთოდური

რეკომენდაციები, რომელიც სახელმწიფომ აღიარა და ახლა მათ რეგიონების სამედიცინო პერსონალს აცნობენ. 2012 და 2017 წლებში, სხვადასხვა ორგანიზაციასთან პარტნიორობით, ადრეული ინტერვენციის პროგრამა დააფუძნა ლაგოდეხსა და ახალციხეში. ამჟამად ილიას უნივერსიტეტთან ერთად „პორტიჯი“ ავითარებს ენისა და მეტყველების სამაგისტრო პროგრამას, რაც ასე მნიშვნელოვანია ყველა იმ ბავშვისათვის, ვისაც მეტყველების განვითარების დარღვევა აქვს.

* * *

„ვფიცავ, ვიქნები მისი ადვოკატი, მისი ხმა და მხარდამჭერი ყველგან, სადაც საჭირო გახდება. თავს შევაკლავ ყველას, ვინც მას დამიჩაგრავს!“ – ეს სიტყვები ხშირად გამიგონია მარი კორკოტაძისგან, აუტიზმის მქონე დათას დედისგან, რომელმაც რამდენიმე წელიწადში მოახერხა აქტიურად ჩაბმულიყო შშმ პირების უფლებების დაცვის საქმეში და გამხდარიყო ბევრი მშობლისათვის მაგალითი. არასამთავრობო ორგანიზაცია „ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ (FAD)“ ერთი წლის წინ დააარსა და უშურველად უწევს კონსულტაციას დედებს, როცა მათ შშმ შვილებს რამე პრობლემა შეექმნებათ. მაგალითად, მისი დახმარებით უკვე რამდენიმე ბავშვს დაენიშნა სპეცმასწავლებელი ბაღსა თუ სკოლაში; მისი ინიციატივით განათლების სამინისტრომ დააფინანსა პროექტი „მასწავლებლების სუპერვიზია საჯარო სკოლებში“, რისი საშუალებითაც მასწავლებლები შეისწავლიან იმ მოსწავლეებთან მუშაობის ტექნიკას, რომლებსაც აღენიშნებათ ქცევითი პრობლემები. ეს კი ხელს შეუწყობს ინკლუზიური განათლების განვითარებას საქართველოში. „FAD“-ის

მოთხოვნით თბილისის მერიამ საკრებულოს დადგენილებიდან ამოიღო დისკრიმინაციული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც აუტიზმის აბილიტაციის პროგრამაში მოხვედრა შეეძლოთ მხოლოდ იმ ბავშვებს, რომლებიც 2015 წლის პირველ ივლისამდე იყვნენ თბილისში ჩაწერილი. ახლა ამ დიაგნოზის მქონე 2-დან 15 წლის ასაკის ნებისმიერ თბილისელ თუ თბილისში გადმოწერილ პირს ეძლევა საშუალება გარკვეული დროის შემდეგ მიიღოს უფასო მომსახურება.

* * *

„ლევანის სიყვარული მაძლევს ძალას, რომ ვიბრძოლო ცვლილებებისთვის. სწორედ მან ჩამომაყალიბა ისეთ ადამიანად, როგორიც ახლა ვარ. როცა ვიღლები, ის მეხუტება. დაღლა მალევე ქრება და მე ისევ განვაგრძობ ბრძოლას. ჩემი საქმიანობით რეალურად მე ჩემი შვილის მომავალს ვქმნი.“ – ეს მაია შიშნიაშვილის სიტყვებია. ანგელმანის სინდრომის მქონე ლევანის დედა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის განათლების მეცნიერებათა მაგისტრია. შვილის მომავალზე ფიქრმა მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, დაეფუძნებინა სოციალური ინკლუზიის მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაცია „ხელი ხელს“, რომელიც მიზნად დაისახავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერას საოჯახო საცხოვრისის სერვისით, მათ გაძლიერებას, დამოუკიდებლობის ხელშეწყობასა და დასაქმებას. პირველი საოჯახო ტიპის სახლი საკუთარი მშობლების სახლში, გურჯაანში, 2011 წელს გახსნა. ახლა უკვე ამ ტიპის ექვსი სახლი არსებობს (სამი გურჯაანში, სამიც თბილის-

ში), რისი მეშვეობითაც ოცდახუთი ადამიანი დაუბრუნდა საზოგადოებას. „ხელი ხელს“ ძირითადად იმ ადამიანებს სთავაზობს საოჯახო საცხოვრისს, ვინც ინსტიტუციებში ცხოვრობდა. პრიორიტეტი ენიჭებათ ინტელექტუალური შეზღუდვებისა და ფსიქიკური დარღვევების მქონე პირებს, როგორც ყველაზე მეტად უგულებელყოფილ და სტიგმატიზებულ ადამიანებს. ორგანიზაციის დამფუძნებელი მუდმივად ზრუნავს შშმპ  თემებზე ცნობიერების ამაღლებისა და საოჯახო ტიპის სახლების მოდელის ადვოკატირებისთვის.

* * *

ცნობილი ტელეწამყვანის – ნინო მეუნარგიას შემთხვევა სხვა დედების ამბებისგან ოდნავ განსხვავებულია, რადგან ის იმავე სფეროში, ჟურნალისტიკაში, დარჩა. ცერებრული დამბლის მქონე დაჩის დაბადების შემდეგ იგი ოთხი წლის განმავლობაში მოწყდა თავის საქმიანობას, თუმცა შემდეგ ისევ აქტიურად დაბრუნდა რადიოში პირველი ქართული სოციალური პროექტით, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ერთგვარ ხმად იქცა. „ჩვენ აქ ვართ“ რადიო „იმედის“ გადაცემაა, რომელიც თითქმის 5 წელია აშუქებს შშმპ თემებს. ნინო მეუნარგია წამყვანია მეორე სოციალური გადაცემისაც – „ვუსმენთ ერთმანეთს“. ის აქტიურად იყენებს თავის პროფესიას და ტრიბუნას შშმ პირთა შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად; არის ამ თემებზე არაერთი საერთაშორისო კონფერენციის მომხსენებელი მედიის მიმართულებით. მისი საქმიანობა ამჟამად საქართველოს ეროვნულ პარალიმპურ კომიტეტსაც დაუკავშირდა, სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობს და ცდილობს ის დიდი შედეგები, რაც ჩვენს პარასპორტსმენებს აქვთ, სათანადოდ წარმოაჩინოს, რითაც ხელს უწყობს როგორც სტერეოტიპების მსხვრევას საზოგადოებაში, ისე სხვა შშმ პირების სპორტით დაკავების წახალისებას.

# მხატვრობა ცნობიერების ამაღლებისთვის

მას შემდეგ, რაც ჩემს შვილს აუტიზმის დიაგნოზი დაუსვეს, არათუ ხალხში, მხატვრულ ლიტერატურაშიც ვეძებ ამ მდგომარეობას. აუტიზმის ნიშნებსა და პერსონაჟების ხასიათს ხშირად ვადარებ ერთმანეთს. უილიამ ფოლკნერის უკვდავი რომანის – „სული რომ ამომდიოდას“ ყველა პერსონაჟი განსაკუთრებულია, მაგრამ მაქვს ეჭვი, რომ ვარდამანს აუტიზმი ჰქონდა. რაც შეხება „ჭკუასუსტ ლენის“ ჯონ სტაინბეკის შედევრიდან „თაგვებსა და ადამიანებზე“, მას აშკარად სენსორული შიმშილი აქვს. ლენის იმდენად სიამოვნებს თაგვების მოფერება, რომ რამდენჯერმე შემოაკვდება კიდეც. იგივე ჩანს მის დაუოკებელ სურვილშიც – შეეხოს ქალის თმებს. ცხადია, პერსონაჟების „დიაგნოსტირება“ შემდგომში უფრო ღრმა კვლევის საგნად უნდა იქცეს ჩემთვის, როგორც ფილოლოგისა და გამომცემლისთვის.

დაუნის სინდრომის მქონე გოგონას დედას, ხელოვნებათმცოდნე ლია ტაბატაძეს ასევე გაუჩნდა სურვილი ძირეული კვლევა ჩაატაროს ფერწერულ ტილოებზე აღბეჭდილი დაუნის სინდრომის მქონე პირების შესახებ. სწორედ მისგან შევიტყვე ამ განსაკუთრებული ნახატების თაობაზე.

საინტერესოა, რომ 1976 წელს ინგლისელი მხატვარი რობერტ ლენკიევიჩი დაინტერესდა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებით და მას ნახატების მთელი სერია მიუძღვნა, რაც ცხადია ხელს უწყობს ამა თუ იმ დაავადების შესახებ ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებაში.

კარგი იქნება, თუ თქვენს მოსწავლეებს როგორც ფილმებით, ისე წიგნებითა და ნახატებით გააცნობთ ამა თუ იმ მდგომარეობას, გენტიკურ დარღვევასა თუ დიაგნოზს. ვფიქრობ, ეს მასალა დაგეხმარებათ საინტერესო გაკვეთილისა თუ დისკუსიის დაგეგმვაში.

* * *

იტალიელმა მხატვარმა **ანდრეა მანტენიამ** 1455-1460 წლებში რამდენჯერმე დახატა ღვთისმშობელი ყრმით, სადაც იესო დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს ჰგავს.

ეს კი უცნობი მხატვრის, სავარაუდოდ ჰოლანდიელი ფერმწერის – **იან იუსტის მოწაფის** მიერ დაახლოებით 1515 წელს შესრულებული ნახატია, რომელიც მწყემსების მიერ ყრმა იესოს თაყვანისცემის სცენას ასახავს. აქ ერთდროულად ორ ფიგურას აღენიშნება დაუნის სინდრომის მქონე პირთათვის დამახასიათებელი სახის ნაკვთები – მწყემსსა და ღვთისმშობლის გვერდით მდგომ ანგელოზს.

ბელგიის ქალაქ ბრიუგეს ერთ-ერთ უძველეს ეკლესიაში დაცულია ფერიცვალების ხატი. ტრიპტიქის ფრთებზე ცნობილი მინერალოგისა და ექიმის – ანზელმუს ბუდის ოჯახია გამოსახული. მხატვარმა **ჟერარ პორბუსმა** 1573 წელს შესრულებულ ნახატზე დაიტანა ექიმის დის პორტრეტიც, რომელსაც, ამბობენ, რომ დაუნის სინდრომი ჰქონდა.

ცნობილი ფლამანდიელი მხატვრის – **იან ბრეიგელი უფროსის** დიდი ზომის (130×266 სმ) ფერწერულ ტილოზე – „ხალხური ცეკვა ერცჰერცოგის წინაშე“ (1623 წ.) წინა პლანზე ვხედავთ ბიჭს, რომელსაც წყლის დოქები უჭირავს. სპეციალისტების აზრით, მასაც სავარაუდოდ, დაუნის სინდრომი აქვს.

რაც შეეხება მე-20 საუკუნეს, უკვე ვახსენეთ ინგლისელი მხატვარი რობერტ ლენკიევიჩი (1941-2002), რომელიც 70-იან წლებში ცნობილი პროექტისა და გამოფენის ავტორი გახდა საპორტო ქალაქ ფლიმასში. საქმე ისაა, რომ მან დაითანხმა ოჯახები, რათა სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობისა თუ მენტალური ჯანმრთელობის მქონე პირი ოჯახის წევრებთან ერთად დაეხატა. იხილეთ რამდენიმე ნიმუში ამ სერიიდან:

# მომსახურების სფერო და შშმ პირები

მომსახურების სფეროში შშმ პირებთან მიმართებაში ორი მნიშვნელოვანი საკითხი არსებობს: დასაქმება და მათი მომსახურების სტანდარტი. მოპყრობის თვალსაზრისით, სამწუხაროდ, საქართველოში სამედიცინო პერსონალიც კი არ არის ჯეროვნად გადამზადებული. დიაგნოზის შეტყობისას პირველი რეაქცია – შეცოდება – სახეზე აწერიათ. ეს სავარაუდოდ გაუცნობიერებელი შიშის გამოხატულებაცაა, რადგან ცოტა თუ იციან, ვთქვათ, აუტიზმის შესახებ.

შშმ ბავშვის სხვადასხვა ადგილას, ამა თუ იმ ღონისძიებაზე ტარება მშობლებისათვის სტრესთანაა დაკავშირებული – აუტიზმის მქონე ბავშვის უცნაურ ქცევაზე საზოგადოების ზოგიერთი წევრის მხრიდან გამკიცხავი მზერის გამო, ეტლით მოსარგებლე ბავშვის შემთხვევაში მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის გამო და ა. შ.

სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, როდესაც საქართველოს მაღალმთიანი კურორტის ერთ-ერთ კაფეში ჩემი ჰიპერაქტიური, აუტიზმის მქონე შვილის ქცევებმა არც პერსონალის და არც სტუმრების ყურადღება არ მიიქცია. არადა მან ფეხზე გაიხადა, სავარძლებზე ისე იხტუნავა, როგორც ბატუტზე; მთელი კაფე ფეხდაფეხ მოიარა, დაათვალიერა, ყველა ნივთს შეეხო, იატაკზე გაფენილ რომელიღაც ცხოველის ბეწვზე წამოწვა, მალე კი საიდანღაც საბავშვო წიგნი მოარბენინა – როგორც აღმოჩნდა, პატარა სტუმრებისთვის წინდაწინ ჰქონიათ გათვალისწინებული სპეციალური, სათამაშოებითა და წიგნებით სავსე კალათა. მისთვის თავისუფლება რომ არ მიგვეცა, ის აუცილებლად დიდი ხმაურით გამოხატავდა პროტესტს და სავარაუდოდ მალევე მოგვიწევდა იმ ადგილის დატოვება. ამ შემთხვევის საპირისპირო ფაქტი მახსენდება: სულ სხვა რეგიონში, ერთ-ერთმა პოპულარულმა კაფე-რესტორანმა სოციალურ ქსელში განცხადება რომ გამოაქვეყნა, – თორმეტ წლამდე ბავშვები ტერიტორიაზე არ დაიშვებიან იქ გამოფენილი ექსპონატების შესაძლო დაზიანების გამოო. სად უფრო იგრძნობენ ბავშვი და მშობელი კომფორტულად თავს, იოლი მისახვედრია.

მოზარდთა და ზრდასრულთა შემთხვევაში სიტუაცია, ცხადია, რთულდება. თუმცა მათ არ უნდა შეეზღუდოთ თავისუფლად გადაადგილებისა

და საჯარო სივრცით სარგებლობის უფლება. კვების ობიექტები, მუზეუმები, მაღაზიები თუ ბიბლიოთეკები მზად უნდა იყვნენ შშმ მომხმარებლის მისაღებად: შენობებს უნდა ჰქონდეს პანდუსები, ლიფტები, საბავშვო კუთხეები, უსინათლოთათვის – სპეციალური ბილიკები, ხმოვანი და ბრაილის შრიფტით შესრულებული გზამკვლევები, სასურველია პერსონალმა იცოდეს ჟესტების ენა და ა. შ. ამისათვის საჭიროა ქმედითი ტრეინინგები. მაგალითად, საქართველოში ეტლით მოსარგებლე პირები წუხილს გამოთქვამენ, რომ ხშირ შემთხვევაში კაფის პერსონალმა არ იცის, რომ მათ უნდა მიეხმაროს კარის გაღებაში, ფინჯანი არ უნდა დადგას მაგიდის შუაში, ანუ ისეთ მანძილზე, სადამდეც ხელის გაწვდენა ეტლით მოსარგებლეს გაუჭირდება და ა. შ.

გთავაზობთ რჩევებს, რომელიც, ვფიქრობ, არა მხოლოდ კვების ობიექტების ადმინისტრაციას და რიგით პერსონალს გამოადგება, არამედ მომსახურების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებსაც:

- იყავით კეთილგანწყობილი და მეგობრული;
- გულწრფელი ღიმილით გამოხატეთ დახმარების სურვილი;
- მომხმარებელს უყურეთ თვალებში, ისაუბრეთ ნელა და გარკვევით;
- არავერბალური მომხმარებლისთვის გამოიყენეთ სენსორული მენიუ, სხვადასხვა ვიზუალური მასალა თქვენს სფეროში;
- იყოლიეთ ცალკე თანამშრომელი, რომელიც ითავებს შშმ ბავშვზე მეთვალყურეობას, სათამაშოების კუთხესთან მიყვანას და რამდენიმე წუთის განმავლობაში მასთან თამაშს, რათა მშობელმა შეძლოს განტვირთვა;
- ეცადეთ, ყურადღება არ მიაქციოთ მომხმარებლის უცნაურ ხმას, ქანაობას, რწევას, ბოლთის ცემას ან სირბილს;
- გაითვალისწინეთ, რომ აუტიზმის მქონე პირთათვის შეიძლება გამაღიზიანებელი იყოს სხვადასხვა ტიპის განათება ან ხმამაღლა ჩართული მუსიკა;
- მაღალზურგიანი სკამებითა და სხვა მაგიდებისგან პატარა ტიხარით გამოყოფილი მაგიდით შესაძლებელია მყუდრო გარემოს შექმნა რესტორანში. ეს მაგიდა საუკეთესო შეთავაზება იქნება აუტიზმის მქონე ბავშვისა და მისი ოჯახის წევრებისათვის;
- უზრუნველყავით შეკვეთის ტელეფონით წინასწარ მიღების შესაძლებლობა;
- მენიუ/კატალოგი/ფასების ფურცელი განათავსეთ დაწესებულების ინტერნეტ გვერდზე, რათა შშმ მომხმარებელმა ან მისმა მეურვემ წინასწარ შეძლოს გაცნობა და თადარიგის დაჭერა;

- მოემსახურეთ სწრაფად – აუტიზმის მქონე პირებს ძალიან უჭირთ მოცდა;
- შეეკითხეთ მომხმარებელს, ხომ არ სურს განსხვავებული ტიპის ჭურჭელი, მაგალითად სახურავიანი ჭიქა ან საწრუპი;
- არ გაგიკვირდეთ, თუ მომხმარებელი არ გიპასუხებთ კითხვაზე ან წესისამებრ არ გადაგიხდით მადლობას იმის მიუხედავად, რომ მას მეტყველება შეუძლია;
- ნუ იჩქარებთ მაგიდის ალაგებას და საჭმლის გადაყრას – შესაძლოა ბავშვს უჭირდეს ერთ ადგილას გაჩერება და მშობელმა ის გაასეირნა, თქვენს დაწესებულებაში „პატარა ტური მოუწყო“ და აპირებს ისევ მაგიდასთან დაბრუნებას;
- ზრდილობიანად აცნობეთ თქვენი დაწესებულების შინაგანაწესის შესახებ, მაგალითად: „აქ ხმაური არ შეიძლება“.

რაც არ უნდა „ცუდად“ იქცეოდეს ბავშვი, არ გირჩევთ მსგავსი ფრაზის გამოყენებას: „სასწრაფოდ დატოვეთ ტერიტორია!“, ეს დისკრიმინაციული გამონათქვამია. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ არც შშმ ბავშვის მშობელი/მეურვეა მოხარული, რომ არასასურველი ქცევის ალაგმვა უწევს, უბრალოდ მას სურს, რომ მოზარდი საჯარო სივრცეს შეეჩვიოს, რაც უცხო გარემოში მალევე, ერთი-ორი ვიზიტით არ მიიღწევა. მან უკვე დიდი ენერგია დახარჯა, მრავალი ხერხი სცადა იმისათვის, რომ გარშემომყოფებს ბავშვის გამო დისკომფორტი არ შექმნოდათ. სამწუხაროდ, ყველაფრის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

ასე რომ, გმადლობთ მოთმინებისა და გულისხმიერებისთვის! როდესაც კარგად მოემსახურებით შშმ ბავშვს, შეგიძლიათ იამაყოთ, რომ თქვენი წვლილი შეიტანეთ მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის საქმეში.

# დისკრიმინაცია და სამართალი

„თქვენი ბავშვი ძალიან ხმაურობს, ჩადით ავტობუსიდან!“

„გააჩეროს ამ ბავშვმა ფეხები, ნუ ჩამინგრია იატაკი! გამისკდა თავი, ახლავე ჩადით „მარშუტკიდან“!

ეს ფრაზები საქართველოში მცხოვრებ აუტიზმის მქონე ბავშვების არაერთ მშობელს მოუსმენია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებისგან. და ისინი, დედები, თავჩაქინდრული, დარცხვენილი, ცრემლიანი, ტოვებენ მგზავრობისათვის ერთადერთ ხელმისაწვდომ საშუალებას და ფეხით აგრძელებენ გზას ან უფრო მომთმენი მძღოლის იმედად სხვა ტრანსპორტში ადიან. ამ დროს შესაძლოა ბავშვისთვის აუცილებელ გაკვეთილზე მიდიან ან გადაუდებელ საქმეზე მიიჩქარიან შვილთან ერთად, რომელიც ვერავის დაუტოვეს. მასწავლებელიც ხომ დღენიადაგ იმას ითხოვს, რომ ბავშვმა დღის მხოლოდ ნახევარი გაატაროს ბაღში/სკოლაში, რადგან ძალიან ცელქია. იყო შემთხვევა, როდესაც სამარშუტო ტაქსიდან იძულებით ჩამოსულ შშმ ბავშვს სტრესის ნიადაგზე ქუჩაში გულყრა განუვითარდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა დედები საქართველოში, როგორც წესი, უმუშევრები არიან და მეურვეობისათვის ე. წ. „მხარდამჭერი“ არანაირ ანაზღაურებას არ იღებს სახელმწიფოსგან. ცოტა თუ ახერხებს ემოციების მოთოკვას, შეურაცხმყოფელ მძღოლს აცნობს ბავშვის მდომარეობას და მის უფლებებსაც შეახსენებს. მოკლედ რომ ვთქვათ, სამართლებრივი ენით ესაუბრება და სასამართლოში თუ არა, „უფროსობასთან“ ჩივილით ემუქრება. ისედაც გადატვირთული გრაფიკის მქონე მშობლის ძვირფასი დროის ხარჯვისა და დიდი მონდომების შედეგად, შესაძლოა, მძღოლი „თვალის ახვევის მიზნით“ „სხვა ხაზზე“ გადაიყვანონ. ხშირად ისევ შეურაცხყოფილი, იურიდიული ტერმინით რომ ვთქვათ, დისკრიმინაციის მსხვერპლი ვერ იმეტებს ოჯახის ერთადერთ მარჩენალს უმუშევრობისთვის, სიღატაკისთვის ან მას სწორედ ის „უფროსობა“ დაანამუსებს, რომელთანაც საჩივლელად მივიდა.

დისკრიმინაციის ფაქტები საჯარო სივრცეში მრავლად გვხვდება, თუმცა ქართული სასამართლო პრაქტიკა მსგავს შემთხვევებზე თითქმის არ არსე-

ბობს. მახსენდება ეტლით მოსარგებლე გოგონას ორი წლის წინანდელი ღია წერილი ერთ-ერთი ავიაკომპანიის მიმართ, სადაც ის დაწვრილებით აღწერდა თვითმფრინავის ბორტზე ტექნიკური პრობლემების გამო მისი ხელით აყვანის შემთხვევას. ეტლიდან გადმოვარდნის საფრთხისა და კომპანიის თანამშრომლების არაეთიკური ფრაზის („ავადმყოფი მგზავრი“) გამო მან დიდი სტრესი მიიღო. გოგონა კომპანიას კომპენსაციას კი არ სთხოვდა, პირიქით, სთავაზობდა თანამშრომლობას, დახმარებას შშმ პირთა მომსახურების, მათ მიმართ დამოკიდებულებისა და ტერმინოლოგიის დახვეწის საქმეში.

2015 წლის მაისში, პილოტის ინიციატივით, სოლთ ლეიქ სითიში იძულებით დაჯდა თვითმფრინავი, რომელიც ჰიუსტონი-პორტლენდის რეისს ასრულებდა. მიზეზი 15 წლის აუტიზმის მქონე გოგონა იყო. ეკიპაჟმა მიიჩნია, რომ მისი ბორტზე გაჩერება სახიფათო იყო მგზავრებისთვის და გაუთვალისწინებელი დაფრენის შემდეგ, პოლიციის თანხლებით აიძულა მთელი ოჯახი თვითმფრინავი დაეტოვებინა. მგზავრთა დიდი ნაწილი გაოგნებული დარჩა ამ გადაწყვეტილებით, რადგან ცხელი საჭმლის მოსურნე, აღელვებული გოგონა მალე დამშვიდდა. მოგვიანებით არასრულწლოვანის დედა ითხოვდა არა ფინანსურ კომპენსაციას, არამედ ავიაკომპანიის თანამშრომელთა გადამზადებას აუტისტური სპექტრის მქონე მგზავრებთან ურთიერთობის კუთხით. საჩივარი სასამართლოში აუტიზმის ეროვნულმა საზოგადოებამ შეიტანა და კომპანიას მისი რეკომენდაციების შესრულება დაეკისრა. მეტიც, ძირითადი მითითებები ავიაკომპანიების თანამშრომელთა ზოგადი გადამზადების განუყოფელ ნაწილადაც იქცა.

ახლახან თბილისის საქალაქო სასამართლომაც გაიზიარა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიცია და დაადგინა დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ბინის მესაკუთრის მხრიდან, რომელმაც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის ოჯახს უკანონოდ შეუწყვიტა ქირავნობის ხელშეკრულება. მოპასუხეს ასევე დაეკისრა შშმ ბავშვისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

2015 წლის შემოდგომაზე დედა, სამ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად, რომელთაგან ერთ-ერთი აუტისტური სპექტრის მქონეა, ბინის მესაკუთრის კატეგორიული მოთხოვნით, ღამის საათებში ქუჩაში აღმოჩნდა. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მოპასუხე ასახელებდა იმას, რომ აღარ სურდა „ავადმყოფი“ ბავშვის ყურება. ამ ფაქტმა უარყოფითი გავლენა იქონია შშმ ბავშვზე და მნიშვნელოვნად გააუარესა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ასევე დაკმაყოფილდა სარჩელი ბათუმის დელფინარიუმის წინააღმდეგ, სადაც დელფინებთან 15 წუთიანი ინტერაქტივის ფასი შშმ ბავშვებისთვის მნიშვნელოვნად ძვირი იყო სტანდარტულ ფასთან შედარებით. სასამართლომ ორგანიზაციის სარჩელი დააკმაყოფილა, ბათუმის დელფინარიუმმა კი სასამართლო გადაწყვეტილება აღასრულა – დისკრიმინაციული ფასი შეიცვალა და გათანაბრდა.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კვლავაც აუცილებელი და აქტუალურია. აუტიზმის მქონე პირები ხშირად უცნაურ ხმებს გამოსცემენ, თითქოს ყმუიან. ეს თვითმასტიმულირებელი ქცევაა ან სენსორული სურვილების დაკმაყოფილება (ანუ მათ ეს სიამოვნებთ). ისინი ირგვლივ მყოფებს საფრთხეს არ უქმნიან და უცნაური ქცევის გამო რიგითი მგზავრი ან პილოტი არ უნდა ფიქრობდეს, რომ 15 წლის გოგონა, რომელიც ოჯახთან ერთად მგზავრობს, ფრენისას თვითმფრინავის კარს გააღებს.

# შშმ პირთა დასაქმების საკითხი

მსოფლიოში დაახლოებით ერთი მილიარდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი ცხოვრობს, რაც საერთო მოსახლეობის 15 პროცენტს შეადგენს. მათ 80%-ს აქვს დასაქმებისათვის შესაბამისი ასაკი, მაგრამ შშმ პირთა დასაქმების უფლება ხშირად იზღუდება. ისინი, განსაკუთრებით ქალები, არასათანადო მოპყრობას, ფიზიკურ და ინფორმაციულ ბარიერებს აწყდებიან. სხვებთან შედარებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მეტად ატარებენ სოციალურად დაუცველობის რისკს, ემუქრებათ უმუშევრობა და ეკონომიკური სიდუხჭირე.

უკვე ვისაუბრეთ როგორია შშმ პირთა მომსახურების სტანდარტი და რჩევებიც მივეცით კვების ობიექტების მფლობელებსა და იქ დასაქმებულ პირებს. მომსახურების სფეროში შშმ პირთა დასაქმება უკვე ხშირია უცხოეთში.

ფოტოზე გამოსახული არიან „Cameron's Coffee & Chocolates"-ის თანამშრომლები, რომლებიც თავად ქმნიან შოკოლადის ნაწარმს და შემდეგ ამავე კაფეში ყიდიან. კაფე ვირჯინიის შტატის ქალაქ ფეარფექსში ინტელექტუალური დარღვევის მქონე კამერონის დედამ დააარსა და იქ ძირითადად შშმ პირები არიან დასაქმებული. პროექტი არაკომერციული ფონდის „Every One Can Work" („მუშაობა ყველას შეუძლია") მხარდაჭერით შედგა.

მისასალმებელია, რომ თბილისში, კერძოდ კი ბავშვთა ქალაქ „მზიურშიც" გაიხსნა სოციალური კაფე, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებისათვის, პერსონალი გადამზადებულია შშმ პირების მომსახურების კუთხით და დასაქმებული 10 თანამშრომლიდანაც 2 შშმ პირია: „ახალი მზიურის" დამაარსებელი – ანა გოგუაძე და თათია დათაშვილი, რომელიც მზარეულის დამხმარედ მუშაობს და კაფეში გამართული ღონისძიებების ფოტოგრაფობასაც ითავსებს. პროექტი განხორციელდა თბილისის მერიის, თიბისი ბანკის, ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ხელშეწყობით.

საქართველოში 150 ათასზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეა. მათთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა დასაქმებაა.

2013 წლიდან 2016 წლის გაზაფხულამდე პროფესიულ სასწავლებლებში 510 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირი სხვადასხვა პროფესიას დაეუფლა. მათგან 41 პირი (8%) დასაქმდა. კურსდამთავრებულების დამსაქმებლები ძირითადად რესტორნები, სასტუმროები და სამკერვალოები არიან.

2016 წლის შემოდგომისთვის 178 აპლიკანტს გაეწია რეკომენდაცია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩასარიცხად. აღსანიშნავია, რომ სწავლის მსურველების ასაკი შეზღუდული არ არის. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციისას პირს შესაძლებლობა აქვს განსაზღვროს მისთვის საინტერესო სამი საგანმანათლებლო პროგრამა ერთი მიმართულების ფარგლებში. ალტერნატიული პროფესიული ტესტირების საფუძველზე, შერჩეული პროფესიების შესაბამისი აქტივობის პრაქტიკულად მოსინჯვის შედეგად, აპლიკანტი აკეთებს საბოლოო არჩევანს. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სსსმ პირები უზრუნველყოფილი არიან სწავლებისათვის საჭირო დამატებითი სპეციალისტების (ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, მობილობისა და ორიენტაციის ტრენერი, პირადი ასისტენტი და სხვ.) მომსახურებით და სხვადასხვა მატერიალური რესურსით. ასევე მიმდინარეობს პროფესიული სას-

წავლებლების ადაპტირება უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით.

2015 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის საპილოტე პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს მათ შესაფერისი სამუშაოს მოძიებაში, შემდეგ კი ადაპტაციასა და შესასრულებელი მოვალეობების სრულფასოვან დაუფლებაში. აღნიშნული პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახლად დასაქმებული შშმ პირის უზრუნველყოფას სასტაჟიორო სტიპენდიით დასაქმების პირველი 3 თვის განმავლობაში.

დასაქმების ქსელ Worknet-ში დარეგისტრირებულია 1502 სოციალური პაკეტის მქონე შშმ პირი. თუმცა 2015 წლის სექტემბერში მათგან მხოლოდ 25-მდე შშმ პირი დასაქმდა. ეს კი საკმაოდ მოკრძალებული რიცხვია.

ექსპერტების რეკომენდაციით, სამეწარმეო იურიდიულმა პირებმა, რომლებიც შშმ პირებს დაასაქმებენ, სასურველია ისარგებლონ საგადასახადო შეღავათებით. საჯარო თუ კერძო სამსახურში დასაქმებული შშმ პირები კი გათავისუფლდნენ საშემოსავლო გადასახადისგან, თუკი მათი წლიური შემოსავალი არ აღემატება 6 000 ლარს.

შშმ პირებს დიდი პოტენციალი აქვთ და როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორმა ეს სათანადოდ უნდა გამოიყენოს.

# მარიამ გოდუაძე


1 ინკლუზიის ინსტრუმენტები – პოზიტიური დასაწყისი 119

2 ჩართულობა და ინკლუზიური საკლასო ოთახი 123

3 ინდივიდულური სასწავლო და განვითარების გეგმები (ისგ და იგგ) 131

4 თანასწავლება 144

5 როგორ მოვაწყოთ რესურსოთახი 151

6 ინკლუზიის ინსტრუმენტები – მულტიმოდალური სწავლება 157

7 მოსწავლეთა შეგრძნებებზე ზემოქმედება – ცოცხალი რვაფეხა კლასში 162

8 წერის ათვისებისთვის ინკლუზიურ საკლასო ოთახში, მარია მონტესორის მეთოდი 168

9 როდის და როგორ შევისვენოთ ინკლუზიურ საკლასო ოთახში 174

10 ჭრელი წინდა და რამდენიმე რჩევა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან მუშაობისთვის 178

11 შემეცნების პროცესები და შემეცნებითი უნარების განვითარება 181

12 შემეცნებითი უნარების განვითარება – ნეგატიური დემონსტრატიულობა, ვერბალიზმი 184

13 ვიფიქროთ ერთად – ინკლუზია, შემეცნება და საგაკვეთილო რესურსლაბები 189

14 რეცეპტები ინკლუზიისა და პედაგოგიური გამძლეობისთვის 193

# ინკლუზიის ინსტრუმენტები – პოზიტიური დასაწყისი

აქტიური სასწავლო პროცესის წარმართვისა და მოწაფეთა შემოქმედებითი პოტენციალის ზრდისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო წლის პოზიტიურად დაწყება. ამისთვის ყველა პედაგოგს თავისი გზები, ხერხები, საშუალებები აქვს და შეძლებისდაგვარად ცდილობს, ახალ თაობას თავი კარგად დაამახსოვროს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ბავშვებს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ და მათთვის თანამონაწილეობითი გარემოს შესაქმნელად მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მოგვეთხოვება.

გასაკვირი არაფერია, მეთოდოსისა და ოდოსის ძმობის ოდინდელი ამბავი დღემდე ლაიტმოტივად მოჰყვება საგანმანათლებლო სივრცეს და, თუ პირველი ქმედების რაგვარობას კარნახობს პედაგოგს, მეორე – გზაა, გეზი და ვექტორი, რომელიც მოწაფეს მართებულად უწინამძღვრებს მისთვის ესოდენ საჭირო სააზროვნო სივრცის ათვისებისას. მთელ ამ ამბავში კი მთავარი მაინც პოზიტიური დასაწყისია, ოდნავ უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ოდოლოგია ან თუნდაც ნებისმიერი ტიპის მეთოდოლოგია.

**– მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო! მე მარიამი ვარ და მიხარია, რომ თქვენთან ურთიერთობის საშუალება მომეცა. ჩვენ სწორად დავგეგმავთ სასწავლო აქტივობებს საუკეთესო შედეგების მისაღებად,** – ბანალური და ცოტა ვრცელი, მაგრამ მაინც პოზიტიური დასაწყისია, რადგან ბავშვებს ახარებთ უფროსებთან მეგობრობის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მეგობრობის ცნება  კარგად ჯერაც არ ჰქონდეთ გააზრებული. თანაც აქვე ჩანს მიზანი, რომლისკენაც მთელ შემდგომ აქტივობებს მივყავართ.

უფრო პოზიტიური დასაწყისისთვის ათასგვარი სახალისო ამბის მოფიქრება ან გათამაშებაც შეიძლება, მაგალითად, ასე:

**– ძვირფასო მეგობრებო! მე მშრომელი და მიზანდასახული მარიამი ვარ და მსურს, თავადაც მითხრათ თქვენს სახელთან ერთად სახელის პირველი ასო-ბგერით დაწყებული თუნდაც ერთი, მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური, ზედსართავი.**

ბავშვები იოლად იღებენ ახალ გამოწვევას და ასე ჩნდებიან კლასში ნიჭიერი ნინო, გონიერი გიო, ბრძენი ბერიკა, თავისუფალი თათო... ეს იდენტობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი სახალისო და, იმავდროულად, შემეცნებითი უნარების განმავითარებელი, ყველა ასაკის ადამიანისთვის საინტერესო აქტივობაა, რომელსაც სიამოვნებით უნდა შევწიროთ ჩვენი დროის 10 წუთი, რადგან მთელი სასწავლო სემესტრისა თუ წლის განმავლობაში დაგვეხმარება მოსწავლეებთან/ სტუდენტებთან პოზიტიური ურთიერთობის შენარჩუნებაში.

**რაც შეეხება იდენტობისა** და **მიზნის** უკეთ განსაზღვრას: ფსიქოლოგიის პროფესორი მაურის ჯ. ელიასი (Maurice J. Elias) მიიჩნევს, რომ სკოლაში დაბრუნება საუკეთესო დროა პედაგოგებისთვის, დაეხმარონ მოსწავლეებს პერსონალური თუ სხვა ტიპის რესურსების თავმოყრასა და მობილიზებაში, რაც წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა. იდენტობის გამოსარკვევი აქტივობის დროს **„ვინ ვარ მე?“** – სტუდენტები/მოსწავლეები ავსებენ კითხვარს, რომელსაც ჯერ მხოლოდ მეწყვილეს უზიარებენ, მართავენ დისკუსიას მცირე ჯგუფებში და საბოლოოდ მთელ კლასს აცნობენ თავიანთ პასუხებს (მოსწავლეები/სტუდენტები ირჩევენ მათთვის ყველაზე კომფორტული კითხვების ნომრებს ფართო ჯგუფში გასაზიარებლად). შესაძლოა, მათ გაზიარების უფრო კრეატიული ფორმა შეარჩიონ. მაგალითად, შექმნან კოლაჟი ან ჩატი – დიაგრამა, ცხრილი... – თავიანთი პასუხებისთვის ან პირველ სამ კითხვაზე პასუხისთვის ისე, თითქოს ამას რომელიმე ჟურნალისთვის აკეთებდნენ.

კითხვები ასეთია:

1. რა მიქმნის მოტივაციას?
2. რომელია ჩემი საუკეთესო უნარი/უნარები?
3. როგორ მოქმედებს ჩემზე მეწყვილე?
4. როდის და ვისთან ვიხარჯები ბოლომდე?
5. ვინ მეხმარება ყველაზე მეტად?
6. როგორ მივაღწევ მეტს ან რა დამეხმარება წარმატების მიღწევაში?

## ცოცხალი გადარჩევა (A living poll)

ცალკეული მოცემულობის წაკითხვის შემდეგ, სტუდენტები/მოსწავლეები ერთი და იმავე ტიპის პასუხებს ათავსებენ მასწავლებლის მიერ ოთახის წინასწარ განსაზღვრულ ნაწილში. საჭიროა, გამოიყოს სამი არე შემდეგი სამი ტიპის თვალსაზრისის გამოსახატავად:

- უმეტესწილად სიმართლეა
- ნაწილობრივ სიმართლეა
- უმეტესწილად არ არის სიმართლე

**შეგვიძლია წარმოვადგინოთ და შემდეგ ამოვარჩიოთ კითხვები პოზიტიური ან ნეგატიური გადაწყვეტისთვის:**

1. **„სკოლა უგუნურებად მიმაჩნია“ ან „მიმაჩნია, რომ სკოლა მნიშვნელოვანია და წარმატების მისაღწევად სწავლაა საჭირო“.**
2. **„ზოგჯერ ძალადობა მისაღებია“ ან „ძალადობა მიუღებელია, ძალას მხოლოდ რეალური საფრთხის შემთხვევაში ვიყენებ“.**
3. **„მიმაჩნია, რომ ცდა არაფერს შეცვლის” ან „მჯერა, რომ თუ მეტად მოვინდომებ, მეტს მივაღწევ“.**
4. **„მხოლოდ პოპულარობისთვის გავაკეთებ რამეს“ ან „ვაკეთებ იმას, რაც მინდა და რაც მართებულია“.**
5. **„სკოლაში დროის გასაყვანად დავდივარ“ ან „მე ვარ ის, ვისაც სურს ჩართულობა და სწავლა“.**

თითოეული მოცემულობის ჩანაცვლება შესაძლებელია ჩვენი სურვილისამებრ. მათი წარდგენის შემდეგ ვთხოვთ სტუდენტებს, ოთახის თითოეული არიდან, გაგვანდონ, რატომ ფიქრობენ ასე. ძალზე ღირებულია მეწყვილეთა ურთიერთდამოკიდებულების გაცნობა მეტი პოზიტიური აზროვნების მისაღწევად. მეორე მხრივ, პედაგოგისთვისაც სამოქმედო ინსტრუქციაა ბავშვების აზრის მიღება. ამ თამაშში მოწაფეს შეუძლია, წარმოდგენის შეცვლის შემთხვევაში ადგილი  შეიცვალოს და სასურველ მხარეს გადავიდეს.

ვთხოვოთ მათ, გამოყონ თავიანთი თვალსაზრისები ჩვენი წარმოდგენებისგან და ახსნან და დაასაბუთონ, რატომ შეიცვალეს მიდგომა. აქტივობა სრულდება ერთმანეთისთვის სამართლიანი აზრის გაზიარებით.

## შეხედულებების ჩაწერა

წინა აქტივობის შემდეგ ბავშვები იწერენ საკუთარ შეხედულებებს და დამატებით ავსებენ სამიდან თუნდაც ერთ პუნქტს:

- მე ვიყავი _____ , მაგრამ ახლა ვარ _____
- მიმაჩნდა, რომ _____ , მაგრამ უკვე ვფიქრობ, რომ _____
- ვაკეთებდი _____, მაგრამ ახლ ა გავაკეთებ ისე, რომ _____

დამატებითი სარგებელია ამგვარ აქტივობათა სასწავლო წლის შუაში გამოყენებაც იმის გასარკვევად, პოზიტიურად იცვლება ბავშვების აზრები თუ ნეგატიურად.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი შთაბეჭდილება უმნიშვნელოვანესია, ამიტომ საკლასო ოთახის დეკორაცია აუცილებლად მიიპყრობს სკოლაში დაბრუნებული მოსწავლეების ყურადღებას და, იმავდროულად, მათ ფიქრის საშუალებასაც მისცემს. შევავსებინოთ კითხვარები საკლასო დეკორაციების შესახებ სხვადასხვა ასპექტის მოსანიშნად. ერთად ვიმსჯელოთ განსხვავებებზე, რომლებიც შეამჩნიეს ან ვკითხოთ, რას დაამატებდნენ, ჩვენს ადგილას რომ ყოფილიყვნენ.

მორის ჯ. ელიასის ყველა ეს რჩევა საინტერესოა და მოწაფეთა სასწავლო პროცესით დაინტერესების, მასში ჩართულობისა და თანამონაწილეობის წინაპირობაა. აკი არისტოტელეც ამბობს, რომ „კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია“. ჰოდა, დავიწყოთ პოზიტიურად და სასურველი შედეგიც აუცილებლად მოვა.

გამოყენებული ელექტრონული რესურსი:

1. http://www.edutopia.org/blog/helping-students-start-year-positive-mindset-maurice-elias

# ჩართულობა და ინკლუზიური საკლასო ოთახი

ჩართულობა (ინკლუზია) რომ თანამედროვე სასწავლო სივრცის განუყოფელ ატრიბუტად უნდა ვაქციოთ და მიდგომა, რომ სკოლებმა ყველა ბავშვისთვის თანაბარი განათლების უზრუნველყოფა მათი ტალანტის გაუფლანგავად უნდა მოახერხონ, დავას აღარ უნდა იწვევდეს. თუმცა ინკლუზიური სკოლების მიერ არაერთგვაროვან მოსწავლეთა საჭიროებების დაკმაყოფილების და მრავალფეროვანი საზოგადოების ასახვის იდეა ჯერ კიდევ მრავალი ქვეყნის განათლების სისტემის დებატისა და განვითარების წყაროდ მოიაზრება[1]. ჩართულობის განათლებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები გაისმის ჩვენშიც და ხშირად რწმენა, რომ ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღებისა და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის უფლება უარყოფილია. შესაბამისად, ვერ ხერხდება ინტერესების დაცვა იმ მოსწავლეებისა, ვინც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეს სტატუსს ატარებს ან არ ატარებს, თუმცა მათი ქცევა და სწავლისადმი დამოკიდებულება აშკარად იძლევა ინკლუზიური საკლასო გარემოს შექმნის და არსებობის საფუძველს.

არცთუ იშვიათად მითხოვია მოსწავლეთათვის, ერთი წუთით თვალები დაეხუჭათ და წარმოედგინათ, რომ ბუნებაში ყოველი ხაზი ან ფერი არის წითელი, ან ყვითელი, ან თუნდაც მწვანე; მითხოვია დაეშვათ, რომ სამყაროში მხოლოდ ერთი მუსიკალური ბგერა არსებობს, მაგ., დო ან რე და გაეთამაშებინათ მსგავსი მონოტონურობა. ბგერებისა თუ ფერების განსხვავებებით მიღწეული გამის ჰარმონია ცხოვრების მოდელად რომ გადმოვიტანოთ და მისი ასახვა საკლასო ოთახიდან დავიწყოთ, სულაც არაა ძნელი საქმე. მთავარი იმის გააზრებაა, რომ თითოეული ადამიანი განსხვავებულია და ინკლუზიური სწავლების მიზანიც ნორმისა და პათოლოგიის ინტეგრირება კი არა, არამედ ჯგუფში თითოეული ადამიანის ჩართვა, მათი უფლებების დაცვა და შესაძლებლობების აღიარებაა, მიუხედავად იმისა, ვიწოდებით თუ არა სსსმ-დ.

[1] Ainscow, Howes, Farrell and Frankham 2003; როუზი და ენგი, 2013.

არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ ეკონომიკური ტიპის პრობლემების, შეზღუდვის ან დასწავლის სირთულის „იარლიყის“ მქონე ბავშვების, ან ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების (როგორიცაა, მაგალითად, ბოშები) განათლება არასდროს ყოფილა პრიორიტეტი. პრიორიტეტი არც იმ ბავშვების სასწავლო პროცესში საფუძვლიანი ჩართვაა, რომლებმაც სწორედ ინკლუზიის არარსებობის გამო ფეხი ვეღარ აუწყვეს სასწავლო მასალას და საბაზო თუ საშუალო საფეხურზე პროგრამიდან ამოვარდნენ. სამწუხაროდ, ჩვენს საჯარო სკოლებში არცთუ იშვიათია ისეთი კლასების არსებობა, სადაც 30-იდან მხოლოდ 5-10 მოსწავლე სწავლობს, დანარჩენები კი სკოლებში დროის გაყვანის, მშობელთა ახირების ან თუნდაც დამრიგებლების ზარების წყალობით დადიან. შედეგი კი ის არის, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა უმრავლესობა სკოლაში საგაკვეთილო პროცესში ჩართვასა და მასწავლებლის მოსმენას რეპეტიტორთან მიღებულ ცოდნას ამჯობინებს და ამ გზით ხვდება უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებელში. მეორე ცუდი შედეგია, რომ საჯარო სკოლებისა და მათი პედაგოგების რეიტინგი თანდათან იკლებს, სახელმწიფოც ამაოდ იხარჯება და სანამ ყველაფერი ავგიას თავლას დამსგავსებია, საჭირო და აუცილებელია ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის უზრუნველყოფა და ამისთვის დაწყებით საფეხურზევე უნივერსალური განათლების ჩამოყალიბება, რადგან სხვანაირად ვერც ჰერაკლე დაგვეხმარება, ვერც თეზევსი ან არიადნა გვიშველის თავისი მაგიური ძაფით.

ერთი შემთხვევა მახსენდება: პირველად საჯარო სკოლაში სხვადასხვა ეროვნებისა და ქცევის 13-14 წლის ბავშვებთან შემიშვეს, თან გამაფრთხილეს, რომ სკოლაში ყველაზე რთული კლასი იყო და თავიდანვე „მაგრად“ უნდა დავმდგარიყავი. თავის წარდგენა რომ დავაპირე, გვერდიდან ლოყაზე წვერგამოცლილი კალმისტრით ნასროლი ქაღალდის პაწაწა ბურთულა მომხვდა. წინა მერხზე მჯდომმა გოგონამ კი გამაფრთხილა, ჯერ სად ხართ, მთავარი სიურპრიზი ხვალ გელითო. მაშინვე მივხვდი, ამ ბავშვებთან ადამიანური საუბარი, ღიმილი და თბილი მოპყრობა უფრო გაჭრიდა, ვიდრე მკაცრი ტონი და საყვედურები. მომდევნო დღეს მოსულ „სიურპრიზს“ კი ხელი მაგრად ჩამოვართვი. მახსოვს, სხვებიც გაოცებით მართმევდნენ ხელს შეთანხმებით: **„ხელის ჩამორთმევა ნიშნავს ხელის არშეშლას“**. პირობა შეასრულეს და ძალიან მალე ისეთმა ბავშვებმაც დაიწყეს გულიანად სწავლა, ვისაც 3-4 წლის მანძილზე წიგნი საერთოდ აღარ გადაუშლიათ. დირექციის გაოცებაც მახსოვს, როცა მოულოდნელად კარს შემომიღებდნენ ხოლმე და გაკვეთილს ყვე-

ლა ყვებოდა, აქტივობებში ყველა ერთვებოდა, მათ შორის ისეთებიც, ვისაც მშობლები საერთოდ არ ჰყავდა ან ჰყავდა და წლების მანძილზე საერთოდ არ ენახა. შეუძლებელი არაფერია, თუკი კლასში თანასწორ საზოგადოებას განვავითარებთ, ყველა ინდივიდს სათანადოდ დავაფასებთ და პატივისცემით მოვეპყრობით, მოსწავლეებში დადებით ღირებულებებს გავაღვივებთ, შევაფასებთ სწავლისათვის და არ ვასწავლით მხოლოდ შეფასებისთვის, მაშინ მოსწავლეს განუვითარდება ის უნარები, განწყობა და აღქმა, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც ყველა ინდივიდი დაფასებულია.

ინკლუზიური განათლების შესახებ ის მოსაზრება, რომ ყველა ბავშვი, საჭიროებებისა და უნარების მიუხედავად, თანატოლებთან ერთად უნდა სწავლობდეს საჯარო სკოლაში, საკმაოდ ვალიდურია დასავლურ საზოგადოებაში, სადაც განათლების უფლება დიდი ხნის მოპოვებულია. იქ, სადაც ეს თანდათანობითი პროცესი ბუნებრივი პროგრესიით განვითარდა. ამის შედეგია, რომ განმანათლებლები დაინტერესებული არიან, ყველა სკოლაში დაინერგოს მიდგომა, რომელიც მრავალფეროვან მოსწავლეთა სწავლებას შეუწყობს ხელს. თუმცა ევროპელი ექსპერტების შეფასებით, აუცილებელია მასწავლებლების ადეკვატური მომზადება, რათა უპასუხონ უფრო ფართო მოსახლეობის საჭიროებებს. (Taba 1962; York და Reynolds 1996). მათივე რჩევით, ინკლუზიური განათლების განსავითარებლად მასწავლებელმა საკუთარ საქმიანობას უნდა გადახედოს, რათა ყველა მოსწავლის მხარდამჭერ სწავლებას შეუწყოს ხელი და ჩართულობას უნდა შეხედოს, როგორც სოციალურ და საგანმანათლებლო პროცესს (როუზი და ენგი 2013).

დაფასება იმისა, რისი სწავლაც თითოეულმა მოსწავლემ შეძლო, მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა. ლევ ვიგოდსკი წერდა, რომ სწავლის პროცესში ერთი ნაბიჯის წინ გადადგმის დროს ბავშვი ორი ნაბიჯით დაწინაურდება; რომ განვითარების მხრივ სწავლისა და განვითარების პროცესები არ ემთხვევა ერთმანეთს. (Vygotsky in Cole et.al.,1978:84). გვმართებს იმის გაცნობიერებაც, რომ მასწავლებელმა მოსწავლეების სოციალური საჭიროებები და მიღწევები გაითვალისწინოს და მათი **შეფასებისა და დაფასების** პროცესი განავითაროს (როუზი და ენგი 2013). შეჯიბრებითი სიტუაცია სჯობს, თანამშრომლობის მოდელით ჩავანაცვლოთ, რომ აკადემიური მიღწევა მთავარ ღირებულებად არ იქცეს და წარმატების მისაღწევად უფრო ჰოლისტიკური მიდგომა დამკვიდრდეს. შეფასებისას კი ყურადღებას მხოლოდ აკადემიურ

მიღწევაზე არ უნდა ვამახვილებდეთ, არამედ – ინდივიდის სოციალურ განვითარებაზეც.

ნებისმიერ კლასში საჭიროებებისა და უნარების მთელი სპექტრი არსებობს. ეფექტური სწავლება მოითხოვს ისეთი პროცესების ყურადღებით განხილვას, როგორიც არის ეფექტური დაგეგმარებისთვის, სწავლებისთვის და მოსწავლეების წინსვლის აღიარებისთვის აუცილებელი შეფასება. ჩართული საკლასო ოთახების განსავითარებლად მასწავლებელს დახმარება სჭირდება, რათა შეძლოს ინდივიდუალური მოსწავლეების საჭიროების იდენტიფიცირება, სწავლების დაგეგმარება და არა მხოლოდ მიღწევისა და წინსვლის, არამედ სასწავლო მეთოდების ეფექტურობის შეფასებაც. ასეთი შეფასება არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევის შეჯამებას მოიცავს, არამედ ყურადღებას აქცევს ინკლუზიურ სწავლებასა და საკლასო ოთახის მართვას. ინკლუზიური განათლებისათვის აუცილებელია, მასწავლებელმა გააცნობიეროს სწავლაში ჩართულ ყველა წევრთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარების მნიშვნელობა. მასწავლებელმა პატივისცემა უნდა გამოხატოს ბავშვებისა და მათი მშობლებისადმი და გაითვალისწინოს სასწავლო საჭიროებების მათეული ხედვა (Rouse 2006).

ისააკ ნიუტონი, ალბერტ აინშტაინი, ჯორჯ ვაშინგტონი, აბრაამ ლინკოლნი, ჰარი ტრუმენი, ბენჯამენ ფრანკლინი, მარკ ტვენი, ჩარლზ დიკენსი, ჯეკ ლონდონი, უილიამ ფოლკნერი, ენზო ფერარი, ჰენრი ფორდი, სტივ ჯობსი თუ ბილ გეიტსი... – არასრული ჩამონათვალია იმ ადამიანებისა, ვისთვისაც  სკოლა არც თუ ისე სასიამოვნო გამოცდილებაა. დასწავლის პრობლემების მქონე მოსწავლეებისთვის თითოეული სასკოლო დღე შეიძლება გამოწვევა აღმოჩნდეს, ხოლო თანატოლების მსგავსად სწავლა – შიშისმომგვრელი გამოცდილება. თუკი მოსწავლეები თავს უხერხულად და შეშინებულად გრძნობენ, ისინი ნაკლებად ეფექტურად სწავლობენ და ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდაც აღარ ცდილობენ რაიმეს მიღწევას. კვლევები ადასტურებს, რომ საკლასო ოთახში არასასურველ ქცევასა და აკადემიურ სირთულეებთან გამკლავების უნარს შორის პირდაპირი კორელაცია არსებობს (Garner 2005; Garnerand Davies 2007; როუზი და ენგი 2013). იმ შემთხვევაში, თუკი ყურადღება მიექცევა ისეთი მიზნების დაგეგმარებას, რომელიც ყველა მოსწავლის საჭიროებებს გაითვალისწინებს, ეს ყველა მოსწავლისათვის სასარგებლო აღმოჩნდება და ეფექტური საკლასო ოთახების შენარჩუნებას  შეუწყობს ხელს.

სწავლისათვის შეფასების საწყის პრინციპად განათლების ექსპერტები მოსწავლეების მიერ საკუთარი სასწავლო საჭიროებების შეფასებას გვთავა-

ზობენ. ბევრ სკოლაში, მარტივი კითხვარების გამოყენებით მასწავლებლებმა მოსწავლეების განწყობა და სწავლისადმი მოლოდინები გაიგეს. შემდეგი ნიმუში დაწყებით სკოლაში გამოიყენეს, ის ბავშვებმა ბრიტანეთსა და ნორვეგიაში შეავსეს. ყოველი სემესტრის წინ მასწავლებელი მოსწავლეებთან მართავს დისკუსიას და სთხოვს ფორმის შევსებას. შემდეგ, ის დროს ხარჯავს ინდივიდუალურად ყველა მოსწავლესთან სასაუბროდ იმის შესახებ, როგორ იმუშავებენ სემესტრის განმავლობაში. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ კითხვარს ბავშვები ჩვენშიაც მონდომებითა და გულისყურით ავსებენ.

**დაწყებითი სკოლის მოსწავლის თვითშეფასების ფორმა**

| | |
|---|---|
| სკოლაში ყველაზე მეტად მომწონს... | ჩემი მეგობრების ნახვა და ხატვა |
| სკოლაში ყველაზე მეტად არ მომწონს... | რთული მათემატიკა |
| კლასში ყველაზე მეტად მეხმარება... | მაქსთან და ანასთან მუშაობა |
| სწავლაში ხელს მიშლის... | როდესაც მასწავლებელი ძალიან ჩქარა ლაპარაკობს და ფიქრის დროს არ მაძლევს |
| ყველაზე კარგად გამომდის... | ხატვა და ცურვა |
| უკეთ მინდა გამომივიდეს... | მათემატიკა და წერა |
| დამეხმარება, რომ | მასწავლებელმა უფრო ნელა ისაუბროს და ახსნას რაღაცები |
| ასე დავეხმარები ჩემს თავს | გავჩუმდე, როდესაც მასწავლებელი ლაპარაკობს და შეკითხვები დავსვა |

ამ მიდგომამ დაწყებით კლასებში ჩვენშიც გაამართლა, მოსწავლეებმა თავი დაფასებულად და სწავლაში ჩართულად იგრძნეს.

საბაზო და საშუალო საფეხურის სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებთან შეიძლება დაახლოებით ამგვარი კითხვარის შემუშავება:

**თვითშეფასების ფორმა**

| | |
|---|---|
| ჩემი გამოცდილება სკოლაში იყო | კარგი საშუალო ცუდი<br>[შემოხაზეთ ერთი პასუხი] |
| ჩემი მიღწევა სკოლაში იყო | კარგი საშუალო ცუდი<br>[შემოხაზეთ ერთი პასუხი] |
| რა თვისებებს მოელით მასწავლებლისაგან? | უნდა შეეძლოს მოსმენა და რთული საკითხების იოლად გადმოცემა |

| | |
|---|---|
| | გვაძლევდეს დროს სწავლისათვის და გასწავლიდეს, როგორ გამოვიყენოთ, რაც ახლა ვისწავლეთ |
| ადრე რა გაუკეთებია მასწავლებელს, რამაც სწავლაში ხელი შეგიშალათ? | გასაგებად საკმარის დროს არ მაძლევდნენ და ხშირად არ მიხსნიდნენ, რისთვის უნდა მესწავლა ზოგიერთი რამ |
| სწავლაში რა გეხმარებათ? | სიჩუმე კლასში. ათვისებადი პორციების სწავლა და არა – ერთდროულად ზედმეტი ინფორმაცია |
| რისი მიღწევა გინდათ სამომავლოდ? | მინდა ვიყო კარგი არქიტექტორი და იმდენი ვისწავლო, რომ დამოუკიდებლად ვიმუშაო |
| რას იზამთ, მიზნებს რომ მიაღწიოთ? | დავესწრები ყველა გაკვეთილს. კარგად ვიმეცადინებ. |
| საგნებთან დაკავშირებით რამე გაწუხებთ? | შეიძლება ბევრი საწერი იყოს |

ყოველ მოსწავლესთან ამგვარი ფორმის გამოყენება  და რიგრიგობით, ინდივიდუალურად განხილვა მასწავლებელს ეხმარება, დაგეგმოს სწავლების გზა და მიუთითებს, რომ პატივი სცეს ფორმატული შეფასების პროცესში მოწაფის მიერ შეტანილ წვლილს. ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად საჭიროა სწავლის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, რაც მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს. ეფექტური მასწავლებლები ინკლუზიურ საკლასო ოთახში ყველა ხერხს იყენებენ, რათა მოსწავლეებს სწავლაზე ხელი მიუწვდებოდეს. სტრატეგიების ეს ჩამონათვალი მასწავლებელს მის კლასში მყოფი ინდივიდების საჭიროებების დაკმაყოფილებაში დაეხმარება, რათა კლასის საჭიროებებზე ჩანაწერები აწარმოოს. მასწავლებლები, რომლებიც ჩართულობაზე იღებენ ვალდებულებას, სასწავლო გარემოს შესაქმნელად არა მხოლოდ სწავლების მეთოდებს აფასებენ, არამედ მოსწავლის საჭიროებებსაც (Black-Hawkins, Florian and Rouse, 2007).

**მოსწავლეების დიფერენცირების ჩამონათვალი**

- **შინაარსის დიფერენცირება:** მაგალითად: ჯგუფში ყველა მოსწავლე ერთ მიზანზე მუშაობს, როგორც კითხვის კომპეტენცია, მაგრამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა სქემებს იყენებს.
- **დიფერენცირება დაინტერესების მიხედვით:** მაგალითად: ყველა მოსწავლე სწავლობს გრაფიკების აგებას, მაგრამ გრაფიკებში წარმოდგენილი მონა-

ცემები მოსწავლეების პირადი ინტერესების მიხედვით არის შერჩეული.

- **ტემპის დიფერენცირება:** ყველა მოსწავლე მუშაობს ერთსა და იმავე დავალებაზე ან ერთი და იმავე მასალის გამოყენებით, მაგრამ დავალების შესრულების დრო განსხვავებულია.
- **ხელმისაწვდომობის დიფერენცირება:** ინდივიდუალურ მოსწავლესთან განსხვავებული მასალით ან მეთოდებით ხდება მუშაობა. მაგალითად: ერთი მოსწავლე წერს ფანქრით, მეორე – კომპიუტერის მეშვეობით, ხოლო მესამე – დასურათებულ ნაშრომს წარადგენს.
- **შედეგის დიფერენცირება:** ერთი მოსწავლე წერს მოთხრობას, მეორე ხატავს მოთხრობის ამსახველ სურათს, ხოლო მესამე აკეთებს ამ მოთხრობის აუდიოჩანაწერს.
- **კურიკულუმის დიფერენცირება:** მოსწავლეები კურიკულუმს უერთდებიან სხვადასხვა დროს ან კურიკულუმში თანატოლებისაგან განსხვავებულად არიან ჩართულნი.
- **სტრუქტურის დიფერენცირება:** ზოგიერთი მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ მუშაობს (კურიკულუმში გაანალიზებული დავალებები).
- **დროის დიფერენცირება:** ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მასწავლებელი მეტ დროს უთმობს გარკვეულ მოსწავლეებს კონკრეტული დავალებების შესრულებისას.
- **სწავლების სტილის დიფერენცირება:** მაგალითად, ზოგიერთ მოსწავლეს სჭირდება ინდივიდუალური ინსტრუქცია, სხვები კი მუშაობენ პატარა ჯგუფებსა ან წყვილებში.
- **დონის დიფერენცირება:** მოსწავლეები ერთნაირი თანმიმდევრობით, მაგრამ სხვადასხვა დონეზე მუშაობენ, მაგალითად მათემატიკაში.
- **დიფერენცირება დაჯგუფებით:** მასწავლებელი მოსწავლეებს აჯგუფებს კონკრეტული აქტივობებისათვის. მოსწავლეები ერთმანეთს მხარს უჭერენ ან მუშაობენ ისეთ თანატოლებთან ერთად, ვისთანაც კომფორტულად გრძნობენ თავს.

უცხოეთში იმ სკოლების მაჩვენებელი, რომლებიც ეწევიან ინკლუზიურ პრაქტიკას და ხელს უწყობენ მასწავლებლის მიერ შეფასებას სწავლისათვის და სხვადასხვა საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვის დაგეგმარებას, ხშირად სხვა სკოლებზე უკეთესია. მასწავლებლები, რომლებიც დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებისათვის ეფექტური დიფერენცირების მეშვეობით გეგმავენ აქტივობებს, ხშირად აღმოაჩენენ, რომ ეს აქტივობები და

სწავლების სტრატეგია სხვა მოსწავლეებისათვისაც სასარგებლოა. ზოგიერთი მასწავლებლისა და მშობლის წუხილიც, რომ კლასში სსსმ მოსწავლეა და დანარჩენ მოსწავლეებს ყურადღება მოაკლდებათ, უსაფუძვლო აღმოჩნდება. კარგად ორგანიზებულ ინკლუზიურ კლასებში, სადაც მასწავლებლები იყენებდნენ შეფასებას სწავლისათვის, დიფერენცირებულად გეგმავდნენ გაკვეთილებს და ყურადღებით ანაწილებდნენ რესურსებს, ეს შიში არ მართლდება (Rouse and Florian, 2006). ასეთ სიტუაციაში, მეტი შესაძლებლობის მოსწავლეები მხარს უჭერენ დასწავლის პრობლემების მქონე მოსწავლეებს. მათი როლი ტოლებისათვის სასწავლო შინაარსისა და პროცესის ახსნაა. ამ დროს ისინი იძულებულნი არიან ყურადღებით იფიქრონ გაკვეთილის თემაზე და ამით საკუთარი ცოდნაც გაიღრმავონ. ასეთ სიტუაციაში ნაკლები შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები წინ მიიწევენ სხვების დახმარებით, რომლებიც ეფექტურ როლურ მოდელებად იქცევიან მათთვის. შესაძლოა, თანატოლს ისეთი კითხვები დაუსვან, რომელსაც მასწავლებელს, როგორც ავტორიტეტს, ვერ დაუსვამენ. შესაბამისად, შერეული უნარების სიტუაციაში ყველა მოსწავლე სწავლობს ერთმანეთისაგან, ყველა აქტიური და ჩართულია. ეს კი ყველასთვის სასარგებლოა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Garner, P. and Davies, J. D., (eds.) (2007). Key Questions in Behaviour.
2. Garner, P. (2005). 'Behaviour for Learning: A Positive Approach to Managing Classroom Behaviour', in S. Capel, M. Leask & T. Turner (eds.) Learning to Teach in the Secondary School. London: Routledge. Exeter: Learning Matters
3. ენგი, კ. რ., როუზი, რ., შეფასება სწავლისთვის ინკლუზიურ სკოლებში, ნორვეგიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბ., 2013.
4. Rouse, M., & Florian, L. (2006). Inclusion and achievement: student achievement in secondary schools with higher and lower proportions of pupils designated as having special educational International Journal of Inclusive Education, 10 (6), 481-494.
5. Rose, R. (1999). The involvement of pupils with severe learning difficulties as decision-makers in respect of their own learning Westminster Studies in Education, 22 (4), 19-29.
6. Singal, N. (2006) An ecosystemic approach for understanding inclusive education: an Indian case study. European Journal of Psychology of Education, 21 (3) 239-252.
7. Taba, H. 1962. Curriculum Development. Theory and Practice. New York, Harcourt, Brace and World.
8. Vygotsky, L. S. (1978). Mind in society. The development of higher psychological processes. M. Cole, V. JohnSteiner, S. Scribner & E. Souberman (Eds.). Cambridge: Harvard University Press.
9. Wood, E. & Bennett, N. 2000. Changing Theories, Changing Practice: Exploring Early Childhood Teachers' Professional Learning. Teaching and Teacher Education, 16:635-647.

# ინდივიდულური სასწავლო და განვითარების გეგმები (ისგ და იგგ)

**ინდივიდუალური განვითარების გეგმა** (An individual development plan (IDP)) საერთაშორისო გამოცდილების ერთგვარი მონაპოვარია. იგი შეიძლება იყოს: 1. მოსამზადებელი თუ შემდგომი პერიოდების უკუკავშირით დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობის ხელშემწყობი ინსტრუმენტი[2]; 2. პიროვნული ზრდისთვის დადგენილი ინდივიდუალური განვითარების გზამკვლევი, რომელიც განსაზღვრავს, რა მიზნები და მოლოდინები შეიძლება გვქონდეს შემდგომი სამუშაო პერიოდისთვის ჩვენი საურთიერთო, სწავლების, კვლევითი, პროფესიონალური თუ კარიერული ზრდის კომპეტენციების განვითარების მიზნით[3]; 3. ინდივიდუალური განვითარების, სხვანაირად: ინდივიდუალური განათლების[4] გეგმა იქმნება მოსწავლეთა სწავლების ხელშესაწყობად იმ ადამიანების (მშობლების, მასწავლებლების...) თანხმობითა და მხარდაჭერით, ვინც ჩართულია ბავშვის ან ახალგაზრდის აღზრდისა და განვითარების პროცესში[5]. ამ მიზნით იგი შეუზღუდავია იმ კონტექსტებისა (ადგილი – სახლი, სკოლა, სოციუმი...) და საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც მოზარდის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს. საქართველოში მოსწავლეთა ინდივიდუალური განვითარების მიზნით რამდენადმე განსხვავებული გეგმა გამოიყენება.

**ისგ – ინდივიდუალური სასწავლო გეგმის** აბრევიატურა და **ინდივიდუალური განვითარების გეგმის** სახესხვაობაა. რამდენიმე წელია, რაც იგი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ახალ ტერმინად მკვიდრდება. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებული დოკუმენტია, რომელშიც იწერება მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები. ისგ დგება სპეციალუ-**

---

2 https://www.opm.gov/WIKI/training/Individual-Development-Plans.ashx

3 https://gradschool.fsu.edu/professional-development/individual-development-plan-idp

4 ამგვარად მხოლოდ შვედეთის განათლების ეროვნული სააგენტო https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:662097/FULLTEXT01.pdf

5 https://www.torfaen.gov.uk/en/EducationLearning/Specialeducationalneeds(SEN)/Exciting-Changes/Individual-Development-Plans.aspx

**რი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის და ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას მისი მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინებით.**

მოსწავლის სწავლების პროცესში სირთულეების გამოვლენისა და მათი განსაზღვრის შემდეგ დამრიგებელი, ბავშვის მშობელთან შეთანხმებით, მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას. ამის შემდეგ იგეგმება შეხვედრა, რომელსაც ესწრება სკოლის ადმინისტრაცია, ბავშვის ყველა მასწავლებელი, ბავშვი (თუ ეს შესაძლებელია) და მისი მშობელი. ასეთ შეხვედრებზე არ უნდა იყოს სტრესული გარემო. მნიშვნელოვანია, ბავშვს და მის მშობელს განემარტოს შეხვედრის პოზიტიური მიზანი. თუკი აღმოჩნდება, რომ მოსწავლე, მასწავლებლების მიერ სხვადასხვა სტრატეგიების და მიდგომების მიუხედავად, ვერ სძლევს ეროვნულ სასწავლო გეგმას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით სკოლის გუნდი წერს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში **დეტალურად უნდა განისაზღვროს**:

1. **სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო** (როგორც საკლასო, ისე საშინაო) **აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში**;
2. **დრო**, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
3. **მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა**;
4. **დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი**: მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, ასევე მეცადინეობა შესაძლებელია განხორციელდეს ფსიქოლოგის ჩართულობით და სხვა; სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი, ძიძა და სხვა) საჭიროება;
5. **სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა** (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (რომელიც შეიძლება იყოს მშობელიც);

6. **მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი.** ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით.

ისგ-ში მაქსიმალურად უნდა იყოს წარმოდგენილი სსსმ მოსწავლის სწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროება და მისი დაკმაყოფილების გზები, მოსწავლის ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები, აგრეთვე ყველა დამატებითი აქტივობა, რომელიც საჭიროა გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ისგ იქმნება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა ან მოსწავლის სპეციალური საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

ეროვნული სასწავლო გეგმა ბავშვის საჭიროებებს უნდა მოერგოს გეგმის **გადაწყობის** – აკომოდაციის, **ცვლილების/გამარტივების** – მოდიფიკაციის და **ალტერნატიული მიზნების შეტანის** გზით.

**გადაწყობა (აკომოდაცია)** გულისხმობს სასწავლო გარემოს, პირობების შეცვლას სასწავლო მიზნებში ცვლილებების შეტანის გარეშე. მაგალითად, მხედველობის დეფიციტის მქონე პირისთვის ტექსტის შრიფტის ზომის გაზრდა, სამუშაო დროის დამატება, წერითი გამოცდის ზეპირი ფორმით გამოკითხვა და სხვა. აკომოდაცია <u>არ</u> გულისხმობს მასალის შინაარსის და სირთულის დონის ცვლილებას.

**სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია** გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგების რაოდენობრივ ან თვისებრივ ცვლილებას, რაც მოითხოვს სასწავლო მიზნების შემცირებას, გაზრდას, გამარტივებას ან გართულებას.

**ალტერნატიული მიზნის ფორმულირება** – ალტერნატიული მიზანი არ არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმით. მისი საჭიროების შემუშავება დგება, როდესაც მოსწავლეს არ შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მინიმალური ბარიერის გადალახვა ან შეიძლება იყოს პარალელური გეგმის სახით. (აღნიშნული მიზნები მიმართულია, ძირითადად, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარებაზე).

შემუშავებული მიზნები ეფუძნება SMART (გონივრულ) მოდელს და ისინი უნდა იყოს:

- (S –) სპეციფიკური – მარტივად დაწერილი, კონკრეტული; მოსწავლის მოსალოდნელი ქცევა და შესრულების კრიტერიუმები კი – ნათელი;
- (M –) მოსწავლის მიღწევების მზომი, მონიტორინგის საშუალების მომცემი;
- (A –) აწონილ-დაწონილი, მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებისადმი შესაბამისი;
- (R –) რეალისტური, მისაღწევი, მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- (T –) ტაბელური, თანადროული, დროის კონკრეტულ მონაკვეთში განსახორციელებელი.

მიზნების შემუშავება ხდება მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების, მიმდინარე, აქტუალური ცოდნის დონის, მასწავლებლის და მშობლის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – ისგ ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.

ისგ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ ის **პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი/მშობლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი ან სპეციალური მასწავლებელი**.

ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს **კოორდინატორი**, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; სასურველია, ჯგუფს ხელმძღვანელობა გაუწიოს **დამრიგებელმა ან სპეციალურმა მასწავლებელმა**.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ უნდა ჩატარდეს ისგ ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.

ინდივიდუალური გეგმით წარმართული სასწავლო პროცესის ეფექტურობის შეფასების მიზნით, საჭიროა პერიოდული (4-6 კვირაში ერთხელ) მონიტორინგი, რაც გულისხმობს ისგ ჯგუფის შეკრებას, პროცესის განხილვას და მიზნების გადახედვას. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას უნდა მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.). ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სსსმ მოსწავლის თითოეული საგნის მასწავლებელმა ისგ ჯგუფის კოორდინატორისათვის გადასაცემად უნდა მოამზადოს სსსმ მოსწავლის მიღწევის ანგარიში, რომელიც წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს[6].

## როგორ დავწეროთ ისგ?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ **ისგ** ჩვენი მოსწავლის ინდივიდუალური განვითარების სერიოზული ინსტრუმენტია. ამიტომ მისი შექმნის გადადება ან უგულებელყოფა არ ეგების. **ქართული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშების ნახვა შესაძლებელია აქ:** http://ncp.ge/ge/inclusive-education/general-part/individualuri-sastsavlo-gegmis-nimushebi თუმცა ცალკეული საგნებისთვის აქ მოტანილი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური განვითარების გეგმაში დეტალურად იყოს გაწერილი ყველა აქტივობა თუ მულტისენსორული სტრატეგია, რომელიც მოსწავლის სწავლას წაახალისებს, შეუქმნის სწავლის განწყობას, აუმაღლებს მოტივაციას და განაწყობს სწავლისთვის. რესურსე-

[6] http://ncp.ge/ge/curriculum/general-part/general-part/chapter-v-inclusive-education
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №224/ნ – ვებგვერდი, 12.10.2012 წ.
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №118/ნ – ვებგვერდი, 08.09.2015 წ.

ბად გამოვიყენოთ ფერადი ცარცი, მარკერები, ბურთი ან იმგვარი საგნები, რომლებთან შეხვედრა და შეხება  გაახალისებთ და სტიმულს მისცემთ. სხვა ყველაფერი, მართალია, ფორმალობაა, თუმცა მისი არსებობა გარკვეულ შიშებსა თუ დაძაბულობას მაინც უკავშირდება და ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალეთ მისთვისაც დრო გამოგვენახა. ვინძლო, მავანს გამოადგეს და მასწავლებლობის ურთულესი ხვედრი იოტისოდენად მაინც შეუმსუბუქოს.

სასურველია, **საგნობრივ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას** დაერთოს თავფურცელი, რომელზეც დატანილი იქნება ინფორმაცია სკოლის, კლასისა და საგნის შესახებ, ასევე **მოსწავლის, საგნისა და სპეციპედაგოგის, ასევე კლასის დამრიგებლის** სახელები, გვარები და სასწავლო წელი. მომდევნო გვერდებზე კი აიტვირთოს შემდეგი ტიპის ინფორმაცია:

სახელმძღვანელო – X XX-ის „ქართული ენა და ლიტერატურა“, V კლასი

**Y-ის პრობლემა: სმენის მე-4 ხარისხის დაქვეითება, სმენაჩლუნგობა (თუმცა სარგებლობს კოხლეარული იმპლანტით), მეტყველების შეფერხება, სწავლაში მნიშვნელოვნად ჩამორჩენა. მშობლის გადაწყვეტილებით, Y არ ფლობს ჟესტურ ენას. მეტყველების პრობლემების გამო იგი ხშირად მიმართავს სხეულის ენასა და საკუთარი აზრების ნახატებით გადმოცემის მეთოდს. Y ფლობს მშობლიური ენის ლექსიკის უმწირეს მარაგს. არ სარგებლობს ლოგოპედის დახმარებით. ამდენად, მნიშვნელოვნად გვესახება, ქართულის გაკვეთილებზე Y-მა ისარგებლოს ამავე საგნის დაწყებითი საფეხურის მოდიფიცირებული სტანდარტით.**

http://ncp.ge/files/ESG/2016-2021/58%20muxli%20-%20qartuli%20ena%20da%20literatura%20-%20standarti.pdf

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

(I).1 სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა მისალმებისა და დამშვიდობების  საკომუნიკაციო სიტუაციაში.
(I).2 სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ადაპტირებული ტექსტების მოსმენა, შეძლებისდაგვარად გაგება-გააზრება და ნახატებით გადმოცემა.
(I).3 პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ემოციით ან ნახატებით გადმოცემა.
(I).4 ნაცნობი ლექსიკის სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.
(I).5 ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

2. **მიმართულება: კითხვა**
**შედეგების ინდექსი:** მოსწავლემ უნდა შეძლოს:
(I).6 დამარცვლით კითხვა.
(I).7 სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ადაპტირებული ვერსიების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური

ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

(I).8 მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

(I).9 წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა;

3. **მიმართულება: წერა**
**შედეგების ინდექსი:** მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ქართ. დაწყ. (I). 13 სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივ ტექსტებში გამოტოვებული სიტყვების ჩასმა. ორ ან სამსიტყვიანი წინადადებების შექმნა.

ქართ. დაწყ. (I).14 კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

## მიმართულება: ზეპირმეტყველება

**გრძელვადიანი მიზანი (წლიური)**

1. ქართ. V. 1. მოსწავლეს აქვს ასაკის შესაფერისი სირთულის **ადაპტირებული** ტექსტების მოსმენის უნარი, თუკი იგი დასურათებულია. (მოდიფიცირებულია)

**მოკლევადიანი მიზნები**

1. **„კარგის“** და **„ცუდის“** პრიმიტივებზე დაყრდნობით გამოხატავს საკუთარ ემოციურ დამოკიდებულებას მოსმენილ ტექსტებში გადმოცემული ფაქტების მიმართ
2. მიანიშნებს ნაწარმოების პერსონაჟის დადებით და უარყოფით თვისებებზე.

| | მიზნის შესაბამისი აქტივობები | რესურსი |
|---|---|---|
| | ტექსტში გადმოცემული ფაქტების შესახებ დასმულ კითხვაზე ერთ/ორსიტყვიანი პასუხის გაცემა | ადაპტირებული ტექსტი, ნახატები, ფოტოები |
| 1 | მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის შესახებ დასმულ კითხვაზე ერთ/ორსიტყვიანი პასუხის გაცემა, ფოტოს, ნახატის ამორჩევა | სახელმძღვანელო, ნახატები, ფოტორეპროდუქციები |
| 2 | სურათებიდან მასწავლებლის მიერ მითითებული პერსონაჟის ამორჩევა (თითის დადება) და სახელის გამეორება | სახელმძღვანელო, ნახატები, ფოტორეპროდუქციები, ფაზლი |
| 3 | დადებითი (ან უარყოფითი) პერსონაჟის შესაბამისი ნახატის გაფერადება, სახელების წარმოთქმა, გამეორება | გასაფერადებლები, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები |
| 4 | პერსონაჟის ხასიათის დადებითი და უარყოფითი თვისებების გარჩევა | თვისებების ჩამონათვალი, ბარათები, კალამი |
| 5 | „კარგის“ პრიმიტივზე დაფუძნებული ნახატის, კომიქსის ჩვენება და მსგავსის შექმნა | ფლიპჩარტი, ფერადი მარკერები, ფანქრები, სახატავი რვეული |

## მიმართულება: კითხვა
## გრძელვადიანი მიზანი (წლიური)

ქართ. V. 11. მოსწავლეს შეუძლია ადაპტირებული ტექსტის ვერბალური და არავერბალური ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება (მოდიფიცირებულია)

**მოკლევადიანი მიზნები**

1. ქმნის წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ილუსტრაციას/ილუსტრაციებს.
2. დამარცვლით წაკითხული წინადადებიდან გამოყოფს საგნის სახელებს და პლასტელინით ან თიხით ამზადებს მათ.
3. დამარცვლით კითხულობს ტექსტს, აკვირდება მასზე დართულ ილუსტრაციებს და მიანიშნებს, რა არის მასზე გამოხატული.
4. აკვირდება და აფასებს თანატოლის მიერ შექმნილ ილუსტრაციას იმ თვალსაზრისით, რომ შეადაროს საკუთარ ილუსტრაციას.

| | მიზნის შესაბამისი აქტივობები | მეთოდები | რესურსი |
|---|---|---|---|
| 1 | ჯგუფური მუშაობა – ჯგუფისთვის შერჩეულ დავალებაში განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის როლი და მნიშვნელობა | **„მინი ლექსიკონი“** – შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით ჯგუფის წევრების დახმარებით მოსწავლე ქმნის დასურათებულ მინი ლექსიკონს<br><br>**„გალერეა“** – ლექსიკონში მოცემულ საგნებს ძერწავს თიხით ან პლასტელინით და ჯგუფის წევრების დახმარებით ბარათებზე აწერს საგანთა სახელწოდებებს. შემდეგ კი კითხულობენ მათ. | სახელმძღვანელო, A4 ფორმატის ფურცელი/ რვეული, ფერადი კალმები, ფერადი ფანქრები, დაფა, მარკერები, მაგნიტები |
| 2 | წყვილში მუშაობა | **მეწყვილესთან ერთად კითხვა**<br><br>**„დაკარგული სიტყვები“** – ადაპტირებული ტექსტის მონაკვეთიდან, რომელსაც სსსმ მოსწავლე უკვე გაეცნო, მეწყვილე სთავაზობს შესიტყვებებს გამოტოვებული ადგილებით, რომელიც ტექსტიდან უნდა შეავსოს. | ადაპტირებული ტექსტი, კალამი, შავი ფანქარი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | ინდივილუალური მუშაობა | **„ჩემი მიკროფონი“** – სსსმ მოსწავლეს გადაეცე-მა მიკროფონი, რათა კლასს გააცნოს მისი ტექ-სტის კითხვის შედეგი. | სათამაშო მიკროფონი, ტექსტი. |
| 4 | მუშაობა კლასში | **„მკითხველის თეატრი“** – ტექსტის გუნდური კითხვა და სხვ. | სახელმძღვანელო |

## მიმართულება: წერა
## გრძელვადიანი მიზანი (წლიური)

ქართ. V. 13. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტების (2-3 სიტყვიანი) შექმნა (მოდიფიცირებულია)

**მოკლევადიანი მიზნები**

1. თხრობითი წინადადების ბოლოს სვამს წერტილს.
2. იცავს სიტყვებს შორის მანძილს.
3. ქმნის მარტივ (ორ-სამსიტყვიან) წინადადებას

| | მიზნის შესაბამისი აქტივობები | რესურსი |
|---|---|---|
| 1 | მასწავლებლის მიერ მიცემულ ტექსტში წერტილის დასმა | პროგრამის შესაბამისი მოთხრობების ადაპტირებული ვარიანტები, კალამი, რვეული |
| 2 | მოსმენილი სიტყვის/სიტყვების ჩაწერა | კალამი, რვეული, მარკერები, დაფა |
| 3 | ნანახ (ცოცხალი ბუნების) საგნებზე (ვაშლი, წყალი, ხე, ყვავილი) შეხება და მათი სახელწოდებების ჩაწერა წითე-ლი მარკერებით | წითელი მარკერი, დაფა |
| 4 | მასწავლებლის მიერ მიცემული ტექს-ტიდან არსებითი სახელების წითელი ფერის მარკერით ამოწერა | პროგრამის შესაბამისი მოთხრობების ადაპტირებული ვარიანტები, კალამი, ფერადი მარკერები, დაფა |
| | საგნებზე შეხება და მათ ქმედებებზე დაკვირვება (ვაშლი გორავს, შევჭამე; წყალი იღვრება...) ზმნების მწვანე მარ-კერით ჩაწერა | მწვანე ფერის მარკერი, დაფა |
| 5 | მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ტექსტიდან ზედსართავების ლურჯი ფერის მარკერებით ამოწერა | ლურჯი ფერის მარკერი, დაფა |

| | | |
|---|---|---|
| | მასწავლებლის მიერ მიცემული ტექსტიდან იმ წინადადებების გადაწერა, რომელთა ბოლოსაც წერტილი წერია.<br>არსებითის, ზმნების, ზედსართავების დასწავლილი ფერებით ამოწერა | პროგრამის შესაბამისი მოთხრობების ადაპტირებული ვარიანტები, კალამი, ფერადი მარკერები, დაფა, ქვიშა |
| 6 | მასწავლებლის მიერ მიცემული ტექსტის გადაწერა და წერტილის დასმა | პროგრამის შესაბამისი მოთხრობების ადაპტირებული ვარიანტები, კალამი, რვეული |
| 7 | სიტყვათა შორის მანძილის დაცვით და დაუცველად დაწერილი სიტყვების გარჩევა | შესაბამისი სიტყვების სია, კალამი, რვეული |
| 8 | მასწავლებლის მიერ მიცემული ტექსტიდან ისეთი სიტყვების ამოცნობა, რომელთა შორის არაა დაცული მანძილი (თითის დადება, ხაზის გასმა) | პროგრამის შესაბამისი მოთხრობების ადაპტირებული ვარიანტები, კალამი |
| 9 | მასწავლებლის მიერ მიცემული ტექსტის გადაწერა სიტყვებს შორის მანძილის დაცვით | პროგრამის შესაბამისი მოთხრობების ადაპტირებული ვარიანტები, კალამი, რვეული, დაფა, მარკერი, ქვიშა. |
| 10 | მასწავლებლის მიერ მიცემული ილუსტრაციების მიხედვით მარტივი წინადადების შექმნა | ილუსტრაციები, კალამი, რვეული, დაფა და მარკერები |
| 11 | მარტივი წინადადების შექმნა | რვეული, კალამი, დაფა და მარკერები, ქვიშა |

**აღნიშნული სტრატეგიების, აქტივობების, მეთოდების, რესურსების სია, რა თქმა უნდა, მასწავლებელმა საჭიროებისამებრ უნდა ცვალოს.** თუმცა მთავარია, ინდივიდუალური საგნობრივი სასწავლო გეგმის სრულყოფისათვის ყველა ამ მინიშნების შემდეგ მოხდეს შესასწავლ თემებთან ინტეგრაცია და თემატურ გეგმაში შეივსოს აქტივობების, მეთოდების, ესგ-ს ველები, თარიღების მითითებით. **გეგმას ემატება შეფასების მონიტორინგის ფურცელიც** მოკლე და გრძელვადიანი მიზნების შესაფასებლად.

საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, მოსწავლეები, რომლებიც სარგებლობენ ინდივიდუალური განმავითარებელი გეგმით, თავადაც ავსებენ **თვითშეფასების კითხვარებსაც** განსაკუთრებით იმ საგნებში, რომლებსაც ისინი ინდგეგმის მიხედვით სწავლობენ. გეგმა მაშინვე გადაიხედება, რა დროსაც მოსწავლის მხარდაჭერის საჭიროება და სწავლების მიზნები შეიცვ-

ლება. სწავლება კი მიმდინარეობს სხვადასხვა ფუნქციონალური მიმართულებით, როგორიცაა: **მოტორული, ენობრივ-საკომუნიკაციო, სოციალური, კოგნიტური და ყოველდღიური აქტივობისთვის საჭირო უნარების განვითარება**. გარდა ამისა, დიდი ყურადღება ექცევა საარდადეგებო ამოცანებს. სსსმ მოსწავლეთა წრთვნა-განვითარების პროცესში არდადეგების პერიოდშიც კი გარკვეული ინსტიტუტები ერთვება იმისათვის, რომ მოხდეს სტიმულაცია, მიზნებთან მიახლოება და მხარდაჭერის სერვისების სასარგებლოდ გამოყენება. თუმცა უცხოელ კოლეგებს არც საკუთარ განვითარებაზე ზრუნვა ავიწყდებათ და აქტიურად ადგენენ ინდივიდუალური განვითარების სამოქმედო გეგმებსაც.

## როგორ შევადგინოთ იგგ?

**ინდივიდუალური განვითარების გეგმა**[7] **(IDP)** არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, ჩვენს სამოქმედო მიზნებსა და ხედვებს მომავალი წლისთვის. მისი შექმნის უმოკლეს გზას სამი ძირითადი ნაბიჯით გავდივართ:

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| მიზნების განსაზღვრა | მიზნების დაკავშირება გონივრულ ხედვასა და ქმედებებთან | შეაფასეთ პროგრესი რეგულარულად, დროის ინტერვალებში |
| შევქმნათ წლის მანძილზე მისაღწევი მიზნების სია. მაგალითად:<br>● ჩვენი ნაშრომის კონფერენციაზე წარდგენა<br>● ჩვენი უნარების დახვეწა მრავალფეროვანი აუდიტორიის წინაშე ჩვენი კვლევების წარდგენისათვის<br>● სამსახურის ძიების გაფართოება კარიერულ ინდუსტრიაში | ● შევქმნათ სპეციფიური ხედვა, რომელიც დაგვეხმარება მიზნების მიღწევაში<br>● ვიმოქმედოთ მრავალჯერადად/განმეორებით<br>● აწონ-დაწონით ჩვენი არჩევანი, რათა თავიდან აიცილოთ პროექტიდან გადახვევა | ● შევქმნათ გრაფიკი გადასინჯვისთვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ მიზნებისაკენ მიმავალ გზაზე ვდგავართ<br>● დავგეგმოთ რეგულარული შეხვედრები, კონსულტაციები კომპეტენტურ ადამიანებთან ჩვენი მიღწევების, პროგრესისა და მიზნების განსახილველად |

ქვემოთ წარმოდგენილია დამტებითი ინფორმაცია თითოეული ამ ნაბიჯის შესახებ.

[7] http://www.mcgill.ca/caps/files/caps/caps_idp.pdf

1. **მიზნების განსაზღვრა** – მიზნები ძირითადად განისაზღვრება იმით, რისი დასრულებაც გვსურს ჩვენი მისწრაფებების სრულყოფისათვის. ისინი შეიძლება მივაახლოოთ ჩვენს კვლევებს, პროფესიული განვითარების საჭიროებას და კარიერულ გეგმებს. ზოგი კატეგორია ენათესავება პროფესიულ განვითარებას და კარიერულ დაგეგმვას. მათ შორისაა:
   ა. ინტერესების, ღირებულებების და უნარების განსაზღვრა. თვითგანათლება გაგვიიოლებს შემდგომი მიზნების პოვნას, რაც დაგვეხმარება, გავხდეთ უფრო წარმატებული ჩვენს კვლევებსა და არჩეულ პროფესიაში.
   ბ. კვლევითი არჩევანი – განვსაზღვროთ არჩევანი და დავუკავშიროთ იგი ჩვენთვის საჭირო უნარებს.
   გ. განვივითაროთ უნარები, რომლებიც საჭიროა კარიერული თვისებების გამომუშავებისთვის. მაგ., გავიაროთ კურსები და შევიძინოთ გამოცდილება.
   დ. დაუკავშირდით თქვენი სასურველი მიმართულების ადამიანებს და განსაზღვრეთ ორგანიზაციები, რომელთათვისაც მუშაობას ისურვებდით.
   ე. მოემზადეთ სამსხურის მოსაძებნად: განაცხადეთ, დაწერეთ სამოტივაციო წერილი, გაიარეთ გასაუბრება, მოელაპარაკეთ.
2. **მიზნების დაკავშირება ხედვასთან** – შექმენით ამ წელს მისაღწევი მიზნების ჩამონათვალი. შეუსაბამეთ თქვენი მიზნები SMART (გონივრულ) მოდელს.

| | |
|---|---|
| **S**პეციფიკური | • გამოიყენე აქტივობის ზმნები, რათა ნათლად აღწეროთ, თუ რის მიღწევა გსურთ.<br>• იფიქრეთ: ვინ? რა? და სად? |
| **M**იღწევების მზომი | • შეაფასე მიზანი.<br>• შექმენი კრიტერიუმი, რითაც გაზომავ შენს მიღწევას. |
| **A**წონილ-დაწონილი | • გადაამოწმე, გაქვს თუ არა საკმარისი რესურსი და დრო, შეარჩიე.<br>• არ დაისახო ბევრი მიზანი – ეს მარცხს მოიტანს. |
| **R**ეალისტური | • დარწმუნდი, რომ შენი ხედვა მიზნის შესაბამისია.<br>• ჰკითხე თავს: ამ აქტივობით როგორ მივალ მიზანთან? |
| **T**აბელური | • დააწესე ვადის და დროის შეზღუდვა.<br>• ძნელია ზუსტად გამოვიცნოთ, საქმე რამდენ დროს მოითხოვს, თუმცა მნიშვნელოვანია ხედვისა და მიზნის ღირებულების კვლავ და კვლავ გადაფასება |

3. **შექმენით განრიგი (ტაიმლაინი)** – თითოეული აქტივობა გავწეროთ ვადის მიხედვით. ჩვენი მიზნების და აქტივობების გადამოწმებისას სწორედ განრიგი გვიჩვენებს, რამდენად ახლოს ან შორს ვართ ჩვენ მიერ დასახულ მიზანთან.

| | | |
|---|---|---|
| ხედვა | წერილობით აღწერეთ, ვინ გინდათ იყოთ მომავალში | მინდა ვიყო აკადემიური მუშაკი თავისუფალი ხელოვნების კოლეჯში, ვცხოვრობდე დასავლეთში და ჩემი სახლი მდებარეობდეს სადმე ლამაზ სოფელში |
| მიზანი | ზოგადად აღწერეთ რა გჭირდებათ თქვენს ხედვასთან მისასვლელად | 1. ვარ კომპეტენტური, მაქვს საკმარისი პუბლიკაცია<br>2. გავზრდი ჩემი მასწავლებლობის გამოცდილებას |
| მისწრაფებები | მიზნის მისაღწევი სტრატეგიები | 2. ა) ვასწავლო წელიწადში ორ კლასს |
| აქტივობები | რეალურად რას აკეთებთ თქვენი სმარტ მისწრაფებების განსახორციელებლად | 2. ა.i) დავუკავშირდე 5 კოლეგას სხვადასხვა დეპარტამენტიდან და დაწესებულებიდან, ივლისის შესაძლებლობების გამოსარკვევად<br>ა.ii) თვალი ვადევნო ონლაინ განცხადებებს დამივმართო, რათა ვაწვალო მინიმუმ 4 კურსი სემესტრში |
| მონიტორინგი | გადაამოწმეთ თქვენი გეგმა რეგულარულად | ყოველ 6 თვეში |

## დასკვნასავით

კარგი და სასრგებლო იქნება, თუ იგგ-ს შექმნას ჩვენს მოსწავლეებსაც ვასწავლით, მით უფრო მათ, ვისაც ამჟამად ისგ სჭირდება. ოღონდ გვახსოვდეს:

1. ისგ მათი ბედის ფურცელია იმისათვის, რომ იგგ ცხოვრებაში წარმატებულად გამოიყენონ.
2. ჩვენი გვარები ამ ფურცელს სამუდამოდ აწერია.

# თანასწავლება

**თანასწავლება (co-teaching)** გუნდური სწავლების სახეა და საგაკვეთილო პროცესში მოიაზრებს ორი თანაბარი განათლების მქონე ინდივიდს, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ განათლება ერთსა და იმავე დისციპლინაში და აწვდიდნენ ან არ აწვდიდნენ მსგავსი ტიპის საგანმანათლებლო ინსტრუქციებს  მოსწავლეთა /სტუდენტთა ჯგუფებს. სწავლების ეს ტიპი, როგორც წესი, ხორციელდება როგორც სკოლამდელ დაწესებულებებში, ასევე სკოლაში სწავლის ნებისმიერ საფეხურზე. თანასწავლებისას განათლების ორი მუშაკი – ორი პედაგოგი ერთად გეგმავს, აყალიბებს, ახორციელებს საგაკვეთილო პროცესს, მიუთითებს და აფასებს ერთი და იმავე ჯგუფის მოსწავლეებს ერთსა და იმავე სივრცეში.

თანასწავლების თვალსაჩინო ნიმუშები ვრცელდება თანამედროვე მსოფლიოს ინკლუზიურ საკლასო სივრცეში, სადაც **საგნის ძირითადი პედაგოგი და სპეცმასწავლებელი ინაწილებენ პასუხისმგებლობას საკლასო დაგეგმვისა და მოსწავლეთათვის ინსტრუქციების თანაბრად მიწოდებისთვის, რაც ემსახურება ინკლუზიას (ჩართულობას) და მეტი სარგებელი მოაქვს ყველა მოსწავლისათვის.**

ამ განსაზღვრის კვალდაკვალ ყველგან ბუნებრივად დაისმის შეკითხვა: როგორ შეიძლება მსგავსი როლები გაინაწილონ სერტიფიცირებულმა და დამწყებმა პედაგოგებმა ან თუნდაც პრაქტიკაზე მყოფმა სტუდენტებმა? ამ შეკითხვის გასაღები იქ არის, სადაც პოზიტიურად გაიაზრება თანასწავლების, ე.წ. „ქოუთიჩინგის“ ცნება, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც **ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ორი გაწვრთნილი ინდივიდის ჩართულობა, თანამშრომლობა მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯგუფებთან ზიარსივრცეში თანაზიარი მიზნებით.** ამ ბოლო განსაზღვრაში აქცენტი ვერ იქნება „თანაბრად კვალიფიციურ“ ცნებებზე, და მხოლოდ თანამშრომელმა, კეთილგანწყობილმა და სათნო მასწავლებლებმა შეიძლება ზიდონ ლიდერის ტვირთი იმ მოტივით, რომ თანასწავლებამ შეიძლება გააძლიეროს ეფექტურობა და მოგვცეს საუკეთესო შედეგი კლასში, სადაც ძირითადი პედაგოგი და სპეცმასწავლებელი იზიარებენ ინსტრუქტირებისა და კლასის მართვის პასუხისმგებლობას.

თანახმად ინსტრუქციული მოწყობისა, რომელსაც გულისხმობს თანასწავლების ფორმატი (co-teaching format), ორივე პედაგოგმა თანაბრად უნდა მიიღონ მონაწილეობა საგაკვეთილო პროცესში და გახდნენ სრული პარტნიორები. ეს კი არ გულისხმობს ერთდროულად ანალოგიური ან მსგავსი რამის კეთებას. ეს გულისხმობს, რომ თითოეული მასწავლებლის როლი მიმართული უნდა იყოს გაკვეთილის ეფექტურობისა და შედეგიანობისკენ. როდესაც ერთ-ერთი მასწავლებელი დამწყები/სტუდენტია, სწავლობს პარტნიორი მასწავლებლისგან, რომელმაც ასევე იცის და გააზრებული აქვს, რომ დამწყები პედაგოგიც გადამზადებულია და მასაც შეუძლია რაიმე ღირებულის შეთავაზება კონკრეტულ სიტუაციაში. **გ ა მ ო წ ვ ე ვ ა ა თანამასწავლებელთა როლების დაბალანსება სასწავლო პროცესისა და დამწყები პედაგოგების პროფესიული მზაობის გაძლიერების მიზნით.**

სხვადასხვა საგანმანათლებლო მოძრაობების შედეგად (NCLB, IDEA (2004), RTI) თანასწავლება არის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ინკლუზიური სწავლების პრაქტიკა, მაგრამ ამის მიუხედავად, თანასწავლება სკოლებში ნაკლებად ხორციელდება. მეტად გავრცელებულია საკლასო ოთახები თითო მასწავლებლით, რომელიც მარტო ირგებს როლს და „საავტორო უფლებებით“ ან მძაფრი პოსესიურობის განცდებით უძღვება სასწავლო პროცესს. ეს ავტორიტარული მართვის სტილია და მოსწავლეებს ხშირად აბნევს. ამის აღმოსაფხვრელად აუცილებელია გაკვეთილებზე გამოვიყენოთ თანასწავლების მოდელები, რომელთა თანახმად, ორივე პედაგოგის თანაბარი მონაწილეობით წინდაწინ

ფრთხილად და ფაქიზად დაიგეგმება საგაკვეთილო პროცესები და განისაზღვრება პარტნიორი მასწავლებლების თანაბარი უფლებები და პასუხისმგებლობები მოსწავლეთა წინაშე. როდესაც მოგვმართავენ, უნდა ვიმუშაოთ დამწყებ/სტუდენტ მასწავლებელთანაც, რადგან **თანასწავლება არის მიდგომა საზიარო პროფესიული სივრცის განვითარებისა, რაც დამწყებ მასწავლებელს სწავლების უნარების გაუმჯობესების საშუალებას მისცემს.**

**თანასწავლების უპირატესობანი:**

- აუმჯობესებს ბავშვებისათვის ინსტრუქტირების მხარდაჭერას;
- ზოგავს დროს;
- ზრდის მასალის ათვისების შესაძლებლობას;
- მეტი ჩართულობა და ურთიერთმხარდაჭერაა;
- ასაკით უფროსი თანამასწავლებელი ხდება უფრო ენერგიული;
- ზრდის ყურადღებას;
- ამცირებს შედარებითობით დამოკიდებულებას;
- ამაღლებს მასწავლებლების თვითშეგნებას;
- მასწავლებლები სწავლობენ, რა სტრატეგიები გამოიყენონ მითითებისას, როგორ დაგეგმონ და ჩაატარონ მაღალი დონის გაკვეთილები Strategies & tips;
- მოსწავლეები მაგალითით სწავლობენ თანამშრომლობას;
- იზრდება მოტივაცია და პასუხისმგებლობა.

**თანასწავლების წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები:**

- არაერთგვაროვნება, განსხვავებულობა და დისპოზიცია, რაც ქმნის პარტნიორი მასწავლებლების განსაკუთრებულ ალქიმიას;
- სურვილი, გაუზიარონ და ისწავლონ ერთმანეთისგან;
- ჰარმონიული ურთიერთთანაარსებობა;
- შედეგზე ორიენტირებული სწავლების ფილოსოფია;
- კომუნიკაციისა და ინტერპესონალური უნარები;
- მსგავსი ენერგიის დონე და ენთუზიაზმი სწავლებისათვის;
- შესასწავლი მასალის შინაარსი (მაგალითად, თანამასწავლებელი რა საგანს უფრო კარგად ფლობს, ეკონომიკას თუ ისტორიას?)
- პრაქტიკის ხანგრძლივობა (მაგალითად, თუ თანამასწავლებელი სტუდენტურ პრაქტიკაზეა, აქვს თუ არა საკმარისი დრო დაკვირვების/მხარდაჭერის პერიოდიდან თანასწავლების პერიოდში გადასასვლელად?)

- დრო პარტნიორული დაგეგმვისა და საგაკვეთილო რეფლექსიებისთვის;
- ადმინისტრაციული მხარდაჭერა თანაზიარად გეგმების შედგენისა და მათი განხორციელებისთვის.

## თანასწავლების მოდელები

**არსებობს თანასწავლების რამდენიმე მოდელი [Friend and Cook 1996]. ესენია:**

- **ერთი ასწავლის, ერთი მხარდამჭერია:** ერთი თანამასწავლებელი აძლევს მითითებებს, სანამ მეორე ეხმარება ყველას, ვისაც სჭირდება დამატებითი დახმარება გაძლიერებისთვის, აგროვებს დაკვირვების მონაცემებს ან აწარმოებს საკლასო მენეჯმენტს.
- **პარალელური სწავლება:** თითოეული თანამასწავლებელი ან თანამასწავლებელი და სტუდენტი მასწავლებელი გაკვეთილს ერთად გეგმავენ, მაგრამ ისინი კლასში ერთსა და იმავე დროს ერთი ინფორმაციის სხვადასხვა მხარეს წარმოაჩენენ.
- **ალტერნატიული სწავლება:** ერთი მასწავლებელი მთელ კლასზე ზრუნავს, სანამ მეორე მუშაობს მცირე ჯგუფში კლასის შიგნით ან გარეთ. ეს მცირე ჯგუფი კი არ არის ინტეგრირებული მიმდინარე გაკვეთილის მსვლელობისას.
- **სწავლება „სადგური“:** ორივე მასწავლებელი ინაწილებს მითითებების შინაარსს და თითოეული იღებს დაგეგმვისა და სწავლების პასუხისმგებლობას. ამგვარი სწავლებისას კლასი იყოფა სხვადასხვა სასწავლო ნაწილებად. თანამასწავლებელი და სტუდენტი მასწავლებელი არიან ცალკეულ „სადგურებზე“, სხვა „სადგურებზე“ კი ბავშვები მუშაობენ დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით.
- **გუნდური სწავლება:** ორივე მასწავლებელი პასუხისმგებელია გაკვეთილის დაგეგმვასა და სტუდენტებისთვის მითითებების გაზიარებაზე. გაკვეთილს ხსნის ან ასწავლის ორივე მათგანი. ისინი თანაბრად ერთვებიან ახსნის პროცესში, რათა მოწაფეები წაახალისონ აზრის გამოთქმისა და დისკუსიისთვის. ორივე პედაგოგი აქტიურადაა ჩართული გაკვეთილის დაგეგმვასა და დისციპლინის მართვაში[1].

## თანასწავლების სტრატეგიები [2]

**მსგავსებები:**

- საკლასო ოთახში ორი ან მეტი თანამასწავლებელია;
- მათი ცოდნის დონე, მუშაობის გამოცდილება თანაბარია;
- ორივე უზრუნველყოფს საკლასო ოთახში მოსწავლეების/სტუდენტების ცოდნის დონის გათანაბრებას და თითოეული სტუდენტის თანაბარ მხარდაჭერას;
- ყველა მიდგომა თანაბრად სასარგებლოა გამოყენებისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით;
- მოსწავლეები/სტუდენტები ჯგუფდებიან ჰეტეროგენულად შერეული ჩვევებითა და ინტერესებით;
- პასუხისმგებლობები თანაბრად გადანაწილებულია;

თანაბრად მოითხოვს რწმენას, კომუნიკაციას, დაგეგმვის დროს და მხარდაჭერის კოორდინირებას.

**შენიშვნა:** ყველა ამ ელემენტის საჭიროება იზრდება, რამდენადაც გადავდივართ მხარდამჭერიდან პარალელურ, პარალელურიდან ალტერნატულსა  და ალტერნატულიდან – გუნდურ თანასწავლებაზე.

## თანასწავლების განმასხვავებელი ფაქტორები

| მხარდამჭერი თანასწავლება | პარალელური თანასწავლება | ალტერნატიული თანასწავლება | გუნდურად სწავლება |
|---|---|---|---|
| • ერთი თანამასწავლებელი ლიდერის როლშია, მეორე მხარდამჭერია. თუმცა ისინი ამ როლებს ერთი გაკვეთილის მანძილზე ცვლიან. | • თანამასწავლებლები მუშაობენ მოსწავლეთა განსხვავებულ ჯგუფებთან ერთ საკლასო ოთახში.<br>• ჯგუფები კი მრავალფეროვნების ნიშნით შეირჩევა. | • თანამასწავლებელი იზიარებს პასუხისმგებლობას მთელი კლასის ჩართულობისთვის. ერთი იღებს წამყვანის როლს, მეორე აიოლებს ხელმისაწვდომობას სასწავლო გეგმაზე.<br>• ერთი ასწავლის შინაარსს, მეორე ხსნის, პარაფრაზირებს, გადმოსცემს განსხვავებულად, მეორე ამარტივებს ან აკეთებს ჩანაწერს.<br>• ერთი წინდაწინ აძლევს სპეციფიკურ ცოდნას ან სოციალურ უნარებს და ამოწმებს, თუ როგორ იყენებენ ამ ცოდნას მოსწავლეები; მეორე ორიენტირებულია აკადემიურ ნაწილზე. | • ორივე პედაგოგს აქვს თანაბარი პასუხისმგებლობა დაგეგმვაზე, მითითებების/ინსტრუქტირების ნაწილზე, განმავითარებელ შეფასებებსა და ქულების მინიჭებაზე.<br>• მოითხოვს დიდ დროს დაგეგმვისათვის, რწმენას, კომუნიკაციას და მხარდაჭერის კოორდინაციას. |

## თანასწავლების პოტენციური პრობლემები

| მხარდამჭერი თანასწავლების საფრთხეები | პარალელური თანასწავლების საფრთხეები | ალტერნატიული თანასწავლების საფრთხეები | გუნდური თანასწავლების საფრთხეები |
|---|---|---|---|
| • მოვერიდოთ „ველკრო ეფექტს „Velcro effect“, როდესაც მხარდამჭერი თანამასწავლებელი მიმართულია მხოლოდ ერთი ან რამდენიმე შერჩეული მოს-წავლისკენ, ან რიყავს შერჩეულ მოსწავლეებს და თანამასწავლებელს.<br>• ავირიდოთ მხარდამჭერი თანამასწავლებლის „დისციპლინის ოფიცრად“ ქცევა, მისი გამოყენება მხოლოდ რესურსების მომამზადებლად ან ნაშრომების გამსწორებლად. გვახსოვდეს, ისიც ისეთივე ინსტრუქტორია, როგორიც სხვა ნებისმიერი პედაგოგი.<br>• მოვერიდოთ არაეფექტურ შემოწმებებს მხარდამჭერი თანაპედაგოგისა, (მაგ., სპეცმასწავლებლისა და სხვ.) | • ავირიდოთ სპეციალური კლასების შექმნა. მათში დაბლდება მოსწავლეთა მიღწევები ჰომოგენური დაჯგუფების გამო და იმის გამოც, რომ ბავშვებს არ აქვთ თავიანთი უნარების წარმოჩენის შესაძლებლობა (Marzano, Pickering, & Pollack, 2001, p. 84).<br>• მოვერიდოთ ხმაურის დონის გაზრდას არაერთგვაროვანი აქტივობებისას ერთ საკლასო ოთახში<br>• მოვერიდოთ მარცხს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს თანამასწავლებლების მხრიდან მითითებების მიცემამ, ჩვენ კი თანასწავლების პროცესში მათზე დაკვირვებისთვის დრო არ გვაქვს, რადგან ვმუშაობთ ჯგუფებთან, ინდივიდებთან... და ასე ვასრულებთ თანასწავლების პირობას. | • ავირიდოთ იმ მოსწავლეთა შეუფასებლობა, ვისაც ეს სჭირდება.<br>• ავირიდოთ ხანგრძლივი სალექციო ჩართვები, გამეორებები და მოსწავლეთა/სტუდენტთა ინტერაქციისთვის დროის სიმცირე.<br>• ავირიდოთ ტიპური შემთხვევები, „ექსპერტების“ და „ჩვეულებრივი მასწავლებლების როლებით. ორივე –„ექსპერტიც“ და „ჩვეულებრივი მასწავლებელიც“ – ერთდროულად თანამასწავლებელია.<br>• ავირიდოთ „თავისუფალი როლები“, რამდენადაც ყველა თანამასწავლებელი ერთნაირად უნდა ასწავლიდეს საგაკვეთილო მასალას. | • ავირიდოთ იმ მოსწავლეთა შეუფასებლობა, ვისაც ეს ძალიან სჭირდება.<br>• ავირიდოთ ბევრი სალექციო ჩართვა, გამეორება და მოსწავლეთა ინტერაქციის ნაკლებობა. |

| მხარდამჭერი თანასწავლების საფრთხეები | პარალელური თანასწავლების საფრთხეები | ალტერნატიული თანასწავლების საფრთხეები | გუნდური თანასწავლების საფრთხეები |
|---|---|---|---|
| • მოვერიდოთ აღშფოთებას, თუკი მხარდამ-ჭერი თანამას-წავლებლის უნარები (მაგ., სპეცპედა-გოგისა) არ გამოიყენება სათანადოდ ან თუ წამყვანი თანამასწავლე-ბელი პასუხისმ-გებლობის სიმ-ძიმეს გრძნობს.<br>· აირიდეთ მხარდამჭე-რის როლში დარჩენა, თუკი დაგეგმვისთვის დრო არ გეყოთ. | | | |

## სასარგებლო რესურსები:


1. Villa, R. Thousand, J., & Nevin, A. (in process). More students, More Resources: Unleashing the Power of Students in Instruction, Advocacy, & Decision-Making. Thousand Oaks, California: Corwin Pres.
1. Nevin, A., Villa, R., & Thousand, J. (2009). A Guide to Co-Teaching with Paraeducators Practical Tips for K-12 Educators. Thousand Oaks, California: Corwin Pres. (800) 818- 7243
2. Villa, R. Thousand, J., & Nevin, A. (2008). A Guide to Co-Teaching: Practical Tips for Facilitating Student Learning (2nd. Ed.). Thousand Oaks, California: Corwin Pres. (800) 818-7243
3. Villa, R. Thousand, J., & Nevin, A. (2008). Co-Teaching: A Multimedia Kit For Professional Development.? Thousand Oaks, California: Corwin Pres. (800) 818- 7243
4. Villa, R., Thousand, J., & Nevin, A. (2008). Co-Teaching at a Glance. A laminated Tri-Fold Reference Guide. Port Chester, NY: National Professional Resources. (800) 453- 746
5. Thousand, J., & Villa, R., & Nevin, A. (2007). ?Differentiated Instruction: A Multimedia Kit for Differentiated Instruction. California: Corwin Press (800) 818- 7423
6. Villa R., & Thousand. J., (Eds). (2005). Creating an Inclusive School. ?Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development. (800) 933- 2723.

[1] Co-Teaching in Inclusive Classrooms: A Metasynthesis of Qualitative Research" Exceptional Children July 2007 vol. 73 no. 4 392-416

[2] http://www.teachhub.com/effective-co-teaching-strategies

# როგორ მოვაწყოთ რესურსოთახი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან შედეგის მისაღწევად მუშაობა სპეცმასწავლებლის მხრიდან დიდ გარჯასა და ძალისხმევას ითხოვს. თუმცა გარდა პედაგოგის შრომისა, სასკოლო ასაკის სხვადასხვა დარღვევის ბავშვების განვითარებისთვის აუცილებელია სპეციალური საჭიროების საგანმანათლებლო რესურსები, რომელთა გარეშე პედაგოგები გადაულახავ დაბრკოლებას წააწყდებიან. დასავლელი ექსპერტები სპეცპედაგოგებს თავიანთი ოთახის შემდეგი რესურსებით აღჭურვას ურჩევენ. ესენია:

1. **რბილულები** (ფიჯეტები), მოქანავე სკამები, თერაპიული ბურთები და რგოლები

FIDGETS
FOR YOUR CHILD
WITH SPECIAL NEEDS

ფიჯეტები, რომელებსაც შეიძლება **რბილულები** ვუწოდოთ, თვითრეგულაციის საუკეთესო სათამაშო ხელსაწყოებია, რომლებიც ბავშვებს ეხმარება ყურადღების ფოკუსის, კონცენტრაციის, სიმშვიდისა და აქტიური მოსმენის განვითარებაში. ისინი სხვადასხვა ფორმის, ზომისა და ქსოვილისაა და დასახელებაც ბევრნაირი აქვს. სტრესბურთულები, ხვიარები, სქვიგლეტები, – რომლებიც შეხებითა და მოძრაობებით ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების ამოქმედებას, რაც გადამწყვეტია ზოგირთი ჰიპერაქტიული სინდ-

რომისა და ყურადღების დეფიციტის(ADHD), ასევე ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას. კვლევებით დადგენილია, რომ ჩამოთვლილი ნივთებით ვმართავთ, ვაკონტროლებთ მათ მოძრაობას და ვაუმჯობესებთ დასწავლის პროცესს. უფრო მეტიც, სწავლისას მოძრაობა მნიშვნელოვანია, რადგან მსწავლელს მოეთხოვება ტვინის მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროების გამოყენება, ეს კი საუკეთესოდ მიიღწევა თამაშის გზით და, შედეგად, სახლსა თუ სკოლაში გააზრებული დასწავლის პროცესს ვიღებთ. მელისა ფერი გულწრფელად გვირჩევს წავიკითხოთ წიგნი: Learning with Tangle Brain Tools „სწავლა ხვიარა ინსტრუმენტებით", რადგანაც წიგნში აღწერილი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, კვლევების თანახმად, ADHD ბავშვებში შედეგების 27%-იანი ზრდის მაჩვენებელია (Stalvey & Brasell, 2006). თუკი გასაბერ ბუშტებს, მოქსოვილ ან შეკერილ სხვადასხვა ფორმის პატარა ტომრებს მანანის ბურღულით, ფქვილით, შვრიით, ბრინჯით ავავსებთ, ეს სახლის პირობებში დამზადებული რბილულები იქნება. ისე კი მათი შეკვეთა სხვადასხვა ინტერნეტ-მაღაზიაშია შესაძლებელი.



**2. კითხვის ფერადი, გამჭვირვალე ზოლები**






ხშირად ბავშვები, რომელთაც უჭირთ ფოკუსირება ან აქვთ ყურადღების დეფიციტი, კითხვისას ტოვებენ სიტყვათა პწკარედებს ან სტრიქონებს. ამგვარი ქცევით ზარალდება კითხვა, როგორც პროცესი, არაზუსტი შინაარსი კი აძნელებს აღქმას. ფერადი ზოლების გამოყენებას ისინი ხშირად თავადვე ითხოვენ და უყვართ კითხვის ეს სტრატეგია, რადგან ინარჩუნებენ ფოკუსს და იგებენ მეტ დროს. ზოგიერთ მათგანს საკლასო ოთახსა თუ სახლშიც სურს ფერადი ზოლების წაღება, ჰოლოვინზე კი „ჯადოქარი თითების კონტეინერში" ერთი თქმით აბრუნებენ მათ უკან, – აცხადებს მელისა ფერი.

### 3. საპარსი კრემი, ქვიშა, ბრინჯი

სიტყვებზე ვარჯიშისას სხვადასხვა სენსორული საგნების გამოყენება შეიძლება. მელისა ფერის აღნიშნული აქტივობა, სურნელოვან საპარს კრემში ასოების ჩაწყობისა და მათით სიტყვების შედგენისა, შეიძლება მარიამ მონტესორის მშვენიერი იდეის გაგრძელებად ჩაითვალოს. ალბათ, გვახსოვს ზუმფარის ქაღალდით გამოჭრილი ასოებით ანბანის შესწავლის მისეული მეთოდი, რომელიც იმ აზრიდან გამომდინარე, რომ აღზრდის ამოცანა მოსწავლის მთელი ძალების ამოქმედებაა, უყურადღებოდ არ ტოვებს შეგრძნებათა, აღქმის და მოტორული პროცესების ერთობლიობას (http://mastsavlebeli.ge/?p=7860). სურნელოვანი ქაფი ტაქტილურ, მხედველობით, სმენით შეგრძნებებთან ერთად ყნოსვის შეგრძნებასაც განავითარებს, ყნოსვით მეხსიერებას კი ახასიათებს სიმძაფრე, რომელიც ძალიან დიდხანს მიჰყვება ადამიანს.

რიცხვების წარმოსაქმნელად გამოიყენება ფერადი ქვიშაც, რომელიც თასშია მოთავსებული. ბავშვები ეძებენ მასში ჩამალულ ციფრებს და პოვნის შემდეგ სხვადასხვა მათემატიკურ ოპერაციას ასრულებენ. ეს საკმაოდ სახალისო გზაა იმისთვის, რომ მოვახდინოთ მათი შეგრძნებების ინტეგრირება, დავეხმაროთ ნატიფი მოტორიკის განვითარებაში და, იმავდროულად, ვაზიაროთ აკადემიურ უნარებს.

### 4. წამზომები

წამზომები (timers) რესურსოთახში სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება. მიჩნეულია, რომ ეს მათი ცვლილებებისთვის მომზადების საუკეთესო გზაა, რადგან დარღვევების მქონე ბავშვებისთვის ხშირად დრო პირობითი ცნებაა. თუ კი ისინი თავად ხედავენ, რამდენ ხანში შეუძლიათ მიცემული დავალების შესრულება, უფრო მშვიდად ეგუებიან ცვლილებას, რომელიც კონტრასტული დავალებების შესრულებას ახლავს თან. წამზომების გამოყენება კითხვითი უნარის გაუმჯობესებისთვის ჩვენშიც ნაცადი პრაქტიკაა. 1 წუთში წაკითხული სიტყვათა რაოდენობის გაგება და უკეთესი შედეგების მიზნად დასახვა ბავშვებში ბევრ სასიკეთო უნარს ავითარებს. სხვადასხვა ტიპის შეჯიბრებაში წამზომების გამოყენება საუკეთესო საშუალებაა ბავშვებში პრაქტიკული ჩვევების განსავითარებლად.

### 5. თვალსაჩინოება

თვალსაჩინოება ეხმარება მოსწავლეებს, ვიზუალური ხატების მეშვეობით უკეთ გაიგონ და გაიაზრონ შესასწავლი მასალა. ზოგიერთი მათგანისათვის კი სურათ-ხატებით სწავლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და წარმატების უტყუარი წინაპირობაცაა. თვალსაჩინოებას აქტიურად ვიყენებთ ჩვეულებრივ საკლასო ოთახებშიც ზეპირი თუ წერითი აქტივობებისას. იგი ხელს უწყობს კლასში მოწაფეთა ჩართულობას და ინკლუზიური განათლების დამხმარე ინსტრუმენტად მოიაზრება.

### 6. ფერადი ხელსაწყოები

ფერადი ხელსაწყოები, ე.წ. მანიპულატორები, უმნიშვნელოვანესია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და არა მხოლოდ მათი

სწავლებისას, რადგან ისინი ეხმარებიან ბავშვებს, აბსტრაქტული იდეა კონ-კრეტულ ცნებებამდე დაიყვანონ და მათემატიკური პრობლემის სწორი გა-დაწყვეტა მოახერხონ. მანიპულატორები ცვლიან ბავშვის აზროვნების გზებს მარტივი პროცედურებიდან შემეცნებით გააზრებამდე.

### 7. გამოკრული წესები – მოლოდინები

იმისათვის, რომ იცოდნენ, თუ რას მოელიან მათგან, წესებისა და მოლო-დინების საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას გამოკვრა ყველა და, გან-საკუთრებით კი, სპეციალური საჭიროების მოსწავლისათვის ძალიან მნიშვ-ნელოვანია. ბავშვებს იზიდავთ წესები და სჭირდებათ იმის ცოდნა, რომ მუ-დამ პირნათლად ასრულებენ მათ. უმჯობესია წესები ცენტრალურ ადგილას გამოვფინოთ, რომ სწრაფად მივმართოთ ბავშვების ყურადღება მათკენ.



### 8. წახალისების ფორმები

თანამედროვე განათლების სპეციალისტები ერთხმად თანხმდებიან, რომ აუცილებელია სკოლებში მოსწავლეთა კარგი ქცევებისა და მიღწევების ხაზ-გასმა და დაფასება. ჩვენ ვიცით ქცევასთან დაკავშირებული პრევენციული მიდგომები და ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი არსებობა. გამოვი-ყენოთ წებოვანი ბარათები/სტიკერები თითოეული მოსწავლისათვის. თუკი ისინი მოიპოვებენ 10 სტიკერს, შეუძლიათ საპრიზო ყუთიდან ჯილდოს ამორ-ჩევა. თუკი სტიკერებს შეინახავენ და შემდეგ ჯერზე 20-მდე მოაგროვებენ, ჯილდოს უფრო დიდი, მაცდური ყუთიდან ამოირჩევენ. ზოგიერთი სპეცმას-წავლებელი ბავშვებს აგროვებინებს ცოდნის ჟეტონებს, რომლებსაც კვირის ბოლოს შესაფერის ნივთზე გადაცვლიან-ხოლმე საკლასო მაღაზიაში. ბევ-რი „ფულით“ ბევრს იყიდიან. მასწავლებლებს კი ამგვარი მაღაზიის შევსება შინიდან მოტანილი მეორადი სათამაშოებით შეუძლიათ. პრიზების მოძიება ლარიან მაღაზიაშიც სავსებით შესაძლებელია, ამგვარი სტიმულები კი ცუდი ქცევის არიდების საუკეთესო საშუალებაა.

### 9. მაღალი ინტერესის წიგნები დაბალი ასაკისათვის და კითხვის მადა

ამგვარ წიგნებს (High Interest – Low Level Reading Books), როგორც წესი, High(მაღლი)-სა და low(დაბლი)-ს აბრევიატურით Hi-Lo წიგნებს უწოდებენ

(დაახლოებით, ქართულში მა-და რომ დაგვერქვა) და გამომცემლები მონდომებული მკითხველის წიგნებად მოიაზრებენ. საინტერესოდ დასურათებულ პირველკლასელი ბავშვის ასაკის წიგნებს მეოთხეკლასელებიც დიდი ინტერესით კითხულობენ, მაგრამ ხშირად ისეც ხდება, რომ უფროსკლასელს „ბავშვურად ეჩვენება წიგნი და მასწავლებლის შეთავაზებით ხელში სხვა დასურათებული, თუმცა სარჩევიანი წიგნი შერჩება-ხოლმე. ეს არის სწორედ Hi-Lo წიგნების უპირატესობა, – აცხადებს მელისა ფერი. სხვათა შორის, ქართული სახელწოდება საკმაოდ მადისაღმძვრელად ჟღერს. წესით, ჩვენი ბავშვებიც უნდა დავაინტერესოთ.

## 10. ტექნოლოგია

ტექნოლოგია ყველა ბავშვს უყვარს. თუკი მათში საინტერსო, შემეცნებით და ასაკისათვის შესაფერის მასალას ჩავტვირთავთ, ბავშვები განვითარებისა და ცოდნის დონეს ინტერესით აიმაღლებენ. მათ ზოგ შემთხვევაში შეიძლება პირადი ანდროიდი ან ლეპტოპებიც გავუზიაროთ. ეს უცხოელი პედაგოგების რჩევაცაა და პირადი გამოცდილებაც. ინკლუზიურ კლასში აუტისტური სპექტრის აშლილობის ბიჭის უნარი ორ უცხო ენაზე თავისუფლად საუბრისა, ყველას გასაკვირად, სწორედ პირადი კომპიუტერის გაზიარების შედეგად აღმოვაჩინე.

ეს ჩამონათვალი ამომწურავი, რაღა თქმა უნდა, არაა, რესურსოთახში შეიძლება გვქონდეს და გამოვიყენოთ საღებავები, თიხა, თაბაშირი, ფერადი ფანქრები, მარკერები, დაფა, ქარგვისა თუ კერვის შესასწავლი მოწყობილობა, საქანელა, ბალიშები, სენსორული კიბე, ხალიჩები, სათამაშოები და სხვ... მაგრამ საქართველოს პირობებში უმთავრესი ინსტრუმენტი მაინც ენთუზიაზმი, დიდი მოთმინება და სიყვარულია, რომელიც ბავშვებთან მუშაობისას ყველაზე მეტად დაგვეხმარება.

### სასარგებლო რესურსები:


1. http://www.friendshipcircle.org/blog/2012/11/20/10-items-every-special-educator-should-have-in-their-classroom/
2. https://www.google.ge/search?q=melissa+ferry+special+rooms&rlz=1C1AVNG_enGE625GE649&espv=2&biw=1366&bih=633&source=lnms&tbm=isch&sa=X&ved=0ahUKEwjX8J729c_LAhXPbZoKHdPBBqcQ_AUIBigB&dpr=1#tbm=isch&q=items+for+special+rooms+for+children+with+special+needs&imgrc=wc-9VRGadgMaAM%3A

# ინკლუზიის ინსტრუმენტები – მულტიმოდალური სწავლება

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ვერც კი ვაანალიზებთ, რომ ერთი უბრალო მიზნის მისაღწევად რამდენიმე მოქმედების შესრულება გვიწევს. მაგალითად, საუზმობისთვის უნდა ავიღოთ ჩაიდანი, ავადუღოთ წყალი, გამოვაღოთ კარადა, მოვამზადოთ ყავა ან ჩაი, გავხუხოთ პური, გადავუსვათ კარაქი ან დავადოთ ყველი, რომელიც უნდა მოვჭრათ... ამ ყველაფრისთვის ვიყენებთ თვალებს, კანს და ხელებს, კუნთებს, ტვინს, ყურებს და მათ პარკუჭებსა და არხებში მდებარე უხილავ რეცეპტორებსაც კი. მოკლედ, იმდენ მოქმედებას და ორგანოს ვააქტიურებთ, რომ გააზრებამ შეიძლება ნოყიერად საუზმობაც კი გადაგვაფიქრებინოს და ხელში მხოლოდ ერთი ჭიქა წვენი ან თუნდაც წყალი აგვაღებინოს, მაგრამ ვერც ამ შემთხვევაში გავექცევით მრავალგვარ ქმედებას და მულტისენსორულ აქტივობას.

ფსიქოთერაპევტები დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ ადამიანები ფიქრს, გრძნობას, მოქმედებას, შეგრძნებას, სმენას, წარმოსახვას, ურთიერთობას სხვადასხვა სენსორული არხის დახმარებით ახერხებენ. სწორედ ამ მიზეზით თითოეული ეს მოდალობა უნდა ჩართულიყო ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში, რამდენადაც მულტიმოდალური შეფასება და თერაპია ეფუძნება ქცევის, აფექტის, შეგრძნების, წარმოსახვის, კოგნიციის, ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და ნივთიერებების (ბიოლოგიურ) ფაქტორებს.

სწორედ ამ პოსტულატებზე დაყრდნობით მულტიმოდალური მიდგომა მოგვიანებით განათლების სფეროში აღმოცენდა იმ შეხედულებებისგან, რომ სწავლის პროცესი ჩვენი სხვადასხვა შეგრძნების – განსაკუთრებით კი მხედველობის, სმენის, ტაქტილური აღქმის ერთობლიობაა. ამდენად მივიღეთ თანამედროვე განსაზღვრება, რომ **მულტიმოდალური სწავლება** – ეს არის სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მრავალფეროვანი სტრატეგიის/მასალის გამოყენებას და მოიცავს მგრძნობელობის ყველა არხს, რომელიც ადამიანის რვავე შეგრძნების გააქტიურებას უწყობს ხელს.

ჩვენთვის, ადამიანებისთვის, გარემოდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავების უპირატესი გზა არაერთგვაროვანია. ზოგი უკეთ აღიქვამს და

იმახსოვრებს **მოსმენილ** ინფორმაციას, ზოგიც უკეთ აღიქვამს და იმახსოვრებს **დანახულ** ინფორმაციას და ა.შ. ზოგი მოსწავლე უკეთ გაიგებს მოთხრობას, თუ დაუხატავენ ან ფოტოებს უჩვენებენ; ზოგიერთი ამ მოთხრობის მოსმენას ამჯობინებს, დარჩენილ ნაწილს კი ურჩევნია ფიზიკურადაც ჩაერთოს პროცესში: გაითამაშოს სცენები, დადგას სპექტაკლი, შექმნას კომიქსი და ამ სახით გაიგოს შინაარსი.

დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვების შემთხვევაში მულტიმოდალური მიდგომა გამოიყენება, როდესაც ერთი რომელიმე სენსორული მოდალობა უფრო სუსტად არის განვითარებული, ვიდრე დანარჩენი. შესაბამისად, შედარებით უფრო სუსტი მოდალობების საკომპენსაციოდ ხდება უფრო ძლიერი მოდალობების გამოყენება. ნეიროფსიქოლოგების თქმით, კითხვის პროცესი შეიძლება განხორციელდეს ოთხი ძირითადი შეგრძნების ჩართვით, ესენია: ვიზუალური (კითხვა), ტაქტილური (ბრაილის შრიფტი), აუდიო (დისკებზე ჩაწერილი წიგნები) და მულტისენსორული (ყველა შეგრძნების გაერთიანებით). მულტიმოდალურ ინტერაქციაში ჩართულია მხედველობის, სმენისა და დაბეჭდილი სიტყვების ტაქტილურად აღქმის აქტივობები. ამ დროს წიგნის მხედველობით წაკითხვას შეიძლება თან ახლდეს იმავდროულად დისკზე ჩაწერილი ტექსტის მოსმენა, სიტყვების ჰაერში დაწერა, პლასტელინით ასოების დაფაზე გამოძერწვა. ასევე საწერად იყენებენ ქაფს, ქვიშას, ბრინჯს და. ა. შ.

როდესაც **კლასში ბევრი მოსწავლეა, მასწავლებელი ინფორმაციის მიწოდებისთვის იყენებს ეკლექტურმიდგომას, რაც ერთდროულად მრავალ მეთოდს აერთიანებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ კომბინირებას მოიაზრებს.** მაგალითად, ახალი მასალის ახსნისას შეიძლება გავაგოროთ კამათელი და ჰორიზონტალურად დავარდნილ ქვებზე დატანილი რიცხობრივი მოცემულობით შევადგინოთ რამდენიმე მაგალითი, განტოლება ან ამოცანა. ამგვარ შემთხვევაში ბავშვები

- აღმოაჩენენ,
- უცქერენ,
- აკვირდებიან,
- იმახსოვრებენ მასწავლებლის ქცევას.

შემდეგ თავად იმავეს აკეთებენ, ანუ:

- ეხებიან,
- უცქერენ,
- აგორებენ – მოძრაობენ,
- უსმენენ კამათლის ხმას,
- ამოიცნობენ მათზე დატანილი წერტილების რაოდენობას,
- იწერენ ციფრებით,
- ადგენენ მოქმედებას – პროდუქტიულად აზროვნებენ.

ამავე მიზნით მასწავლებელს კლასში შემოაქვს დომინო, რომელიც ასევე ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მულტისენსორული ინტერაქციისთვის. ამ დროს სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართულია მხედველობის (უცქერს ქვებს, რომელთა ოპოზიციური შეფერილობა ყურადღების კონცენტრირებას ახდენს), სმენის (უსმენს ქვებს), ტაქტილური (ეხება ქვებს), ვესტიბულარული (ზოგი ცალ ფეხზე დგას), პროპრიოცეპტული (ზოგი მოხრილია და მაგიდას ეყრდნობა, ზოგი ცალ ფეხზე დგას), ინტეროცეპტული (მოსწავლე მფლობელია) შეგრძნებები. ამიტომ მოსწავლე კმაყოფილი, ბედნიერი და მოტივირებულია.

მასწავლებელი იყენებს ახსნის ყველა შესაძლო გზას და მოიცავს მხედველობის, სმენისა და კანის, ვესტიბულარული... შეგრძნებების სისტემებს. მაგალითად, მასწავლებელი

- ჰყვება ტექსტს. მოსწავლეები უსმენენ.
- აჩვენებს სურათებს, ხატავს კომიქსებს. მოსწავლეები ათვალიერებენ, კითხულობენ.
- დგამენ მინისპექტაკლებს, როლურ თამაშებს; ძერწავენ პერსონაჟებს – მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი ფიზიკური მოძრაობებით, ინფორმაციას იღებენ შეხებით.

მულტიმოდალური სწავლების შესახებ ერთ-ერთ მეთოდურ წერილში ვკითხულობთ:

> *„კლასში ზოგ ბავშვს უყვარს ბანანი, ზოგიერთს შოკოლადი, დანარჩენს კი – წვენი. მასწავლებელმა იმის ნაცვლად, რომ გაერკვია, ვის უყვარს ბანანი, ვის – შოკოლადი და ვის – წვენი, კლასში სამივე ერთად შეიტანა. შედეგად, დრო მოიგო და თითოეული ბავშვის სურვილიც დააკმაყოფილა“[1].*

მისასალმებელია, როცა პედაგოგი აღსაზრდელებზე ასე ზრუნავს, მაგრამ ამავდროულად უმნიშვნელოვანესია, იცოდეს, რომელია ინფორმაციის გადამუშავების უპირატესი გზა კონკრეტული ბავშვისთვის. ეს ცოდნა გამოგვადგება მოსწავლესთან პირადი კომუნიკაციის დროს ან მოსწავლის მშობლისთვის რეკომენდაციების მიცემისას. მაშინ, როდესაც **ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით სუსტი მხარეების განვითარებაზე ვაძლევთ რჩევებს მშობელს**.

სპეციალისტები გვირჩევენ, სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლეების სწავლებისას გამოვიყენოთ:

- **სიტყვების გრაფიკული გამოსახულება** (დაწერილი სიტყვები „ვაშლი“ და ა.შ.);
- **სიტყვების აღმნიშვნელი საგნები**;
- **რეალური საგნები (ხილი), რომელთა შეჭმაც შეიძლება**;
- **სიტყვების სმენითი ხატი** (სავარაუდოდ, პედაგოგი ასახელებს კიდეც /ახმოვანებს თითოეულ საგანს);

აღნიშნული აქტივობის ერთ-ერთი მიზანი შესაძლოა იყოს სიტყვა-ცნებების ათვისება. როგორც ვიცით, სმენადაქვეითებული ბავშვისთვის საკმაოდ რთულია სიტყვის სმენითი ხატის დაკავშირება სიტყვის მნიშვნელობასთან (უჭირთ გაგონილი სიტყვის მნიშვნელობის გაგება) **სიტყვების გრაფიკული გამოსახულების საგნებზე დაწებების მიზანი** კი შესაძლოა იყოს **სწრაფი კითხვის ჩვევის გამომუშავება** (სიტყვის მხედველობითი ხატის ცნობა/დამახსოვრება).

წაკითხული ტექსტიდან შინაარსის გამოტანის გაუმჯობესება (სიტყვის მხედველობითი ხატისა და შესაბამისი საგნის სწრაფად დაკავშირების ხარჯზე) ამ აქტივობის დახმარებით მასწავლებელი:

- თან უსახელებს ბავშვს კონკრეტულ საგანს **(სმენითი არხი)**;
- თან უჩვენებს **(მხედველობითი არხი)**;
- თან ეხება **(ტაქტილური არხი)**;
- თან აძლევს დაგემოვნების საშუალებას, **(ე.წ. ორალური არხი – ინტეროცეპტული შეგრძნებები)**

ასევე იყენებს თითოეულ საგანს ფუნქციურად და ამ სახით უზრუნველყოფს ახალი ინფორმაციის ძველ გამოცდილებასთან დაკავშირებას, ინფორმაციის უფრო მაღალ დონეზე გადამუშავებას.

მულტიმოდალურ-ეკლექტური სწავლების კლასიკური შემთხვევაა ენ სალივანის მიდგომა პატარა ჰელენ კელერთან. მიუხედავად იმისა, რომ გოგონას არც სმენა გააჩნდა და არც მხედველობა, მასწავლებელმა მოახერხა შეხებისა და პროპრიოცეპტული, ვესტიბულარული და ინტეროცეპტული შეგრძნებებიდან მიღებული ინფორმაციით მოწაფეში მხედველობის და სმენის ილუზიით მირაჟული აზროვნება შეექმნა და იგი თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურამდეც კი აეყვანა. ხოლო, რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ მაგალითებს და მულტიმოდალურ აქტივობებს, ისინი პრაქტიკულად ყველა თემატიკასა და მიზანს  შეიძლება მოვარგოთ.

კვლევებით დასტურდება, რომ ამ გზით ახსნილ ახალ მასალას მოსწავლე უკეთ იგებს და იმახსოვრებს. შედეგად უმჯობესდება მისი აკადემიური  მოსწრება, რადგან ყოველი ამგვარად დაგეგმილი გაკვეთილის წინ მაღლდება განწყობა, რაც ერთი-ორად ზრდის მოსწავლეთა მიღწევებს, მათი ზრდის პარალელურად კი იზრდება მასწავლებლის თვითკომპეტენტურობა და სწავლების მოტივაციაც.

ელრესურსები:

1. http://mshoblebistvis.ge/?page_id=86

# მოსწავლეთა შეგრძნებებზე ზემოქმედება – ცოცხალი რვაფეხა კლასში

ეს ჩემი კლასია. ბავშვების წინ ვდგავარ და პიჯაკში A4 ფორმატის ლამინირებულ ნახატს ვმალავ. ბავშვები ინტერესდებიან, თვალები უფართოვდებათ, ერთმანეთს გადახედ-გადმოხედავენ. გაისმის რამდენიმე ცნობისმოყვარე ხმაც: „– მას, რას მალავთ?"; „– გვაჩვენეთ, რა!"; „– ჩვენთვისაა?" პიჯაკში საგულდაგულოდ შემალულ ფოტოს ნელ-ნელა გარეთ ვაცურებ, შემდეგ ამავე ზომის თავისუფალ ფურცელს ვაფარებ, ჯერ მხოლოდ ერთ კუთხეს ვაჩენ და ბავშვებს ვთხოვ, გამოიცნონ, რა ხატია მასზე. კუთხე ფერადია და ბავშვებს თანდათან ინტერესი იპყრობთ. ზოგი აბსტრაქტულ ტილოს ამოიცნობს, ზოგს შპალერის ნაწილი ჰგონია, ზოგს – ტყის ფოტო, ზოგი ფიქრობს, რომ ნამცხვარია, ზოგიც ასაბუთებს, რომ ხავსია. ერთი სიტყვით, კლასში ხალისიან ცნობისმოყვარეობასთან ერთად ხმაურიც იმატებს და ის დროა, ფურცლის ქვემოდან ფოტოს უფრო მოზრდილი ნაწილი გამოვაცოცო. „– ხომ ვამბობდი, რომ ხავსია!" – სიხარულით და ამაყად აცხადებს გიგი და მასთან ერთად უკვე სხვებიც ხვდებიან, რომ საქმე ხავსსა და წყალს ეხება. ნახევარი ფოტოს დანახვაზე კი თითქმის მთელი კლასი ხვდება, რომ დღის „გმირი" ოკეანის უცნაური ბინდარი – იისფერი ვარსკვლავთევზაა.



კლასი წყნარდება, ჩემი მიზანი ნაწილობრივ მიღწეულია, ამ აქტივობით ბავშვებში ცნობისმოყვარეობის აღძვრას ვახერხებ და შემეცნებით სურვილს – ინტერესს ვიწვევ, ხოლო რაკი ასეა, ვიცი, გაკვეთილზე შემდგომშიც ყველაფერი წყალივით წავა. ფაქტია, ახლა ბავშვები ჩემთან არიან და აინტერესებთ, რატომ შემოვიტანე ვარსკვლავთევზას მშვენიერი სურათი მათთან.

ამ ან სხვა არსების კლასის წინაშე წარდგენას შეიძლება სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს: ქართულისა და უცხო ენის მასწავლებლები მოწაფეებს მათ შესახებ საინფორმაციო ტექსტებს მოვაძიებინებთ, ლექსიკურ მახასიათებლებს დავაჯგუფებინებთ, ცნების რუკას და მხატვრულ ტექსტებს შევადგენინებთ; მათემატიკის მასწავლებლებმა მოსწავლეებს შეიძლება ფოტოზე არსებული საგნების რიცხოვნობის დადგენა-დაანგარიშება, სხვადასხვა მოქმედების გამოყენებით მაგალითების, განტოლებების, ამოცანების შედგენა-ამოხსნა სთხოვონ. ხელოვნების მასწავლებელმა – ფერები, მუსიკისამ კი – მუსიკალური ბგერები შეაწყობინოს და შესაბამისი კომპოზიციებიც შეათხზვევინოს; ისტორიის მასწავლებელმა თითო ქიმზე თითო მნიშვნელოვანი მოვლენა მოაფიქრებინოს და მიაკვრევინოს ბავშვებს, ბიოლოგიის მასწავლებელმა კი შეგრძნებების რუკად გამოიყენოს. თუმცა ვინაიდან დღესდღეობით მეცნიერები არა ხუთ, არამედ **რვა შეგრძნებას ასახელებენ**, ეს მოდელი მხოლოდ შესადარებლად თუ გამოგვადგება. ამდენად, მხოლოდ ზღვის ვარსკვლავას ფოტოს რვაფეხას ფოტოს ჩვენებასაც ვამჯობინებ და ახლა სწორედ მის მომცრო ნაწილს ვაცურებ ოვალურად ამოჭრილი ფერადი ფურცლის ქვემოდან იმის გასარკვევად, რა ხატია სურათზე. ბავშვები კვლავ ახლოს მოდიან და სურათს კარგად აკვირდებიან.



ამჯერად ისინი სწრაფად გამოიცნობენ, რომ სურათზე რვაფეხას ხელებისა და მისაწოვრების ნაწილი ჩანს. ამრიგად, შედარების დროც დგება და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად წინასწარ მომზადებულ სლაიდს ვთავაზობ. თან ვარსკვლავთევზას თითოეულ ფეხზე მოთავსებული სურათის შესაბამისად სახელდებას ვთხოვ:

1. მხედველობა
2. სმენა
3. ყნოსვა
4. გემოვნება
5. შეხება

+

6. წონასწორობა (ვესტიბულარული)
7. მიკუთვნებულობა (კოორდინაცია)
8. შინაგანი (ძილი, შიმშილი, წყურვილი, ტუალეტი...)

ეს სლაიდი მათთვის აღმოჩენაა, რადგან იციან, რომ ადამიანს მხოლოდ 5 შეგრძნების ორგანო აქვს.

მაშასადამე, ერთი მხრივ, გვაქვს ზღვის ვარსკვლავა – ხუთი, მეორე მხრივ კი – **„რვაფეხა“ რვა ხელით და რვა შეგრძნებით**. ბავშვები, რა თქმა უნდა, უკვე ხვდებიან, რომ რვაფეხა კლასში პირობითად, მხოლოდ თვალსაჩინოებისთვის შემოვიყვანეთ იმის სადემონსტრაციოდ, რომ მას უკლებლივ ყველა გრძნობა აბადია, მათ შორის 400 ჰერცი სიხშირის ბგერების აღქმაც შეუძლია. ზოგი კი ამაოდ მიიჩნევს, რომ ამ გასაოცარ ქმნილებას, სამი გულით და ერთი ადამიანის მეორისაგან გარჩევის უნარით, სმენა არ გააჩნია.

ახლა ჩემი, როგორც მასწავლებლის, მიზანი **შეგრძნებათა რვაფეხას** გაცოცხლება და მის მიერ თითოეული მოსწავლის გარემოცვა ან დაპყრო-

ბაა, რადგან მშვენივრად მოგვეხსენება, როგორ თანხმდებიან განათლების ფსიქოლოგიის თეორეტიკოსები, რომ **საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის სრულფასოვანი ჩართულობის ანუ ინკლუზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი მხარე სწორედ მის შეგრძნებებზე ზემოქმედება და ემოციური მხარის სტიმულირებაა. შეგრძნებები კი სტატიკურთან ერთად კინესთეტიკურიც არსებობს და სასწავლო შედეგები მხოლოდ მაშინაა მაღალი, როცა მიდგომები მულტისენსორულია.** ლორენ ლოვილიოს თანახმად, *თუ ბავშვს შეუძლია მოძრაობების კონტროლი, ის მინიმალურად დახარჯავს ენერგიას ფიზიკური მანიპულაციების შესასრულებლად, ხოლო მაქსიმალურს* — ***შესაბამისი გონებრივი მანიპულაციისთვის.***

მას შემდეგ, რაც რვა შეგრძნების გამოსახატავად რვაფეხას ხატი ამეკვიატა, უფრო ნათლად წარმოვიდგინე სტუდენტობისას ნასწავლი ჟან ჟაკ რუსოს აზრი, რომ ბავშვები ბუნებაში უნდა აღიზარდონ, ბუნების შესაბამისად და ბუნებრივ პირობებში, რადგან ბუნება განაპირობებს ადამიანის ნიჭის განვითარებას **გრძნობათა ორგანოების მეშვეობით**. აკი, იან ამოს კომენსკიც აცხადებს, რომ შემეცნების დასაწყისი ყოველთვის შეგრძნებებიდან გამომდინარეობს. „გონებაში არაფერია ისეთი, რაც პირველად შეგრძნებებში არ ყოფილა; ცოდნის ჭეშმარიტება და სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, ადასტურებს მას შეგრძნებები თუ არა“. მარია მონტესორიც აქვეა თავისი მოსაზრებით, რომ **შეგრძნებათა ერთდროული აქტუალიზაცია წარმოშობს დასწავლის ნაყოფიერ პროცესს**.

ამიტომაც არის, რომ დღესდღეობით სწორედ არასაკმარის მოძრაობებს, მოტორულ დაუკმაყოფილებლობას მიიჩნევენ სწავლის დისფუნქციის მიზეზად. მოტორიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა თუ ნევროლოგიურ ჩამოყალიბებაში და რადგან „ჩვენი ქუჩები, პატარა ბინები და “ტელევიზორის ყუთი” არ აძლევს ჩვენს პატარებს საშუალებას, შეასრულონ მოძრაობათა მთელი ის გამა, რომელიც სჭირდებათ“, საგაკვეთილო პროცესებიც რვაფეხასავით მაქსიმალურად მოქნილი და აქტიური უნდა იყოს მათთვის, რვავე შეგრძნების მასტიმულირებელი და წამახალისებელი!

ე. ი. **კლასში რვაფეხას მოშინაურებაც კი შესაძლებელია**,

- თუ მოსწავლეს თვალსაჩინოებით, ვიდეოფილმებით ვასწავლით და მის **მხედველობას ვააქტიურებთ**.
- თუ მოსწავლეს ხმის ტემბრის მონაცვლეობით სასიამოვნოდ ვესაუბრებით ან ვიდეო- თუ აუდიომასალას ვასმენინებთ და ამით მის **სმენას ვააქტიურებთ**.

- თუ მოსწავლეს ვთხოვთ, წარმოსახვით სცადოს ნანახის ან მოსმენილის გარკვეულ სუნთან დაკავშირება, ან სურნელებით, არომატებით (ყვავილები, ზღვის ნიჟარები, ხის ქერქი, ფორთოხალი, ვაშლი...) მის **ყნოსვას ვააქტიურებთ**.
- თუ ვთხოვთ, გაიხსენონ და აღწერონ ესა თუ ის (პირობითად, ზღვის წყლის) გემო და აღწერონ და ამით მათ **გემოვნებას ვააქტიურებთ**.
- თუ მათ საგაკვეთილო აქტივობისას ტაშის შემოკვრას ვთხოვთ, მხარზე ხელს ვადებთ ან ხელჩაკიდებული ერთი ადგილიდან მეორემდე მიგვყავს და ამით მათში **შეხების შეგრძნებას ვააქტიურებთ**.
- რაც შეეხება **ვესტიბულურ**, ანუ **წონასწორობის შეგრძნებას**, ის სივრცეში ჩვენი სხეულის, განსაკუთრებით – თავის, ორიენტაციის, ასევე ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას გვაძლევს შიგნითა ყურის სითხით სავსე პარკუჭებსა და არხებში მდებარე უხილავი რეცეპტორების, პატარა ბუსუსების წყალობით, რომლებსაც ვერ ვხედავთ. **თუ კლასში გვყავს მოსწავლე, რომელსაც თანდაყოლილი ან შეძენილი ტრავმის შედეგად არ აქვს წონასწორობის შეგრძნება და დეზორიენტირებულია, კლასში გადაადგილებისთვის ჩვენი ან ოკუპაციური თერაპევტის ფიზიკური დახმარება დასჭირდება**. მიუხედავად იმისა, რომ მათ თავბრუ ეხვევათ და ხშირად ეცემიან, უნდა გვახსოვდეს: ასეთი ადამიანების უმრავლესობა დროთა განმავლობაში ვიზუალურ მასალაზე დაყრდნობით მაინც ახერხებს ნაკლის კომპენსირებას. თუ ვიზუალური სისტემიდან მომავალი სიგნალები კონფლიქტში არ შევა ვესტიბულური აპარატიდან წამოსულ სიგნალებთან, გულისრევაც აღარ იქნება. ხოლო **თუ კლასში ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვები არ გვყავს, ვესტიბულური შეგრძნებები შეიძლება გავააქტიუროთ სხვადასხვა „ენერჯაიზერის“ საშუალებით ან თითო-ორწუთიანი თამაშებით: „წერო“, „ხე“, „პეპელა“, „სალუტი მზეს“...**
- მიკუთვნებულობას, კოორდინაციას პროპრიოცეპტულ შეგრძნებებს უწოდებენ და მათი როლი გადამწყვეტია ნებისმიერი მოძრაობისა თუ წონასწორობის შენარჩუნებისას. ამდენად, ეს შეგრძნებები კინესთეტიკურ და სტატიკურ (სხეულის მდგომარეობის) შეგრძნებებად იყოფა და მათი რეცეპტორები კუნთებში, მყესებსა და ყურის ვესტიბულურ აპარატში მდებარეობს. პროპრიოცეპტული შეგრძნებების ინტეგრაცია ანიჭებს ბავშვს თვალის გუგების მოძრაობის კონტროლის, საგანზე მზერის დაფიქსირე-

ბის, მოძრავი საგანისთვის მზერის გაყოლების უნარს, გავლენას ახდენს კუნთების დაძაბულობის მართებულ განაწილებაზე. **სიტყვიერი კომუნიკაციის უნარისთვის საჭიროა სამი სტიმული: სენსორული, ვესტიბულარული და სმენითი, – სისტემიდან.**

- კლასში **ინტეროცეპტული გრძნობების გააქტიურებაც კია შესაძლებელი, თუ მოსწავლეს, სეზონის შესაბამისად, სითბოს ან სიგრილეს დავახვედრებთ; თუ დავანახებთ, რომ გვიყვარს და მასზე მთელი გულით ვზრუნავთ; თუ მათ წყლის დალევის ან არაალერგიული, სურნელოვანი ნივთების დაყნოსვის საშუალებას ვაძლევთ.** ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ADHD სინდრომის შემთხვევას, როდესაც ჰიპერაქტიურობას, ყურადღების დეფიციტს და იმპულსურობას აქვს ადგილი. ამ უკანასკნელის შესამცირებლად ფსიქოლოგები გვირჩევენ, ბავშვისთვის წყლის მიწოდების დროთა შორის მანძილი თანდათან გავზარდოთ, მაგრამ მივცეთ მოძრაობის საშუალება და ჩვენ მიერ მიწოდებული საგაკვეთილო ვიზუალური მასალით მოვახდინოთ მისი ყურადღების კონცენტრირება.

  ასეც ვიქცევით.

ამასობაში კი რვაფეხამ, რომელიც უკვე მოვაშინაურეთ, საკლასო ოთახში ერთ-ერთ კედელზე დაიდო ბინა. ამიერიდან ყოველი გაკვეთილის დასასრულს ბავშვების მიერ მის ხელებზე მიკრული ფერადი სახელები მაჩვენებს, ვინ რა შეგრძნების გააქტიურებით შეიძინა დღეს ცოდნა.

მერე ჩვენს სტუმარს პირთან ტეტრაქორდებად დაყოფილი ოქტავაც მივახატეთ და რვიდან თითო ნოტი, თითო ფერით, თითო გრძნობას დავარქვით.

და შეგვიყვარდა ჩვენი მომღერალი ოქტოპუსი, ასეთი საინტერესო, ლაღი და კეთილი!


გამოყენებული რესურსები:

1. Lorraine Loviglio, "Mathematics and The Brain: A Tale of Two Hemespheres," The Masachusetts Teacher (January –February 1981) pp. 13–14.[1]
2. http://www.growinghandsonkids.com/what-are-the-8-senses.html
3. https://www.pinterest.com/pin/233272455678087388/
4. https://en.wikipedia.org/wiki/Octopus

# წერის ათვისებისათვის ინკლუზიურ საკლასო ოთახში, მარია მონტესორის მეთოდი

„ინკლუზიური განათლება“ იდეალური მიზნისკენ მავალი ჩართულობის განათლებაა, რომელიც ყველა ჩვენგანისაგან მუხლჩაუხრელ შრომას ითხოვს. თუმცა ინკლუზიური სასწავლო გარემო პედაგოგებს არაერთი გამოწვევის წინაშე აყენებს. მათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოახერხონ არადისკრიმინაციული სასწავლო სივრცის შექმნა და ყველა მოსწავლისათვის თანაბარი განათლების მიცემა, რაც ნამდვილად არ არის იოლი პროცესი. განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის წერის უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება.

აღიარებულია, რომ წერა რთულად ორგანიზებული ფსიქიკური ოპერაციაა, რომლის დაუფლება მრავალი უნარის კოორდინირებულ განვითარებას გულისხმობს და ამ უნარის ათვისება წარმოადგენს გაცნობიერებულ აქტს, რომლის დაუფლებაც სპეციალურად დაგეგმილი დასწავლის პროცესში ხორციელდება, ამავდროულად მოითხოვს წინდაწინ ტექნიკურ გავარჯიშებას და ავტომატიზებულ პროცესად იგი მხოლოდ გარკვეული დროისა და გაწაფვის შემდეგ გადაიქცევა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას წერის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ტიპის სირთულეები იკვეთება. მაგალითისთვის განვიხილავთ რამდენიმე შემთხვევას (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა სახელდება პირობითობის პრინციპს ექვემდებარება):

**გაგის შემთხვევა** – დიაგნოზი: აუტისტური სპექტრის აშლილობა. ასაკი –11 წლის. გაგის უჭირს ასოების გრაფიკული გამოსახულების სწორად მოხაზვა – ფორმის, ზომის, დახრილობის ზუსტად გადმოცემა; ეშლება მსგავსი ასოების „შ“ და „წ“, „ძ“ და „ხ“ ჩაწერა; სირთულეს აწყდება ასოების რვეულის სიბრტყესა და ბადეში მოთავსებისას (წერას იწყებს რვეულის შუაში, ასოები დიდი ზომისაა და არ ეტევა ბადეში, ყურადღებას არ აქცევს ბადეს, ასოებს შორის დიდია ინტერვალი, ან პირიქით, ასოები შეტყუპებულად არის მოცემული);

სიტყვების ჩაწერისას ტოვებს, ანაცვლებს ცალკეულ ასოებს და მარცვლებს, სიტყვები დაუსრულებელია; წინადადების ჩაწერისას ტოვებს ცალკეულ სიტყვებს; წერისას აღენიშნება ჯდომის უცნაური პოზა, თვალშისაცემია რვეულის უჩვეულო განლაგებაც; თუმცა გაგის შეუძლია კომპიუტერზე ტექსტის თავისუფლად აკრება. მას მშობლებისაგან დამოუკიდებლად შეუსწავლია ინგლისური და რუსული ასოების ვიზუალური ხატები, აქვე უნდა ითქვას, რომ გაგი არკვევს მოსმენილი სიტყვების მნიშვნელობებს, საუბრობს უაქცენტოდ რუსულად, ხარვეზებით – ინგლისურად, მაგრამ მოსმენილის ან ნათქვამის ფურცელზე გადატანა არასდროს უცდია და თვლის, რომ არ შეუძლია.

**ლუკას შემთხვევა** – დიაგნოზი: ქცევითი აშლილობა; ასაკი – 7 წლის. ლუკა მძიმე მოტორული უნარების მქონე ბავშვია. უჭირს ასოების გრაფიკული გამოსახულებების სწორად მოხაზვა – ფორმის, ზომის, დახრილობის ზუსტად გადმოცემა; ეშლება მსგავსი ასოების ჩაწერა; სირთულეს აწყდება ასოების რვეულის სიბრტყესა და ბადეში მოთავსებისას (ასოები დიდი ზომისაა და არ ეტევა ბადეში, ყურადღებას არ აქცევს ბადეს, ასოებს შორის ინტერვალი დიდია); სიტყვების ჩაწერისას ტოვებს, ანაცვლებს ცალკეულ ასოებს და მარცვლებს, სიტყვები დაუსრულებელია; წინადადების ჩაწერისას ტოვებს ცალკეულ სიტყვებს; წერისას აღენიშნება ჯდომის უცნაური პოზა, თვალშისაცემია რვეულის უჩვეულო განლაგებაც; შეუძლია ნებისმიერი სიტყვის გადაწერა, თუმცა ყურადღებას არ აქცევს ნაწერის მნიშვნელობას.

**მართას შემთხვევა** – დიაგნოზი: სმენადაქვეითებულობა (მესამე ხარისხის), გონებრივი ჩამორჩენა. ასაკი – 8 წლის. მართას ასოების გრაფიკული გამოსახულებების სწორად მოხაზვა არ უჭირს, თუმცა მისთვის რთულია ასოების დამახსოვრება; სიტყვების გადაწერისას ტოვებს, ანაცვლებს ცალკეულ ასოებს და მარცვლებს, სიტყვები დაუსრულებელია; წინადადების ჩაწერისას ტოვებს ცალკეულ სიტყვებს; უჭირს განსაზღვრა, თუ რა სიტყვა ჩაწერა, შესაბამისად, მისი წერის პროცესი სიტყვის შემადგენელი ცალკეული ასოს გადახატვას უფრო ჰგავს, ვიდრე წერით აქტივობას, რამდენადაც არ ხდება ჩაწერილი სიტყვისთვის შინაარსის მინიჭება.

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევათა განზოგადება შესაძლებელია. ზემოთ დასახელებული თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი ხშირად განსაკუთრებულ მხარდაჭერას და სავარჯიშო პროგრამებს საჭიროებს როგორც წინადადების და სიტყვის ხმოვანი შემადგენლობის ანალიზის, ასევე ფონემების გრაფიკული გამოსახვის უნარების

განვითარებისთვის. მათთან მუშაობისას მნიშვნელოვანია ჯდომის სწორი პოზის და საწერი საშუალების ხელში მოხერხებულად დაჭერის უზრუნველყოფა. მხოლოდ ცალკეული ასოების გრაფიკული გამოსახულების დასწავლაზე აქცენტი კი ამ ტიპის შემთხვევებში არასწორი იქნება. მოსწავლეს უნდა ავუხსნათ, რომ ასოების წერა იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მისგან სიტყვა, სიტყვებისგან კი წინადადება იგება და რომ სწორედ მათი საშუალებითაა შესაძლებელი საკუთარი ნააზრევისა თუ განცდების გამოხატვა და გადმოცემა.

ინკლუზიური განათლების შესახებ არსებულ მასწავლებლის გზამკვლევში გამოყოფილია სიტყვის წერის პროცესის რამდენიმე ეტაპი:

1. **სიტყვის შემადგენელ ერთეულთა ანალიზი** – ხმოვანი ნაკადიდან, მოსწავლემ უნდა გამოარჩიოს ის ერთეულები (მარცვლები და ბგერები), რისგანაც შედგება სიტყვა. მან უნდა განსაზღვროს რომელია პირველი ბგერა, მომდევნო და ა.შ.
2. **წინადადების და სიტყვის ხმოვანი შემადგენლობის ანალიზი** – ხმოვანი ერთეულების გარჩევის შემდეგ მნიშვნელოვანია, ამ ერთეულების ცალკეულ ფონემებად იდენტიფიცირება და მსგავსი ჟღერადობის ფონემებისგან განსხვავება. მაგ., დაზუსტება, რომ სიტყვის „ქალი“ შემადგენელი ფონემებია: **ქ,** ა, ლ, ი და არა **ბ,** ა, ლ, ი.
3. **ფონემების გრაფიკულ გამოსახულებებად (გრაფემებად) გადაყვანა** – ამისთვის, მოსწავლეს კარგად უნდა ჰქონდეს დასწავლილი ფონემების შესაბამისი გამოსახულებები. მოსწავლემ უნდა აღიდგინოს ფონემის სურათ-ხატი და ხელის შესაბამისი მოძრაობით გამოსახოს საჭირო ასო ანუ შეძლოს ფონემების ჩაწერა.
4. **სიტყვის შემადგენელი ერთეულების თანმიმდევრობის დამახსოვრება** და მათი რიგის სწორად ჩაწერა. წინადადების წერისას კი სიტყვების თანმიმდევრობის დაცვაც არის საჭირო.

აღიარებული ფაქტია, რომ ასოს სწორად გამოსაყვანად საჭიროა ნატიფ-მოტორული უნარი და აღნიშნულ გზამკვლევში ამ უნარების განვითარებისათვის, ასევე წერისა და ფონემატური ანალიზისთვის სხვადასხვა რჩევაა მოცემული, თუმცა გვერდი ვერ აევლება დიმიტრი უზნაძის თეორიას, რომლის თანახმად, ადამიანის (ჩვენს შემთხვევაში **ბავშვის**) **ქცევას საფუძვლად**

**უდევს განწყობა, რომელიც გაცნობიერებული, წარმოსახული სიტუაციაა.** მაშასადამე, ბავშვში წერის განწყობის შესაქმნელად მოგვეთხოვება მის მიერ წარმოსახული სიტუაციის რამდენადმე მსგავსი რეალობის შექმნა.

სწორედ ამგვარი რეალობის შექმნა სცადა **მარია მონტესორიმ**, რომლის მეთოდი იმ აზრიდან გამომდინარე, რომ აღზრდის ამოცანა მოსწავლის მთელი ძალების ამოქმედებაა, უყურადღებოდ არ ტოვებს შეგრძნებათა, აღქმის და მოტორული პროცესების ერთობლიობას. მის ე.წ. **„ნომენკლატურის გაკვეთილებში“** ერთიანდება გეომეტრიულ ფორმებსა და ფერებზე ვარჯიში, რომელიც თანდათანობით რთულდება მასწავლებლის მეთვალყურეობით გარესამყაროზე დაკვირვებით, ასევე ამოჭრილ გეომეტრიულ ფიგურებსა და ხატვით წინასწარშემუშავებული სისტემის თანახმად (მაგ.: შავი, შემდეგ კი ფერადი დაშტრიხვის მეთოდით), ფერთა სახელდებაზე თამაშით. ეს ყველაფერი თავს იყრის არითმეტიკული მიზნისკენ მავალ სავარჯიშოებში (ციფრებით, „ნულით“, რომელსაც აქვს მნიშვნელობა და არაფერი სულაც არ არის, ციფრების დამახსოვრებაზე ვარჯიშით) და საბოლოოდ გადაიზრდება ასე ფართოდ ცნობილ **წერა-კითხვის მეთოდში**, რომლის ფსიქოლოგიურ საფუძვლად მოიაზრება წერის ფსიქო-ფიზიოლოგიური ბუნება და ანალიზი იმ მოტორული მექანიზმებისა, რომლებიც წერის პროცესში მონაწილეობენ. აღნიშნული ანალიზი მიგვითითებს, რომ **ბავშვებს წერა ასო-ბგერათა არცოდნის გამო კი არ უჭირთ, არამედ იმიტომ, რომ მათ ჯერ კიდევ არასაკმარისად აქვთ განვითარებული წერის პროცესში მონაწილე ორგანოები** (მაგალითად, შესაბამისი კუნთები ხელის მტევნისა). შესაბამისად, წერის საწყისი ამოცანაა, რომ წინასწარ შერჩეული სავარჯიშოებით წერის პროცესისთვის სწორედ ისინი განვაწყოთ. ამისათვის კი აი, რას აკეთებს მონტესორი:

- მოცემული მეთოდით წერის სწავლებას იწყებს გეომეტრიული ფიგურების ხატვით;
- ბავშვი გადადის მათ დაშტრიხვა-შეფერადებაზე;
- ბავშვი იწყებს წინასწარ დაწერილ ზუმფარის ქაღალდზე ამოჭრილ, შემდეგ კი მუყაოზე დაკრულ ასო-ბგერებზე თითების შემოყოლებას, რითაც მას მხედველობითთან ერთად უყალიბდება კუნთოვან-ტაქტილური ასოციაცია;
- მხოლოდ ამის შემდეგ ვასახელებთ შესაბამის ასო-ბგერებს, შედეგად კი მხედველობითი და კუნთოვან-ტაქტილური შეგრძნება ერწყმის სმენით შეგრძნებას;

- ბოლოს კი სათითაოდ გამოჭრილი ასოებისაგან ბავშვები სიტყვების შედგენაზე ვარჯიშობენ.

ამ გზით წერის შესწავლის პროცესი მჭიდროდ უკავშირდება კითხვის შესწავლას. კითხვა წმინდა მექანიკური პროცესია, რომელიც მხედველობით აღქმას ბგერად გარდაქმნის. და იგი, აღქმის გაგებით, დაწერილი სიტყვების დახმარებით იწყება მას შემდეგ, როცა წერა-კითხვის შესწავლის ერთიანი პროცესი ხორციელდება. **ამ მეთოდის თავისებურება არის ის, რომ წერას ბავშვები წერის გზით კი არ სწავლობენ, არამედ წერისთვის მოსამზადებელი სავარჯიშოებით** (უმეტესად ხატვისა და დაშტრიხვის მეთოდით). ისინი წერას კალმის ხელში აღებამდე ეუფლებიან. ამიტომაც წერენ მოულოდნელად ანდა თვითშემოქმედებითად, მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დაშტრიხვის სავარჯიშოებზე დაკვირვებით დარწმუნდება, რომ მათი კუნთოვანი მექანიზმი საკმარისად არის მომზადებული წერის პროცესისათვის და ბავშვებს შესთავაზებს ასო-ბგერის ან სიტყვის ჩაწერას. წერა-კითხვის შესწავლის მთელი პროცესი კი, მოსამზადებელი სავარჯიშოებით დაწყებული და დამოუკიდებელი წერით დამთავრებული, მოითხოვს საოცრად მცირე დროს. მარიამ მონტესორის მტკიცებით, ოთხ წლამდე ასაკის, სხვებისგან მოძულებულმა და მის მიერ შეკედლებულმა ორმა პატარამ წერა ისე ისწავლა, რომ სულ რაღაც თვენახევარში შეძლეს ყველა თავისი თანატოლის სახელით ყოველივე საუკეთესო ესურვებინათ და მადლობა გადაეხადათ ინჟინერ ტალამოსათვის. მონტესორის წიგნში არსებული ფოტომასალა და ილუსტრაციები მკითხველს სავსებით არწმუნებს წერილების კალიგრაფიული სიზუსტით შესრულებაში მაშინ, როდესაც სხვა დაწყებითი სკოლების 6-7 წლის მოსწავლეები მანამდე არსებული მეთოდებით მთელი წლის მანძილზე ეუფლებიან გამართულად წერასა და კითხვას.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებებისა, აღნიშნული მეთოდები წარმატებით ერგება ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ჩვენს შემთხვევას, ასე რომ, ამ საშუალებათა გამოყენება სავსებით შესაძლებელია დღევანდელ სასწავლო სივრცეში, რომელსაც გვიქმნის და გვთავაზობს ინკლუზიაზე დაფუძნებული მიდგომა, თანამედროვე რესურსოთახების არსებობის პირობებში ხომ – მით უფრო. ზუმფარის ქაღალდი კი ბევრი სხვა ტიპის, მაგ., ფერადი ხავერდის ან გოფრირებული ქაღალდებით, პლასტელინით, შეფერილი თეთრი თიხით ან თაბაშირით შეიძლება ჩანაცვლდეს და მათ გამო-

ყენებაში საგნის პედაგოგს სპეცმასწავლებელი დაეხმაროს. შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისთვის საინტერესო, სახალისო და ეფექტური წერის პროცესის შექმნისთვის კი აუცილებელია რაც შეიძლება მეტი პოზიტიური ემოცია, სხვადასხვა საგნების ჩვენებით ან ამბის მოსმენით წარმოსახვის განვითარება, მრავალმხრივი ხედვის ჩამოყალიბება და მოსწავლეთათავის იმის შთაგონება, რომ შემოქმედება ყველაზე უძლეველი ძალაა, რომელიც ჩვენში ცხოვრობს და ზღაპრული უკვდავებისთვის გვამზადებს.

წერის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის დღესდღეობით არსებული სხვა არაერთი საინტერესო რჩევა ზემოთ ხსენებულ გზამკვლევშია მოთავსებული.

სასარგებლო რესურსები:

1. ინკლუზიური განათლება, მასწავლებლის გზამკვლევი, თბილისი, 2009;
2. Oswald Paul, Schulz-Benesch Günter, Basic Ideas of Montessori's Educational Theory, Maria Montessorri, Extracts from Maria Montessori's Writings and Teachings, Ideas of Montessori's Educational Theory: Volume 14 of The Clio Montessori series, Clio Press, 1997.

# როდის და როგორ შევისვენოთ ინკლუზიურ საკლასო ოთახში

*„– საჭირო ოთახში გავალ რა, მასწ.!“*

*„– შეიძლება წყალი დავლიო?“*

*„– მუცელი მტკივა, შეიძლება დედას დავურეკო?“* – ეს და სხვა მსგავსი ფრაზები ხშირად გაისმის სკოლაში, იმის მიუხედავად, თუ სად მდებარეობს იგი. ბავშვები ნებისმიერ ასაკში კლასის დატოვებას სხვადასხვა ფორმით ითხოვენ. მათი შემეცნებითი უნარები და ენობრივი შესაძლებლობები საკმარისად განვითარებულია, შესაფერისი ფორმით საკლასო სიტუაციებსა და სასწავლო გარემოს რომ დაუსხლტნენ. სასკოლო პროცესს ხომ მათთვის გარკვეულწილად სტრესი და გაღიზიანება მოაქვს[1].

მოსწავლეები ხშირად გვიბოდიშებენ და თავაზიანად ითხოვენ ხოლმე საკლასო ოთახიდან გარეთ გასვლას. უფროსებიც ხომ ასე ვართ. ვინც ერთხელ მაინც მჯდარა საშინლად მოსაწყენ პროფესიულ შეხვედრაზე, რამდენჯერმე მაინც უფიქრია მობოდიშება, რათა თავისი შვილის ამბის გასაგებად შინ ძიძისთვის ან ახლობლისთვის დაერეკა. უფრო დაძაბული სიტუაციებიც არსებობს. ვიღაცის პირადი ურთიერთობა მეწყვილესთან შეიძლება ძალიან დაძაბოს გაუთავებლად ტრენინგებზე ჯდომამ. ჩვენ უფროსები ვართ და კარგად მოგვეხსენება სტრესების შესამცირებლად დამშვიდების მრავალფეროვანი ტექნიკების შესახებ – ღრმად ჩავისუნთქავთ, ვითვლით 10-მდე ან გარეთ გავდივართ. მნიშვნელოვანია, ეს ტექნიკები ბავშვებსაც შევასწავლოთ.

## სტრესის მოხსნის ეფექტური სტრატეგიები

აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ან აუტისტ ბავშვებს უძნელდებათ სტრესის მოხსნის სტრატეგიების შესწავლა. არადა, ეს საქმე შესაძლებელი და აუცილებელია. თუკი სკოლაში რამდენიმე სპეცმასწავლებელია, შეიძლება შექმნან როლური სიტუაცია, რომელსაც ბავშვს დაანახვებენ და აუხსნიან, რომ ასეთი ფორმით უნდა ითხოვონ შესვენება. სიმულაციების გათამაშება თანატოლებშიც შეიძლება. მთავარია, ამ არაჩვეულებრივი ბავშვების გასაგონად რამდენჯერმე

გავიმეოროთ თითოეული ინსტრუქცია. მათ შეიძლება ირიბად ვკითხოთ და ურთიერთობაში შემოსაყვანად ილეისტური ფორმითაც კი მივმართოთ. მაგ., *„სურს თომას შეისვენოს? რაღაც ბარათი ასე აჩვენებს. შეისვენე, თომა!“* ან: *„თომას შესვენების ჯერია, მოდი შეისვენე, თომა! შენთან ერთად მეც შევისვენებ“*.

## შესვენების მნიშვნელოვნება

შესვენება ბავშვების ცხოვრების ყველაზე პოზიტიური და აუცილებელი კომპონენტია. მის მისაღწევად ვიყენებთ ხისგან დამზადებულ ვიზუალურ მასალას, კერძოდ კი – ფერად ბარათებს, რომელთაც მოსწავლეები დაატარებენ თავიანთი PECS წიგნებით. ეს აბრევიატურა ინგლისურად შემდეგნაირად იშიფრება: Picture Exchange Communication System (სურათხატების გაცვლის საურთიერთო სისტემა). დაახლოებით ამგვარი წიგნები დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის წინათ ჩვენშიაც არსებობდა, მაგრამ დღეს მათი მხოლოდ და მხოლოდ უცხოეთიდან გამოწერაა შესაძლებელი და ერთი ეგზემპლარის ფასი საკმაოდ ძვირია, თუმცა საგნების მიხედვით ყველა დონის შეძენაა შესაძლებელი, მე-10 კლასის ალგებრის ან გეომეტრიისაც კი. ხის თხელ და ფერად ბარათებს ბავშვები წიგნებით დაატარებენ ან ხშირად მერხებშიც ინახავენ-ხოლმე.

ამერიკელი სპეცმასწავლებელი, მელისა ფერი ამბობს, რომ მას, როგორც პედაგოგს, საკლასო თუ რესურსოთახში ყოფნისას შესვენების ბარათი ყოველთვის ზონარით ყელზე ჰკიდია. თუკი მოსწავლეს დაღლას შენიშნავს, ის, მისი კოლეგა ან საგნის მასწავლებელი შესვენების ბარათს უჩვენებს, რაც ნიშნავს, რომ მოსწავლეს შესვენების დრო დაუდგა და შეუძლია, გამოიყენოს ეს უფლება. სხვა საკითხია, რამდენად ისარგებლებს იგი ამ შესაძლებლობით.

**შესვენების მიზეზი:** ადეკვატური, შესაფერისი გათავისუფლება.

**შესვენების მიზანი:** ემოციური და ფიზიკური აღგზნებების აღკვეთა.

**შესვენების დირექტივა:** შესვენების დირექტივას მაშინ ვაძლევთ, როდესაც ქცევა გვიჩვენებს, რომ მოსწავლე იმედგაცრუებული, გაღიზიანებული ან ხასიათწალეკილია. აუცილებელია, მოსწავლემ ისწავლოს ასეთი შემთხვევებისთვის ბარათების პირადად გამოყენება. უნდა ვასწავლოთ, მანამ აიღოს შესვენებისთვის დრო, ვიდრე მისი ნაკლებობა მდგომარეობას გაამწვავებს და უარყოფით ქცევამდე მივა. ვუჩვენოთ შესვენების ბარათი. ხოლო თუ PECS-ის წიგნებს ვიყენებთ, უზრუნველვყოთ მაგალითები შესვენების შეთავაზებით.

აუცილებლად უნდა მივუთითოთ მოსწავლეს **შესვენების ადგილი**. ბალტიისპირეთის ქვეყნებში ყოფნისას ჩვენი გაოცება გამოიწვია დერეფნებში მოხატულმა იატაკებმა. ბავშვები წყნარად, ხმაურის გარეშე ხტიან და შესვენებისას კლასობანას თამაშობენ. ამგვარი ფიზიკური აქტივობა ძალების საუკეთესოდ აღმდგენი და სტიმულატორია. მათ მიერ მოხატულ სივრცეებზე თავისუფლად შეიძლება, პედაგოგებმაც ისიამოვნონ, თუკი ამის დრო და სურვილი გააჩნიათ. ამით მოსწავლეებთანაც შემცირდება დისტანცია, განწყობაც ამაღლდება და უფრო მეგობრული ურთიერთობებიც ჩამოყალიბდება.

## შესვენების დრო

თუკი რესურსოთახში ან საკლასო კაბინეტში ვიმყოფებით, ვინიშნავთ რამდენიმე წუთს ტაიმერზე. არ ვესაუბრებით ან არ ვურთიერთობთ  მოსწავლეებთან მანამ, ვიდრე ისინი ისვენებენ.

ტაიმერის ხმის შემდეგ დამშვიდებულ მოსწავლეს  დაწყებულ სამუშაოსთან დაბრუნებას ვთხოვთ. თუკი  იგი ჯერ კიდევ ვერ დამშვიდდა, ვეუბნებით, რომ კვლავ სჭირდება დასვენება და ახლა უფრო მცირე დროით ვრთავთ ტაიმერს. და ასე მანამ, ვიდრე ბავშვი არ დამშვიდდება.

## ვასწავლით შესვენების მოთხოვნას

უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენს მოსწავლეებს ვუვითარებთ  უნარს, თავად შეარჩიონ დასვენების დრო, რომ არ დაელოდონ ჩვენს მითითებას. მათ ვაძლევთ დასვენების ბარათს ან ვთავაზობთ სხვა სიგნალს, ამდენად,  მათ თავად შეუძლიათ გვანიშნონ, როდის სჭირდებათ შესვენება.

აი, ბარათიც.




ჰოდა შევისვენოთ  :)


სასარგებლო რესურსი:

1. http://www.friendshipcircle.org/blog/?s=breaks
2. http://www.pecsusa.com/store/large-pecs-communication-book
3. https://www.google.ge/search?q=break+cards&espv=2&biw=1093&bih=530&tbm=isch&imgil=noDSiPINVpbi0M%253A%253BPa_f6W-ISIjGIM%253Bhttp%25253A%25252F%25252Fdansekulski.blogspot.com%25252F2014%25252F11%25252Fbreak-cards.html&source=iu&pf=m&fir=noDSiPINVpbi0M%253A%252CPa_f6W-ISIjGIM%252C_&usg=__VQwAhkyYe_wbPeo71pjYRyELdDE%3D&ved=0ahUKEwjqz8m5kfbQAhWKCBoKHRDKCssQyjcIJA&ei=CYRSWKonipFokJSr2Aw#imgrc=noDSiPINVpbi0M%3A


[1] წერილი მომზადდა მელისა ფერის ბლოგის მიხედვით.

# ჭრელი წინდა და რამდენიმე რჩევა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან მუშაობისთვის

სიყვარულს ორმაგად აბრუნებენ, სხვებზე მეტად თანაუგრძნობენ და უგებენ, უყვართ მშობლები, და-ძმები, სკოლაში სიარული, მასწავლებლები და მეგობრები, დედის მომზადებული კერძები და მამის მოსმენა, კითხვა და მუსიკა, თვალებში ცქერა, მოფერება, წახალისება, შექება... ჭრელი წინდებიც ასევე უყვართ, თუმცა ქრომოსომებს რომ წინდის ფორმა აქვთ, ნაკლებად იციან.

150 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ინგლისელმა ექიმმა ჯონ ლენგდონ დაუნმა გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც დანარჩენებისაგან საერთო სახასიათო ნიშნებით გამორჩეული ბავშვების ჯგუფი პირველად აღწერა და გამოავლინა დაავადება, რომლის საფუძვლად 1959 წელს ფრანგმა გენეტიკოსმა ჯერემი ლეჟერმა პირველად მიიჩნია ქრომოსომული ანომალია, როცა ნაცვლად 46 ქრომოსომისა, 21-ე წყვილში გვხვდება დამატებით მესამე ქრომოსომა. სწორედ ამიტომ შეირჩა დაუნის სინდრომის მქონე პირთა დღედ წლის მესამე თვის 21-ე რიცხვი და ეს თარიღი უკვე მეათე წელია, რაც მთელ მსოფლიოში აღინიშნება.

უკვე საზოგადო მოღვაწე და მსახიობი, ჯეისონ კინგსლი პროფესორ მიშელ ლევიტსთან ერთად წიგნში Count Us In — Growing Up With Down Syndrome „ჩვენც ჩაგვრთეთ – ზრდა დაუნის სინდრომით“ (Jason Kingsley, Mitchell Levitz, 2007) ამ მოვლენას სულაც არ მიიჩნევს ნაკლოვანებად და აცხადებს, რომ ეს არის დეფექტი, რომელიც ანელებს ათვისების პროცესს, რაც ტრაგედიად ამაოდ მიგვაჩნია, რადგან თითოეული ბავშვის შემთხვევაში ეს სინდრომი სხვადასხვანაირად ვლინდება, მათ განსხვავებული უნარი და შესაძლებლობები აქვთ. ზოგიერთ მათგანს შეუძლია საკმარისი ცოდნა შეიძინოს, რათა საზოგადოების აქტიური წევრი გახდეს და სრულფასოვნად იცხოვროს.

ყოველწლიურად მსოფლიოში სულ უფრო მეტი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი მიდის სკოლაში და თავის და-ძმებთან და მეგობრებთან ერთად ერთობა. თუმცა ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა მშობელი, სხვა შვილებისგან განსხვავებით, ამგვარი ბავშვის ტარებას სპეცსკოლაში ამჯობინებს. მართალია, მათ სწავლა უჭირთ, მაგრამ თანატოლებთან ერთად სასკოლო განათლების მიღება ეხმარებათ გახდნენ უფრო დამოუკიდებელი, ურთიერთობა ჰქონდეთ ხალხთან და ინტელექტუალურადაც განვითარდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ბავშვები ნელა ვითარდებიან, თანატოლებთან შედარებით სხვაობა ასაკის მატებასთან ერთად უფრო შესამჩნევია, ზოგი ექსპერტი მაინც ამჯობინებს მათ ჩვეულებრივ სკოლაში მიყვანას იმ პირობით, თუ იქნება ორმხრივი შეთანხმება მასწავლებლებსა და მშობლებს შორის და თუ სკოლა გაითვალისწინებს დამატებითი მეცადინეობის საათებს, საჭიროების შემთხვევაში ლოგოპედის დახმარებას და სხვა.

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ის სასწავლო მეთოდები, რომლებსაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების დასახმარებლად იყენებენ. თერაპევტები მშობლებს ურჩევენ, რომ ბავშვებს საოჯახო საქმეებში მიაღებინონ მონაწილეობა; თამაშებისა და სპეციალური სასწავლო პროგრამების საშუალებით უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმარონ. ასეთი პროგრამები, რომლებშიც ბავშვი დაბადებიდან მალევე უნდა ჩავრთოთ, მოიცავს ფიზიოთერაპიას, ლოგოპედიას, დამატებით ყურადღებას და აგრეთვე ბავშვისა და ოჯახის ემოციურ მხარდაჭერას. პროგრესი შესაძლოა ნელა მიმდინარეობდეს. ზოგჯერ იმის გამო, რომ ლაპარაკი უჭირთ, ბავშვები ტირილს იწყებენ ან ცუდ ხასიათზე დგებიან. მიუხედავად ამისა, მშობლებს შეუძლიათ, ასწავლონ მარტივი ჟესტებითა და თვალსაჩინო დამხმარე საშუალებებით აზრის გამოხატვა.

სკოლების წარმომადგენლებმა, რომლებიც ასეთი ტიპის აღსაზრდელს იღებენ, უნდა იცოდნენ, რომ მათთან მუშაობა დიდ დროს, ძალისხმევას, თავის მიძღვნასა და მოთმინებას მოითხოვს. თუმცა მათი ეს შრომა დროთა განმავლობაში დაჯილდოვდება სწავლაში კარგი შედეგითა და დიდი სიყვარულით. ამ ბავშვებს ხომ გარშემომყოფთა დაახლოების თანდაყოლილი ნიჭიც აქვთ და სხვებს მეტ თანაგანცდასა და ემპათიას ასწავლიან. თავადაც მუდამ რაღაც ახალს სწავლობენ და გამოცდილებას იძენენ, რადგან, როგორც წესი, ძალიან კარგი ხანმოკლე მეხსიერება აქვთ. თუმცა სასურველია მათი სასწავლო გარემო კარგად ორგანიზებული იყოს, რადგან ნებისმიერ ხელისშემშლელ ხმაურსა თუ მოვლენაზე იოლად გადაერთვებიან. არ უნდა დავსვათ ისინი ახლოს ფანჯრებთან და კართან ან ისეთ ადგილას საკლასო ოთახში, სადაც ხმაურის აღმოცენების ალბათობა მაღალია. მათი ემოციური თუ ინტელექტუალური განვითარებისთვის კი მუდამ უნდა გვახსოვდეს შემდეგი:

- ვუყუროთ პირდაპირ სახეში, დავამყაროთ მათთან მხედველობითი კონტაქტი;
- ვესაუბროთ ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე, მოკლე წინადადებებით, დანაწევრებული ფრაზებით;
- გამოვიყენოთ სხეულის ენა – ჟესტები, მიმიკები, მინიშნებები;

- შევანელოთ მეტყველების ტემპი, მივცეთ დრო გააზრებისთვის;
- ყურადღებით მოვუსმინოთ და ჩვენი ნათქვამის გამეორება ვთხოვოთ;
- გამოვიყენოთ მულტიმოდალური მიდგომა, ვასწავლოთ სმენით და შეხებით, გამოვიყენოთ წიგნები სხვადასხვა სენსორული ელემენტებით;
- გამოვიყენოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული მაგალითი და ყოფითი სიტუაცია სწავლებისათვის;
- ყოველთვის დავყოთ დავალებები პატარა ეტაპებად და ყოველი ეტაპის წინ უზრუნველვყოთ ბავშვი ახალი ინსტრუქციით;
- ახალი მასალის მიწოდებისას ვეცადოთ ჩვენი მეტყველების ტემპი იყოს შენელებული, მასალა კარგად სტრუქტურირებული (მარტივიდან – რთულისკენ), მოვლენები –ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული.
- უმჯობესია, წინასწარ იცოდნენ გაკვეთილის გეგმა, ანუ რას რის შემდეგ აკეთებენ, რათა მზად იყვნენ ცვლილებებისათვის და ახალ დავალებაზე გადართვამ არ გაუფანტოს ყურადღება.
- მასწავლებლის მკაფიო და მარტივი ინსტრუქციები, ასევე გამოკითხვის ალტერნატიული ფორმები (წერილობითი, კითხვებზე მოკლე პასუხები, სურათებზე მითითება) ეხმარება ბავშვს, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში, ამავდროულად, მასალის ათვისებაში.
- ქცევის მართვის სტრატეგიები დაუნის სინდრომის ბავშვებისთვის იგივეა, რაც ყველა დანარჩენი ბავშვისთვის. მთავარია, რომ სასურველ ქცევას აუცილებლად მოჰყვეს დადებითი განმტკიცება (შექება, წახალისება, დასაჩუქრება) და, რომ ეს განმამტკიცებელი აუცილებლად მნიშვნელოვანი და ღირებული იყოს ბავშვისთვის.

თავადვე გვირჩევენ: „ნუ დავკარგავთ მოთმინებას!“, რადგან ძლიერ უყვართ სიცოცხლე! ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მათზე ზრუნვა და სრულფასოვანი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის მომზადება ჩვენი უპირველესი ვალია. ისინი კი ჩვენს იმედებს ყოველთვის გაამართლებენ, რადგანაც არაჩვეულებრივი ადამიანები არიან!

## გამოყენებული რესურსები:


1. ინკლუზიური განათლების გზამკვლევი, თბილისი, 2012.
2. Kingsley Jason,Levitz Mitchell, Count Us In – Growing Up With Down Syndrome, New York, 2007.
3. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98

# შემეცნების პროცესები და შემეცნებითი უნარების განვითარება

შემეცნება შეგრძნების, აღქმის, წარმოდგენისა და აზროვნების პროცესებს აერთიანებს. გარდა ამისა, მოიცავს ყურადღებას, მეხსიერებას და სხვა. მაკონტროლებელ-ემოციურ თუ თვითრეგულაციურ ფუნქციებს. რაკი თითოეული მათგანი სინამდვილის ასახვის მიზანს ემსახურება, მიჩნეულია, რომ შემეცნება არის ცოდნის მიღებისა და სამყაროს მოვლენების შესახებ წარმოდგენების შექმნის, მათი თანაარსებობისა და თანმიმდევრობის პროცესი, რომელსაც ახასიათებს ეტაპობრიობა, კერძოდ, განვითარების ყოველი შემდგომი ეტაპი წინა ეტაპზე მიღებულ გამოცდილებას ეფუძნება.

მიჩნეულია, რომ შემეცნების პირველად პროცესს წარმოადგენს აღქმა, როგორც გარესინამდვილის განცდა, ხოლო აზროვნება შემეცნების მეორადი პროცესია და მას საფუძვლად გაკვირვება უდევს. იქ, სადაც აღქმული სინამდვილე ასეთ განცდას არ იწვევს, აზროვნების განვითარებას არავითარი აზრი არ ექნებოდა. გაკვირვების ფენომენზე მსჯელობისას დიმიტრი უზნაძე პლატონს იხსენებს და აღნიშნავს, რომ გაკვირვება ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-4 საუკუნეში გამოუცხადებია ფილოსოფიური აზროვნების სტიმულად. თუმცა ქართველი მეცნიერი აზროვნების ძირითად სტიმულად არა გაკვირვებას, არამედ მოთხოვნილებას მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ რაც უფრო ძლიერია მოთხოვნილება, რაც უფრო მნიშვნელოვანია იგი სუბიექტისათვის, მით უფრო ენერგიულ აქტივობას იწვევს. ხოლო როდესაც მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერ ხერხდება, მაშინ ჩნდება გაკვირვების გრძნობა და იწყება აზროვნების პროცესი. აზროვნების ამოქმედების პროცესს შეიძლება ყოველი ახალი მოთხოვნილება დაედოს საფუძვლად, ოღონდ გადამწყვეტი როლი აქვს იმას, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მოთხოვნილება პიროვნებისთვის. აზროვნების აქტუალიზაციის გარეპირობას სიტუაციის ორი მომენტი — სიახლე ან უჩვეულობა და მისი პერსონალური ღირებულება შეადგენს.

ადამიანს სამყაროს შესახებ წარმოდგენა ადრეული ასაკიდანვე ექმნება. დასაწყისში ეს გამოიხატება მხოლოდ ხმაზე ან მხედველობით გამღიზიანებელზე რეაქციით, თანდათან შემეცნებითი პროცესები ვითარდება, ადამიანი აღიქვამს, იმახსოვრებს გარესინამდვილეს, წარმოიდგენს და აანალიზებს მას. შემეცნებითი უნარების, შესაძლებლობის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების პირველი წლები. ბავშვს ცოდნის შეძენასთან

ერთად უვითარდება ის ფუნქციები, რომელთა მეშვეობითაც ამ ცოდნას იძენს.

შემეცნებით განვითარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება როგორც ყოველდღიური ფუნქციონირებისათვის, ასევე წარმატების მისაღწევად. შემეცნებითი განვითარებისათვის საჭიროა, ბავშვს  განუვითარდეს რაოდენობრივი წარმოდგენები, ჩასწვდეს მოვლენებს შორის სივრცით, დროით და მიზეზშედეგობრივ კავშირებს.

ცოდნის თვალსაზრისით ბავშვი იღებს ინფორმაციას როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სამყაროს შესახებ ადამიანებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალებით. ასევე მნიშვნელოვანია, ჩართული იყოს შემოქმედებით პროცესებში და ჰქონდეს თვითგამოხატვის მრავალფეროვანი საშუალება. ყოველივე ეს ხელს უწყობს,  ბავშვს შეექმნას წარმოდგენა ადამიანის სპეციფიკურ მახასიათებლებზე, შემოქმედებაზე, ზოგადად კულტურაზე და სოციალურ მახასიათებლებზე – ოჯახზე, საზოგადოებაზე.

შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა ოთხ ქვესფეროს აერთიანებს:

- ესთეტიკა და კულტურა;
- ბუნება და ტექნოლოგია;
- რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარება;
- მოვლენებს შორის მიმართებების წვდომა.

ესთეტიკა და კულტურა  მოიცავს ბავშვის უნარს, გამოხატოს და წარმოადგინოს საკუთარი თავი, მისი შინაგანი სამყარო მუსიკის, ცეკვის, ხატვისა და სხვა ვიზუალური და გამომსახველობითი ხელოვნების საშუალებით. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს ბავშვის მიერ ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების სწორ აღქმას, გაგებასა და დაფასებას.

ამ ქვესფეროში ასევე დიდი ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორია ბავშვის მიერ საკუთარი თავის აღქმა სხვებთან მიმართებით, მისი წარმოდგენა იმ სოციალურ გარემოზე, რომელშიც იზრდება. აქ იგულისხმება გათვითცნობიერებულობა ოჯახის, საზოგადოებისა და კულტურის თვალსაზრისით. ეს ქვესფერო მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- შემოქმედების აღქმა და გაგება;
- შემოქმედებითი თვითგამოხატვა;
- ოჯახი, საზოგადოება და კულტურა.

ბუნება და ტექნოლოგია გულისხმობს ბავშვის უნარს, გაიგოს, შეიმეცნოს ფიზიკური გარემო; დააკვირდეს, გამოიკვლიოს, ჩაატაროს ექსპერიმენტები იმ პროცესებზე, რომლებსაც თვალსაჩინო შედეგი მოსდევს. გარემოს შესახებ ცოდნის შეძენით ბავშვი ინფორმაციას იღებს, მაგ. დედამიწისა და ცოცხალი ბუნების შესახებ. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარება ბავშვს ეხმარება,

გამოსცადოს და გამოიყენოს მიღებული ცოდნა ასაკის შესაბამის პრაქტიკაში, ექსპერიმენტის დროს. ეს ქვესფერო მოიცავს შემდეგი უნარების განვითარებას:

რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარება მოიცავს ანგარიშს, გაზომვას და კანონზომიერებების დადგენას. ყველა ამ უნარს მნიშვნელოვანი ღირებულება აქვს იმისათვის, რომ ბავშვს შეეძლოს იმ მათემატიკური საკითხების გადაჭრა, რომელიც მას ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება შეხვდეს. ეს ქვესფერო მოიცავს:

- ანგარიშს;
- გაზომვას;
- კანონზომიერების დადგენას.

მოვლენებს შორის მიმართებების წვდომა რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. დროითი მიმართებები გულისხმობს, თუ როდის ხდება კონკრეტული მოვლენა წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში; ასევე მოვლენათა თანმიმდევრობას, ხანგრძლივობასა და თანხვედრას. სივრცითი მიმართებები გულისხმობს საგანთა მდებარეობის აღქმას – სად მდებარეობს კონკრეტული საგანი? ჩემ ზევით, ქვევით და ა.შ. – საგანთა ურთიერთგანლაგების აღქმასა და წარმოდგენას. მიზეზშედეგობრიობა გულისხმობს საგნების ან მოვლენების დაკავშირებას ერთმანეთთან; იმის გარკვევას, თუ რა იწვევს ცვლილებას, რაზე მოქმედება განაპირობებს მას.

ძირითადი სტრატეგიები:

- ბავშვებს შევუქმნათ ისეთი გარემო, სადაც დაფასებული იქნება შემოქმედებითობა, ორიგინალურობა და მრავალფეროვნება;
- შევუქმნათ საკუთარი იდეების, გრძნობების, ემოციების სხვადასხვა საშუალებებით გამოხატვის პირობები;
- გამოვყოთ დრო, რათა შევისწავლოთ თითოეული ბავშვის ყოველდღიური გამოცდილება როგორც სახლში, ასევე მის გარეთ;
- გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა და გავაფართოოთ ბავშვის წარმოდგენები, შეხედულებები, გამოცდილება სამყაროს შესახებ;
- ჩვენი სწავლების მეთოდები და მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

გამოყენებული რესურსები:

1. უზნაძე, დ., ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III-IV, თბ. 1981.
2. http://sharpbrains.com/blog/2006/12/18/what-are-cognitive-abilities/
3. http://ncp.ge/ge/preschool-education/general-part/brief-review-of-learning-and-developmen t-fields/shemetsnebiti-ganvitareba-da-zogadi-tsodna

# შემეცნებითი უნარების განვითარება – ნეგატიური დემონსტრატიულობა, ვერბალიზმი

**შემთხვევა:**

პირობითად, ანტონი ნიჭიერი ბავშვია, დიდ ოჯახში ცხოვრობს, თუმცა მისთვის მხოლოდ მამიდა იცლის. თავისუფალ დროს ასწავლის ლექსებს, ზღაპრებს, ოთხი წლიდან ერთად კითხულობენ. მამიდა პროფესიით ინჟინერია. უხარია, რომ მისი უმცროსი ძმისშვილი ახლად წაკითხულ ლექსს, ზღაპარსა თუ მოთხრობას იოლად ითვისებს და ნოდარ დუმბაძის ყველა საბავშვო ლექსი ზეპირად იცის. სკოლაში ანტონი სწრაფად ანგარიშობს, გაწაფულად კითხულობს და სხვებისგანაც იმავეს ითხოვს. აღიზიანებს თანაკლასელთა შენელებული კითხვის ტემპი და ნელი აზროვნება. ურჩევნია, მუდამ დაასწროს სხვას, არ დააცადოს, ჩაერიოს და თუ ვინმე შენიშვნას მისცემს, ხამამღლა და ზოგჯერ უხეშადაც გააპროტესტოს. 7 წლის ანტონი ეზოში თამაშისას ხმამაღლა ყვება ლექსებს, უფროსი მეზობლის თხოვნის მიუხედავად, არ ჩუმდება. პატარა ლუკას ძილი მას სულაც არ ანაღვლებს.

ბევრი მშობელი და პედაგოგი თვლის, რომ მეტყველება ფსიქიკური განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ამიტომ მიმართავენ დიდ ძალისხმევას მეტყველების, აბსტარქტული თუ პრაქტიკული აზროვნების განვითარებისათვის. ასწავლიან ლექსებს, ზღაპრებს, გამოცანებს, ანგარიშს... „მოსხმარტალე“, „მოჭიკჭიკე“ მოზარდი ხშირად ოჯახის სიამაყეა. სკოლაში მისვლისთანავე მასწავლებელიც ინფორმირებულია, რომ მან „თითქმის ყველაფერი ზეპირად იცის და ძალიან ნიჭიერია“. ალბათ, ბევრ ჩვენგანს ჰქონია ურთიერთობა ამგვარ მოსწავლეებთან. მათ აქვს ყურადღების მაღალი მოთხოვნილება და არა ცუდი სწავლის, არამედ ცუდი ქცევის გამო სჭირდებათ ჩვენი თანადგომა. ისინი არღვევენ დისციპლინას საკლასო ოთახსა თუ შესვენებაზე და გარშემომყოფთა ყურადღების მიპყრობას ნებისმიერი ფორმით ცდილობენ.

ფსიქოლოგები გვაფრთხილებენ და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ შეიძლება ასეთ ბავშვებს მშობლების მხრიდან სიყვარული, მოფერება, გაგება ან მიღება აკლდეთ. თუმცა მათთან ურთიერთობისას ნებისმიერი ემოციური გამოვლინება – როგორც დადებითი (შექება, თბილი სიტყვა), ასევე უარყო-

ფითი (ყვირილი, შენიშვნა) – **ნეგატიური დემონსტრაციული ქცევის განმამტკიცებლად** ფასდება და სჯობს, რომ მაქსიმალური სიმშვიდე შევინარჩუნოთ. ბავშვებს ახასიათებთ მეტყველების განვითარების მაღალი დონე, თუმცა აზროვნების განვითარება შეფერხებული აქვთ.

ნეგატიური დემონსტრატიულობის მქონე ბავშვებთან მუშაობისას ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგი ნათია ბოდოკია კლასს გამოკითხვამდე მათ საგანგებო დავალებას ურჩევს. კერძოდ, ტექსტებს ცალკეულ ეპიზოდებად ჰყოფს და ასათაურებინებს, მათზე კითხვებს მოაფიქრებინებს ან ტესტს შეადგენინებს. ეს, მისი თქმით, ამართლებს და ყოველთვის სასურველი შედეგის მომტანია. ამგვარი ბავშვები დაფასთან ან რვეულში მითითებულ დავალებას ასრულებენ, შემეცნებით უნარებსაც ივითარებენ და, ამავდროულად, მასწავლებელს საგაკვეთილო აქტივობებში ხელს აღარ უშლიან.

დაწყებითი კლასების გამოცდილი პედაგოგები ხშირად მიმართავენ მხატვრული ტექსტების კითხვის მეთოდს. ისინი ისეთ მოთხრობებს არჩევენ, სადაც პერსონაჟები მსგავსი ქცევის ბავშვები არიან და პრობლემის გასაღებს თავადვე აღმოაჩენინებენ-ხოლმე. ამ მეთოდის გარდა, ერთ-ერთმა გამოცდილმა პედაგოგმა, რუსუდან ცაგარეიშვილმა მსგავს ბავშვებთან ურთიერთობის შემდეგი პედაგოგიური ხერხი შემოგვთავაზა: მისი თქმით, ოდესღაც ყველა ბავშვი უშვებს შეცდომას. იგი ჯგუფური დავალების შერჩევისას მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებს ითვალისწინებს. მასწავლებელი – მეწყვილე ან თანაგუნდელი, ნეგატიური დემონსტრაციული ქცევის ბავშვში მოსალოდნელ სისუსტეს აღმოაჩენს, მას მშვიდად გააზრებინებს შეცდომას, აღნიშნავს, რომ ეს არაფერია, რომ შეცდომებზე ვსწავლობთ. მაგრამ თუკი მსგავსი ხერხის გამოყენებას გადავწყვეტთ, უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული ბავშვი ძალიან ფრთხილ და ფაქიზ მიდგომას საჭიროებს. ნეგატიური დემონსტრატიულობის ბავშვები ხომ ზოგჯერ ზედმეტად მგრძნობიარენი არიან და დამარცხებას იოლად ვერ ეგუებიან. აჯობებს, გარკვეული წერითი მითითებების გათვალისწინებით მათ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული ნახატის, მოთხრობის ან კომიქსის მოფიქრება შევთავაზოთ.

## ვერბალიზმი

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ნიჭი ყოველთვის არ არის ერთი შეხედვით შესამჩნევი და ნიჭიერები არ არიან მხოლოდ ისინი, ვისაც სა-

კუთარი ტალანტის მკვეთრად გამოხატვა შეუძლიათ. ოდესღაც „ვუნდერკინ-დებად“ მონათლულ ბავშვებს დიდ მომავალს ამაოდ უწინასწარმეტყველებ-დნენ-ხოლმე. დიდი ადამიანების ბიოგრაფიები მოწმობს, რომ ბავშვობაში ვუნდერკინდი ხშირად ჩვეულებრივ ადამიანად ყალიბდება. „ვუნდერკინდე-ბად“ კი, არცთუ იშვიათად, თვლიან ვერბალისტებს – ადამიანებს, რომელთა შემთხვევაში იშვიათი გონებრივი გამოვლინებისა და ინტელექტუალური ნი-ჭის ნაცვლად განვითარების დარღვევასა და ჩამორჩენასთან გვაქვს საქმე.

ვერბალიზმი ძირითადად, განისაზღვრება ტენდენციად, რომლის დრო-საც გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა და აზრი უცნობია მოსაუბრის-თვის. მხედველობის არმქონე ბავშვების შემთხვევაში დემონსტრატიულ ვერბალიზმად განიხილება მათ მიერ მხედველობის ტერმინების – ფერთა სახელწოდებების, მიმართულების ზმნიზედებისა და ხედვის ზედსართავე-ბის გამოყენება [Rosel, Caballer, Jara, Oliver 2005]. სმენითი თუ მხედველობის დარღვევის არმქონე ბავშვებში კი ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ბავშვი ბევრს და სწრაფად ლაპარაკობს, მაგრამ პირამიდასაც ვერ ააგებს. ვერბა-ლიზმი ყალიბდება სკოლამდელ ასაკში და განპირობებულია შემეცნებითი პროცესების განვითარების თავისებურებებით. დიდებივით სერიოზულად სა-უბარი, გამართული მეტყველება, უფროსების შეკითხვაზე გამოკვეთილი პა-სუხები, ბავშვის მაღალი თვითშეფასება – ზრდასრულთა მხრიდან არ უნდა შეფასდეს, როგორც განვითარების მაღალი მაჩვენებელი, რადგან სკოლაში სწავლის დროს აღმოჩნდება, რომ ბავშვს უჭირს ამოცანის ამოხსნა, დავალე-ბები, რომლებიც საჭიროებენ ხატოვან აზროვნებას, იწვევს სირთულეებს, არ ესმის პრობლემის ნამდვილი მიზეზი. მშობლები ადანაშაულებენ პედაგოგს ან ბავშვს აიძულებენ, მეტი იმეცადინოს. ეს კი იწვევს ბავშვებში შფოთვის მატე-ბას, დაურწმუნებლობას საკუთარ ძალებში, არასრულფასოვნების გრძნობას და ა. შ.

## როგორ დავეხმაროთ?

საკლასო კაბინეტებსა თუ რესურსოთახებში მეტი ყურადღება მივაქციოთ ხატოვანი და ცნებით-ლოგიკური აზროვნების განვითარებას. შევთავაზოთ, ერთიანი აკუსტიკური ან ვიზუალური ხატის ცნებებად დანაწევრება და გააზ-რება, ცნებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. მაგ., ლექსებ-ში ყურადღება გავამახვილოთ არა ტექსტის დასწავლაზე, არამედ მასში არ-

სებული ცნებების მნიშვნელობებისა და პრობლემის არსის გააზრებაზე. რას მოგაგონებთ ერთი ცნება? რით განსხვავდება მეორისაგან? როგორია იგი? რისთვის ვიყენებთ? როგორ დავხატოთ? როგორ ავაგოთ? როგორ გავითამაშოთ?.. რატომ ჩნდება პრობლემა? რას და როგორ ვაკეთებთ მის გადასაჭრელად?..

ამგვარი შეკითხვების მოფიქრება პედაგოგებს ნებისმიერ საგანსა თუ სწავლების ნებისმიერ საფეხურზე თავადაც ხელეწიფებათ. მთავარია, აქცენტები ცნებით-ლოგიკურ აზროვნებაზე გაკეთდეს და არა მხოლოდ დასწავლა-დაზეპირებაზე, რაც კლასში ნამდვილად შეგვიმცირებს დემოსტრატიული ვერბალისტების რიცხვს და მათ სხვა აზროვნების სივრცეში გადაყვანაში მნიშვნელოვნად დაგვეხმარება. ეს კი სავსებით შესაძლებელია. თუკი არ დავიზარებთ, ამგვარ მოსწავლეს აზროვნების დაბალი სააზროვნო უნარების (ცოდნა, გაგება, გამოყენება) განვითარებაშიც დავეხმარებით და ანალიზის, სინთეზის, შეფასებისა და შექმნის უფრო მაღალ სააზროვნო საფეხურზე ასვლასაც შევაძლებინებთ.

თუ ბავშვს ენციკლოპედიების კითხვა ზღაპრების ან მოთხრობების კითხვაზე მეტად უყვარს, იგი „ერუდიტის“ უნარ-ჩვევებს ფლობს, ფიქრი კი ნაკლებად იცის, აუცილებლად უნდა ვიკითხოთ მასთან ერთად ზღაპრები და ყურადღება ცნებების მნიშვნელობებზე, ეთნოსურ თუ სხვა ტიპის სიმბოლოებზე გავამახვილოთ. ჩვენ ხომ ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ მოწაფეებში „მძინარე ვარსკვლავები“ გამოვაღვიძოთ და მათი ნიჭი საჭიროების მიხედვით წარვმართოთ. რაკი მიჩნეულია, რომ „უნიჭობა – თითქმის ყოველთვის – აღზრდის უიღბლობაა“ და ნებისმიერი ადამიანის თანდაყოლილი უნარების განვითარება საშუალოზე მაღალ დონემდე ყოველთვის შეიძლება, ამიტომ არ უნდა მოვეშვათ და შევეცადოთ ბავშვებში ბუნებრივი ნიჭის განვითარებას. ყოველ ჯერზე ოდნავ უფრო რთული ამოცანის – არა ძალიან ძნელის ან მოსაწყენის – შეთავაზებით შევქმნათ მდიდარი და მრავალფეროვანი გარემო, სადაც აქტიურ, ცნობისმოყვარე, მჩხრეკელი ბუნების ადამიანებს განვავითარებთ და შევქმნით.

ვერბალისტებთან მუშაობა **ფსიქო-ფიზიკური ინფანტილიზმის** მქონე ბავშვებთან მუშაობაზე ბევრად მარტივია, რადგან ეს უკანასკნელი ისეთი ფსიქიკური განვითარების შეფერხებაა, რომ სკოლის მოსწავლისათვის დამახასიათებელია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ინტერესები და მოთხოვნილებები. მისთვის არ არის ღირებული სკოლის მოთხოვნები. სწავლაში მათი წარმატე-

ბები აღელვებთ მხოლოდ მათ პედაგოგებსა და მშობლებს, თავად კი ჩამოყალიბებული არ აქვთ სწავლის მოტივაცია. ამიტომ მათთან, **სიზარმაცის, დაქვეითებული შემეცნებითი ინტერესების** („არ გავაკეთებ იმიტომ, რომ მაინც არ გამომივა“, „მე არ შემიძლია“), **შენელებული ტემპერამენტის**, კეთილსინდისიერ, მაგრამ დინჯ, ასევე **დაბალი თვითშეფასების** მქონე ბავშვებთან ურთიერთობისას შფოთვის და ქცევის დეზორგანიზაციის, საკუთარ ცოდნაში დაურწმუნებლობის, სასწავლო საქმიანობის თავის არიდებისგან თავდასაცავად, ასევე სხვა ტიპის სირთულეების დასაძლევად საჭიროა საგნისა თუ სპეცპედაგოგების, მშობლებისა და ფსიქოლოგის მჭიდრო თანამშრომლობა.

* * *

სტატიის დასაწყისში ანტონის შესახებ ვყვებოდი. იგი 9 წლის იყო, როცა მამიდა სოფელში გათხოვდა. ანტონი ახლა 20 წლისაა და ერთ-ერთი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჯგუფური დანაშაულისთვის იხდის სასჯელს – ორიოდ წლის წინ მეგობრებთან ერთად ღამით მაღაზიაში შეიჭრა, შოკოლადები, მზესუმზირა, სიგარეტები და ერთი ბოთლი სასმელი გაიტაცა. არადა, ბავშვობაში სულ სხვა მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მან ხომ ზეპირად უამრავი რამ იცოდა.

სასარგებლო რესურსები:


1. Jesús Rosel, Antonio Caballer, Pilar Jara, and Juan Carlos Oliver, – Verbalism in the Narrative Language of Children Who Are Blind and Sighted. Language, 99, Numb. 7. July 2005.
2. მანანა მელიქიშვილი, ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, თბ., 2013.
3. http://www.ipress.ge/new/50344-jejelava-dazepireba-tvins-avitarebso-amis-avtors-etyoba-tvini-monolituri-raghac-hgonia
4. http://files.eric.ed.gov/fulltext/EJ692448.pdf
5. http://www.cyberspaces.net/6traits/sense.html
6. http://lady.mcvane.ge/main/rchevebi/rchevebi-dedebistvis/19280-bbbbb-bbbbbbyebbb-bbbbebbb-bbbb.html

# ვიფიქროთ ერთად – ინკლუზია, შემეცნება და საგაკვეთილო რესურსლაბები

ინკლუზია, ანუ სასწავლო პროცესში ჩართულობა და თანამონაწილეობა მოსწავლის კოგნიტური ფუნქციების მომწიფება-განვითარების საწინდარია, რასაც შედეგად მოსწავლის აკადემიური ფუნქციების ჩამოყალიბება და განვითარება მოჰყვება. ეს სამივე საფეხური, მართალია, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან, მათ მშობლებთან და პედაგოგებთან ერთად ძალიან რთულად გასავლელია, მაგრამ – შესაძლებელი და გამართლებულია არაერთი წარმატებული შედეგით.

თეორიულად უკვე თითქმის ყველამ დავიზეპირეთ, რომ ინკლუზია ჩართულობის განათლებაა და ინკლუზიური მოსწავლე საგანმანათლებლო სოციუმსა თუ პროცესში ჩართული ინდივიდია, რომ ჩართულობისთვის მასწავლებელი აცნობიერებს სწავლის ყველა თანამონაწილესთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარების მნიშვნელობას, პატივისცემას გამოხატავს ბავშვებისა და მათი მშობლებისადმი და ითვალისწინებს მათეულ ხედვას; რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში შემოსვლის ფაქტი თავად განაპირობებს სკოლის ადაპტაციას, მაგრამ ეს მშვენიერი აქსიომა მხოლოდ ფურცელზე რომ არ დაგვრჩეს, დირექციის, პედაგოგების თუ სპეცმასწავლებლის მხრიდან დიდი ძალისხმევაა საჭირო.

საქართველოში არსებული საჯარო სკოლების პედაგოგთა დამოკიდებულება სსსმ მოსწავლეებისადმი რომ არაერთგვაროვანია, რომ რესურსოთახები სათანადოდ არ არის აღჭურვილი, რომ სპეცმასწავლებლები ტვინს იჭყლეტენ ცალკე ურთულესი მოსწავლეების დასაინტერესებლად, ცალკე კი საგნის პედაგოგებთან შეუმდგარი ურთიერთობის მოსაგვარებლად. ახლა კი პრობლემის გადაწყვეტის გზებია საძიებელი. როგორ მოგვარდეს ჩართულობის განათლებასთან არსებული პრობლემა ჩვენს პირობებში? როგორ შევქმნათ გაკვეთილზე შემეცნებითი გარემო ისე, რომ არავინ დაზარალდეს, უფრო მეტიც, ყველამ ისიამოვნოს? – ეს და მსგავსი საკითხები ითხოვს დაფიქრებას, ნაფიქრის თავმოყრას და პრაქტიკულ განხორციელებას.

შესაძლოა, ბევრმა პედაგოგმა იფიქროს, რომ მის გაკვეთილზე ყველაფერი კარგადაა. კი ჰყავს სსსმ მოსწავლე კლასში, მაგრამ პრობლემა არ შეჰქმნია. პირადად მე ბევრი „კარგი“ პედაგოგი მინახავს ამგვარი მოცემულობით. ბავშვები წლების მანძილზე მერხებთან სხედან. მათ იციან, რომ მათი მასწავლებელი სხვებზე აღმატებულია – ფასილიტატორია, ტრენერია. წესრიგს არავინ არღვევს და დინებასაც მიჰყვებიან, მაგრამ ყველასთვის „კარგი“ იმ კონკრეტული ერთისთვის ვერაფერი ნუგეშია, რადგან წლების მანძილზე მასწავლებელს მისთვის ერთხელაც არ გაუმარტივებია ტექსტი; არ უცდია, წინსვლაში დახმარებოდა მას; ინდივიდუალური გეგმაც კი არასდროს შეუდგენია. და ასე უფსკრული თანდათან იზრდება. მერხების ბოლო რიგში მჯდარი სმენადაქვეითებული გოგონა ან აუტისტური სპექტრის ბიჭი წლების შემდეგაც ვერ განვითარდნენ, მიუხედავად იმისა, რომ „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეს“ სტატუსიც აქვთ, რათა მეტი შედეგის მისაღწევად მათზე სამინისტრომ, დირექციამ და მასწავლებლებმა იზრუნონ.

არადა, როგორ? როცა საქართველოში სსსმ მოსწავლეებზე მორგებული მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო არსებობს (ქ-ნ ცირა ნარმანიას ავტორობით) და ისიც, იმ მცირერიცხოვანი სკოლების გარდა, რომლებსაც 2014 წელს დაურიგდათ, ყველა სხვა სკოლისა თუ სპეცმასწავლებლისთვის მიუწვდომელია. თან წიგნი მხოლოდ დაწყებითი საფეხურისთვისაა განკუთვნილი და უფროსკლასელ სსსმ მოსწავლეებზე ზრუნვა ისევ და ისევ სპეცმასწავლებლის ორბიტაში მოიაზრება.

განათლების ფსიქოლოგიაში კარგად ნაცნობი სახელმძღვანელოა Toni 4 – The Test of Nonverbal Intelligence (ავერბალური ინტელექტის ტესტი). ჩვენში მას სსსმ ბავშვების შეფასებისას უმთავრესად ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრები იყენებენ. გაზიარების თხოვნას აზრი არ აქვს, რადგან წიგნზე უფლება მხოლოდ მათ მფლობელებს აქვთ. ჩვენს პირობებში ერთ წიგნს სპეცმასწავლებლის 4 თვის ხელფასი დასჭირდება, სრულ კომპლექტს კი მთელი წლის შრომაც არ ეყოფა, რადგან მისი ერთი დონის ღირებულება 400$-ს აღწევს. არადა, ტესტები, რომლებიც მასშია მოცემული, არა მხოლოდ შეფასების, არამედ შემეცნებითი უნარების განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაცაა. ჰოდა, იდეა დამებადა, შეიქმნას მსგავსი და სხვა ტიპის, ე. წ. IQ სავარჯიშოები, რომ ჩვენს რესურსოთახებში ბავშვებმაც და სპეცმასწავლებლებმაც უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი. ასე ინტელექტის მაჩვენებელი, მართალია, ვერ აიწევს, მაგრამ გავარჯიშება კი ნამდვილად შესაძლებელია.

გუგლიდან ამ ტიპის სავარჯიშოების შექმნის იდეა ჩემს 12 წლის შვილს, იოს გავანდე. მან კი 20-იოდე წუთში რამდენიე მათგანის აგება თავისუფლად შეძლო. აი, ისინიც:

ამათ გარდა, იომ კიდევ რამდენიმე ტესტი გადმოიტანა გუგლიდან, რაღაც მიამატა, რაღაც გამოაკლო. მისმა დამოკიდებულებამ და ამ, ერთი შეხედვით, არაავთენტურმა სავარჯიშოებმა კი უფრო ავთენტურ იდეაზე დაგვაფიქრა.

რა იქნება, თუკი ისტ-ის გაკვეთილებზე ბავშვები შექმნიან მსგავს პროდუქტებს, შეინახავენ. შემდეგ ან რესურსოთახებს მიაწვდიან, ან განათლების სამინისტროში შექმნილ ბაზას, რა თქმა უნდა, საავტორო უფლებების დაცვით, რომ მათი თანატოლებისთვის შექმნილი პროდუქტი უკეთესი სახით დაუბრუნდეს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვა სკოლის თანატოლებსაც, რომლებსაც სხვადასხვა უნარების განვითარება სხვებზე მეტად სჭირდებათ?

შეიძლება ჩამოყალიბდეს საგაკვეთილო ლაბორატორიებიც, მაგ., ყველა საგანში კვირის ბოლოს ჯგუფური მუშაობის შედეგად შეიქმნას ახალი პროდუქტი იმის მიხედვით, თუ რა ისწავლეს, ისტ-ის გაკვეთილებზე კი მოხდეს სხვა გაკვეთილებზე შექმნილი მასალის დიგიტალიზაცია. თუკი სკოლებში ამგვარი – შექმნაზე, პროდუქტიულობაზე, დროის გეგმაზომიერ ხარჯვაზე გათვლილი – მიდგომები აუცილებლად დაინერგება, ეს სასწავლო პროცესში მეტ ჩართულობას შეუწყობს ხელს და, ამავდროულად, მივიღებთ თაობას, რომელსაც ემპათიის უნარი გამოუმუშავდებათ, ერთმანეთზე ზრუნვა, დროის ეკონომია და პროდუქტზე ორიენტირება ეცოდინებათ. გარდა ამისა, შეიქმნება რესურსების დიდი და მრავალფეროვანი ბანკი და ის ნაკლებობა, რომელიც თანამედროვე სასწავლო სივრცეში ასე იგრძნობა, საბოლოოდ დაიძლევა.

# რეცეპტები ინკლუზიისა და პედაგოგიური გამძლეობისთვის

თანამედროვე ინკლუზიური სკოლის კურსი და სტრატეგია ეფუძნება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სკოლის ცხოვრებასა და აქტივობებში სრულფასოვან მონაწილეობას, რაც მათი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ბავშვის კოგნიტიური ფუნქციების მოწესრიგება მხოლოდ და მხოლოდ აქტიური ინტერაქციის პროცესშია შესაძლებელი და ამ პროცესის სრულყოფა თანამედროვე მასწავლებლის არცთუ იოლი გამოწვევაა. მოსწავლის ჩართულობა, თანამონაწილეობა საკლასო აქტივობებში, კოგნიტიური და აკადემიური ფუნქციების მომწიფება და განვითარება – ის მიზნებია, რომლებსაც სკოლა  საგნის პედაგოგთა ძალისხმევითა და სპეციალური მასწავლებლების დახმარებით ახორციელებს.

ამ უკანასკნელის როლი განისაზღვრება საგნის მასწავლებლის ხელშეწყობით კონკრეტული მოსწავლის ან კლასის ქცევის მართვაში. ის არის ადამიანი, რომელიც ფლობს პრობლემური ქცევის მართვის სტრატეგიებს, შეუძლია დაადგინოს პრობლემური ქცევის გამომწვევი მიზეზები. ხშირად მასწავლებელსა და სსსმ მოსწავლეს შორის არ ხერხდება თანამშრომლობა იმის გამო, რომ მოსწავლეს კომუნიკაციის დამყარების პრობლემები აქვს. საგნის მასწავლებელს ასეთ დროს კონსულტირებას უწევს სპეცმასწავლებელი და დამხმარე ან ალტერნატიული ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფს მოსწავლესთან კომუნიკაციის დამყარებას. ამგვარი საშუალებები შეიძლება იყოს სურათებით კომუნიკაცია, ერთად შემუშავებული სიმბოლოები, დამხმარე ილუსტრაციები.

თუკი კლასში იმყოფება მოსწავლე, რომლის აკადემიური სფეროს განვითარება დიდი განსხვავებით არ ჩამორჩება თანაკლასელების აკადემიური სფეროს განვითარებას, მაგრამ მას აქვს პრობლემები მეტყველების განვითარებაში, ვერბალურად ვერ გადმოსცემს საკუთარ აზრს, შეხედულებებს, ვერ პასუხობს მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს... ასეთ დროს სპეციალური მასწავლებელი და საგნის მასწავლებელი მოსწავლესთან მუშაობისას იყენებენ სურათებით კომუნიკაციას, როგორც დამხმარე საშუალებას.

სურათზე გამოსახული ობიექტებით მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი, სურვილი. წინასწარ შეთანხმებული სიმბოლოები, რომლის მნიშვნელობა ცნობილია, როგორც სსსმ მოსწავლისათვის, ასევე მასწავლებლებისა და თანაკლასელებისთვის, შეიძლება გამოიყენონ მოსწავლესთან მისთვის შესაძლებელი ფორმით კომუნიკაციისთვის.

სსსმ მოსწავლე საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის შედგენაში აქტიურად მონაწილეობს სპეციალური მასწავლებელი. ის, მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ახდენს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას. სპეც.მასწავლებელი უშუალოდ გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში ეხმარება მასწავლებელს ისგ-თი გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი აქტივობების განხორციელებაში, მოსწავლეს განუმარტავს მასწავლებლის ინსტრუქციებს და ა.შ. სპეციალური მასწავლებელი მონაწილეობს სსსმ მოსწავლის ირგვლივ მიმდინარე სასკოლო აქტივობებში. ამისთვის აუცილებელია, რომ ის კარგად იცნობდეს მოსწავლეს, მის შესაძლებლობებს, ინტერესებს, ამიტომ სპეც.მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს როგორც მოსწავლის მასწავლებლებთან, ასევე მის მშობელთან.

სპეციალური მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები საკმაოდ ვრცელია, მისი შესრულება თავისთავად მოითხოვს გარკვეულ ცოდნას. სპეციალური მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლების, ინკლუზიური განათლების რაობის შესახებ. იცნობდეს ქვეყანაში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას და ზრუნავდეს სასწავლო პროცესში არაეთიკური ტერმინების (გონებაშეზღუდული, დეფექტური, ინვალიდი, უნარშეზღუდული და ა.შ.) აღმოფხვრასა და ადეკვატური პროფესიული ტერმინების დამკვიდრებისთვის. სპეციალური მასწავლებელი უნდა იცნობდეს სხვადასხვა სახის დარღვევებს, რომლებიც ხელს უშლის ინდივიდს სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებაში, იცოდეს რა გავლენას ახდენს ესა თუ ის დარღვევა მოსწავლის სწავლასა და განვითარებაზე და შესაბამისად, შეეძლოს განსაზღვრა სსსმ მოსწავლის სწავლების მეთოდოლოგიების, სწავლების სტრატეგიების და დამხმარე ტექნოლოგიების (ინკლუზიური განათლების გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 2009).

ეს არცთუ ისე ცოტა ჩამონათვალია და ერთი ადამიანის მხრიდან საკმაო შრომას მოითხოვს. დარგის უცხოელი სპეციალისტები მეტი შედეგისა და, ამავდროულად, მთელი სასწავლო წლის მანძილზე პიროვნული გამძლეობის შენარჩუნებისათვის ამგვარ პედაგოგებს შემდეგ რჩევებს აძლევენ. ესენია:

1. **ორგანიზებულობა,** რისთვისაც მნიშვნელოვანია იმგვარი სისტემის პოვნა, რომელიც საუკეთესოდ მოერგება ჩვენს მოთხოვნილებებს. თითოეული მოსწავლის საქაღალდეში ცალკე უნდა გამოიყოს **წერის, კითხვის, მათემატიკის, ისგ-ს ან ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის, მშობლებთან კომუნიკაციის პროგრამის, წინა წლების მონაცემები.**

ამგვარად უფრო იოლია მოსწავლეთა შრომის, სხვადასხვა საგანში შეფასებათა დახარისხება, სასწავლო გეგმების შესრულების მონიტორინგი და სხვა). უკეთესი იქნებოდა მშობლებთან და ისგ გუნდის წევრებთან შეხვედრების და ამ შეხვედრათა ამსახველი საქმიანი ქაღალდების (ოქმების) წარმოებისათვის ერთი საქაღალდის ცალკე აღება. როგორც წესი, ისგ გუნდის წევრები სემესტრის მანძილზე რამდენჯერმე იკრიბებიან და ამ შეკრებათა ფორმალური ასახვა დირექციის მხრიდან მკაცრად მოითხოვება.

სასურველია ცალკე საქაღალდის არსებობა ყოველდღიური მონაცემების შესაგროვებლად, მოწაფეთა ნაშრომების, მოკლევადიანი მიზნების მისაღწევი საშუალებებისა და აქტივობების, მეთოდების აღსაწერად, ასევე მიღწეული შედეგების ჩასანიშნად.

2. **პირადი ცხოვრების შენარჩუნება**

კარგმა მასწავლებელმა ყოველთვის იცის, სად და როგორ გაავლოს ზღვარი პროფესიულსა და პირად ცხოვრებას შორის, მიუხედავად იმისა, რომ აღმზრდელობითი საქმიანობა ცხოვრების უზარმაზარ წილს მოითხოვს. საუკეთესო მეგობრებთან თუნდაც სატელეფონო კომუნიკაცია, შაბათ-კვირის კარგი დაგეგმვა და ბუნებაში დასვენება, მოხალისეობა სხვადასხვა ორგანიზაციებში და გარდა მასწავლებლობისა, იმ საქმის კეთება, რაც ყოველთვის მოგვწონდა, გართობა და ოჯახის წევრებთან ერთად თუნდაც მცირე წვეულების მოწყობა ჩვენი პირადი ცხოვრების შენარჩუნებაში დაგვეხმარება.

3. **ვიზრუნოთ საკუთარ თავზე**, რადგან ეს უმნიშვნელოვანესია სასწავლო გამოწვევებთან გასამკლავებლად. ენერგიის აღდგენისა და სტრესებისაგან გათავისუფლების საუკეთესო საშუალებებია: კარგად და ჯანსაღად კვება, რეგულარული ვარჯიში, ფეხით სიარული, გატაცებებით (ცეკვა, მუსიკა, ქარგვა, ქსოვა, ცურვა, სპორტდარბაზში თამაში, მცენარეთა მოვლა...) სიამოვნება და გამოძინება.

განსაკუთრებით სასარგებლოა, თუ ჩვენს კოლეგებს ამგვარ გატაცებაში ავიყოლიებთ, მათთან ვიმეგობრებთ და ერთად დავისვენებთ. მსოფლიოში

არსებობს სკოლები, სადაც კვირაში ორჯერ სასწავლო პროცესის შემდეგ მასწავლებლები **განტვირთვის მხიარულ ნახევარ საათს** აწყობენ და ეს საკუთარ თავზე ზრუნვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

**4. განვტვირთოთ ბავშვები**

თუ ჩვენი მოწაფეებისთვის სწავლა მოსაწყენ და უხალისო საქმიანობად გადაიქცევა, მაშინვე უნდა შევცვალოთ სტრატეგიები, რათა არ შემცირდეს მოსწავლეთა პროგრესი. იმისათვის, რომ ფორმაში ვიყოთ, მნიშვნელოვანია ბავშვებს არ მივცეთ მოდუნების საშუალება და შთავაგონოთ შემოქმედებითობა სასწავლო აქტივობებში. თბილი და ყველა მოსწავლისათვის სასურველი სასწავლო გარემოს შექმნა შესაძლებელია მათდამი მეტი ყურადღებისა და გულითადი დამოკიდებულების გამოჩენით. თუკი მოსწავლეები დაღლილები ჩანან, შეიძლება მოვუწყოთ მოძრაობითი განტვირთვა. Youtube-ზე ბევრი სასწავლო აქტივობაა, რომლებიც ამ განტვირთვების, ე.წ. ენერჯაიზერების ორგანიზებაში დაგვეხმარება. მაგ.: jammin' minute და სხვ. ასევე უმნიშვნელოვანესია ბავშვებისათვის კითხვისა და წერისთვის კომფორტული გარემოს შექმნა – განათება, ჰაერი, ავეჯი, ფიჯეტები და სხვ.. თითოეული მოსწავლის საჭიროების პოვნისთვის უნდა მოვძებნოთ გზა კინესთეტიკური აქტივობების, ვიზუალური, სმენითი თუ ტაქტილის/შეხების ცენტრების სტიმულაციისათვის.

**5. გამოვიყენოთ მონაცემები**

სპეციალური განათლების მუშაკები მონაცემთა შეგროვების ექსპერტებიც არიან. მათ მოეთხოვებათ ამ აურაცხელი მონაცემის სწორად გამოყენება. მონაცემებს კი, თავის მხრივ, სწორი ინსტრუქციების მოცემა შეუძლიათ. თუკი მათ სწორად შევაგროვებთ, აღარ დაგვჭირდება ტვინის ჭყლეტა, რა და როგორ ვასწავლოთ ბავშვებს, რაკიღა თვალნათლივ ვხედავთ მათი სწავლის შედეგებს.

**6. მივენდოთ პირად ინსტინქტებს**

მართალია, მონაცემები მნიშვნელოვანია, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ყველაფერი ვერ იქნება. პროფესიონალი მასწავლებელი თავისი დარგის ექსპერტიცაა. უამრავი მიზეზი არსებობს, თუ რატომ დაიმსახურეს მოსწავლეებმა ესა თუ ის შეფასება, მაგ.: შიმშილი, წყურვილი, ძილის ნაკლებობა, გაღიზიანება, ნერვიულობა, სტიმულისა და მოტივაციის/შთაგონების

არქონა... ან – პირიქით. ჩვენ ყოველდღიურად ვმუშაობთ მოსწავლეებთან და მათი სწავლის სტილს კარგად ვიცნობთ. ნუ დავაჯგუფებთ ბავშვებს მონაცემების მიხედვით, ვენდოთ კეთილ ინსტინქტებს, განმავითარებელი შეფასებებით ავამაღლოთ მათში მოტივაცია, ჩავსახოთ შთაგონება, ვაჩუქოთ სტიმული და ამ მოტივებით დავგეგმოთ გაკვეთილი, რადგან პირადი ინსტინქტები ხშირად ფურცლებზე დატანილ მონაცემებზე მეტად ამართლებს.

პედაგოგიური გამძლეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოსტულატად **მეგობრებთან, კოლეგებთან თანამშრომლობას** მოიაზრებენ. ცნობილია, რომ თანამშრომლობით უკეთესი შედეგის მიღებაა შესაძლებელი, ვიდრე კონკურენციით. ეს აღიარებული ნორმაა, რომელიც ფიზიკაში, ბიოლოგიაში, ფიზიოლოგიასა თუ ეკონომიკაში სინერგიის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი ყველაზე მარტივი პირობითი ფორმულა ასეთია: 1+1>2. რა თქმა უნდა, უფრო ვრცელი და ამომწურავი ფორმულებიც არსებობს, მაგრამ ყველა მათგანის არსი შეიძლება დავიყვანოთ ფართოდ აღიარებულ ჭეშმარიტებაზე: „ძალა ერთობაშია!“.

ტერმინი „სინერგია“ ბერძნულიდან მომდინარეობს და „ერთად შრომას“ ნიშნავს. ეს ის ცოდნაა, რომელიც უხსოვარი დროიდან მოჰყვება კაცობრიობას, ამიტომაც ხშირად ამოვიკითხავთ რელიგიურ ტექსტებში, ზღაპრებში, იგავ-არაკებსა და სახელმწიფო სიმბოლოებშიც კი, და რაკი „სკოლა პატარა სახელმწიფოა“ (დიმიტრი უზნაძე), მით უფრო გვჭირდება ამ ცოდნის გათავისება.

კოლეგა ფასდაუდებელი განძი და რესურსია. კოლეგებს შორის ნდობას, ურთიერთგაგებას, თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სპეცმასწავლებლებისთვის კი განსაკუთრებით საჭიროა იმის ცოდნა, რას აკეთებენ გაკვეთილებზე მათი მეგობრები ბავშვების მხარდასაჭერად. ურთიერთკავშირს განუზომელი ძალა აქვს და სკოლებში საუკეთესო საგანმანათლებლო სერვისების შექმნის საფუძველიცაა. ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ სხვაგვარად ჩვენი საქმიანობა მძიმე და მოსაბეზრებელი იქნებოდა, ყოფა კი – გაუსაძლისი.

მომდევნო რეცეპტი **მოსწავლეებთან კარგი ურთიერთობის დამყარებაა**. მასწავლებლებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, ინდივიდუალურად შეისწავლონ ყოველი მოსწავლე. ბავშვებს, რომლებსაც ვასწავლით, აკადემიურ, სოციალურ და ინდივიდუალურ დონეებზე უნდა ვიცნობდეთ. როცა ურთიერთობას პერსონალურად არ ვავითარებთ, ბავშვებს ხშირად ჰგონიათ, რომ მათ კი არ გადავცემთ ცოდნას, არამედ ზოგადად გავცემთ, ხოლო ის, რაც კონკრეტულად მათ არ მიემართებათ, არც უნდა ისწავლონ. მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ პირადად მას ვეკონტაქტებით, მასზე ვზრუნავთ, რადგან მისთვის საუკეთესო გვინდა.

მხოლოდ ამ შემთხვევაში აუმაღლდება მოტივაცია, მიიღებს სტიმულს კარგი სწავლისა და ჩვენი გახარებისთვის და გადაწყვეტს, წარმატებული გახდეს.

## ხელნაწერი წერილები, პოზიტივიზმის გაზიარება და ჩართულობა

თავის ბლოგში მელისა ფერი წერს, რომ მოსწავლეებთან უფრო მეტად დასაახლოებლად და კარგი ურთიერთობის დასამყარებლად სასწავლო წლის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე თითოეულ მათგანს უგზავნის ხელნაწერ წერილს, რომელშიც გამოხატავს სიხარულს იმის გამო, რომ მათი სწავლების პატივი ერგო და გამოთქვამს მზადყოფნას მომავალი თანამშრომლობისთვის.

ყოველ ორშაბათს მელისა სთხოვს მოსწავლეებს, მოუყვნენ დასვენების დღეებში მომხდარ ერთ პოზიტიურ ამბავს. მათი სკოლისგარე ცხოვრებისადმი ინტერესი ბავშვებს ახალისებს და სწრაფად ბადებს მათთვის საყვარელ ტრადიციას, რომელსაც ზოგჯერ თავად შეახსენებენ ხოლმე მასწავლებელს. თუ რომელიმე მოსწავლე სპორტს მისდევს, მელისა მშობლებს თამაშების განრიგს სთხოვს და თავადაც ცდილობს სასწავლო წლის განმავლობაში ერთი თამაშის ორგანიზებას სასკოლო სტადიონზე. ყოველ ასეთ მცდელობას საუკეთესო შედეგი მოჰყვება.

## საუბარი მხოლოდ კარგზე

დროდადრო საკლასო ოთახში დაფასთან შეიძლება გამოვაკრათ დღის პოზიტიური ფრაზა. მაგალითად, ასეთი: **„გვჯეროდეს კარგის!“**

რადგან...

**„რწმენა იქცევა ფიქრად**
**ფიქრი – სიტყვად**
**სიტყვა – ქმედებად**
**ქმედება – ჩვევად**
**ჩვევა – თვისებად**
**თვისება – ფასეულობად.**
**ჩვენი ფასეულობა ჩვენი ბედისწერაა!“**

***(მაჰათმა განდი)***

სპეციალური განათლების პედაგოგები მთელი დღის განმავლობაში ეჯახებიან განსაკუთრებულ გამოწვევებსა და სირთულეებს. ადვილია, პრობლემას შეეჩეხო და დამარცხდე, მაგრამ თუ ამ სირთულეების შესახებ სხვა მასწავლებლებს მოვუყვებით, მათი მოგვარების საშუალების პოვნა ერთიორად გაიოლდება. თუმცა ისიც უნდა გვესმოდეს, რომ **ამ დარგში გამოწვევები უსასრულოა**.

მასწავლებლობა ბედისწერაა, რომელსაც ვირჩევთ და ვემსახურებით, რადგან ვგრძნობთ და ვხედავთ, როგორ იცვლება ბავშვის ცხოვრება. ეს რთული და, იმავდროულად, საამაყო საქმეა, რადგან წარმატებები აშკარაა და დღეს მათი გაზიარება მთელი სამყაროსთვის შეიძლება. და თუ ასეა, დაე ყველას მოვფინოთ სწავლების სიხარული, განსაკუთრებით მაშინ, როცა სპეციალურ განათლებას ვემსახურებით. „წინსვლა წინსვლაა, რაგინდ მცირე ნაბიჯებით მივიწევდეთ წინ, სიყვარულით სავსე პატარა ბარათები კი დაუვიწყარი სიხარულია, რომლითაც ბავშვები გვაჯილდოებენ“, – აცხადებს ამერიკელი სპეცმასწავლებელი.

მასწავლებლის გამძლეობის კიდევ ერთი რეცეპტი **ოჯახის წევრებთან ურთიერთგაგებისა და პოზიტიური ურთიერთობის დამყარებაა**. იმისთვის, რომ ეფექტურად ვასწავლოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი მოსწავლე უნიკალური ოჯახიდანაა და, უპირველეს ყოვლისა, მისი ოჯახისა გვესმოდეს. **ბოუენის** ოჯახის სისტემის თეორიის პირველი პრინციპის თანახმად, ვერავინ ამოიცნობს პიროვნებას იმის ცოდნის გარეშე, როგორი ურთიერთობა აქვს მას ოჯახთან. ეს უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც სწავლების დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს. მშობლებმა და მომვლელებმა ხშირად ყველაფერი იციან ბავშვზე. ამგვარად, მათი აზრი არათუ იმსახურებს მოსმენას, არამედ საგანმანათლებლო პროცესის ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი ნაწილია. მშობლებს შეუძლიათ დაგვეხმარონ არა მხოლოდ ბავშვებთან ურთიერთობის დამყარებაში, არამედ მათი ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობასა და სწავლების სტილის მიგნებაშიც. ისინი შეიძლება ჩვენს მარჯვენა ხელადაც იქცნენ.

**მშობლებთან კონტაქტის** დასაწყებად კარგი იქნება, ჩამოვწეროთ და გავუგზავნოთ მათ მთელი წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები და მოლოდინები, მივიწვიოთ ისინი საკლასო ოთახში და დავარწმუნოთ ჩვენს მზადყოფნაში, რომ გავითვალისწინებთ ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს, მოსაზრებას, წინადადებას, თუ ეს ხელს შეუწყობს მის წინსვლას.

კარგი იქნება მშობლების რეგულარული ინფორმირება სასწავლო პროცესის, აქტივობების, ღონისძიებების შესახებ. უნდა გვჯეროდეს, რომ მოსწავლის თუნდაც მცირედი წარმატების შესახებ ყოველი პოზიტიური გამოხმაურება ახალ წარმატებასთან მიგვიყვანს. ყოველდღიურ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მოვლენებს ბავშვის მშობლებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს – ისინი ხედავენ, რომ ვიცავთ მათ შვილს, გვიყვარს ის და თავადაც უფრო მეტად ერთვებიან სასწავლო პროცესში, ეს კი ბავშვის აკადემიური წარმატების უმთავრეს საფუძვლად მიიჩნევა. ასე რომ, თუ პრიორიტეტად მოსწავლის მშობლებთან პოზიტიურ ურთიერთობას დავისახავთ, გავზრდით წარმატების ალბათობას, შევიმსუბუქებთ შრომას და სიმშვიდეს მოვიპოვებთ.

მაშასადამე, ორგანიზებულობა, პირადი ცხოვრების შენარჩუნება, საკუთარ თავზე ზრუნვა, ბავშვების დასაქმება, მონაცემთა გამოყენება, პირადი ინსტინქტების გათვალისწინება, კოლეგებთან თანამშრომლობა, მოსწავლეებთან კარგი ურთიერთობის დამყარება, მხოლოდ კარგზე საუბარი, კარგი ურთიერთობის დამყარება საკუთარი ოჯახის წევრებსა და მოსწავლეთა მშობლებთან ის ათი რეცეპტია, რომლებსაც მუდმივად უნდა ვიყენებდეთ, რათა შევქმნათ უფრო ჩართული სასწავლო გარემო, მივიღოთ უკეთესი შედეგი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობისას და მოვიპოვოთ გამძლეობა მომდევნო უფრო რთული და შემოქმედებითი სასწავლო წლებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები:


1. ანა ლაღიძე, თათია პაჭკორია, მაია ბაგრატიონი, „ინკლუზიური განათლება – გზამკვლევი მასწავლებლებისათვის“, თბილისი, 2009
2. თათია პაჭკორია, სალომე მაზმიშვილი, თამუნა კბილცეცხლაშვილი, ქეთევან იაშვილი, მეიკო ჭელიძე, „ინკლუზიური განათლება, მოსწავლე, ოჯახი და სკოლა“, თბილისი, 2012
3. http://www.friendshipcircle.org/blog/2014/02/04/10-ways-a-special-education-teacher-can-stay-sane-during-the-school-year/
4. https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=pe30M_GWpcQC&oi=fnd&pg=PA39&dq=bowen+family+system++theory+&ots=9SHFktbXLR&sig=3bWXb7dK-MLmM9dn0xPUUxIqC4I&redir_esc=y#v=onepage&q=bowen%20family%20system%20%20theory&f=false

# თეონა ბექიშვილი

1 დაგვიანებული ბოდიში კახას 202

# დაგვიანებული ბოდიში კახას

*ეძღვნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ხსოვნას, რომლებიც სახლიდან გამოუსვლელად გარდაიცვალნენ*

ამ ბოლო ერთ თვეში ორჯერ მესიზმრა, მე და კახა კიკვიძის პარკში ვსეირნობდით. ის რაღაცას მეუბნებოდა, მე ვერ ვარჩევდი მის სიტყვებს. არადა მაშინ, 14-19 წლისას, მესმოდა. არ იყო ადვილი მისი მეტყველების გაგება, მაგრამ მე მესმოდა. კიდევ დეიდამისს ესმოდა, მეტი არც არავინ ჰყავდა.

ისტორიას ცოტა შორიდან დავიწყებ.

გასული საუკუნის 30-იანი წლები იყო. სამეგრელოში ჩემს დიდ ბებიასა და ბაბუას სახლი დაეწვათ. ბებიაჩემი სულ თოთო ყოფილა და მამიდაშვილს შეუთავაზებია, ამას მე გამოვაზამთრებ, გამართავ სახლ-კარს და დაგიბრუნებო. მერე აღარ დაუბრუნებია. იყო სანათესაოს შორის მუდმივი ჩხუბი, სასამართლოები, გაწევ-გამოწევა, მაგრამ დედაჩემი უკვე სტუდენტი ყოფილა, როცა სისხლით ნათესავები გაიცნეს და ურთიერთობა აღადგინეს.

კახას დედა მიმტაცებელი დედობილ-მამობილის შთამომავალი იყო. მგონი, დეიდაშვილად ერგებოდა დედაჩემს.

რაც მის დაბადებაზე ვიცი, ესაა: გათხოვილა დედამისი და მალევე გაშორებია ქმარს. დარჩენილა ფეხმძიმე. ექვსი თვის ორსული რომ ყოფილა, ყოფილმა ქმარმა დაარეკვინა ვიღაცას, შენმა ძმამ შენი ყოფილი ქმარი მოკლაო. არ უნდოდა ბავშვის დაბადება და იფიქრა, მუცელი მოეშლებაო. მართლაც დაეწყო უდროო მშობიარობა, მაგრამ ბავშვი გადარჩა, ოღონდ ეტლიდან არასოდეს ამდგარა, მეტყველება უჭირდა, ხელების კოორდინაციაც, სახე მონგრეული ჰქონდა, ფეხები განუვითარებელი. არ ვიცი, რა ჰქვია ასეთ დაავადებას, არც ის ვიცი, იყო თუ არა ნაადრევი მშობიარობით გამოწვეული, მაგრამ მთელი სანათესაო ამას აბრალებდა.

დედამისი კახას დარდს გადაჰყოლია. ასე ამბობდნენ, ულამაზესი იყოო. ამას აღნიშნავდნენ დედა-დეიდები და ფოტოებს სინანულით დაჰყურებდნენ. მე არასდროს მომწონდა ეს ფოტოები და ვერ ვგებულობდი, რატომ იყო ულამაზესი. ბავშვთა კბილის ექიმი ყოფილა და პუშკინის ქუჩაზე სტომატოლოგიური კლინიკის ფოიეში მისი დიდი სურათი ეკიდა. იქაც აიცრემლებოდა ხოლმე დედა. ხშირად დავყავდი. მერე, წამოზრდილი, სამი წელი დამოუკიდებლადაც დავდიოდი, კბილებს ვისწორებდი. მოსაცდელში თავზე გადმომყურებდა

ამ ქალის ღიმილიანი ფოტო. ძალიან მინდოდა, მეც მომწონებოდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, მაშინ მივხვდი, უფროსებისთვის სხვანაირი იყო სილამაზე, ჩემთვის – სხვანაირი.

ბიძაზეც ბევრი არაფერი ვიცი. ბავშვი ვიყავი და ერიდებოდნენ ჩემთან ამაზე საუბარს. ამბობდნენ, რომ ისიც ძალიან ლამაზი იყო, თან ძალიან განათლებული, რომ საწყალმა თავი დაიღუპა. მოგვიანებით გავიგე, საბჭოთა კანონიერი ქურდი ყოფილა, შეიძლება ნარკომანიც. როგორ და რატომ გარდაიცვალა ახალგაზრდა ან მიმალავდნენ, ან აღარ მახსოვს.

ვიცი, რომ 4-5 წლის კახა დეიდას შერჩა მოსავლელად. დეიდას ძალიან შეშინებია და რუსეთში ჩაუყვანია კახა შესაბამის ბავშვთა სახლში, მე ვერ მოვუვლი, საქართველოში რომ ჩავაბარო, გული არ გამიძლებს და უკან გამოვიყვანო.

გულს მაინც არ გაუძლია და ორ თვეში უკან ჩამოუყვანია. იმის მერე ერთად ცხოვრობდნენ კახა და დეიდამისი – ვენერა. ვენერამ მოსავლელ დისშვილთან ერთად ოჯახის შექმნა ვეღარ მოახერხა და ბოლომდე მარტო იყვნენ, არავინ ჰყავდათ ახლობელი.

პატარაობიდანვე მახსოვს კახას დაბადების დღეები. უფრო სწორედ, მახსოვს ტორტები, იმ დროისთვის ძალიან უცნაურად მორთული, რომლებსაც ვენერა კერძოდ უკვეთავდა. სხვათა შორის, ისიც ძალიან მიკვირდა, რომ ვიღაცას შეიძლებოდა შეკვეთით ტორტი გამოეცხო. არ იყო ხშირი ასეთი ამბები, ალბათ საბჭოთა კანონიც კრძალავდა.

ეკონომიკურად არ უჭირდათ. მთელი სახლი ანტიკვარებით იყო გამოტენილი. ალბათ ვენერა ამ ნივთებს ჰყიდდა. ერთხელ საბჭოთა ფული გამოიცვალა. მახსოვს, მამამ ძალიან დიდი თანხა გადაურჩინა. მწერალთა კავშირში ჰქონდათ გადაცვლის უფლება. მაშინ მამასავით ყველა მწერალი ახლობლებს ეხმარებოდა. აბა, თავად სად ჰქონდათ მუთაქებში შენახული საბჭოთა ოცდახუთმანეთიანები?!

ისე გავიზარდე, კახას დაბადების დღეებზე, ჩვენსა და დეიდაჩემების გარდა, არც არავინ არ მინახავს, თუმცა ვიცოდი, რომ მათ ჰყავდათ ნათესავები.

ბოლო კლასებში სასწავლებლად დიდუბიდან ნაძალადევში გადავედი. იქვე ცხოვრობდნენ კახა და ვენერაც. ჩემი და კახას მეგობრობაც მაშინ დაიწყო. სკოლასთან ახლოს იყო და ხშირად შევუვლიდი ხოლმე.

კახასთან ურთიერთობა არ იყო ადვილი. მაშინ ასე ვფიქრობდი. ყოველი სტუმრობისას თან მომყვებოდა უსამართლობის განცდა. ისევე როგორც

სხვები, მეც მის ამ მდგომარეობას მამამისს ვაბრალებდი. არ იყო ადვილი 15-16 წლის გოგოსთვის იმის მიღება, რომ ამქვეყნად კახას მამისნაირი ადამიანებიც არსებობენ. თანაც ზუსტად იმ პერიოდში გამოჩნდა. დაიწყო გაუთავებელი რეკვა ვენერასთან, გვარი შეუცვალე, რომ მოკვდება, არ მინდა საფლავზე ჩემი გვარი ეწეროსო. თვითონ კომუნისტური გაზეთის მთავარი რედაქტორი გახლდათ. იმ რეჟიმის მსახური, რომელიც უკვე სულს ღაფავდა.

ყოველი წამოსვლისას ზურგით მომქონდა რაღაც ტვირთი, რომლის ზიდვის თავიც არ მქონდა, რომელიც მამძიმებდა, სულს მიხუთავდა, კარგად არც გარკვევა შემეძლო, არც ანალიზი, მით უფრო, გამკლავება. კახასგან ყოველი წამოსვლა გამოქცევას ჰგავდა, მაგრამ რამდენიმე დღეში ისევ მასთან მივრბოდი. მივრბოდი, რადგან არავის დედამიწის ზურგზე ისე არ უხაროდა ჩემი დანახვა, როგორც მას. ისედაც დიდი და მოღრეცილი პირი მთლად გაეხეოდა სიცილისგან და დაჭიმული ხელით ისე ძლიერად მიკრავდა გულში, ლამის ძვლები დაემტვრია. მერე ეს სიცილი და სიხარული გულიან ხარხარში გადასდიოდა. ხუთ-ათ წუთში დამშვიდდებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ, გაჭირვებით მიყვებოდა თავისი რადიოს ამბებს. რადიო იყო ერთადერთი სარკმელი მასსა და სამყაროს შორის. წერა-კითხვა არ იცოდა, ვერც შეძლებდა. იჯდა თავის ეტლში და უსმენდა. საბედნიეროდ, საბჭოთა რადიო ბევრად სჯობდა ტელევიზიას. ბევრი რამ იყო მოსასმენი. კახას ცოდნაც გარესამყაროზე არც ისე მწირი იყო. იცოდა და უყვარდა ჭადრაკის თამაშიც, მაგრამ მე პარტნიორად არ ვვარგოდი, ძალიან ადვილად მიგებდა. ამიტომ საკუთარ თავს ეთამაშებოდა.

იმ პერიოდში საერთოდ გამოცლილი მქონდა ფეხქვეშ მიწა. მთავარი კითხვიდან დაწყებული — უყვარხარ თუ არა იმ ბიჭს, რომელზე ფიქრშიც ღამეებს ათენებ — ყველას და ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებდი. ერთადერთი, რაშიც დარწმუნებული ვიყავი, კახას სიყვარული იყო ჩემ მიმართ. ამიტომ, მიუხედავად იმ სიმძიმისა, რაც მისგან წამოსულს მომყვებოდა, მიუხედავად იმისა, რომ კახა სახლში გამოკეტილი რადიოსა და დეიდას ანაბარა დარჩენილი ბიჭი იყო, მე კი — ჩვეულებრივი გოგო გარდატეხის ასაკის ჩვეულებრივი სირთულეებით, ჩვენი ურთიერთობა არ იყო უთანასწორო. როგორც მისთვის ვიყავი ერთადერთი ნათელი, გარე სამყაროდან შემოსული, ისე ისიც იყო ერთადერთი დასაყრდენი, ვისგანაც ზუსტად ისეთ უპირობო სიყვარულს ვიღებდი, როგორიც ჰაერივით მჭირდება, უფრო მაშინ, სანამ სამყაროში ჯერ კიდევ ორი ფერია: შავი და თეთრი და სანამ პატარ-პატარა თუ დიდ-დიდი კომპრომისები არ გისწავლია.

მერე ვენერა დაავადდა და გარდაიცვალა. კახას მომვლელი აუყვანეს. დაავადდა და გარდაიცვალა მამაჩემიც. მამა სოფელში დავკრძალეთ და ორმოცამდე იქ დავრჩით. რომ ჩამოვედი, დამირეკეს, კახაც გარდაიცვალაო. მომვლელმა ქალმა მითხრა, რომ ერთადერთი ნატვრა ჰქონდა, სიკვდილის წინ ენახეო. არც ერთმა ნათესავმა არ მომცა შენი ტელეფონი მანამ, სანამ არ გარდაიცვალაო. ქონების გამო შეეშინდათ და დაუმალეს. რომც მიეცათ, ხმას ვერ მომაწვდენდა, სოფელში ვიყავი, მობილური ტელეფონები მაშინ არ იყო.

მერე იყო კახას დაკრძალვა, სადაც კუბოს აქეთ-იქიდან მჯდომი გააფთრებული ქალები ერთმანეთს თმებში სწვდნენ ორი ბინისა და ძვირფასეულობის ხელში ჩაგდების ჟინით შეპყრობილები.

რა თქმა უნდა, ძალიან განვიცდიდი, სიკვდილის წინ რომ ვერ ვნახე, მაგრამ მართლა არ იყო ჩემი ბრალი და საკუთარი თავი არაფერში დამიდანაშაულებია. ახლა არ მახსოვს, მაგრამ ალბათ ძალიანაც მომწონდა 19 წლისას, რომ ერთადერთი ვიყავი, ვინც მართლა ტიროდა, ვისაც მართლა მოუკვდა კახა. იმ ქონებას დახარბებულ სანათესაოს თუ შევედრებოდი, საერთოდაც ანგელოზად მომეჩვენებოდა ჩემი თავი.

ამ ამბების მერე 25 წელია გასული და დანაშაულის შეგრძნებამ ახლა მომაკითხა. მომაკითხა, იმიტომ, რომ გავიზარდე და რაღაცები გავიგე; მომაკითხა, იმიტომ რომ ქვეყანაც გაიზარდა და აღმოჩნდა, რომ ეტლს მიჯაჭვული ადამიანები ბევრნი არიან; აღმოჩნდა, რომ თუ საზოგადოება ვარგა, ეს მიჯაჭვულობა ძალიან პირობით რამედ შეიძლება იქცეს.

ფეხი რომ მქონდა მოტეხილი, ორი თვე ვერ გავძელი სახლში გამოკეტილმა. მეგობრებმა აქვე, ჩემს სახლთან ახლოს, გამოფენის პარკში წამიყვანეს. გამოფენა კი იყო ადაპტირებული ეტლით მოსიარულეებისათვის, მეპატრონე თვითონ იჯდა ეტლში, მაგრამ გზაზე არსად იყო პანდუსი, ვდგებოდი, ასკინკილათი გადავდიოდი, მაგრად ვიწვალეთ, მაინც ძალიან კარგი იყო. ახლა გაჩერებაზე ტროტუარს აკეთებენ და ძალიან მიხარია, რომ პანდუსები უკვე მზადაა.

სახელმწიფოსა და საზოგადოების ჰუმანურობაცა და განვითარებულობაც, ალბათ, პირველ რიგში იმით იზომება, როგორ ეპყრობა შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს.

საბჭოეთი ბევრი რამის გამო მძულს, მაგრამ დღეს ვიცი, მთავარი მიზეზი კახაა. ეს იყო ქვეყანა, სადაც მე, საკმაოდ დიდმა, ვერც კი მოვიფიქრე, რომ

შეიძლებოდა მისი გარეთ გაყვანა, გასეირნება, რაღაცების დასათვალიერებლად წასვლა. ასეთი ადამიანების არსებობის რცხვენოდათ კიდეც, მაგრამ ეს ჩემთვის ნამდვილად არ იქნებოდა პრობლემა, არც ეტლის ტარება გამიჭირდებოდა. იმ დროისთვის ბიჭებთან უფრო ვმეგობრობდი და არცერთი არ მეტყოდა უარს, მომხმარებოდა. უბრალოდ ვერ მოვიფიქრე. არც კახას გამოუთქვამს სურვილი, არც არავინ ლაპარაკობდა ამაზე. წესი იყო, სახლში უნდა ყოფილიყო. ახლა ძალიან მრცხვენია და უკვე ორჯერ მესიზმრა, მე და კახა კიკვიძის ბაღში ვსეირნობდით, ოღონდ მე მისი აღარ მესმოდა.

ბოდიში, კახა!

WWW.TPDC.GE